

ლ. აზმაიფარაშვილი, ნ. არდოტელი, რ. ლოლუა, ლ. სანიკიძე, რ. ფარეულიძე

ნახურ და დაღესტნურ ენათა შედარებითი გრამატიკა

(საგრანტო პროექტი №31/45)

II ნაწილი

თბილისი

2016

თავი IV

კონსონანტური სისტემა:

ფონეტიკური პროცესები, შესატყვისობანი, თანხმოვანთკომპლექსები

1. ფონეტიკური პროცესები ნასურ ენებში

1. 1. კონსონანტური სისტემის ზოგადი დასასიათება. ნასურ ენათა ფონოლოგიურ სისტემაში წარმოდგენილი თანხმოვნების სინტაგმატური და პარადიგმატული ანალიზის შედეგად გამოიყოფა თანხმოვანთა წარმოთქმის რაგვარობის ორი ძირითადი კლასი: 1. ჩქამიერები; 2. სონორები; გარდა ამისა, მე-3 ჯგუფად შეიძლება გამოიყოს ე. წ. სონანტებიან, ტრადიციული ტერმინით, ნახევარხმოვნები (ა, ჟ).

აღნიშნულ თანხმოვანთა კლასიფიკაციისას ნასურ ენებში გამოსაყოფია შემდეგი თანრიგები:

ა) მარტივი თანხმოვნები;

ბ) რთული თანხმოვნები.

განხილული იქნება, აგრეთვე, ე. წ. ინტენსიური (ორმაგი, მაგარი, გემინატი) თანხმოვნები. მაგარი თანხმოვნები ნასურ ენათა სიტყვის თავკიდურ პოზიციაში (ანლაუტში) არ დასტუდება. ასეთი თანხმოვნები, მართალია, ფონემებს წარმოადგენენ, თუმცა ისინი ჩეჩნურ და ინგუშურ ენათა მოქმედ ანბანებში შეტანილი არ არის (როგორც, მაგალითად, რუსულში და რუსული ანბანის მიხედვით - ჩეჩნურსა და ინგუშურშიც). პირველადი მაგარი თანხმოვნების არსებობა, მათი დისტრიბუციის შეზღუდულობის მიუხედავად, იგარაუდება ნასურ ფუძეენაშიც.

ჩქამიერი ჰომოგენურ/ჰეტეროგენული თანხმოვნები, მარტივებიცა და რთულებიც, „სერიების“ მიხედვით, იყოფიან სამ ქვეჯგუფად [არლოტელი 2009: 80]:

ნშულ-მსკლომები: ბ, ფ, ფბ, პ, პა, ღ, თ, თა, ტ, ტა, გ, ქ, ქა, კ, ჯ, ჯა, ყ, ყა;

აფრიკატები: [ძ], ც, ცა, წ, [ჯ], ჩ, ჩა, ჭ;

სპირანტები: ზ, ს, სჰ, ჟ, შ, ღხ, ‘, პა, პა;

წარმოების ადგილის მიხედვით, ჩამოთვლილი ჰომოგენურ/ჰეტეროგენული თანხმოვნები ქმნიან შემდეგ რიგებს: წყვილბაგისმიერები (ბილაბიალური), კბილისმიერები (დენტალური), წინაუნისმიერები

(პრეალვეოლარულები), უკანანუნისმიერები (ალვეოლარულები), უკანანისმიერები (ველარულები), ხასისმიერები (ფარინგალურები), ხორხისმიერები (ყელისმიერები, ლარინგალები);

გარდა ამისა, სონორები და ე. წ. სონანტები, წარმოების ადგილისა და რაგვარობის მიხედვით, იყოფიან:

წყვილბაგისმიერი ხშული ნაზალური: მ

კბილისმიერი ხშული ნაზალური: ნ

სპირანტი ბაგისმიერი: ჟ

სპირანტი კბილბაგისმიერი: ვ

სპირანტი წინანუნისმიერი ლატერალები: ლ, ლ'

სპირანტი უკანანისმიერი ვიბრანტი: რ

სპირანტი შუენისმიერი ლატერალი: ძ

ამ ჯგუფში შემავალი ყველა ფონემა მჟღერია.

ცალკე იქნება განხილული კომპლექსები ჩეჩნურსა და ინგუშურში და მათი შესატყვისები ბაცბურ ენაში.

მთის კავკასიურ ენათაგან მეცნიერული შესწავლის საგანი ყველაზე ადრე გახდა ნახური ენები. როგორც ცნობილია, ნახურ ენათაგან პირველი მეცნიერული ნაშრომი მიემდგნა ბაცბურ ენას, რომლის ავტორიც არის ა. შიფნერი [შიფნერი 1856]. ამ ნაშრომის შესახებ არნ. ჩიქობავა წერს: „გადაუჭარბებლივ შეიძლება ითქვას, რომ „ცდა თუშთა ენის შესახებ“ - პირველს მეცნიერულ აღწერითს გრამატიკას წარმოგვიდგენს იბერიულ-კავკასიურ ენათათვის. არა თუ მთის იბერიულ-კავკასიური ენებისათვის, არამედ ქართულისათვის ასეთ დონეზე შესრულებული შრომა იმ ხანად არ მოგვეპოვება“ [ჩიქობავა 1965: 176]. ა. შიფნერის შრომის მაღალ მეცნიერულ დონეზე მიუთითებს ყველა მკვლევარი, რომლებიც ნახურ ენათა შესწავლით იყვნენ და არიან დაინტესებული. ამ ნაშრომის განსაკუთრებული ღირსებაა ფონემათა დისტრიბუციული ანალიზი ბაცბურში - „მან პირველმა დასვა ეს საკითხი იბერიულ-კავკასიურ ენათა მიმართ და მნიშვნელოვანი დასკვნებიც წარმოგვიდგინა“ [ჭრელაშვილი 2006: 5].

ა. შიფნერის, პ. უსლარის, ნ. ტრუბეცკოის, ი. დეშერიევის შრომათა ფონეტიკური ნაწილის ზოგი ნაკლოვანი მხარე აღნიშნული აქვს დ. იმნაიშვილს [იმნაიშვილი 1977: 174-181]. ჩამოთვლილ ავტორთა ნაშრომების გარდა, ნახურ ენათა ბგერითი სისტემის შესწავლას მნიშვნელოვანი ნაშრომები მიუძღვნეს ა. სომერფელტმა [სომერფელტი 1934; 1938; 1947], თ. დეშერიევამ [დეშერიევა 1963], ი. ალიროევმა [ალიროევი 1964], კ. ჭრელაშვილმა [ჭრელაშვილი 1975; 2006], თ. გონიაშვილმა [გონიაშვილი 1968; 1973], ი. არსახანოვმა [არსახანოვი 1965], მ. ჩუხუამ [ჩუხუა 2009], ა. თიმაევა [თიმაევი 2011] და სხვებმა. ამ

ნაშრომებში, ძირითადად, განხილულია ცალკეულ ენათა კონსონანტური სისტემები. ამიტომ აღნიშნულ საკითხებზე აქ არ შევჩერდებით.

ცალკეულ ნახურ ენათა კონსონანტური სისტემების შედარება გვიჩვენებს, რომ:

ინგუშური ენის კონსონანტურ სისტემაში წარმოდგენილია ყრუ სპირანტი **ძ**;

ბაცბურში დასტურდება ყრუ ლატერალური სპირანტი **ლ**;

ჩენური ენის ახიური დიალექტის ფხარჩოულ კილოკავში დასტურდება მჟღერი სპირანტი **Ä**, რომელსაც, როგორც ამტკიცებენ, აღნიშნულ კილოკავში ფონემური ღირებულება აქვს განსხვავებით ჩენური ენის სხვა კილოკავებისაგან, სადაც მას ასეთი სატატუსი არა აქვს, სხვაგან იგი ‘ -ს პოზიციურ ვარიანტს წარმოადგენს.

ძ და ჯ აფრიკატები თანამედროვე ჩენურ და ინგუშურ ენებში ფონემებს არ წარმოადგენენ, ზეპირმეტყველებაში ეს ორი ბგერა ისმის სიტყვის თავკიდურ პოზიციაში, ჩენური ენის ზოგ დიალექტში კი - შუა და ბოლოკიდურ პოზიციებშიც, თუმცა მათ სიტყვათგანმასხვავებელი ფუნქცია არ გააჩნიათ. მათი შეცვლა შესაბამისი სპირანტებით სიტყვას მნიშვნელობას არ უცვლის.

მოვიყვანოთ კრებსით ტაბულებს, რომლებიც მოცემულია დ. იმნაიშვილისა და კ. ჭრელაშვილის ნახური ენებისადმი მიძღვნილ ნაშრომებში.

ბაცბური ენის თანხმოვანთა სისტემა კ. ჭრელაშვილის ნაშრომის მიხედვით [ჭრელაშვილი 2006: 10]

რიგები	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11				
სერიები															
მჟღერები	ბ	ვ	ღ		ძ	ზ		ჯ	შ	გ	ღ		‘	ჭ	’
ყრუნი	არაინტენს.	ფ		თ	ლ’	ც	ს		ჩ	შ	ქ	ხ	ვ	ჰ	ჰ
	ინტენსიური			თა			სა					ხა	ვა		
აპრუპტივები	არაინტენს.	პ		ტ		წ		ჭ		კ		ყ			
	ინტენსიური			ტა									ყა		
სონორები	არაინტენს.	მ		ნ	ლ			რ							
	ინტენსიური				ლ										

1. ბაგისმიერები; 2. კბილბაგისმიერები; 3. კბილისმიერები; 4. ლატერალი; 5. წინაენისმიერები; 6. ვიბრანტი; 7. უკანასიბილანტები; 8. წინაველარულები; 9. უკანაველარულები; 10. ფარინგალურები; 11. ლარინგალურები.

ჩენური ენის თანხმოვანთა სისტემა კ. ჭრელაშვილის ნაშრომის მიხედვით [ჭრელაშვილი 2006: 59]:

რიგები/სერიები		1	2	3	4	5		6	7		8		9	10	11	
მკლერები	არაინტერსიური	ბ	ვ	ღ		ძ	წ		ჯ	შ	გ	ღ		‘	ჭ	’
	ინტენსიური		ღ	(ღ)							გა					
ყრუნი	არაინტერსიური	ფ		თ		ც	ს		ჩ	შ	ქ	ხ	ვ	ჰა	ჰ	
	ინტენსიური	ფა		თა		ცა	სა		ჩა		ქა	ხა	ვა			
აბრუპტივები	არაინტერსიური	პ		ტ		წ			ჭ		კ		ყ			
	ინტენსიური												ყა			
სონორები	არაინტერსიური	მ		ნ	ლ			რ								
	ინტენსიური	მა		ნა	ლა			რა								

1. ბაგისმიერები; 2. კბილბაგისმიერები; 3. დენტალურები (კბილსმიერები); 4. ლატერალი; 5. წინაენისმიერები; 6. ალვეოლარული ვიბრანტი (ვიბრანტი); 7. უკანასიბილანტები; 8. წინაველარულები; 9. უკანაველარულები; 10. ფარინგალურები; 11. ლარინგალურები.

შენიშვნა: მე-2 რიგის მკლერ ინტენსიურებში ლ, ალბათ, არ უნდა იყოს. ის მე-3 რიგში ივარაუდება იმავე ადგილზე, ამიტომ ფრჩხილებში ჩავსვი.

ფრჩხილებში - სახელწოდება ბაცბურის სქემის მიხედვით.

ინგუშური ენის თანხმოვანთა სისტემა კ. ჭრელაშვილის ნაშრომის მიხედვით [ჭრელაშვილი 2006: 68]:

რიგები/სერიები		1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11				
მკლერები	არაინტერსიური	ბ	ღ	ვ		ძ	წ		ჯ	შ	გ	ღ		‘	ჭ	’
	ინტენსიური															
ყრუნი	არაინტერსიური	ფ	თ	ძ		ც	ს	რ	ჩ	შ	ქ	ხ	ვ	ჰა	ჰ	
	ინტენსიური	ფა	თა						ჩა				ვა			
აბრუპტივები	არაინტერსიური								ჭ		კ	ყ				
	ინტენსიური															
სონორები	არაინტერსიური	მ	ნ		ლ			რ								
	ინტენსიური				ლა											

ჩეჩენური ენის თანხმოვანთა სისტემა დ. იმნაიშვილის ნაშრომის მიხედვით [იმნაიშვილი 1977: 184]:

ბაგისმიერები		წინაენისმიერები			შუაენის- მიერები	უკანაენ- ისმიერ.	ფარინგა- ლურები	ლარინგა- ლურები				
ბაგისმ.	კბილბაგ.	კბილისმ.	ალვეოლ.	რბილსას.					სონ.	მკლ.	სშულები	
მ		ნ							სონ.	მკლ.		სშულები
ბ		ღ				გ			ჩქამ.	ყრუები		
ფ		თ				ქ	ვ		ფშინ.			
პ		ტ				კ	ყ	’	მკვეთ.			

			ძ	ჯ						მჟღ.	აფრიკატები
			ც	ჩ					ფშვინ.	ყრუები	
			წ	ჭ					მკვეთ.		
	ჟ		ღ	რ					სონორ.	მჟღ.	სპირანტები
	პ		ზ	ყ	ღ	ღ	'(ა)		ჩქამ.		
			ს	შ		ხ	ჰ	ჰ	ფშვინ.	ყრუები	

დ. იმნაიშვილს აღნიშნულ ნაშრომში ინგუშური და ბაცბური ენების კონსონანტური მასალა ტაბულების სახით მოცემული არა აქვს, მაგრამ ისინი განხილულია ჩეჩნური ენის შესაბამის სისტემასთან მიმართებით.

შესატყვისობანი

1.2. ხშული (ხშულ-მსკდომი) თანხმოვნები

1.2.1. ზოგადი.ნახური ფუძეების კონსონანტური სისტემისათვის დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო ხშულ-მსკდომთა ორ-, სამ- და ოთხწევრიანი ლოკალური რიგები.

ბილაბიალურები ბ, ფ, პ

წინანუნისმიერები ძ, ც, წ

უკანანუნისმიერები ჯ, ჩ, ჭ

უკანაენისმიერები გ, ქ, კ

სისინა სპირანტები ზ, ზა, ს, სა

ხუთწევრა რიგებს ქმნიან დენტალური დ, თ, თა, ტ, ტა

სამწევრა რიგებს:

შიშინა სპირანტები ჟ, შ, შა

უკანაენისმიერი სპირანტები ღ, ხ, ხა

ფარინგალურები ვ, ვა, ყ

ორწევრა რიგს:

ლატერალური ლ, ლ'

ჩცნურ-ინგუშური ლარინგალურ ' -ს , ზოგ შემთხვევაში, ბაცბურში შეესატყვისება ფარინგალური ყ.

1.2.2. ბილაბიალური სმულები. ბილაბიალურ სმულთა შესატყვისობანი ნახურ ფუძეენაში ფონემათიგვივობით სქემატურად შემღევნაირად გამოსახება:

ჩენური	ბ	ფ	პ
ინგუმური	ბ	ფ	პ
ბაცბური	ბ	ფ	პ

ენათა მიხედვით ბგერათა შესატყვისობანი იდენტურია სიტყვის ანლაუტში. მოვიყვანოთ სათანადო მაგალითები.

ა) ბილაბიალური სმული (სმულ-მსკლომი) მჟღერი *ბ:

ჩენური ბ	ინგუმური ბ	ბაცბური ბ
ბწრ	ბწრ	ბადერ „ბავშვი“
ბდებქ	ბდებქ	ბეხქ „ბრალი“
ბჟოს	ბჟოს	ბოს „ფერი“
ბჟოთა	ბჟოთა	ბოტა „ქარქაში“
ბჟოლხ	ბჟოლხ	ბოთხ „შრომა, საქმე“
ბუთა	ბუთა	ბუთა „მთვარე“
ბუც	ბუც	ბუც „ბალახი“
ბუდ	ბიდ	ბუდ „მუშტი“
ბჟსა	ბიდსა	ბუდსა „ლამე“
ბარზა	ბარზა	ბარწო ⁶ „ჯორი“
ბარგ	ბარგ	ბარკ „თვალი“
ბ'ჟო	ბ'უ	ბ'ე „ჯარი“
ბჟორზ	ბჟორზ	ბ'ორწ „მგელი“
ბარპ	ბარპ	ბარლ' „რვა“
ბუყ	ბუყ	ბუყ „ზურგი“, „წელი“ (ბაცბ.)
ბჟოდ	ბჟოდ	ბოტ „ცომი“
ბდეყა	ბაყილგ	ბაყრ „კვიცი“

ბუკა ბოჭ ბუდჰ//ბუდჰნ „ბუ“...

ორი სიტყვის ინლაუტსა და აუსლაუტში ჩენურ-ინგუშურ ენათა ბ-ს ბაცბურში შეესატყვისება პ:

ნ'აბ	ნ'აბ	ნ'აპ	„ძილი“
ჰააბ-დ-არ	ჰააბ-დ-არ	ჰააპ-დ-არ	„მოჭუტვა“

ბ) ბილაბიალური ხშული (ხშულ-მსკლომი) ყრუ ფშვინვიერი *ფ:

ჩენური ფ	ინგუშური ფ	ბაცბური ფ
ფალ „მკითხობა“ ფალ		ფალ „ზლაპარი“
ფდე	ფდე	ფე „კედელი“
ფდეზაგ	ფდეზაგ	ფეზეკ „პაიჭი“
ფჰიდ	ფჰიდ	ფჰიტ „ბაყაყი“
ფჰარს	ფჰარს	ფჰარს „მკლავი“
ფჰაჟორ	ფჰაჟორ	ფჰორ „ვანშამი“
ფჰაგალ	ფჰაგალ	ფხაკალ „კურდელი“
ფჰაუ	ფჰაუ	ფჰაუ „ძალი“
ფხი'	ფხი'	ფხი „ხუთი“
ფხანარ	ფხანარა	ფხანერ „ბეჭი“
ფხა	ფხა	ფხა „ძარღვი; ფხა (თევზისა)“...

გ) ბილაბიალური ხშული (ხშულ-მსკლომი) ყრუ მკვეთრი *პ:

ჩენური პ ინგუშური პ ბაცბური პ

პ ბგერა სიტყვის ანლაუტში და, ზოგადად, ყველა პოზიციაში იშვიათია ნახურ ენებში. არსებული სალექსიკონო მასალის მიხედვით, ჩენურში, მაგალითად, პ-თი დაწყებული სულ ექვსი სიტყვაა [მაციევი 1961]: პაღლიგ „ტყავის ზურგჩანთა“, პდეღ „თითი“, პენდა „ნეკნი“, პენდალა „ურდული“, პურასკა „პარასკევი“, პუნგაზხურ „პანკისელი“. ამ სიტყვათაგან ბოლო ორი აშკარად ნასესხებია. პირველი ორი სიტყვის წარმომავლობა უცნობია. საკუთრივ ნახურს ჰგავს მხოლოდ პენდა „ნეკნი“ და პენდალა „ურდული“. არსებობს ვარაუდი, რომ მეორე სიტყვა ნაწარმოებია პირველისაგან -ღა სუფიქსის მეშვეობით [ვაგაპოვი 2011: 520].

მამასადამე, პ ბგერა ანლაუტში დასტურდება მხოლოდ ერთ შემთხვევაში. ჩენურსა და ინგუშურშიც მხოლოდ ერთ სიტყვაში დასტურდება პ ბგერა ინლაუტში: ხუმპარ „რევოლვერის ბუდე“. ჩენურის დიალექტებში გვაქვს ხუმფარ ფორმაც. იგივე ფუძე ჩანს ოსურ ენაშიც, რომელიმე თურქული ენიდან ნასესხებად მიაჩნია ა. ვაგაპოვს [ვაგაპოვი 2011: 520].

1.2.3. დენტალური ხშულები. დენტალურ (კბილისმიერ) ხშულთა შესატყვისობებს ნახურ ენებში ასეთი სქემა ექნება:

ჩენური	დ	თ	თა	თა	ტ
ინგუშური	დ	თ	თა	თა	ტ
ბაცბური	დ/ტ	თ	თა	ტა	ტ

დენტალები იდენტურ შესატყვისობებს გვიჩვენებენ სიტყვის ანლაუტურ პოზიციაში, მოოვიყვანოთ სათანადო მაგალითები:

ა) დენტალური ხშული (ხშულ-მსკლომი) მჟღერი *დ (იდენტური შესატყვისობა):

ჩენური დ	ინგუშური დ	ბაცბური დ
დჟრა	დირა	დური ⁵ „მლაშე“
დინა	დინა	დინინ „ცოცხალი“
დჟომ	დჟომ	დომ „სიტყვა“
დჟელა	დჟლა	დალ(ე) „ღმერთი“
დეე	დი	დე „დე“
დუვა	დუვა	დუვ „ბევრი“
და‘	და‘	და‘ „ჭრილობა, იარა“
დუყ	დუყ	დუყ „უღელი“
დათაა	დათაა	დათაე ⁶ „ერბო“
დიგ	დიგ	დიკ „ცული“
დუღ	დუჟ	დიბ „ფიცი“
დახქა	დახქა	დახკრ „თავი“

ღიქა	ღიქა	ღიქი ⁶	„კარგი“
ღეღ	ღეღ	ღეღ	„სხეული, ტანი“
ღჭოგ	ღჭოგ	ღოგ	„გული“...

ერთ მაგალითში ანლაუტში ჩენურ-ინგუშურ დ-ს ბაცბურში შესატყვისება ტ:

ღეთი	ღოთუჭ	ტათებ	„ვერცხლი“, „ფული“
------	-------	-------	-------------------

არაიდენტური შესატყვისობები გვაქვს სიტყვის ინლაუტსა და აუსლაუტში, სადაც ჩენურ-ინგუშურ დ-ს შესატყვისი ბაცბურში არის ტ:

ჩენური დ	ინგუშური დ	ბაცბური ტ	
ტჲლა	ტჲლა	ტატე ⁶	„სველი“
კჲლა	კჲლა	კატე ⁶	„რბილი“
ბჲოდ	ბჲოდ	ბოტ	„ცომი“
ღ-აღარ	აღარ	ღ-ატარ	„გაქცევა“
თღღარ	თღღარ	თეტარ	„ჭრა“
იდარ/ღ-აღარ	ღ-აღარ	იტარ	„სირბილი, რბენა“
ტჲოდ	ტჲოდ	ტოტ	„თათი; ხელი“
შადა	შოდა	შატ	„ფიწალი; კვანძი“
ფჰიდ	ფჰიდ	ფჰიტ	„ბაყაყი“
პენდა	პენდა	პენტრ	„ნეკი“
კალღ	კოლღ	კალტ	„საჭო“...

ცალკე შესწავლას მოითხოვს შესატყვისობა დ (ღა?): ტყ სიტყვაში:

ჩენურ-ინგუშური დ (ღა?)	ბაცბური ტყ
‘ად/‘აღა	ატყ „მშვილდი“

თუ ეს ბგერათშესატყვისობას წარმოადგენს, იგი იმით არის საინტერესო, რომ ჩენურ-ინგუშურ მაგარ დ-ს ბაცბურში შესატყვისება თანხმოვანთა კომპლექსი. სწორედ ეს კომპლექსი მიუთითებს იმაზე, რომ აღნიშნულ სიტყვაში მარტივი დ მაგარი დ-ს ფონეტიკურ სახესხვაობას წარმოადგენს.

ბ) დენტალური ხმული (ხმულ-მსკდომი) ყრუ ფშვინვიერი *თ:

იდენტური შესატყვისობები ანლაუტში

ჩენური თ	ინგუშური თ	ბაცბური თ
თურ	თურ	თურ „ხმალი“
თუხა	თუხ	თუდხი ^ნ „მარილი“
თდეშარ	თდეშარ	თეშარ „ნღობა“
თჷრხარ	თჷრხარ	თოხარ „ღარტყმა“
თავარ	თავარ	თავარ „ხოხვა“
თჷრლარ	თჷრლარ	თოლარ „გამარჯვება“
თხა	თხა	თხა „მატყლი“
თხჷო	თხჷო	თხო „ჩვენ“ (ექსკლ.)
თხი//თხირ	თხირ	თხირ „ნამი“
ქჷრთამ	ქჷრთამ	ქოთამ „ქათამი“ (< ქართულიდან)
ღ-ითარ	ღ-ითარ	ღ-ითარ „ღატოვება“
ლათარ	ლათარ	ლათარ „ღაჭიდება“
ღეთი	ღოთუჷ	ტათებ „ვერცხლი; ფული“
ქით	ქით	ქით „ტიკი; გუდა“ ...

გამონაკლისი აქაც იჩენს თავს. შდრ.:

წასთა წასთა მაგრამ: წასტ „სპილენძი“.

იდენტური ბგერათშესატყვისობა თა : თა ინლაუტსა და აუსლაუტში:

ღ-ათარ	ღ-ათარ	ღ-ათარ „შეწვა; ცნობა“
ლათარ	ლათარ	ლათარ „დგომა“
ღ-ჷოთარ	ღ-ჷოთარ	ღ-ოთარ „დასხმა, ჩასხმა“
ღ-დეთარ	ღ-დეთარ	ღ-ეთარ „წველა“
ღათა	ღათა	ღათაენ „ერბო“
ბუთა	ბუთა	ბუთა „მთვარე; თვე“
დეთა	დეთა	დეთა „ძროხა“ ...

არაიდენტური შესატყვისობა თა : ტა:

ნითა	ნითა	ნიტა	„ჭინჭარი“
ლითაარ	ლითაარ	ლიტაარ	„გაწურვა“
ხათაარ	ხათაარ	ხატაარ	„კითხვა“
ითა	ითა	იტა	„ათი“
ხ-ჟოთაარ	ხ-ჟოთაარ	ხოტაარ	„გადაბმა“
აბაუ	აბაა	აბი ⁶	„მარჯვნივ, მარჯვენა“
ათაა	ათაა	ატა ⁶	„აღვილი“
მ-ჟოთა	მ-ჟოთა	მოტა	„ენა“ ...

გ) დენტალური ნშულ-მსკლომი ყრუ მკვეთრი *ტ:

ჩენური ტ	ინგუშური ტ	ბაცბური ტ	
ტჲლა	ტაღა	ტატე ⁶	
ტ-ჟოდ	ტ-ჟოდ	ტოტ	„თათი; ხელი“
ტა	ტა	ტა	„ბეჭი; საქონლის წინა ფეხი“
ტარ	ტარ	ტარ	„ბუბუ“
ტარა	ტოარა	ტარა	„სილა“
ტად	ტიდ	ტივ	„ხიდი“
ტუმ	ტუმ	ტუმ	„თხილის, კაკლის გული“; „ძვლის ტვინი“
დ-ჟტყა	დ-იტყა	დ-უტყი ⁶	„წვრილი“ ...

1.2.4. უკანაენისმიერ ნშულელები

უკანაენისმიერი (ველარული) ნშულელები (ნშულ-მსკლომები) ნახურ ენებში წარმოდგენილია სამწევრა რიგით. ესენია: გ, ქ, კ.

ანლაუტში ამ ბგერებს რეფლექსები არა აქვთ. მაშასადამე, ნახურ ფუძეენაში სქემატურად მათი გამონატვა ასე შეიძლება:

*	ჩენური	ინგუშური	ბაცბური
გ	გ	გ	გ/კ
ქ	ქ	ქ	ქ
პ	პ	პ	პ

ა) უკანაენისმიერი ხშულ-მსკლომი მჟღერი *გ (ანლაუტში):

ჩენური	გინგუშური გ	ბაცბური გ
გაზა	გაზა	გაზან „თხა“
გაერზ	გაერზ	გერწ „იარალი“
გაჟრ	გაჟრ	გოგრ „რკალი“
გაჟორგა	გაერგა	გოგრინ „მრგვალი“
გამა	გოამა	გამონ „მრუდე“
გად	გიდგ (<გადგ)	გაგაჯრ „მუცელი, კუჭი“
გალა	გალა	გალან „გუნდა (ფქვილეულისა)“
გამ	გამ	გამ „ხვეწი“
გაერგა	გარგა	გარგ(აჰა) „ანლოს“
გაჟრა	გაჟრა	გუდურ „საბეჭავი“ (საქსოვი დაზგის ნაწილი)
გაჟორგა	გაჟორგ	გორგინ „მრგვალი“ ...

უკანაენისმიერი ხშულ-მსკლომი მჟღერი *გ (ინლაუტში):

ჩენური	გინგუშური გ	ბაცბური კ
ღ-ღეგჟრ	ღ-ღეგა-ღ-ღე	ღ-ეკ-ღ-არ „ღარხევა“
ღ-ნგარ	ღ-ნგარ	ღ-აკარ „წვა“
ღ-იგარ	ღ-იგარ	ღ-იკარ „წაყვანა“
ღ-აგარ-ღ-არ	ღ-აგარ-ღ-არ	ღ-აკარ-ღ-არ „ღათვლა“
ქჟოგ	ქჟოგ	ქოკ „ფეხი“
ბ'არგ	ბ'არგ	ბ'არკ „თვალი“
ჭჟნიგ	ჭანგ	ჭანიკ „ნიკაპი“

‘ადგ	‘აგ	‘აბიკ	„კოვზი“
ღიგ	ღიგ	ღიკ	„ცული“
საგალ	საგალ	ფსიკ	(<ფ-სიკ) „რწყილი“
ღჭოგ	ღჭოგ	ღოკ	„გული“
ქვეგიდ	ქაგიდ	ქაკენ	„წვრილი“ (მრ.) ქაკენ „წვრილი“ (მხ.)...

ბ) უკანაენისმიერი ნშული (ნშულ-მსკლომი) ყრუ ფშვინვიერი *ქ:

ანლაუტი:

ჩენნური ქ	ინგუშური ქ	ბაცბური ქ	
ქუგ	ქულგ	ქო	„ხელი“
ქუოთამ	ქუოთამ	ქოთამ	„ქათამი“
ქემს	ქომს	ქანიზ	„ყურბენი“
ქაჩ	ქაჩ	ქაჩ	„საყელო“
ქუორ	ქუორ	ქორ	„ფანჯარა“
ქუოგ	ქუოგ	ქოკ	„ფეხი“
ქარს	ქარს	ქარს ^ნ	„თოკი“
ქესთა	ქასთა	ქასტე ^ნ	„მალე, ჩქარა“
ქით	ქით	ქით	„ტიკი; გუდა“
ქუორთა	ქუორთა	ქორთ(ო)	„თავი“
ქუდ	ქუდ	ქუდ	„ქული“...

მაგრამ: ჩენნ.-ინგუშ. ქ : ბაცბური კ:

ქარჩარ/ქდერჩარ	ქარჩარ/ქდერჩარ	კარჩარ/კერჩარ	„გორვა“ (ერთგზისი და მრავალგზისი)
----------------	----------------	---------------	-----------------------------------

გ) უკანაენისმიერი ნშული (ნშულ-მსკლომი) ყრუ მკვეთრი *კ:

ჩენნური კ	ინგუშური კ	ბაცბური კ	
კა	კა	კავ	„ხორბალი“
კურ	კურ	კურ	„ბოლი“
კადა	კადა	კატე ^ნ	„რბილი“

კუორა	კუორა	კორ	„ნახშირი“
კაუა	კოაუუვ	კაკ	„ქუსლი“
კუორგა	კოარგა	კოკრუ ^ნ	„ღრმა“
კანთ	კანქ (<კანიქ)	კნათ	„ბიჭი“
კადნ	კად	კუდ ^ნ	„თეთრი“
კეზა	კაზა	კაწ(წ)	„ლეკვი“
კალლ	კოლლ	კალტ	„ხაჭო“
კეზიგ	კეზიგა	კაძაკ/კაძიკ	„ცოტა“
კაგ	კოაგ	კოკ	„ორმო“...

1.2.5. ფარინგალური ხშულები

ა) ფარინგალური ხშული (უღმსკლომი) ყრუ ფშეინვიერი *ვ:

ჩენური ვ	ინგუშური ვ	ბაცბური ვ	
ვა	ვა	ვაგ	„ყანა, სახნავი“
ვაღარ	ვაღარ (პური)	ვაღარ	„საგმელი“
ვარზარ	ვარზარ	ვარწარ	„შეწვა, მოხალვა“
ვაჩა	ვაჩა	ვაჩქ	„საგზალი“
ვაჯა	ვაჯა	ვაჯან	„ტყავი“
ვაძვარ	ვაძქარ	ვექარ	„ძახილი; დაძახება, მოხმობა“
ვეორ	ვეორ (მხნალი)	ვორ	„გაშლი“
ვაძვარ	ვაძვარ	ვექარ	„დაძახება, მოხმობა“
ვეოვა	ვეოვა	ვაუუუ	„მტრელი“
ველა	ველ	ვედალ	„ფაშატი“ (< ქართ.)
ვერ	ვეე	ვეგ	„ლობიო; მუხულო, ცერცვი“
ვეო ^ვ	ვეო ^ვ	ვეო	„სამი“
ვერამ	ვერამ	ვერლ ^ვ ომ	„საშიშროება“
ვენა	ვენანა	ვენ	„ხვალ“
ვეთარ	ვეთარ	ვეთარ	„გაგება“...

ლდევა	ლავა	ლავე ⁶	„მაღალი“
ლუვა	ლუვა	ლუვ	„ბევრი“
თავან	თავა	თავან ⁶	„გადახდა“
ვბ	ვბ	ვბ	
ლჭოვა	ლჭოვა	ლაჭუ ⁶	„ლიდი“

ბ) ფარინგალური ხშულ-მსკლომი ყრუ მკვეთრი *ყ:

ჩენური ყ	ინგუშური ყ	ბაცბური ყ	
ყა	ყა	ყა	„ცოდვა“
ყუ	ყუ	ყუვ	„ქურდი“
ყტონა	ყტონა	ყონრ	„ხალგაზრდა“
ყტორა	ყტორა	ყურუ	„ყრუ“
ყაჰა	ყაჰა	ყაჰენ	„მწარე“
ყენა	ყენა	ყანნ	„ხნისი, ბებერი“
ყტორზა	ყტორზა	ყარწენ	„ჭრელი“
ყენ	ყენ	ყენ	„ლარიბი“
ბდეყა	ბაყ	ბაყრ	„კვიცი“
დუყ	დოყ	დოჰყ	„ნაცარი“
ნდეყ	ნიყ	ნიყ	„გზა“
ბუყ	ბუყ	ბუყ	„ზურგი“
ლუყ	ლუყ	ლუყ	„უღელი“
ღყა	ღყა	ღაყ	„წილი, ნაწილი“
ღ-დეყა	ღ-დეყა	ღ-ეყა	„მშრალი“
ღ-დეყარ	ღ-დეყარ	აყარ	„გაყოფა“ ...

შესატყვისობები ყველა პოზიციაში იდენტურია.

1.2.6. ლარინგალური ხშულ-მსკლომი ყრუ მკვეთრი *?:

ჩენური ’	ინგუშური ’	ბაცბური -
----------	------------	-----------

ში	ში	ში	„ორი“
ვუო	ვუო	ვუო	„სამი“
ცჰა	ცჰა	ცჰა	„ერთი“
ჩენური	ბაცბური		
ვა	ვა	ვა	„ლაწევა“; „მოსწრება“
ჩენური	ინგუშური	ბაცბური	ყ
ლა	ლა	ლა	„საჭმელი“
თუალ	თუალ	თოყარ	„საკმარისი“; „კმარება, ყოფნა“ (ქადაგიძეები)

ამ ბგერის პოზიციები თანამედროვე ნახურ ენებში შერყეული ჩანს. ოთხის გამოკლებით პირველი ოთხი რიცხვითი სახელის ბოლოკიდურ პოზიციაში იგი არ დასტურდება ბაცბურში. იკარგება იგი თვით ჩენურ-ინგუშურშიც, როცა აღნიშნული რიცხვითი სახელები წარმოადგენენ სინტაგმის წევრებს. მიუხედავად ამისა, ეს ბგერა საერთონახურია.

ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან საინტერესოა ბგერის მონაცვლეობა ფარინგალურ ყრუ მკვეთრ ყ-სთან. იმავე ფუძეში ჩენურშიც და ინგუშურშიც შემონახულია ყ ბგერა, ოღონდ სიტყვის სემანტიკა ოდნავ შეცვლილია. შეადარეთ:

ჩენური: **ლაყარ** (<ლყურ); ინგუშური: **ლაყარ** „ფურაჟი, საქონლის საკვები“.

მაშასადამე, ბგერის რეფლექსები ჩენურ-ინგუშური ენებისათვისაც არ არის უცხო.

1.3. აფრიკატები

1.3.1. ზოგადი.წინანუნისმიერი (სისინა) აფრიკატები. სისინა აფრიკატებს ნახურ ენებში ფუძეენის ვითარება შეცვლილი აქვთ, კერძოდ, თავისებურია ძ-ს საკითხი. მართალია, იგი ფუძეენაში უნდა ყოფილიყო, მაგრამ ნახურ ენათა ლიფერენციაციის შემდეგ მოხდა მისი სპირანტიზაცია. სისინა სპირანტთა სქემა ნახურ ფუძეენაში ასეთი სახით წარმოგვიდგება:

*	ჩენური	ინგუშური	ბაცბური
ძ	ზ/ძ(დიალ.)	ზ	ზ
ც	ც	ც	ც
წ	წ	წ	წ

1.3.2. წინანუნისმიერი (სისინა) აფრიკატები.

ა) წინანუნისმიერი მჟღერი აფრიკატი *ძ:

ძ ბგერა თანამედროვე ნახურ ენათაგან ჩენურ და ინგუშურ სალიტერატურო ენებში არ დასტურდება. იგი წარმოდგენილია ჩენური ენის დიალექტებში - ბარის კილოში ძ გვხვდება მხოლოდ ანლაუტში, სხვა კილოკავებში კი როგორც ანლაუტში, ისე ინლაუტსა და აუსლაუტშიც. ძ ჩენურსა და ინგუშურში ფონემას არ წარმოადგენს, მას დისტინქტური ფუნქცია არა აქვს: მისი შეცვლა ზ-თი სიტყვას მნიშვნელობას არ უცვლის, ზ მისი დაშლის (დეზაფრიკატიზაციის) შედეგია. ამდენად, ძ და ზ ერთმანეთის საოპოზიციო წყვილებს არ წარმოადგენენ. არა გვაქვს ძ-ზე დაწყებული არც ერთი სიტყვა არც ერთ ნახურ სალიტერატურო ენაში.

ბ) წინანუნისმიერი ყრუ ფშვივიერი აფრიკატი *ც:

ჩენური ც	ინგუშური ც	ბაცბური ც
ცაერგ	ცარგ	ცარკ „კბილი“
ცაცა	ცაცა	ცაც „საცერი“
ცაელ	ცაელ	ცელ „ნამგალი; ცელი“
ცა	ცა	ცო „არ“ (უარყ. ნაწილაკი)
ცუ	ცუ	ცუ „ქუშელი“
ბუც	ბუც	ბუც „ბალახი“
იეცარ	ბეცარ	ეცარ „აღება; ყიდვა“
ცჰა'	ცა'	ცჰა „ერთი“
მაცა	მაცა	მაცან „როდის“
ცჰაურგალ	ცურგალ	ცოკალ „მელა“ ...

გ) წინანუნისმიერი (სისინა) ყრუ მკვეთრი აფრიკატი *წ:

ჩენური წ	ინგუშური წ	ბაცბური წ
წაე	წი	წე „ცეცხლი“

წმენა	წინა	წაძნ	„სუფთა“; „წმინდა“
წმენ	წმე	წმეგ	„წითელი“
წმინა	წმენა	წმინ	„ხალი“
წა	წა	წა	„სახლი; ოთახი“
წმი	წმი	წმე	„სისხლი“
წან-ღ-არ	წან-ღ-არ	წანარ-ღ-არ//წამ-ღ-არ	„გაწმენდა, გასუფთავება“
წაწმინდა	წაწმინ	წაწმინდა	„სისუსთავე“
წასთა	წასთა	წასტ	„სპილენძი“
წყა	წყა	წყე	„ერთხელ“...

1.3.3. უკანანუნისმიერი (შიშინა) აფრიკატები

აფრიკატებიდან ჯ-ს შესახებაც იგივე შეიძლება ითქვას, რაც ძ-ს შესახებ ითქვა. ეს ბგერა, მართალია, ნახურ ფუძეებში არსებობდა, მაგრამ ნახური ფუძეების დაშლის შემდეგ მოხდა მისი დაშლა - ლეზაფრიკატიზაცია და ჟ-ში გადასვლა. ჯ შემორჩენილია ჩეჩნური ენის ზოგ დიალექტში, მათ შორის ჩეჩნურის ბარის კილოშიც ანლაუტის პოზიციაში, ზოგ კილოკავში კი - ყველა პოზიციაში. ჯ-ს, როგორც ძ, თანამედროვე ნახურ სალიტერატურო ენებში ფონემას არ წარმოადგენს, მას დისტინქტური ფუნქცია არა აქვს და ჟ-სთან საოპოზიციო წყვილსაც არ ქმნის - მისი შეცვლა ჟ-თი სიტყვას მნიშვნელობას არ უცვლის.

უკანანუნისმიერ ყრუ აფრიკატებს, ჯ-ს სპირანტიზაციის გარდა, ნახურ ენებში რეფლექსაცია არ განუცდიათ. მათი სქემა შეიძლება ასე გამოვსახოთ:

*	ჩეჩნური	ინგუშური	ბაცბური
ჯ	ჟ	ჩ	ჭ
ჩ	ჟ	ჩ	ჭ
ჭ	ჟ	ჩ	ჭ

ა) უკანანუნისმიერი მჟღერი აფრიკატი *ჯ (იხ. ზემოთ).

ბ) უკანანუნისმიერი ყრუ ფშვინვიერი აფრიკატი *ჩ:

ჩეჩნური ჩ ინგუშური ჩ ბაცბური ჩ

ჩა	ჩა	ჩა	„ლათვი“
ჩამ	ჩამ	ჩამ	„გემო“
ჩიმ	ჩილ	ჩიმ	„ფერფლი“
ჩჲო	ჩო/ჩჲო	ჩო	„ბეწვი, თმა (ლერი)“
ჩჲუ	ჩჲუ	ჩჲუ	„შინ“ ...

გ) უკანანუნისმიერი ყრუ მკვეთრი აფრიკატი *ჭ:

ჩენური ჭ	ინგუშური ჭ	ბაცბური ჭ	
ჭჳრა	ჭყჳრა	ჭარენ	„თევზი“
ჭჲრლა	ჭოლა	ჭჲლონ	„მაგარი“
ჭჲენიგ	ჭანგ	ჭანიკ	„ნიკაპი“
ჭყჲორ	ჭჲორ	ჭარ	„კანი“
ჭალ-დ-არ	ჭალ-დ-არ	ჭალ-დ-არ/ჭჲალ-დ-არ	„ლაკეტვა“
ჭჲჲ	ჭიღ (ზუმბა)	ჭჲუღ	„საქსოვი ჩხირი“
ჭჲჲგა	ჭჲუგ (კავი, კაუჭი)	ჭჲეკ	„საკეტი, ურღული“ ...

1.4. ნაპრალოვანი ბგერები (სპირანტები, ფრიკატივები)

1.4.1. კბილბაგისმიერი მჟღერი სპირანტი *ვ

სპირანტთაგან, წარმოების ადგილის მიხედვით, პირველ რიგში განსახილველია კბილბაგისმიერი მჟღერი ვ და ყრუ ჭ, რომელიც ინგუშურში, ან კიდევ ჩენურის ზოგ კილოკავში, იჩენს თავს. ჩენური ენის კილოკავებში ჭ ბგერას დისტინქტური მნიშვნელობა არა აქვს და იგი ფონემას არ წარმოადგენს. ყველა სიტყვას, სადაც ინგუშურში აღნიშნული ბგერა არის წარმოდგენილი, ჩენურსა და ბაცბურში შეესატყვისება ვ ან ჰ. აქედან გამომდინარე დასკვნა, რომ იგი მეორეულია ინგუშურში და ჩენურის ზოგ თქმაში.

ლექსიკური ფუძე, რომელიც ვ ბგერას შეიცავს და სამივე ნახურ ენაშია წარმოდგენილი, მცირერიცხოვანია. მაგ.:

ჩენური ვ	ინგუშური ვ	ბაცბური ვ	
ვაშა	ვოშა	ვამო	„ძმა“
ვაღ	ვაღ	ვაღ	„ჩვენ“

ვდეჟერიდ	ვდეჟერიდ	ვაჟარ	„ძმები“
ვჟორჰ	ვჟორჰ	ვორლ	„შვიდი“
ვლოვშიდ ⁶	-	ვაშა ⁶	„ერთმანეთი“...

1.4.2.წინანუნისმიერი სპირანტები. წინანუნისმიერი (სისინა) სპირანტები ნახურ ფუძეენაში ივარაუდება ზ, ს-ს სახით. ნახურ ენებში აღნიშნულ სპირანტთა შესატყვისობანი შემდეგ სახეს იღებს:

*	ჩენური	ინგუშური	ბაცბური
ზ	ზ	ზ	ზ/წ
ს	ს	ს	ზ/ს

ა) წინანუნისმიერი (სისინა) მჟღერი სპირანტი *ზ:

ჩენური ზ	ინგუშური ზ	ბაცბური ზ
ზ'ჟოქ	ზ'ჟოქ	ზოქ „ნისკარტი“
გაზა	გაზა	გაზან „თზა“

ამ რიგის მაგალითები (ილენტური შესატყვისობები) ნახურ ენებში ცოტაა, შედარებით ბევრია მაგალითები, რომლებშიც ჩენურ-ინგუშურ ზ-ს ბაცბურში შესატყვისება აფრიკატი წ:

მჟოზ	მჟოზ	მოწ	„თაფლი“
ბჟორზ	ბჟორზ	ბ'ორწ	„მგელი“
მდეზა	მაზა	მაწ	„ტილი“
ბ'არზა	ბ'არზა	ბ'არწუნ	„ჯვორი“
გეერზ	გეერზ	გერწ	„იარაღი“
დ-ერზინა	დ-ერზანა	დ-არწინწ	„შიშველი“
დ-დეზა	დ-დეზა	დ-აწინ	„მძიმე; ძვირფასი“
დ-დეზარ	დ-დეზარ	დ-ეწარ	„სიყვარული; ნღომა (უნდა)“
ხაზარ	ხაზარ	ხაწარ	„(მო)სმენა“
ლოჟზარ	ლოჟზარ	ლაბწარ	„ქორწილი; თამაში“
ჟოზარ	ჟოზარ	ოწარ	„აწონა; გათრევა, გაწევა“

კარზარ	კარზარ	კარწარ „შეწვა; მოხალვა“
პაოუზარ	პაოუზარ	პარწარ „გრეხა“ (ერთგზისი); „ლატრიალება“
პაონა	პაზილგ	პაწუკ „ბელურა“...

ზ : წ ბგერათშესტყვისობის ფონეტიკური საფუძველი ცალკე შესწავლას მოითხოვს.

ბ) წინაენისმიერი (სისინა) ყრუ სპირანტი *ს:

ჩენური ს	ინგუშური ს	ბაცბური ს
სუო	სუო	სო „მე“
სინა	სინა	სინა „ლურჯი“ (შღრ. რუსული СИНИЙ)
სურდჷ	სადრდჷ	ფ-სარღო „სადამო“
საგალ	საგალ	ფ-სიკ „რწყილი“
სად	სად	საგ „ირემი“
ჟსა	‘ასა	ჟსჷ „ზბო“
ბჟსა	ბისა	ბუდსა „ლამე“
ბჟოს	ბჟოს	ბოს „ფერი“
დ-ისარ	დ-ისარ	დ-ისარ „დარჩენა“
სთუ	უსთ	სტუ „ხარი“
სთაგ	საგ	სთაკ „კაცი, ადამიანი“
სთუო	ოსთა	სტო „სატენი“
სთუმა	სჟუმა	სტამინ „სქელი“
დ-უსთარ	დ-უსთარ	დ-უსტარ „გაზომვა“
ქდესთა	ქასთა	ქასტენ „მალე“
მჟსთა	მისთა	მუსტინ „მჟავე“
მოსთად	მოსთაღა	მასთხოვ „მტერი“
დ-საა	დ-საა	დ-ასენ „ცარიელი“
ისა	იღს	ისა „ცხრა“
ჩენური ს	ინგუშური ს	ბაცბური ზ
ქდემს	ქომს	ქანიზ „ყურძენი“

1.4.3. უკანანუნისმიერი (შიშინა) სპირანტები

ნახურ ფუძეებში უკანანუნისმიერი სპირანტების სქემა წარმოგვიდგება შემდეგი სახით:

*	ჩენური	ინგუშური	ბაცბური
ქ	ქ	ქ	კ/ჭ
შ	შ	შ	შ

ა) უკანანუნისმიერი (შიშინა) მჟღერი სპირანტი *ე:

ჩენური ე	ინგუშური ე	ბაცბური ე
ჰაე	ჰაჟა	ჰაკ „შუბლი“
კაეა	კოაჟუე	კ'ოე „ქუსლი“
ბაეა	ბაჟა	ჟაბრ (<ბაჟა) „ჯოგი, ნახირი“

ამ მაგალითებიდან ნათელია, რომ ჩენურ-ინგუშურში ე მეორეულია, მომდინარეობს გ-საგან, რაც ჩენური ენის დიალექტებში დასტურდება. შდრ.: სალ. ენა ჰაე „შუბლი“, ითუმყალური ჰაგ, ქისტური ჰაგ „შუბლი“, სალ. ენა კაეა, კგ „ქუსლი“... გ : კ შესატყვისობათა ნიმუშები ნახურ ენებში სხვაც უნდა იყოს.

გვხვდება ე:ჭ შესატყვისობაც, რაც, ალბათ, გამონაკლისი ჩანს. შდრ.:

ჩენურ-ინგუშური ე	ბაცბური ჭ
ხინეა (ხენჯა - დიალ. ვარ.)	ხინჭ „წილი“
ლაე (ლაჯ/ლაჟ - ინგ.)	ლოჭ „ჯონი“
ჰაე	ჰაეჭრ (<ჰაჭი) „სუნი“...

ჩენურ-ინგუშური ე	ბაცბური ე
ჟა (ჯა - დიალ. ვარ.)	ჟე „ცხვარი“ (კრებიტი)
ჩენურ-ინგუშური ე	ბაცბური შ
დ-იეა „ლაწოლა“	დ-იშა „წოლა“

ჟ : შ შესატყვისობა შემთხვევითია: ღ-იჟა გამოხატავს სუბიექტის მხოლობითობას (მღრ., ღ-იჟა < ღ-იჟმა, ამ ფორმასთან სუბიექტი მრავლობითშია). მამასადამე, ბაცბურში დაკარგული ჩანს ის ფორმა, რომელიც სუბიექტს მხოლობითში გამოხატავს, ჟ : შ შესატყვისობის საფუძველიც მორფოლოგიური ცვლილების შედეგია.

ბ) უკანაენისმიერი (შიშინა) ყრუ სპირანტი *შ. იღენტური შესატყვისობები გვაქვს სამივე ნახურ ენაში:

ჩენური შ	ინგუშური შ	ბაცბური შ	
შუ	შუ	შუ	„თქვენ“
შჟო	შჟო	შო	„წელიწადი“
ში'	ში'	ში	„ორი“
შარ	შარ	შარ	„ღო“
შნლა	შნლა	ფ-შელი ^ნ	„სიცივე“
შა	შა	ფ-შა	„ყინული“
შად	შოდ	შატ	„კვანძი, ნასკვი“
შაღა	შოღა	შატ	„ფიწალი“
შიმ	შიმ	ში ^ნ	„ცური“
შიჩა	შიჩა	შიჩჟ	„ბიძაშვილი, შინში (დეიდაშვილი)“
შჟრა	შჟრა	შარჟ ^ნ	„სწორი, გლუვი“
დიშა	დიშა	დაშო	„ღა“
ვაშა	ვოშა	ვაშო	„ძმა“
დიშ	დიშ	დიშ	„ხმა; სიმღერა“ ...

1.4.4. უკანაენისმიერი სპირანტები

უკანაენისმიერი სპირანტები ნახურ ენებში წარმოადგენენ წყვილ ბგერებს ღ-ს და ხ-ს სახით, როგორც ქართველურში. ამ ბგერათა არსებობა ივარაუდება ნახურ ფუძენაშიც. ნახური ფუძენის დაშლის შედეგად უკანაენისმიერ სპირანტებს ცვლილებები არ განუცდიათ:

იღენტურ შესატყვისობათა სქემა ასეთი იქნება:

*	ჩენური	ინგუშური	ბაცბური
ლ	ლ	ლ	ლ
ხ	ხ	ხ	ხ

მოვიყვანოთ საილუსტრაციო მაგალითები.

ა) უკანაენისმიერ მჟღერი სპირანტი *ლ:

ჩენური ლ	ინგუშური ლ	ბაცბური ლ	
ლოქლა	ლოქლა	ლაგ	„სასთუმალი“
ლან	ლა	ლ ^ნ	„სიზმარი“
ლდელ-დ-არ	ლდელ-დ-არ	ლელ-დ-არ	„დასუსტება (ასუსტებს)“
ლქოზხათარ	ლქოზხათარ	თოზხეთარ	„გახარება (უხარია)“
ლქორა	ლქორა	ლორ	„სიცივე; ყინვა“
ლქორ-დ-არ	ლქორ-დ-არ	ლორ-დ-არ	„გაყინვა“
ლაჟ	ლაჯ/ლაჟ	ლოჯ	„ჯონი“
ჭქორლა	ჭოალა	ჭ ^ა ლო ^ნ	„მაგარი“
ლდელ	ლდელ	ლეღ	„ტანი“
მოსთალ	მოსთალა	მასთხოვ (< მასთალოვ)	„მტერი“...

ბ) უკანაენისმიერი ყრუ სპირანტი *ხ:

ჩენური ხ	ინგუშური ხ	ბაცბური ხ	
ხი	ხიჟ	ხი	„წყალი“
ხდე ^ნ „მორი“	ხი	ხე ^ნ	„ხე“
ხათარ	ხათარ	ხატარ	„(შე)კითხვა“
თჟხა	თუხ	თუღხნ	„მარილი“
დ-ოქხა	დ-ადხა	დ-აფხენ	„თბილი“
დ-ქხა	დ-წხა	დ-ახენ	„გრძელი“
ლქოსა	ლქოსა	ლახუ ^ნ	„დაბალი“
თქონარ	თქონარ	თონარ	„ღარტყმა“

ღუხარ	ღუჴხარ	ღოფხან	„ჩაცმა“
ახ	ახ	ახ	„ნახევარი“
ახარ	ახარ	ახარ	„ხვნა“
მახ	მახ	მახ	„ფასი“
ნახ	ნახ	ნახ	„ხალხი“
ნახჩა	ნახჩა	ნახჩ	„ყველი“...

მაგალითების გამრავლება კიდევ შეიძლება.

1.4.5. ფარინგალური სპირანტები

ფარინგალური რიგის სპირანტები უცხოა ქართველური ენებისათვის. არ რიგს განეკუთვნება მჟღერი ‘ და ყრუ ჰა ბგერები. ორივე ბგერა ნიშანდობლივი უნდა ყოფილიყო ნახური ფუძეენისათვისაც.

*	ჩენური	ინგუშური	ბაცბური
‘	‘	‘	‘
ჰა	ჰა	ჰა	ჰა

ა) ფარინგალური მჟღერი სპირანტი ‘:

ჩენური ‘	ინგუშური ‘	ბაცბური ‘	
‘ა	‘ა	‘ა	„ზამთარი“
‘ადგ	‘აგ	‘აბიკ	„კოვზი“
‘უ	‘უ	‘უვ	„მწყემსი“
‘ამარ	‘ამარ	‘ამარ	„ჩვევა“
‘არჟა	‘არჟა	‘არჟინ ⁶	„შავი“
ღა‘	ღა‘	ღა‘ (<ღა‘)	„იარა, წყლული“

ბ) ფარინგალური ყრუ სპირანტი *ჰა:

ჩენური ჰა	ინგუშური ჰა	ბაცბური ჰა	
ჰაუ ⁶	ჰაუ	ჰაუ ⁶	„ტყე“

ჰიეს	ჰილარ	ჰიეს	„გამოქვაბული, მღვიმე“
ჰანშა	ჰანშა	ჰანშ	„სტუმარი“
ჰააჟა	ჰააჟა	ჰააკ	„შუბლი“
ჰადე	ჰილა	ჰად	„ტვინი“
ჰაულო	ჰაულო	ჰაო	„შენ“
აჰარ	აჰარ	აჰარ	„(ლა)ფქვა“
ყაჰა	ყაჰა	ყაჰუ ⁶	„მწარე, ცხარე“
ლჰა	ლჰა	ლაჰ	„გველი“
ჰაუოჟა	ჰაუ	ჰადჰ	„სუნი“
ჰახ	ჰახ	ჰახ	„ჯიხვი“...

მაგრამ: ჩეჩნურ-ინგუშური ჰა : ბაცბური ხ:

ჰაუოგალლა : ხაკოლ „წყურვილი“

1.4.6. ლარინგალური ყრუ სპირანტი*ჰ:

წარმოდგენილი იყო ნახურ ფუძეენაში. არა აქვს სათანადო მჟღერი. ნახური ფუძეენის დაშლის შემდეგ ბაცბურში გაჩნდა მისი რეფლექსები, თუმცა იდენტური ბგერათშესატყვისობების მაგალითებიც არ არის უცხო.

*	ჩეჩნური	ინგუშური	ბაცბური
ჰ	ჰ	ჰ	ჰ/ვ

ჩეჩნური ჰინგუშური ჰ ბაცბური ჰ

ჰუ	ჰუ	ჰუვ	„თესლი“
ჰა'	ჰა'	ჰო	„კი“
ბუჰა	ბოჰ/ბუოვ	ბუ	„ბუ“ (ნასესხობა გამორიცხული არ არის)

ჩეჩნურ-ინგუშურ ჰ : ბაცბური ვ:

ჰუოსთა	ვასთ	„სერი“
ჰუმა	ვუმ	„რამე“

ჰუნდა ვუნდა „რატომ“
 ჰუნ^ნ ვუნს „რა“

მოულოდნელია შესატყვისობა ჰ : ღ:

ჰუონ ღონ „წნელი; ბრასლეტი, სალტე“

1.5. სონორები

1.5.1. ზოგადი. სონორები ცალეულებს წარმოადგენენ და ცალკე სისტემას ქმნიან. ნახურ ენებში სონორებს წარმოადგენენ:

- 1) ბილაბიალური ნაზალი მ;
- 2) დენტალური ნაზალი ნ;
- 3) წინანუნისმიერი ლატერალი ლ და მისი ყრუ კორელატი ლ' ბაცბურში.
- 4) უკანანუნისმიერი ვიბრანტი რ;

განვიხილოთ ისინი ცალ-ცალკე.

1.5.2. ბილაბიალური ნაზალი სონორი *მ.

აღნიშნული ბგერა ნახურ ფეძეენაში წარმოადგენილი იყო. დასტურდება ყველა პოზიციაში. თანამედროვე ნახურ ენებში მ ბგერის იდენტური შესატყვისობები გვაქვს. მოვიყვანოთ საილუსტრაციო მაგალითები:

ჩეჩნური მ	ინგუშური მ	ბაცბური მ	
მაძრა/მარ	მარ	მარ	„ქმარი“
მოსთად	მოსათაღა	მასთხოვ	„მტერი“
მაღს	მაღს	მათხ	„მზე“
მართა	მართა (საუზმე)	მატრ (<მართ-ა)	„სადილი“
მაღარ	მაღარ	მაღ'არ	„დალევა“
მჟოზ	მჟოზ	მოწ	„თაფლი“
მჟოჰა	მჟჰა	მოჰა	„ქონი“
მჰსა	მჰსა	მჰს	„ნემსი“
მჟოთა	მჟოთა	მოტა	„ენა; ლოგინი“

მა'ა	მუ'ა	მ'აყო	„რქა“
მაცა	მაცა	მაცან	„როლის“
ლამა	ლოამა	ლამა	„ზეგ“
ლამ	ლოამ	ლამ	„მთა“...

სპონტანური შესატყვისობის ნიმუში უნდა იყოს შემდეგ მაგალითებში:

ქემს (ქისტ. ქენიზ) ქომს ქანიზ „ყურბენი“

ში^ნ/შიმ შიმ ში^ნ „ცური“

არსებულ ლექსიკონებში განსხვავებული ფორმები გვხვდება „ცურის“ შესტყვისად. შდრ.:

ჩენური: ში^ნ [მაციევი 1961]; შიმ [მაციევი, კარასაევი 1978; ალიროევი 1975]; ში (ქისტური);

ინგუშური: შიმ [ოზლოევი 1980; ქურქიევი 2005];

ბაცბური: ში^ნ [ქადაგიძე 1983].

მრავლობითში ფუძისეული მ შენარჩუნებულია მხოლოდ ინგუშურში, სადაც დასტურდება ფორმა **შამარაშ**, რომელიც დაიშლება ასე: შამ- (<შიმ) - ფუძე; -არ- ე. წ. ჩანართი ელემენტი; -ა- ე. წ. მათეობელი ხმოვანი და -შ - მრავლობითობის მაწარმოებელი.

ჩენურში მრავლობითში გვაქვს **შან-ნ-ა-შ**: შან- -ფუძე; -ნ- - ჩანართი ელემენტი; -ა-შ-ს იგივე ფუნქცია აქვს, რაც ინგუშურში. საკვლევი ამოსავალი ფორმა.

1.5.3. დენტალური ნაზალი სონორი *ნ:

წარმოდგენილი იყო ნახურ ფუძენაში. თანამედროვე ნახურ ენებში გვაქვს იდენტური შესატყვისობები:

ჩენური ნ	ინგუშური ნ	ბაცბური ნ	
ნანა	ნანა	ნან	„ლედა“
ნახ	ნახ	ნახ	„ხალხი“
ნ'ანა	ნ'ანა	ნ'ან	„ჭია“
ნითა	ნითა	ნიტა	„ჭინჭარი“
ნდეყ	ნიყ	ნიყ	„გზა“
ნდეჩა	ნახჩა	ნაჩხ (<ნახჩ)	„ყველი“
პენდა	პენდა	პ'ენტრ	„ნენი“
პინცა	პანზ	ინც	„ახლა“

ნისა	ნისა	ნიფსინ	„სწორი“
ყუონა	ყუონა	ყონო	„ნორჩი, ახალგაზრდა“
ღნა	ღნა	ღინი	„ცოცხალი“
ჭენიგ	ჭანგ	ჭანიკ	„ნიკაპი“...

1.5.4. წინანუნისმიერი ლატერალი სონორი *ლ:

წარმოდგენილი იყო ნახურ ფუძეენაში. აქვს ფონემური ღირებულების რეფლექსი ლ' ბაცბურში.

მოვიყვანოთ საილუსტრაციო მასალები:

ჩენური ლ	ინგუშური ლ	ბაცბური ლ	
ლამ	ლოამ	ლამ	„მთა“
ლუმ	ლუმ	ლომ	„მთა“
ლჰჰა	ლუჰა	ლჰა	„ბგველი“
ლუმ	ლოა	ლუმ	„თოვლი“
ლდერ	ლდერ	ლდერ	„ლაპარაკი“
ღ-ღლარ	ღ--ღლარ	ღ-ღლარ	„გაცინება, გაღიმება“
ღღლარ	ღღლარ	ღღლარ	„სიარული“
ლჰცარ	ლჰცარ	ლჰცარ	„ლაჭერა, დაკავება“
ლხარ	ლხარ	ლხარ	„ძებნა“
ლუმბა	ლუმბა	ლუმბა	„დაბალი“
ჟლა	ჟლა	ჟლენ	„ტავადი, ბატონი“
ღუმოლ	ღუმოლ	ღოლ	„თივა“
მილა	მილა	მიენ	„ვინ“...

ჩენური ლ	ინგუშური ლ	ბაცბური ლ'	
მდელ	მდელ	მელ'	„რამდენი“
მღარ	მღარ	მღარ'	„სასმელი; დაღვება“
ჟღარ	ჟღარ	ჟღარ'	„თქმა“
ღ-ღღარ	ღ-ღღარ	ღ-ღღარ'	„მიცემა“

თილურ თილა-დ-მე თილ'-დ-არ „გატყავება“

ლ ბგერის შესატყვისობები თანხმოვანთა კომპლექსებში შემოთ მონხობილთაგან განსხვავებულია და თანხმოვანთკომპლექსებშია განხილული.

1.5.5. უკანანუნისმიერი ვიბრანტი სონორი *რ

წარმოდგენილი იყო ნახურ ფუძეებში. აღსანიშნავია, რომ რ ბგერა ნახურ ენათა სიტყვის ანლაუტში არ დასტურდება. მოვიყვანოთ მაგალითები:

ჩენური რ	ინგუშური რ	ბაცბური რ	
კურ	კურ	კურ	„ბოლი“
ფჰაჟორ	ფჰაჟორ	ფჰაორ	„ვანშამი“
ბ'არ	ბ'არ	ბ'არ	„კაკალი“
თურ	თურ	თურ	„ხმალი“
ჭყურ	ჭურ	ჭარ	„კანი; ნაჭურჭი“
ქურ	ქურ	ქორ	„ფანჯარა“
ჭარ	ჭყარა	ჭარენ	„თევზი“
ვჟრა	ვჟრა	ვჟერ	„ქვა“
შურა	შურა	შურ	„რძე“
ირა	'ირა	'ირინ	„ბასრი; მჭრელი“
სჟრჟე	საჟრჟე	ფ-სარლზ	„საღამო“
ყურა	ყურა	ყურუ	„ყრო“

1.6. სონანტები

1.6.1. შუაენისმიერი სონანტი *დ:

ჩენური დ	ინგუშური დ	ბაცბური დ	
დჰჰა	დუჰა	დოჰყ	„სახე“
დუყ	დოყ	დოჰყ	„ნაცარი“
დეთა	დეთა	დეთა	„ძროხა“

დიდ	- (*დიდ)	დეგ	„ლუდი“
დიოლ	დიოლ	დიოლ	„თივა“
დეხქ	დეხქ	დეხქ	„სავარცხელი“
დიო	დიო	დიოჰ	„გოგო, ქალიშვილი“
ლად	ლად	ლაგ	„მონა“
სად	სად	საგ	„ირემი“...

ლად, სად ლექსები ნახურ ენებში მიჩნეულია ნასესხობად (ვ. აბაევი).

ჩენური დ	ინგუშური ვ (ჟ)	ბაცბური ბ	
დიუ	დიუჟ	დიუბ	„სადგისი“
დიუდ	დიუჟ	დიბ	„ფიცი“
ჩენური დ	ინგუშური დ	ბაცბური დ	
ტიდ	ტიდ	ტივ	

დასადგენია ამ ლექსების კავშირი ქართულ ტივ- ფუძესთან.

1.6.2. ბილაბიალური სონანტი *ჟ:

ჩენური ჟ	ინგუშური ჟ	ბაცბური ბ	
დიუ (<დიუჟ)	დიუჟ	დიუბ	„სადგისი“
‘ოჟმარ	‘უჟმარ	‘აფმარ (<‘აბმარ)	“დაღეჭვა“
ლოჟმარ	ლოჟმარ	ლაბჟმარ	„დაცურება, გასრიალება“...

1.7. ზოგი თანხმოვანთკომპლექსის შესატყვისობანი ნახურ ენებში

ნახურ ენებში იძებნება მაგალითები, სადაც თანხმოვანთკომპლექსები შეესატყვისებიან ერთმანეთს. ცალკეულ თანხმოვანთა შესატყვისობებთან დაკავშირებით კომპლექსები ზემოთაც არაერთგან იყო მოხმობილი. ასეთია:

სთ - სტ; ლხ - თხ; ხქ - ხკ. მოვიყვანოთ მაგალითები:
 ჩენური სთ ინგუშური სთ ბაცბური სტ

სთ კომპლექსი ჩეჩნური ენის უმეტეს დიალექტსა და ინგუშურში მარტივდება ანლაუტში (სთ > ს ან სთ > თ). შენარჩუნების შემთხვევაში მას ხმოვანი უნდა უსწრებდეს. სთ კომპლექსი თავკილურ პოზიციაში შენახულია ჭებერლოურსა და სალ. ენაშიც (ორთ. ნორმების მიხედვით). შდრ:

სთავ	სავ (<სთავ)	სტაკ	„კაცი, ადამიანი“
სთუ	უ-სთუ	ფ-სტუ	„ხარი“
სთომა	სომა	სტამინ	„სქელი“...
მჟსთა	მისთა	მუსტინ	„მუავე“
ქდესთა	ქდესთა	ქასტენ	„მაღე“
დ-ასთარ	დ-ასთარ	დ-ასტან	„განსნა“
ყასთარ	ყასთარ	ყასტარ	„განცალკეება“
ლასთარ	ლასთარ	ლასტარ	„შერხევა“...
ჩეჩნური ლხ	ინგუშური ლხ	ბაცბური თხ	
მალხ	მალხ	მათხ	„მზე“
ბჟოლხ	ბჟოლხ	ბოთხ	„საქმე; შრომა“
ნილხა	ნღლხა	ნეთხინ	„მეჩხერი“
დ-დელხარ	დ-დელხარ	დ-ეთხარ	„ატირება“...
ჩეჩნური ხქ	ინგუშური ხქ	ბაცბური ხკ	
დახქა	დახქა	დახკო	„თავვი“
დეხქ	დეხქ	დეხკ	„სავარცხელი“
მჟოხქ	მჟოხქ	მოხკ	„ქვეყანა“
ღჟოხქ	ღჟოხქ	ღოხკ	„ნისლი, ბურუსი“
ახქარ	ახქარ	ახკარ	„ბარვა“...

შესატყვისობები, როგორიცაა: ჩეჩნ.-ინგ. თა : ბაცბ. თა (იგივე: თთ : თთ), ჩეჩნ.-ინგ. თთ : ტტ (იგივე თა : ტა) ზემოთ არის მოხმობილი შესაბამის მარტივ, სადა თანხმოვნებთან და ამიტომ აქ არ გავიმეორებთ.

შესატყვისობათა ძირითადი ფორმულების სინოტიკური ტაბულა

*	ჩენნ.	ინგ.	ბაცბ.
ბ	ბ	ბ	ბ/პ
ფ	ფ	ფ	ფ
პ	პ	პ	პ
ღ	ღ	ღ	ღ/ტ
თ	თ	თ	თ/ტ
თა	თა	თა	თა/ტა
ტ	ტ	ტ	ტ
ბ	ბ	ბ	ბ/პ
ქ	ქ	ქ	ქ/პ
კ	კ	კ	კ
ძ	ზ/ძ	ზ	ზ
ც	ც	ც	ც
წ	წ	წ	წ
ჯ	ჯ/ქ	ქ	ქ
ჩ	ჩ	ჩ	ჩ
ჭ	ჭ	ჭ	ჭ
ვ	ვ	ვ	ვ
ვა	ვა	ვა	ვა
ყ	ყ	ყ	ყ
,	,	,	/ყ
ზ	ზ	ზ	ზ/წ
ს	ს	ს	ს/ზ
შ	შ	შ	შ/პ/ჭ
შ	შ	შ	შ
ღ	ღ	ღ	ღ
ხ	ხ	ხ	ხ

‘	‘	‘	‘
ჰ	ჰ	ჰ	ჰ/ნ
ჳ	ჳ	ჳ	ჳ/ვ/ღ
ვ	ვ	ვ	ვ
ნ	ნ	ნ	ნ
რ	რ	რ	რ/ლ
მ	მ/ნ	მ	მ/ნ
ს	ს	ს	ს
ღ	ღ	ღ	ღ/ვ
ქ	ქ	ქ	ბ

2. ხუნძურ-ანდიურ-დილოურ ენათა კონსონანტური სისტემა: ფონეტიკური პროცესები, შესატყვისობანი, თანხმოვანთკომპლექსები

ფონეტიკური პროცესები

2. 1. კონსონანტური სისტემის ზოგადი დახასიათება. ხუნძურ-ანდიურ-დილოურ ენათა ფონოლოგიურ სისტემაში ისტორიულად დადასტურებული თანხმოვნების სინტაგმატური და პარადიგმატული ანალიზის შედეგად გამოიყოფა ფონემურ ერთეულთა სამი ძირითადი კლასი: I ჩქამიერები; II სონორები; III სონანტები (resp. აპროქსიმანტები)¹. ეს კლასები პირობითად აღინიშნება შემდეგი სიმბოლოებით: C— კონსონანტი (ჩქამიერი და სონორი), S— სონანტი.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ სონორები (რ, ლ, მ, ნ) და სონანტები (ჟ, ღ) საკვლევ ენებში ერთ კლასად ვერგაერთიანდება, რასაც ხშირად ვხვდებით სპეციალურ ლიტერატურაში. საუკვლევებელია, რომ სონორები სინქრონიულადაც და დიაქრონიულადაც არ ასრულებდნენ ხმოვნური ალოფონის ფუნქციას. ეს არ იქმნის ე. წ. ნახევარხმოვნების მიმართ, რომლებიც დამატებით დისტრიბუციაში იმყოფებიან სათანადო ხმოვნებთან: ჟ — უ, ღ — ი.

„სერიების“ მიხედვით, ჩქამიერები ერთიანდება ჰომოგენურ/ჰეტერორგანულ [მარტინე 1960 : 97] თანხმოვნურ მწკრივებად და იყოფა სამ ქვეჯგუფად: 1. ხმულ-მსკლომები: ბ, ფ, პ,² დ, თ, ტ, ქ, ჭ, ჭხ, კ, კ^პ, გ, ქ, ქხ, კ, კხ, ჟ; 2. აფრიკატები: ზ, ც, ცხ, წ, წხ, ჯ, ჩ, ჩხ, ჭ, ჭხ, ლ^ვ, ლ^ლ, ტ^ვ, ტ^ლ, ჳ, ჳხ, ყ, ყ^ვ; 3. სპირანტები: დ,⁵ ზ, ს, სა, ქხ, ჟ, შ, შხ, ქ^ვ, ლ^ვ, ლ^ლ, ქ, ღ, ხ, ხა, ჟ, ჳ, ჳ. ყრუ სახეობებს ხუნძურ-ან-

¹ ამ უკანასკნელებს სპეციალურ ლიტერატურაში ნახევარხმოვნებსაც უწოდებენ, რაც მართებული არ არის. „ნახევარხმოვანი“ მხოლოდ ნაწილობრივ წარმოაჩენს მათ ნამდვილ ფუნქციურ ბუნებას, რადგანაც ამის საპირისპიროდ შეიძლება ტერმინად გვეხმარა „ნახევართანხმოვანი“, რაც აგრეთვე, მათინაწილობრივი დახასიათება იქნებოდა.

² ჰ სისტემატურად დასტურდება ოდენ დილოურ ენებსა და ხუნძურის სამხრულ დიალექტებში, ხოლო მეორეული პ ჩრდილო ხუნძურსა და ანდიურ ენათა სინამდვილეში სპორადულად იჩენს თავს.

³ პალატალიზებული ბგერები ანდიურ ენათა ერთ წყებაში (ანდ., დოდ., კარ., ბაგვ., ტინდ., ჭამ.) შეიმჩნევა და მათ ფონოლოგიური ღირებულება არა აქვთ. ნქ, ქ, ქხ, ქ, ქ^ვ ხუნძურის ზოგ დიალექტშიც (მაგ., ჭარულში) შეინიშნება.

⁴ ჩვენ პარადიგმატულ ცხრილებში ცალკე ქვეკლასად გამოვყოფთ აფრიკატებს, როგორც ხმულ-მსკლომებისაგან სინტაგმატური ქცევითა და ცვლილების ტენდენციებით განსხვავებულ ბგერებს. ამგვარი დაჯგუფება პირობითია, რადგანაც ვიზიარებთ თვალსაზრისს, რომ პარადიგმატულ ანალიზში აფრიკატთა დახასიათებლად სავსებით საკმარისია ნიშანი „ხმული“ [ფოგტი 1962 : 14; უთურგაიძე 1976 : 64].

⁵ დ — ინტერდენტალური მჟღერი სპირანტი შენიშნულია ტინდ. და ჭამ. ენებში [გუდავა 1964 : 16, 47].

დიურ ენებში აქვთ ინტენსიური და არაინტენსიური კორელატები.

ლოკალური რიგების მიხედვით, ჰორიზონტალურად ვგუფდება ჰომორგანული/ჰეტეროგენული ზემომოყვანილი თანხმონები, რომლებიც თერთმეტ ლოკალურ რიგს ქმნიან: წყვილბაგისმიერი (ბილაბიალური), კბილისმიერი (დენტალური), წინანუნისმიერი (პრეალვეოლარული), შუანუნისმიერი (ინტერალვეოლარული), უკანანუნისმიერი (პოსტალვეოლარული), მაგარსასისმიერი (პალატალური), შუა ენისმიერი (ინტერდორსალური), წინასასისმიერი (პრეველარული), უკანასასისმიერი (პოსტველარული), ხანისმიერი (ფარინგალური), ხორხისმიერი (ლარინგალური).

გარდა ზემოწარმოდგენილი თანხმონებისა, ანდიურ ენებში გვხვდება მეორეული წარმომავლობის ბგერები (ჭამ. ზზ, დდ; ლოდ., ტინდ. უასპირაციო და უსპირანტელემენტო ქხ; ანდ., ლოდ. თხ...), რომლებსაც ფონემის სტატუსი არაქვთ [გუდავა 1964 : 10-11, 14; დე 2000 : 378].

გარდა ამისა, საკუთრივ დილოური ენის ზოგი აულის (ხეთონი, მოყოცი...) მეტყველებაში ხ⁶ და ჰ³ ერთი ფონემის ფონეტიკური ვარიანტებია. ალოფონებს უტოლდებიან, აგრეთვე, ლატერალთა ალვეოლარული ნაირსახეობანი (ალვეოლარულობა არ არის ფონოლოგიური მოდიფიკაცია).

ვინაიდან სპეციალურ ლიტერატურაში ცალკეულ ენათა კონსონანტური სისტემები განხილულია დაწვრილებით [ტრუბეტკო 1987 : 248-250, 312-314; მიქაილოვი 1958 : 25-42; ბოკარევი 1959 : 15, 67-68, 111-112, 144-145, 176-177; 1981 : 17-34; ჩიქობავა, ცერცვაძე 1962 : 38-39; ლომთაძე 1963 : 35-48; 1998 : 26-71; იმნაიშვილი 1963 : 16-21; გუდავა 1964 : 5-15; 1979, 31; მაჰომედბეკოვა 1967 : 13-17; 1971 : 13-14; გიგინეიშვილი 1977 : 27-40; ვან დენ ბერგი 1995 : 19; დე 2000 : 277, 291, 309, 321, 334, 347, 361, 378, 393, 410, 424, 439, 455, 470...], ამიტომ აქ დაწვრილებით ამ საკითხებზე აღარ შევჩერდებით. მოვიყვანთ მხოლოდ ხუნძურ-ანდიურ-დილოური ენების თანხმონანთა სინოპტიკურ ტაბულას, რომელშიც ნათლად დაინახება ერთიანი კონსონანტური სისტემის ამსახველი სურათი.

⁶ ქხ და ქზ მაგარი სპირანტები სათანადო მაგარი კორელატების ალოფონებს ეთანაბრებიან.

ცხრილი № 1. ხუნძურ-ანდიურ-დილოური ენების თანხმობანთა განაწილების კრებსითი ტაბულა

რაგვარობა	ჩქამიერი																	სონორი		სონან						
	სშულო																	ნაშალი	არანა-შალი	სონან						
	სშულ-მსკლომი					აფრიკატი							სპირანტი													
	ყრუ		ლატერალუ			არალატერალუ				ლატერალუ		არალატერალუ														
	ფშვინგ.	აბრუპტივი	ფშვინგ.	აბრუპტივი	ფშვინგ.	აბრუპტივი	ფშვინგ.	აბრუპტივი	ფშვინგ.	აბრუპტივი	ფშვინგ.	აბრუპტივი	ფშვინგ.	აბრუპტივი	ფშვინგ.	აბრუპტივი										
მძღერი	არანტენს.	ინტენს.	არანტენს.	ინტენს.	არანტენს.	ინტენს.	არანტენს.	ინტენს.	მძღერი	არანტენს.	ინტენს.	არანტენს.	ინტენს.	არანტენს.	ინტენს.	მძღერი	არანტენს.	ინტენს.	არანტენს.	ინტენს.	ნაშალი	ვიბრანტი	გვქრდიოი	სონან		
წვევილბეისმიერი	ბ	ფ	(პ) ¹																		მ			ც		
წინაენისმიერი	კბილისმიერი	ღ	თ	ტ																						
	წინანუნისმიერი									ტ	ც	ც	ფ	ფა												
	შუანუნისმიერი																									
	უკანანუნისმიერი																									
	პალატალური						შ	შ	ტ																	
შუაენისმიერი	(ლ)	(ლ)	(ლლ)	(ლ)	(ლ)																				ნ	
უარან-ისმერი	წინაველარული	გ	ქ	ჭ	კ	კ																				
	უველარული																									
ფარანგ.	წინა რიგი									ჭ	ჯ	ჯ	შ	შ												
	უკანა რიგი																									
ლარინგალური					ხ																					

შენიშვნა: ¹ ფონოლოგიურ მნიშვნელობას მოკლებული თანხმონები (ბგერები) მოთავსებულია ფრჩხილებში, მაგ., ანდ. (ყ') მძღერია, ხოლო ამავე ყ' გრაფემით ახვ. ენაში არაინტენსიურ ფარინგალურ აბრუპტივს აღნიშნავენ.

² საკუთრივ დილოურ ენაში ხ' ფარინგალიზებული თანხმონიან ჰ>-ს ალოფონია, ხოლო ჰუნზიბურში ხ' - ხუნძურის ძლიერი ზეგავლენის შედეგი. ჰუნზიბურში ფაკულტატურად შეიმჩნევა ღ' (<გ).

2. 2. დელატერალიზაცია. სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ კავკასიურ ენათა ლატერალები უძველესი ფორმაციის თანხმონებიანო [ვან-გინეკენი 1938 : 25-26]. ეს მოსაზრება არ იქნა გაზიარებული: „ლატერალები რომ თანხმონანთა ძველისძველ სერიას წარმოადგენს კავკასიურ ენებში, სარწმუნო არ ჩანს“ [ჩიქობავა 1979 : 75; იხ. აგრეთვე, ახვლედიანი 1999 : 414-415; შლრ. ქურდიანი 2007 :

504].

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ხუნძურ-ანდიურ-დილოურ ენათა ფონოლოგიურ სისტემაში მჟღერი ლატერალების კვალი რელიქტის სახითაც არსად ჩანს,⁷ თუმცა ზოგ მკვლევარს მათი პოსტულირება შესაძლებლად მიაჩნია [ტრუბეცკო 1987 : 244-245; შდრ. ცერცვაძე 1965 : 53; კახაძე 1959 : 311-312]. მჟღერი ლატერალების არსებობა ფუძეენაში შეიძლება ვივარაუდოთ მარტოოდენ სისტემის სიმეტრიულობის გათვალისწინებით, სხვა ხელშესახები ფაქტები მათი რეკონსტრუქციისათვის არ მოგვეპოვება. არამცთუ საერთო-ხუნძურ-ანდიურ-დილოურში, არამედ მჟღერი ლატერალის არსებობა აღმოსავლურ კავკასიურ ფუძეენაშიც კი სარწმუნოდ არ მიიჩნევა [კახაძე 1959 : 311].

საყურადღებო თვალსაზრისებია გამოთქმული ლატერალურ თანხმოვანთა ჩამოყალიბებისა და ევოლუციის შესახებ. გასაზიარებელი ჩანს ლატერალთა წარმოქმნა შესაბამისი ველარულიდან მათი გაპრეპალატალების გზით [ტრუბეცკო 1987 : 243; გუდავა 1954 : 61-65].

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ უკანაენისმიერთაგან ლატერალების წარმოშობის თეორიის გაზიარების შემთხვევაში ველარულ ხმოვნებს მარტივი ლატერალი (ლ) ან მისი ტიპის რომელიმე თანხმოვანი ახლდა მეორე კომპონენტად, რომელთა შერწყმითაც შეიძლებოდა მიგველო ლატერალები (კ+ლ>ტ, ქ+ლ>ლ', ხ+ლ>ლ'). მიუთითებენ, რომ საკუთრივ დილოური ტოპო („თხევადი ნაკელი“) შეთვისებულია ქართულიდან (შდრ. ტლაპო) [მეგრელიძე 1955 : 230]. თუ ეს ვარაუდი სინამდვილეს შეეფერება, მაშინ ტ<ტლ. მართალია, ამ მაგალითში ტ გვიან წარმოქმნილია, მაგრამ საყურადღებოა ლატერალთა ფორმირების თვალსაზრისით.

სპეციალურ ლიტერატურაში წარმოდგენილია ლატერალური აბრუპტივი აფრიკატების გენეზისის დადგენის ცდა, რაც ასე გამოიხატება: ტ' < *კ' < კ [ლომაძე 1962 : 299], ტი < კ [გუდავა 1954 : 55-61]. ყველა საკვლევი ენის მონაცემთა გათვალისწინებით, მთლიანი პროცესი ასე წარმოიდგინება: *კ > *კ' > ტ' > ტი, *კ > *კ' > ტ > ლ'. ანალოგიურად მოიაზრება აფრიკატთა წყების ფშვინვიერი ლატერალების წარმოშობა, რომლებიც საბოლოოდ სპირანტებად გარდაიქმნებიან: *ქ > *ქ' > ლ' > ლ; *ქ > *ქ' > ლ' > ლ⁸.

ერთი რამ ცხადია: ხუნძურ-ანდიურ-დილოურ ენათა სინამდვილეში დასტურდება ექვსი ლატერალი, რომელ-

⁷ არჩიბულში მიუთითებენ მჟღერ აფრიკატ გ-ზე, რომელიც ბგერათკომბინაციით არის მიღებული [კახაძე 1979 : 42].

⁸ ე. ლომაძე ტ და ლ' ლატერალებისათვის ერთ პრაფონემას (*გ, []) აღადგენს [ლომაძე 1962 : 304], რაც ეჭვს სხადებს [იხ. ცერცვაძე 1965 : 53].

თა არსებობა საკვლევ ფუძეენაში ეჭვს არ უნდა იწვევდეს.⁹

ამჟამად თვალშისაცემია ლატერალთა მოშლის ტენდენცია, რაც სხვადასხვა ენებსა და თანხმოვანთა სხვადასხვა სერიებში არათანაბრად არის რეალიზებული [კახაძე 1979 : 46-47]. ამ თვალსაზრისით გამორჩეული ადგილი უჭირავს ხუნძურს, საკ. ანდიურსა და დილოურ ენებს, რომლებშიც ლატერალურ თანხმოვანთა ელიმინაცია სხვადასხვაგვარი ფონეტიკური პროცესებით არის შეპირობებული.


ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ დღესდღეობით ხუნძური ენის ხუნძასურ დიალექტში ოთხი ლატერალი (ლ¹, ტ¹, ლ², ლ³) დასტურდება, ხოლო ჭარულს არცერთი მათგანი აღარ შეერჩენია. ისტორიულად კი ჭარულ დიალექტში ხუთი ლატერალი (ლ¹, ლ², ტ¹, ტ², ლ³) უნდა ყოფილიყო გარჩეული. ლატერალთა რღვევის მაგისტრალური ხაზი, როგორც ცნობილია, ხუნძასურიდან ჭარულსაკენ მიემართება [ჩიქობავა, ცერცვაძე 1962 : 69].

2. 2. 1. ლატერალურ აფრიკატთა დელატერალიზაცია. ამოსავალი ინტენსიური ფშვინვიერი აფრიკატი ლ¹, რომელიც ოდენ ახვასურსდა შემოუნახავს, სხვა ენათა მეტ წილში სპირანტიზაციის საფუძველზე ლ¹-დ ქცეულა და ამოსავალ ლ¹-ს დამთხვევია. დიფუზური ლ¹ ხუნძურის დიალექტებში ოდინდელ ლ¹-ს ანალოგიურ რეფლექსებს (ანწ. თ, ანდალ.-ყარახ. ლჰ, ლ, ჰ, ჭარ. ჰჰ, შ) გვიჩვენებს, ბოთლიხურ ენასა და ბაგვალურის ზოგ თქმაში ჰ, ლჰ რეფლექსებს გვაძლევს, ხოლო დილოურ ენებში ლ¹>ლ (ხვარ., ბეჟ.), მაგ.: ახვ. მილ¹ო — ხუნძ. მალ¹ (ანწ. მათ, ჭარ. მაჰჰ), ბოთლ. ჰუმ („ჩლიქი“), ბაგვ. მილჰჟ, ხვარ. მოლუ>მონუ (ინხ.), ბეჟ. მრლუ (ჰუნხ.) „ფრჩხილი“; ახვ. ლ¹ეჟ — ანდ. ლ¹ედერ, ბოთლ. ჰედერ, ბაგვ. ჰერერ „ხბო“, ხვარ. ლ¹ედ, ბეჟ. ლედ „ირემი“, „შველი“ დასხვ.

გასაგებობის მიზნების გამო, მეტი მდგრადობით გამოირჩევა მაგარი ლატერალური აფრიკატი *ლ¹, რომელიც ზოგჯერ დაცულია (ანდ. ენები), ზოგჯერ კი სპირანტიზაციას განიცდის: *ლ¹>ლ¹ (დიდ. ენები). ამ მხრივ, გამონაკლისს ქმნიან ხუნძურის სამხრული დიალექტები, რომლებშიც ლ¹ დაემთხვა ლ² სპირანტს (ჰიდ., ანდალ.-ყარახ.) და ჭარულში ორივე ლატერალმა (*ლ², ლ²<*ლ¹) შედეგად მოგვცა ჰჰჰჰ, ჰ, შ სახეს-

⁹ საფუძველს მოკლებულია რ. ლაფონის მტკიცება, თითქოს ახვასურში ფშვინვიერი ლატერალი ახალი მოვლენაა [ლაფონი 1963 : 21]. ახვასური არქაიზებით გამორჩეული ენაა და მისი განხილვა სხვა ანდიურ ენათაგან განყენებულად გაუმართლებელია [იხ. ტრუბეტკო 1987 : 237].

ხვაობები [ჩიქობავა, ცერცვაძე 1962 : 67].

არამაგარი ტ⁶-ს დელატერალიზაციის პროცესის ნათლად არის წარმოდგენილი ანდიური ენის თქმებში: *ტ⁶ → ლს (ლათლი)  [ცერცვაძე 1965 : 47]. ანალოგიური ვითარება გვაქვს ხუნძური ენის ანდალურ-ყარასულ დიალექტში. ამ პროცესებს, შ. მიქაილოვის დაკვირვებით, „აქვთ ერთი გენეტური საფუძველი“ [მიქაილოვი 1958 : 94]. უპირატესად ამავე ხაზს მისდევს ანდიურ ენათა მეტი წილი [გუდავა 1964 : 133]. ჭარული დიალექტის თალურ თქმაში ტ⁶>კჲ, რაც არამაგარ (კჲ) და მაგარ (კჲ) რეფლექსთა შერწყმის შედეგია. ანწუსურ დიალექტში თავჩენილი დელატერალიზაციის პროცესი (*ტ⁶>ტ), რაც ფაქტობრივ ლეზაფრიკატიზაციას უდრის, ნიშნდობლივია კარ. და აზვ. ენებისათვისაც.

ცნობილია, რომ ისტორიული ტ⁶ დიდ. ენებში გადავიდა ტ⁶-ში, რაც ქრონოლოგიურად *ტ⁶>ლ¹ პროცესის შემდეგდროინდელია. საკ. დიდურში სპორადულად შეიმჩნევა ტ⁶>კ, მაგ.: ხუნძ. ტ⁶ჟ⁶ (ჰიდ.) ~ აზვ. ჟუტანა „წავიდა“ ~ ჰინ. რიტ⁶-ა : ხვარ. რი⁶ტ⁶-ა : ბეჟ. დე⁶ტ⁶-ალ : საკ. დიდ. რიტ⁶-ა (საჰ.), რიკ-არიტ⁶-ა (ქიდ.-ასახ.) „წასვლა“.¹⁰

საყურადღებოა, რომ ხვარშიულში შეინიშნება სემანტიკური დიფერენციაცია: რი⁶-ტ⁶-ა „წასვლა ქვევით“ — რა⁶-კ-ა „წასვლა ზევით“. ლატერალმოშლილმა ფორმამ პირვანდელ ფორმასთან თანაარსებობისას შინაგანი ფლექსია განიცადა და სემანტიკურადაც გადაიწია — ფორმის ზემოქმედებით შინაარსის ცვლის ფაქტი! .

გარდა ამისა, ცალკეულ შემთხვევებში ტ⁶-ს ადგილს ტ⁶ იჭერს, რაც უფრო შორსმდევალ დელატერალიზაციის პროცესს (*ტ⁶>ტ⁶>ტ>თ) გულისხმობს, მაგ.: ხუნძ. ბოტ⁶-იზე ~ ანდ. ჟიტ⁶ლუ (<ჟიტ⁶ლუ) ~ ბეჟ. დატ⁶-ალ (ჰუნზ. დატ⁶-ა) : საკ. დიდ. დეთ-ა (<*დეტ⁶-ა) „ნლომა“, „სიყვარული“.

ტ⁶-ს რეფლექსაციის თანამიმდევრული პროცესი ხუნძურსა და ანდიურ ენებში ერთ კანონზომიერებას ექვემდებარება. მასთან, ანდიურ ენათა წყებაში არ გვხვდება ისეთი რეფლექსი, რომელიც ხუნძური ენის დიალექტებში არ იჩენდეს თავს და პირუკუ. ეს ერთგვაროვანი ბგერათცვლილება, გამოვლენილი გეოგრაფიულად ერთმანეთისაგან დაშორებულ ენებსა და დიალექტებში, უცილოდ საინტერესოა ენის თეორიის თვალსაზრისითაც.

¹⁰ ტ⁶>კჲ>კ პროცესი თვალისადაცვლია ჭარული დიალექტში, მაგ.: ბატო (ხუნძახ.) > ბაკჲ (ჭარ.) > ბაკ (ზაქ.) „ნაწლავი“; ტ⁶ო (ხუნძახ.) > კჲო (ჭარ.) > კო (ზაქ.) „ხიდი“ და სხვ.

ხუნძური ენის სამხრული დიალექტების არამდგრადი ბუნება, რაშიც ინტერფერენციულ პროცესებსაც უნდა ედოთ გარკვეული წილი, მკაფიოდ მჟღავნდება ტმ-ს რეფლექსაციით. მაშინ, როცა საანალიზო ლატერალი ანდიურ ენებში ბგერათიგივეობით არის წარმოდგენილი, ხუნძური ენის ჭარულ დიალექტში დელატერალიზაცია თვალსაჩინოდ არის რეალიზებული: *ტმ>კმ>კმ.

2.2.2. ლატერალურ სპირანტთა დელატერალიზაცია. ლატერალური სპირანტის ინტენსიური კორელატი, როგორცწესი, ცვლილების ტენდენციას ნაკლებად ამჟღავნებს: ლ^ს (ხუნზ.-ანდ.) >ლ^დ (დიდ.). გამონაკლისს კვლავ ჭარული დიალექტი ქმნის, რომელშიც ლ^ს>ჰმ>შმ>შ. ეჭვსგარეშეა, რომ ამგვარი შემთხვევის დროს უცხო (ლატერალის უქონელ) ენათა ზეგავლენის ხვედრითი წილი დიდა.

რაცშეეხება ლატერალური სპირანტის არაინტენსიურ კორელატ ლ^ს-ს, იგი ცვლილებისადმი მეტ მიდრეკილებას ამჟღავნებს. ამ ლატერალის რეფლექსების სიმრავლე ხუნძურის სამხრულ დიალექტებში დაჩნდება:

ლ^ს → ლჰ <math>\begin{matrix} \nearrow \\ \searrow \\ \rightarrow \end{matrix}> (ანდლ.-ყარას.), ლ^ს>ჰმ, ლ^ს>ჰმ>შ (ჭარ.) [ჩიქობავა, ცერცვაძე 1962 : 68].

დიდურ ენებში *ლ^ს-ს ეკვივალენტად გვხვდება ლრ (სკ. დიდ., პინ.), ლ (ხვარ.), ჰლ¹¹ (ბეჟ.). ისტორიული ლ^ს-ს ევოლუცია და ფონეტიკურ გარდაქმნათა ჯგუფი ასე წარმოგვიდგება: ლ^ს → ლჰ <math>\begin{matrix} \downarrow \\ \nearrow \\ \rightarrow \end{matrix}> ორ.

ამრიგად, დელატერალიზაციის პროცესი ყველაზე რელიეფურად ხუნძური ენის ჭარული დიალექტისთვის არის ნიშანდობლივი. ანდიურ ენათა სინამდვილეში იგი მეტ-ნაკლებინტენსივობით იჩენს თავს, ხოლო დიდურ ენებში ეს პროცესი გადაჯაჭვულია სხვა სპონტანურ ფონეტიკურ პროცესებთან (ინტენსივობის კორელაციის მოშლა, არაინტენსიურ სპირანტთა გამჟღერება და ა. შ.).

2.3. სპირანტთა გამჟღერება. სპეციალური ლიტერატურის მიხედვით, ამოსავალ ყრუ სპირანტთა არამდგრადი კორელატები ს,შ,ლ^ს,ხ დიდურ ენებში გამჟღერების საფუძველზე გარდაიქმნენ შესაბამის ზ,ჟ,ლ,ღ თანხმონებად [გუდავა 1979 : 94]. არსებობს სხვა თვალსაზრისიც, რომლის მიხედვით დიდურ ენებში

¹¹ბეჟეიტურში ჰ და ლ პოზიციურად არიან შეპირობებული.

მჟღერდება ოდენ **ს (ს>ზ)**,¹² ხოლო **ლ**,¹ თანხმოვნები — არა [ლომთაძე 1998 : 134, 137-138, 143]. ეს ავტორი ფიქრობს, რომ ხდება არა **ზ-ს** გამჟღერება (**ზ>ლ**), არამედ **ლ-ს** გაფშვინვიერება (**ლ>ჰ**), რისი გაზიარებაც ჭირს.

ქვევით გვექნება შესაძლებლობა ვაჩვენოთ ხუნძ.-ანდ. ენათა **ს,შ** სიბილანტური სპირანტების ტრანსფორმაცია **ზ,ჟ** სპირანტებად დილოურ ენებში [იხ. 2.16.2]. მასთან, ***ს-ს** შესატყვისობაზე დამყარებით ვივარაუდოთ, რომ გამჟღერების პროცესი (**ს>ზ**) საერთო-დილოურის დიფერენციაციამდელია.

რაც შეეხება **ს:ზ** შესატყვისობის მიღმა მდგომ რამდენსამე სახელს („დათვი“, „მელა“...), ისინი საწყის ეტაპზე ლუბლეტურ ფორმათა არსებობას უნდა გულისხმობდნენ [შდრ. გუდავა 1979 : 208]. თუ საერთო ამოსავლად **ც-ს** მივიჩნევდით, მაშინ დიდ. ენებში გამჟღერების პროცესი (**ს>ზ**) აღარ მოხდებოდა (შდრ. „ერთი“, „კბილი“, „მოყოლა“... იხ. 2.15.2. ბ). ამდენად, ***ც>ს>ზ** პროცესი შეიძლება გვევარაუდოთ ერთადერთ შემთხვევაში, თუკი ამოსავალი **ს** და მეორეული **ს (<*ც)** დიდ. ენებში ერთმანეთს დაემთხვეოდა. ეს კი, როგორც გარკვეულია, არ მომხდარა, რადგან გამჟღერების პროცესი (**ს>ზ**) ქრონოლოგიურად წინ უსწრებდა სპირანტიზაციის პროცესს (**ც>ზ**) [გუდავა 1979 : 208, შდრ. ლომთაძე 1998 : 134-135].

გარდა ამისა, **ს (<*ც) > ზ** ბგერათცვლილება არცხუნძურისთვის ჩანს ბუნებრივი, ვინაიდან ამ ენაში, ერთი მხრივ, განხორციელდა სპირანტება-გამიშინების (***ც>ს>შ**), ხოლო, მეორე მხრივ, ოდენ გამიშინების (***ც>ჩ**) პროცესები, მაგ.: **ოც→ოს→ომ, ოც>ოჩ** „ხარი“ (შდრ. **ცერ>სერ>შერ, ცერ>ჩერ** „მელა“).

ლატერალური **ლ** სპირანტის გამჟღერება შუა საფეხურად, ხუნძურის მსგავსად, **ლჰ** კომპლექსს გულისხმობს [იხ. 2. 16. 2. ა].

***ზ-ს** გამჟღერების შედეგად, ისტორიული ***ლ** და მეორეული **ლ (<*ზ)** დილოურ ენებში ერთმანეთს დაემთხვენ და შემდგომ დიფუზურმა **ლ-მ** ზოგ ენაში (საკ. დიდ., ჰინ., ხვარ.) ფარინგალიზაცია ერთნაირად განიცადა, მაგ.: **ლ' <ლ (<*ზ)** : ხუნძ. **ჰ'ჟე (<*ზ'ჟე)** ~ ანდ. **ხო~საკ.** დიდ. **ლ'ჟა ~ (<*ლ'ჟა~)** „ძალი“, შდრ. ***ლ** : ხუნძ. **ლელ ~ ბოთლ, ღანდი ~ საკ.** დიდ. **ლ'ჟაღი** „ყვავი“.

გარდა ამისა, საკ. დიდ. ენის შაფ. და ასახ. თქმებში შეიმჩნევა **ლ'-ს** გადასვლა **ჰ** ფარინგალურ სპირანტში, მაგ.: **ლ'ა > ჰა ~ „რძე“, აღ'ურ > აჰურ** „წისკვილი“, **ოლ > ოჰ** „ბარძაყი“ და მისთ.

არის საფუძველი ვიფიქროთ, რომ ფარინგალიზებული თანხმოვანი **ლ'** წარმოადგენს გარდამავალ რგოლს

¹² დიდ. ენებში შეიმჩნევა ხშულთა გამჟღერების ფაქტებიც (საკ. დიდ., ჰინ. **ათა**, ხვარ. **ა'თა**, შდრ. ბეჟ. **აღ** „ტვინი“...), მაგრამ ეს პროცესი რეგულარული ხასიათისა არ ჩანს.

ველარულიდან ფარინგალური საკენ, ვინაიდან არტიკულაციურად ლ-ს უკან გადაწევის პოზიციურად შეპირობებული პროცესი ხელშესახებად არის წარმოჩენილი.

2. 4. სისინა სიბილანტთა გაშიშინება. არამაგარ სპირანტთა (**ზ, ს**) და აფრიკატთა (**ც, წ**) გადასვლას შესაბამის შიშინებში (**ჟ, შ, ჩ, ჭ**) სისტემური ხასიათი აქვს ხუნძური ენის დიალექტებსა და ახვახურ ენაში [ტრუბეცკო 1987 : 257; ცერცვაძე 1948 : 137-141; მიქაილოვი 1958 : 98-99; გულავა 1964 : 83].

სისინა სიბილანტთა გაშიშინების ფაქტებს ვხვდებით დილოურ ენებშიც, რომლის კვალიფიკაციისას მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობაა [ლომთაძე 1956 : 378-379; ბოკარევი 1959 : 260-262; იმნაიშვილი 1963 : 38-39; მაღივა 1965 : 16; შლდ. გულავა 1979 : 43-48].

ნიშანდობლივია, რომ ხუნძური ენის ანწუხურ დიალექტსა და ბათლუხურ კილოკავში **ს > შ**. სპირანტი **ს**, რომლის გაშიშინებაც ხდება შემოსხენებულ დიალექტსა და კილოკავში, მიღებულიასაერთო ამოსავალი **შ** შინა სპირანტისაგან (**ს < *შ**), ე.ი. საერთო-ხუნძურ-ანდიურში უნდა მომხდარიყო ***შ > ს**, ხოლო შემდეგ ხუნძ. დიალექტებში **ს > შ**, მაგ.: ხუნძ. დას > (ჭადაქ. დაშ), შლდ. ანდ. დოშო, ბოთლ. დაშა „ქალიშვილი“; ხუნძ. ნუსგო > (ჭადაქ. ნუშუ-გუ), შლდ. ანდ. ბეშო-ნუ-გუ, ბაგვ. ბეშე-ნ-და(შლდ. საკ. დიდ. ბიშონ : ხვარშ. ბეშონუ „id.“) „ასი“ დასხვ. მისთ.

პირველად **ს-ს** გაშიშინების რეგულარული პროცესი, ხუნძურის გარდა, დამახასიათებელია ახვ. ენისთვის, მაგ.: ხუნძ. სონ (ბათლ. შონ) ~ ანდ. სუნ : ახვ. შუნი „გუშინ“, „წელიწადი“; ხუნძ. სანი (ჭად. შანი) ~ ანდ. სონ : ახვ. შანი „კოწახური“...

გაშიშინების პროცესს, როგორც ცნობილია, ემორჩილება **ც-ს**გან მომდინარე **ს** სპირანტიც (***ც > ს > შ**), მაგ.: ხუნძ. ოც (ხუნძახ.) > ოს (ჰიდ.) > ოშ (ჭადაქ.) ~ ანდ. უნსო ~ საკ. დიდ. ის „ხარი“; ხუნძ. ცა (ხუნძახ.) > სა (ჰიდ.) > შა (ჭადაქ.) ~ ანდ. სოლ ~ ხვარ. სელ „კბილი“.


ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ ***შ > ს** და ***ც > ს** პროცესები წინ უსწრებდა ხუნძურის დიალექტებში თავჩენილ ***ს > შ** პროცესს. როგორც ჩანს, მოხდა მეორეული **ს-ს** თანხვედნა ამოსავალ **ს** სპირანტთან და საერთო **ს** გადავიდა **შ**-ში. ***ც > ჩ** ქრონოლოგიურად შემდეგ მომხდარი პროცესია.

რაც შეეხება ახვახურს, ამოსავალი **ც-ს** გაშიშინება (***ც > ჩ**) თანამდევია (თანადროულია) სპირანტიზაციისა (***ც > ს**), რომელიც რეალიზებულია სხვა ანდიურ ენებში. აქედან შეიძლება დავასკვნათ: ხუნძურ ენაში **ც > ჩ** (ბათლ.) პროცესი ახვახურ ენაში თავჩენილ ანალოგიურ პროცესზე (**ც > ჩ**) გვიანდელია.

ზ სპირანტს, მართალია, ინტენსივობის კორელაცია არ მოეპოვება, მაგრამ იგი ს-ს ანალოგიურად იცვლება — ხუნძურის სამხრულ დიალექტებსა (ბათლ., ანწ.) და ახვასურ ენაში ზ მისთვის კუთვნილ ყველა ფონოლოგიურ პოზიციაში გაშიშინებას განიცდის,¹³ მაგ.: ხუნძ. ზაზ (ხუნძახ.) > ჟაჟა (ანწ.) ~ ჭამ. ზაზა : ახვ. ჟაჟა „ეკალი“; ხუნძ. ზარ (ხუნძახ.) > ჟარ (ბათლ.) ~ ანდ. ზა : ახვ. ჟარი „მუშტი“...

აფრიკატთა წყების არამაგარი სისინა სიბილანტების (ც, წ) გაშიშინება ფართოდ არის გავრცელებული ზემოსხენებულ ენებში [ტრუბეცკოი 1987 : 257; მიქაილოვი 1958 : 99; გუდავა 1964 : 85]. მასთან, ც-ს ორგვარი ცვლილება (გაშიშინება, სპირანტიზაცია) განუცლია: ცჳჩ (ბათლ., ახვ.), ცჳს (ანდ. და ლიდ. ენები), მაგ.: ხუნძ. ცო (ხუნძახ.) > ჩო (ბათლ.) ~ ანდ. სე-ბ : ახვ. ჩე-ბ-ე „ერთი“; ხუნძ. ბიცინე (ხუნძახ.) > ბიჩინე (ბათლ.) ~ ანდ. ბოსინუ : ახვ. მაჩუნულა „მოყოლა“, „თხრობა“ და სხვ.

ამოსავალი *ც-ს ტრანსფორმაცია სქემატურად ასე გამოიხატება:



ამოსავალი არამაგარი წ-ს გადასვლა ჭ-ში, აგრეთვე, ხელშესახებად არის გამოხატული ახვ. ენასა და ხუნძური ენის ზემოსხენებულ დიალექტებში, მაგ.: ხუნძ. ბაწ (ხუნძახ.) > ბაჭ (ბათლ., ჭადაქ.) ~ ანდ. ბოწი : ბოთლ. ბაწი : ახვ. ბაჭა „მგელი“; ხუნძ. ანწ-გო (ხუნძახ.) > ანჭ-გუ (ანწ.) ~ ჭამ. აწა-და : ახვ. აჭა-და „ათი“ და სხვ. მრ.

სისინა-შიშინათა მონაცვლეობით თავისებურებას ამჟღავნებენ დილოური ენები, რომლებშიც ეს პროცესი არარეგულარული ბუნებისაა და ხშირად პოზიციურად არის შეპირობებული [ლომთაძე 1963 : 62; ჰამზათოვი 1975 : 17].¹⁴

ზ/ჟ, ს/შ, ც/ჩ, წ/ჭ თანხმოვნურ წყვილთა ალტერნაცია არაერთგვაროვნად და სხვადასხვა ლექსიკურ მასალაში შეინიშნება, რაც ერთგვარად ართულებს არქეტიპების რეკონსტრუქციას.

სპეციალისტების თვალსაზრისით, საკ. დილოურის შიშინა და ჰინუსურის სისინა სიბილანტებს შორის

¹³ ზ ცვლილების იმგვარსავე კანონზომიერებას ავლენს, როგორსაც, საზოგადოდ, არაინტენსიური სისინა სიბილანტები. ეს იმის მაუწყებელია, რომ აკუსტიკურ-არტიკულაციურად სადა თანხმოვანი უფრო ახლო დგას არაინტენსიურ კორელატთან, ვინემ ინტენსიურ სახეობასთან [ჩიქობავა, ცერცვაძე 1962 : 71-72].

¹⁴ გამოთქმულია მოსაზრება, რომ სისინათა გაშიშინება ხდება შინ, როდესაც მათ წინ დგას წინა წარმოების ხმოვნები: ი, ი^o, ე, ე [ლომთაძე 1963 : 62; გუდავა 1979 : 46]. ირკვევა, რომ პალატალიზაციას უკანამავალი ი და ე ხმოვნებიც იწვევენ, მაგ.: ჭი (ჰინ.) < წი (საკ. ლიდ.) „ცეცხლი“, ჩი (ჰინ.) < ცი (საკ. ლიდ.) „მარილი“, ჟი (ჰინ.) < ზი (საკ. ლიდ.) „თიკრუნი“, „ტყავის ერთგვარი ტომარა“ და მისი.

დადასტურებულ ფონემათფარდობაში ამოსავლად შიშინა თანხმოვნები მიიჩნევა, ხოლო შებრუნებულ ბგერათ-
მიმართებაში — სისინა სიბილანტები [მეგრული 1955 : 234-235; იმნაიშვილი 1963 : 38-39; ლომთაძე
1963 : 72-76].

დილოურ ენაში დაცულ ამოსავალ სისინა სიბილანტებს ჰინუსურში ეკვივალენტად შიშინა სიბილანტები
მოეპოვება. სისინა თანხმოვანთა პირველადობა დამაჯერებლად მტკიცდება ახლომონათესავე ენათა მონაცემებ-
თან შედარებისას [ბოკარევი 1959 : 161-162; გუდავა 1979 : 47], სახელდობრ: 1) **ზ** (<***ზ**) >**ჟ** : საკ.
დიდ. ი**ზ**უ, ჰინ. ი**ჟ**უ, ხვარ. ე**ზ**უ, ბეჟ. ო**ზ**ო (შდრ. ხუნდ. ნისუ, ანდ. ისო „id“. „საჭო“, „მოუხდელი
ყველი“; საკ. დიდ. ო**ზ**ური, ჰინ. უ**ჟ**ეჟ, ხვარ. ე**ზ**ალ „თვალი“...; 2) **ს** (<***ც**) >**შ**: საკ. დიდ. ის, ოს
(დიდლ. ვარ.), ჰინ. უ**შ**, ხვარ. ე**ს**, ბეჟ. ო**ს** „ხარი“...; 3) **ს** (<***ზ**) >**ჟ** : საკ. დიდ. ისი, ჰინ. ი**შ**ე,
ხვარ. ე**ს**ა; ბეჟ. ო**ზ** (შდრ. ხუნდ. ჭაზო, ანდ., კარ. ანზი „id“. „თოვლი“...; 4) **ც** (<***წ**) >**ჩ** : საკ.
დიდ. ციტორი, ჰინ. ჩიტო, ხვარ. ცეტონ, ბეჟ. ცოტა (შდრ. ხუნდ. წინო, ბოთლ., ბაგვ. წაუნი, ტინდ.
ცოუ**წ** „id“. „ჭიპი“...; 5) ***წ**>**ჭ** : საკ. დიდ. ბი-**წ**-ა, ჰინ. ბი-**ჭ**-ა, ხვარ. ბე-**წ**-ა, ბეჟ. ეო-**წ**-ალ (შდრ.
ხუნდ. **წ**-უ-ნა, ანდ. ბი-**წ**-ი „ავსო“) „ავსება“; საკ. დიდ. **წ**ი, ჰინ. **ჭ**ე, ხვარ. **წ**ა, ბეჟ. **წ**ო (შდრ. ხუნდ.
წა, ანდ., ბოთლ. **წ**ად „id“. „ცეცხლი“.

ც და **ს** სიბილანტთა გაშიშინების ფაქტები სპორადულად ხვარშიულში ცვსვდება¹⁵ [ლომთაძე 1998 :
135-136], მაგ.: საკ. ხვარ. ჩიკი <*ციკი (შდრ. საკ. დიდ. ცეკი) „თიკანი“, საკ. ხვარ. ნისსუ —
სანტლ. ნიშშუ „წვრილი“ და მისთ.

ბეჟიტურიენისდიალექტებსადათქმებშიუპირატესადშიშინათაგასისინებახდება, თუმცააქა-იქსაპირისპი-
როპროცესიცმეიმჩნევა [ლომთაძე 1956 : 378; მადიევა 1965 : 16], მაგ.: სიკო (ბეჟ.) >შიკუ (ჰუნზ.)
„პირი“, სუკო-ს (ბეჟ.-სამარ.) >სუკო-შ (შდრ. საკ. დიდ. უეკუ-ს „id“. „კაცის“, ქილო-ს (ბეჟ.) >ქი-
ლო-შ (ტლად.) „რკინის“ დასხვ.

ზ>**ჟ**>დგავრცელებულია ხვარშიულსადასაკ. დილოურებში [იმნაიშვილი 1963 : 37]: საკ. დიდ. -
ზო : ხვარ. -**ჟ**ო > -**ე**ო (ინს.) „მაადიექტივებელიფორმანტი“; საკ. დიდ. ა**ზ**დაჰუ (მოყ.) >ა**ჟ**დაჰ > (ქიდ.)
>ა**დ**დაჰ > || ა**ჟ**დაჰ > (ხიბ.) „ურჩხული“ დასხვ. მისთ.

¹⁵ საკ. დიდ.-ში გვხვდება **ც**>**ჩ** პროცესის ერთი შემთხვევა, მაგ.: ხუნდ. წიე (<*წან-); ჰინ. ხვარ., ბეჟ. ცან : საკ. დიდ. ჩანიდა (<*ცანიდა,
შდრ. ცან-ი-ლუ „წალი“) „თს“. ტ. გუდავა საკ. დიდ. ჩანიდა („თს“) ფორმას ხუნდ.-ანდ. ჩან („ნადირი“) სახელთან აიგივებს [გუდავა
1979 : 45]. ჩან იმავე მნიშვნელობით საკ. დიდ. ენაშიც დასტურდება, ამიტომ ეს ვარაუდი სარწმუნო არ ჩანს.

2.5. შიშინა სიბილანტთა გასისინება. გარდა სისინა სიბილანტთა გაშიშინებისა, საკვლევ ენათა ერთ ნაწილში თავს იჩენს მაგარ თანხმოვანთა ცვლის საპირისპირო ტენდენცია, რომელიც ენათა და დიალექტთა მიხედვით სხვადასხვაგვარად არის წარმოდგენილი [ტრუბეცკოი 1987 : 258; მიქაილოვი 1958 : 100-102; ჩიქობავა, ცერცვაძე 1962 : 72-75; გულავა 1964 : 88-93].

ცნობილია, რომ ხუნძური ენის სამხრულ დიალექტებში ინტენსიური შიშინები, მჟღერი სპირანტის (ჟ) გამოკლებით, შესაბამის სისინებში გადადიან [ცერცვაძე 1948 : 138-139], რაც გამოწვეულია მაგარ შიშინათა საარტიკულაციო თვისებებით (არტიკულაციის გადახრით). ანდიურ ენათა სინამდვილეში ანალოგიური ალტერნაცია ნიშანდობლივია ახვასურისა და ჭამალურისთვის. მეტადრე ჭამალური იქცევეს ყურადღებას, რადგან მასში მჟღერი შიშინა სპირანტის გასისინება რეგულარულად ხდება.¹⁶

საილუსტრაციო მაგალითები:

1 *ჟ>ზ:

ხუნძ.	ანდ.	ჭამ.	
რაჟი	რაჟი	ლაზი	„ნიორი“
ბოჟანა	ბუჟუ	ბოზა	„ღარწმუნდა“
—	ჟალა	ზალა	„ნეკნი“

2 *შა>სა:

ხუნძახ.	ანწ.	ანდ.	ჭამ.	ახვ.
შოუგო	სოუგუ	იშაღუგუ	ინსოუდა	ინშოთუდაბე ¹⁷ „ხუთი“
ბესაანა	—	ბეში	ისა	გოსაერი „მოქსოვა“

სიმპტომატურია, რომ ხუნძურში მეორეული არამაგარი *ს გაშიშინებას განიცდის: ანდ. რეშინ, ლოდ. რეში — ხუნძ. სინ (მდრ. ანწ. შინ „id“.) „წელიწადი“; ანდ. ჟომო, ბოთლ. ჟაშა — ხუნძ. ჟას (მდრ. ანწ. ჟაშ „id“.) „ვაჟი“ და. შ.

¹⁶ შეიძლება ითქვას, რომ ჟ ჭამალურში ინტენსიური კორელატის თვისებებს ამჟღავნებს.

¹⁷ ახვ.-ში ეს პროცესი (შა>სა) ირღვევა [იხ. გულავა 1980 : 206].

3	*ჩა>ცა:				
	ხუნძახ.	ანწ.	კარ.	ჭამ.	ახვ.
	ჩაუთ	ცაუთ	კან-ჩი	—	კან-ცარა „ხვლიკი“
	ბიჩანა	ბიცანა (ბათლ.)	ბიჩე	ბიცაუბ „ღანესტა“	ბიცერი „დასველა“

4	*ჭა>წა:				
	ხუნძახ.	ანწ.	კარ.	ჭამ.	ახვ.
	მიჭა	მიწა	მიჭი	მიწე	მიწი „ჭინჭარი“
	ჭეზე	წელუი	ჰერჭე (ნამყ.)	ბიწლა	ჰეჭურულ ¹⁸ „გაჩერება“, „ღომა“

შიშინა სიბილანტა სათანადო ცვლილებებს თანხმობანთა სისტემაში კარდინალური ძვრები გამოუწვევია, რის შედეგადაც შიშინათა წყებაში შემოგვრჩენია ოდენ არაინტენსიური კორელატები.

ახლა ვნახოთ, ამ თვალსაზრისით, როგორი ვითარებაა დილოურ ენათა ქვეჯგუფში, რომელიც, მართალია, სიბილანტა ინტენსიურ და არაინტენსიურ კორელატებს მოკლებულია, მაგრამ შიშინა სიბილანტა გარდაქმნა შესაბამის სისინებად არც ამ ენათა სინამდვილისთვის არის უცხო [მეგრული 1955 : 234-235; ბოკარევი 1959 : 262; იმნაიშვილი 1963 : 38; ლომთაძე 1956 : 379; 1963 : 72; გუდავა 1979 : 43-47; ხალილოვი, რამაზანოვი 1992 : 71].

შენიშნულია, რომ ჰინუხურ ენასა და ბეჟტის თქმაში სისინა სიბილანტებს სხვა დილოურ ენებში (ჩ-ს გამოკლებით) შეეფარდება შიშინა სიბილანტები. ამ ბგერათშესატყვისობაში, რომელიც არარეგულარული ხასიათისაა, ამოსავალი ვითარება დილოურ ენათა უმრავლესობას დაუცავს [ლომთაძე 1963 : 73; იმნაიშვილი 1963 : 39; შდრ. ბოკარევი 1959 : 262]. მაგალითები:

1	ჟ>ზ:			
	ჰინ.	საკ. დიდ.	ხვარშ.	ბეჟ.

¹⁸ ჭა>წა პროცესი ამ მაგალითში არ განსორციელებულა, რისი მიზეზიც არ ჩანს.

ზოკ-ა	ჟეკჷ-ა	ჟიკჷ-ა	ზუკ-ალ	„ცემა“
ზოკლო	ჟეკლა	—	ზუკლა	„წისქვილში მარცვ- ლის ჩასაყრელი ყუთი“
ეჟი ¹⁹	ეჟი	იჟი	იზო	„თესლი“
2 შ>ს:				
სომო	შომო	შომო	ლა-სო	„რამდენი?“
სე	შებ	ჰიბა(< შიბა)	სიდო	„რა“
3 ჩ>ც:				
მენა	მენა	მინ	მიც	„ჭინჭარი“
ოჩორდიღუ	ენრუ	იჩლა	იცილლო	„მოსუცი“ (< „ძვე- ლი“)
4 ჭ>წ:				
კონწუ	კონჭუ	კონჭე	—	„წვივი“, „კანჭი“ (ქართ. კანჭი)
ყიმაწ	კენაჭ	კიმაჭ	წემუწ	„კვერცხი“
წიქად	ჭიქად	—	წიქა	„სარკე“, „მინა“ (<ქართ. „ჭიქა“)

სპეციალური ტერატურაში საკვებთმარებულად მიუთითებენ, რომ ამოსავალი დენობანი საკ. დილო-ურში, ხვარში ულენასა და ჰუნზიბურდი ალექტში არის დაცული [ლომთაძე 1963 : 73; იმნაიშვილი 1963 : 39; გუდავა 1979 : 47; შდრ. ბოკარევი 1959 : 262].

ამ რიგის ბგერათმონაცვლეობაში შიშინა სიბილანტთა პირველადობა ეჭვმიუტანლად მტკიცდება დილო-ურ ენათა ფარგლებიდან გაუსვლელად, ვინაიდან არქეტიპები ცალკეულ ენებსა და დიალექტებში არის დაცუ-ლი. კერძოდ, ბეჟიტურსა და ხაშარხოტულ თქმებში დასტურდება ზიზ-ალ „შეწვა“. იმავე მნიშვნელობით ჰუნზ. დიალექტსა (ჟეჟ-ა) და ტლად. მეტყველებაში (ჟიჟ-ა) არქაული ფორმები დაჩნდება (შდრ. ხუნძ. ბეჟანა, ანდ. ბეჟა „მონრაკა“, „შეწვა“) [შდრ. მაღიევა 1965 : 16]. ხაშ. სელო < ბეჟ. შელო („რქა“)

¹⁹ ჰინუხურში ეს ფორმა შესაძლოა დილოურისაგან იყოს ნასესხები.

და ბეჟ. მიც < ჰუნზ. მიჩ („ჭინჭარი“) ფორმებისათვის შიშინა ნაირსახეობები რეკონსტრუირდება: **ს < შ,ც < ჩ < ჭა**. შიშინა სახესხვაობათა პირველადობას ხუნძ.-ანდ. ენათა მონაცემებთან შედარება და შესაბამისი სიბილანტის ისტორიის გათვალისწინება ასაბუთებს. ბეჟ. თქმაში დადასტურებული წიქე („რწყილი“) სახელს სხვა ენებში **ჭ**-ს შემცველი ფორმები შეესატყვისება:²⁰ ხუნძ. **ჭეტ** ~ ბოთლ.: ბავგ. **ჭანტ** : ლოდ. **ჭანტი** „id“.

მიუთითებენ, რომ ნასესხებ მასალაში სისინა და შიშინა სიბილანტთა კანონზომიერი ცვლილებები ხდება [ლომთაძე 1963 : 73; გულავა 1979 : 47].

ბეჟიტურში შიშინათა გასისინება, ჰინუსურთან შედარებით, უფრო პროლექტიულია, თუმცა იგი ვერ გაუთანაბრდება ხუნძურის სამხრულ დიალექტებსა და ზოგ ანდიურ (ჭამ., ახვ.) ენაში მომხდარ ცვლილებებს, რომლებშიც ბგერათფარდობა კანონზომიერი და რეგულარული შესატყვისობის სახეს იღებს.

საყურადღებოა აღინიშნოს, რომ მკვლევართა მიერ ამ ტიპის ბგერათფარდობას სხვადასხვაგვარი კვალი-ფიკაცია ეძლევა: ერთნი მას ბგერათშესატყვისობად მიიჩნევენ [ბოკარევი 1959 : 260; ლომთაძე 1963 : 72; იმნაიშვილი 1963 : 38], სხვანი ჩვეულებრივ კომბინაციურ პროცესს უთანაბრებენ [მაღიევა 1965 : 16; ჰამზათოვი 1975 : 17; გულავა 1979 : 46]. მასთან, შემჩნეულია, რომ სისინა სიბილანტთა შიშინა სიბილანტებად გარდაქმნა ხდება მაშინ, როცა მათ წინ გვხვდება პალატალური (ი,ე) ხმოვნები და **ღ** სონანტი. გარდა ამისა, ხსენებულ პროცესს უკანამავალიპალატალური ხმოვნებიც იწვევენ. რაც შეეხება შიშინა სიბილანტთა გასისინებას, გასაგები მიზეზების გამო, ეს პროცესი თავს იჩენს ყველა სახის ხმოვანთან, მაგ.: ჰინ. **ცოცოცუ<*ცოცოჩუ** (შდრ. საკ. დიდ. **ცონოჩუ**) „ქათამი“; ბეჟ. **წიწინა<*ჭიჭინა** (შდრ. ხვარ. **ჭეჭენუ**) „წვერი“ და მისთ.

პირველი წესი უგამონაკლისოა იმდენად, რამდენადაც სისინა სპირანტთა და აფრიკატთა გაშიშინების შემთხვევები **ი,ე** ხმოვანთა და **ღ** „ნახევარხმოვნის“ გარეშე არ გვხვდება. ეს კი, როგორც ცნობილია, შეპირობებულია არტიკულაციის შესუსტებით [ჩიქობავა, ცერცვაძე 1962 : 74], რაც გამოიხატება უფრო ვიწრო ნაპრალის მქონე სისინათა უფრო ფართო ნაპრალის მქონე შიშინებში გადასვლით: „ს ბგერის შ ბგერად გარდაქმნა შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც ნაპრალის გაფართოება და ხახუნის მოცულობის გაზრდა ისევე, რო-

²⁰ჭაფრიკატიანიერთინასესხობაშემჩნეულიაქართულიენისმთისდიალექტებში: ჭავი(<დოდ. ჭიქი) „რწყილისკვერცხები“, „პატარაწყილი“ [ზვიადური 1997 : 102].

გორც არტიკულაციის თავისებური „შესუსტება“ [ტრუბეცკოი 1987 : 259].²¹

ისმის კითხვა: სისინა და შიშინა სიბილანტთა დადასტურებული მონაცვლეობა ჩაითვლება ბგერათშესატყვისობად თუ არა?

ცნობილია, რომ ბგერათშესატყვისობას წარმოადგენს ისეთი ბგერათფარდობა, რომლის დროსაც ერთი ფონემა, პოზიციისა და მიუხედავად, კანონზომიერად იცვლება სხვა ფონემით. ამგვარი ვითარება დილოურ ენებში არ გვაქვს. ჰინუხურსა და ბეჟიტურში გამოვლენილი ბგერათმონაცვლეობა კომბინაციური ხასიათისაა, თუმცა შეინიშნება მისი სპონტანურ ფონეტიკურ პროცესად ქცევის ტენდენცია, რაც აყალიბებს ბგერათშესატყვისობას. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს შიშინათა გასისინება, გარდა წინა რიგის ხმოვნებისა, უკანა რიგის ხმოვნებთანაც. ამგვარი ბგერათცვლილებისას, როგორც ამას ტ. გუდავა აღნიშნავს [გუდავა 1979 : 48], ქართველურ ენათა სიბილანტების შესატყვისობასთან პარალელის გავლება გაუმართლებელია. გარდა ამისა, ქრონოლოგიურად ამგვარი მონაცვლეობა, სხვა პროცესებთან შედარებით, ყველაზე ახალი ჩანს, ცალკეულ ენებში დამოუკიდებლად იკიდებს ფეხს და ინტერესს იწვევს ბგერათშესატყვისობის ფორმირების თვალსაზრისით.

2.6. დეფარინგალიზაცია. ხუნძურ-ანდიურ-დილოურ ენათა საერთო სავარაუდო ფარინგალური სამეულის (ფ, ზ, ყ) გამარტივება, რაც, სისტემის სიმეტრიულობისა და ზოგი დაღესტნური ენის ჩვენების მიხედვით, ძველისძველი კონსონანტიზმის კუთვნილებად მიიჩნევა, შეპირობებულია როგორც შინაგანი განვითარების ძირითადი ტენდენციით, ისე გარეენობრივი ფაქტორების ზეგავლენითაც [ჩიქობავა 1979 : 71]. მასთან, ამ რიგის ცვლილებები ძირითადად სპონტანური ხასიათისაა [ახვლედიანი 1949, 311; როგავა 1946, 5].

ენათა სტრუქტურული ტიპოლოგიის მიხედვით, ფარინგალური რიგისათვის არ დასტურდება ისეთი სისტემა, რომელიც შეიცავდეს მჟღერ წვევებს და ყრუ წვევებს არ მოგვეპოვებოდეს [ნებიერიძე 1991 : 301]. აქედან გამომდინარეობს, რომ მჟღერობა ვერ ეგუება ფარინგალობას (resp. უკანა არტიკულაციას), რაც ფარინგალთა ძირეული ცვლილებით მთავრდება. ამ წესის სისწორეს მრავალი ენის მონაცემები გვიდასტურებს, რომელთა ფონოლოგიური სისტემაც ფარინგალურთა სამეულის მჟღერსა და ხანდახან ფშვინვიერ წვევრსაც მოკლებულია [არდოტელი 2000 : 39].

²¹ საკითხავია, ე და, მით უფრო, ი როგორ იწვევენ ს-ს ასიმილაციას, რაც შედეგად გვაძლევს სჟ?

ამ მხრივ სუნძურ-ანდიურ-დილოური ენები გამონაკლისს არ ქმნიან — აფრიკატთა მეოთხე რიგს ლაკარგული აქვს მჟღერი წვევრი და მისი რეკონსტრუქცია ფუძეენაში ვერ ხერხდება. მიუთითებენ, რომ იგი (ფ) უნდა გარდაქმნილიყო მჟღერ (ღ) სპირანტად [გუდავა 1958 : 259; 1959 : 265; დეშვილი 1971 : 36].

რაც შეეხება ვ-ს, იგი ძირითადად ერთგვაროვანი ტრანსფორმაციის ტენდენციას ამჟღავნებს და, უპირატესად, უკანაწარმოებისთან ხმოვანთა წინ გადაწვევის მაგისტრალურ ხაზს მისდევს.

ცნობილია, რომ ფუძეენისეული ფარინგალური ვ-ს არაინტენსიური კორელატი შემონახულია მხოლოდ ახვასური ენის ჩრდილოურ დიალექტში, ხოლო ისტორიულად დადასტურებულ სხვა სუნძურ-ანდიურ-დილოურ ენებში იგი, ქართველურ ენათა ანალოგიურად, ხ სპირანტად გარდაიქმნება. ზოგ ანდიურ-დილოურ ენაში (ტინდ., ბაგვ., კარ., ხვარშ., ბეჟ.) ვ-სგან მომდინარე ხ > ჰ. ეგვევ პროცესი (*ჰ > ხ > ხ) ბუნებრივია დილოურ ენათა ინტენსიური კორელატივით, თუმცა მისი ლარინგალიზაცია არ ხდება. მაშასადამე, ვ : ხ ფონემათა ოპოზიციის ნეიტრალიზაცია მთლიანად დასრულებულია დილოურ ენებში, ხოლო ანდიურ ენათა წყებაში ეს პროცესი ოდენ არაინტენსიურ კორელატს შეეხო.

ცვლილებისადმი შედარებით ნაკლებ მიდრეკილებას ამჟღავნებს ყ, მაგრამ მისი არაინტენსიური კორელატი, როგორც მოსალოდნელი იყო, რეფლექსთა სიმრავლით გამოირჩევა: ყ' > ჟ (ხუნდ.), ყ' > ღ (ბოთლ.), ყ' > ც (ლოდ., ჭამ., ტინდ., ბაგვ., კარ.).

2.7. სპირანტიზაცია. სპირანტიზაცია საკვლევ ენებში მეტად გავრცელებული და, იმავდროულად, ძველისძველი სპონტანურიფონეტიკური პროცესია. იგი მოიცავს როგორც აფრიკატებს (მეტწილად), ისე ხმოვანთა მსკდომებსაც (შედარებით ნაკლებად). მიზანშეწონილად გვესახება გამოიყოს სპირანტიზაციის ორი სახეობა: ა) **უშუალო სპირანტიზაცია**, რომლის დროსაც ესა თუ ის ფონემა, ლატენტური საფეხურის გარეშე, პირდაპირ გადადის სპირანტში. ცვლილების ეს სახეობა აფრიკატთა წყებისთვის არის ნიშანდობლივი; ბ) **შუალობითი სპირანტიზაცია**, რომელიც ხდება აფრიკატიზაციის საფეხურის გავლით. ეს პროცესი ძირითადად ხმოვანთა მსკდომებში ხორციელდება. მართალია, ზემოხსენებული პროცესები შედეგის მიხედვით ერთგვაროვანია, თუმცა ფონეტიკურ ცვლილებათა გრადაციით — განსხვავებული.

2.7.1. არაინტენსიურ აფრიკატთა სპირანტიზაცია. ისტორიულად სუნძურ-ანდიურ-დილოურ ენებში სპი-

რანტიზაციის ტენდენცია ძლიერი უნდა ყოფილიყო, რამაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა თანამედროვე კონსონანტიზმის ჩამოყალიბებაში. მასთან, როგორც მიუთითებენ, სპირანტიზაციის პროცესები ენებსა და დიალექტებში სხვადასხვადროულად მიმდინარეობდა [გუდავა 1964 : 94].²²

ისტორიულად ყველა არამაგარი ფშვინვიერი აფრიკატი სათანადო სპირანტად გარდაიქმნა: 1) **ც>ს** (ხუნდ. [ანწ., ჰიდ.],²³ყველა ანდ.-დიდ. ენა, ახვასურის გამოკლებით) [მაგალითები იხ. 2. 15. 2. ბ]; 2) **ჩ > შ** (ჭამ., დიდ. ენები) [მაგალითები იხ. 2. 15. 3. ბ]; 3) **ლ' > ლ'** (ყველა ხუნდ.-ანდ.-დიდ. ენაში, ახვასურის ჩრდ. დიალექტის გამოკლებით) [მაგალითები იხ. 2. 15. 4. ბ]; 4) **ჯ' > ხ** (ანდ., ბოთლ., ლოდ., ჭამ.), **ჯ' > ხ > ჰ** (ხუნდ.), **ჯ' > ხ > ჰ** (ტინდ., ბაგვ., კარ., ახვ., ბეჟ.) [მაგალითები იხ. 2. 15. 5. ბ].

არაინტენსიური მკვეთრი აფრიკატები, თუ მხედველობაში არ მივიღებთ **ყ' > ჭ** (ხუნდ., კარ.) გარდაქმნას, სხვა მხრივ სპირანტიზაციისაკენ მიდრეკილებას არ ამჟღავნებენ. მართალია, შემჩნეულია **წ > ზზ** (ჭამ.), **ყ > ლ** (ანდ., ბოთლ.), მაგრამ, ტ. გუდავას მართებული მოსაზრებით, ამ რიგის ცვლილებები გამოწვეულია კომბინაციური ფონეტიკური პროცესებით [გუდავა 1964 : 103].

2.7.2. ინტენსიურ აფრიკატთა სპირანტიზაცია. ფშვინვიერი ინტენსიური აფრიკატების სპირანტიზაციის სურათი ასეწარმოგვიდგება: 1) **ცა > ს** (ხუნდ. [ანწ., ჰიდ.], ბაგვ.), **ცა > *სა > ს** (დიდ.) [მაგალითები იხ. 2.15.2.გ]; 2) **ჩა > შა** (ხუნდ. [ჰიდ.], ბაგვ.), **ჩა > *შა > შ** (დიდ.) [მაგალითები იხ. 2.15.3.გ]; 3) **ლ' > ლ'** (ხუნდ., ბაგვ.), **ლ' > *ლ' > ლ'** (დიდ.) [მაგალითები იხ. 2.15.4.გ]; 4) **ჯა > *ხა > ხ** (დიდ.) [მაგალითები იხ. 2. 15. 5. გ].

არაინტენსიური მკვეთრი აფრიკატების გასპირანტება შეზღუდულია. მეტადრე ეს ითქმის ინტენსიური კორელატების (**წა, ჭა, ტა, ყა**) შესახებ, რომელთა არტიკულაციისას ზოგ ანდ. ენაში (ჭამ., ბაგვ., კარ.) შეინიშნება სპირანტული ელემენტები, თუმცა მათი ეს თვისება ფონოლოგიურად ირელევანტურია [გუდავა 1964 : 98]. შეიძლება ითქვას, რომ სპირანტიზაციის ესოდენ გავრცელებული პროცესი არც ინტენსიურ აბრუპტივებს ასახაობს.

რით უნდა იხსნას ეს?

ტ. გუდავას ვარაუდით, არამაგარ მკვეთრებთან ეს გამოწვეულია იმით, რომ არაინტენსიური მკვეთრი სპირანტები ამ ენებში არა გვაქვს [გუდავა 1959 : 271].

²² სპირანტიზაციის პროცესისათვის გვერდი აუვლია ახვასურს [გუდავა 1959 : 268], რაც სისინათა და შიმინათა მონაცვლეობით უნდა იყოს გამოწვეული. ამ ენაში მხოლოდ **ლ > ლ'** (ცეპ., ტლან.) [მაჰომედბეკოვა 1967 : 16].

²³ დიალექტური ერთეულები კვადრატულ ფრჩხილებშია მოქცეული.

თუ კარგად დავაკვირდებით ფშვინვიერ აფრიკატთა სპირანტიზაციის პროცესს და, აქედან გამომდინარე, მათ რეფლექსებს, შევამჩნევთ, რომ არაინტენსიური აფრიკატები გარდაიქმნებიან არაინტენსიურ სპირანტიზაციად, ინტენსიური კორელატები კი გადადიან შესაბამის სპირანტიზაციაში. ეს ნიშნავს, რომ აფრიკატების შენაცვლება ჰომორგანული სპირანტიზაციით სავსებით კანონზომიერია, ვინაიდან ყრუ სპირანტიზაციის (ს — სჰ, შ — შჰ, ხ — ხჰ) ასპირატები არიან [ახვლედიანი 1999 : 88]. ამიტომ სპირანტიზაციაში, აბრუპტივების უქონლობის გამო,²⁴ შეუძლებელია როგორც ინტენსიურ, ისე არაინტენსიურ მკვეთრ აფრიკატთა სპირანტიზაცია, რაც ფაქტობრივად დასტურდება.

2.7.3. ხშულ-მსკლომა სპირანტიზაცია. ღირსსაცნობი ფაქტია, რომ ხშულთა გადასვლა სპირანტიზაციაში პირდაპირ კი არ ხდება, არამედ აფრიკატიზაციის საფეხურის გავლით. ეს გასაგებია, რადგან წმინდა ხშულები სპირანტიზაციის ბუნებისანი არ არიან, სამაგიეროდ აფრიკატებს აქვთ ხშულობის ელემენტიც და ნაპრალოგობისაც, რის საფუძველზეც იქმნება ამგვარი ტრიადა: **ხშულ-მსკლომა > აფრიკატი > ნაპრალოგანი**. ორბუნეობა ხდის აფრიკატს ხშულობიდან ნაპრალოგობისაკენ გარდამავალ რგოლად: **გ > გ' > ჯ > ჟ**.

შენიშნულია, რომ თავდაპირველად პალატალიზაციის საფუძველზე ხდება აფრიკატიზაცია, შემდეგ კი — სპირანტიზაცია [გუდავა 1964 : 93]. პალატალიზებული აფრიკატებიდან სპირანტიზაციას განიცდიან ოდენ მჟღერი სახეობები, მაგ.: ჭამ. აჟაბ (< აჯაბ) : ტინდ. აჯაბ (< *აჯაბ) „ეს (ქვევით)“; ბაგვ. ჟარ (თლის.) < *ჯარ < გ'არ (თლის.) < გარ (შდრ. ხუნდ. გაბურ) „კისერი“; რიქვ. ჟი < ჯი < გი „არის“...

ანალოგიური პროცესი (გ > *ჯ > ჟ) მიკვლეულია დილოურ ენებშიც [იმნაიშვილი 1963 : 36; ლომთაძე 1998 : 127], თუმცა ანდიურ ენებში ხელშესახებად წარმოდგენილი პალატალიზაციის საფეხური არ ჩანს და ისტორიულად მჟღერი აფრიკატების არსებობის საკითხიც სარკვევია, მაგ.: უ^ნჟ (საკ. ხვარ.) < *ონ^ნჯ < ო^ნგ (ინხ., ბეჟ.), ოგ (პინ.) „ცული“ (შდრ. ჩეჩნ. დიგ „იდ“.); ჟუ (ინხ.) < *ჯუ < *გუ (შდრ. ბეჟ. ჰუ-გი, ჰუნზ. გო-გუ „id“) „ის“ და მრ. სხვ.

შემჩნეულია მეორე პროცესიც (დ > *ზ > ზ > ჟ), რომლის საილუსტრაციოდ ინსტრუმენტალისის ნიშანს ასახელებენ [იმნაიშვილი 1963 : 36; შდრ. ლომთაძე 1998 : 125]: -დ(ი) (ხვარ.), -დ (სანტლ.) > *-გ > -ზ (საკ.

²⁴ ზოგ ანდიურ ენაში (მაგ., ჭამ.-ში) გვხვდება წჰ, ჭჰ აფრიკატები, რომლებიც სპირანტიზაციის თვისებებს ამჟღავნებენ და გენეზისურად მეორეული ბგერებია [გუდავა 1971 : 13-14]. ეჭვგარეშეა, ამ აბრუპტივების მიერ სპირანტიზაციის შექმნა სპირანტიზაციის პროცესთან შედარებით გაცილებით გვიანდელი მოვლენაა.

ინხ.). ამ პროცესის სარწმუნო მაგალითს საკ. დილოურში ვპოვებთ: ემაღუ (საპ., მოყ.) > *ემაძუ(?) > ემაზუ (ვიწ.) > ემაჟუ (ხუტრ.) „ზღაპარი“...


2.8. აფრიკატიზაცია. პალატალიზაციის საფუძველზე უკანაენისმიერ ხმულთა (გ, ქ, კ) შიშინა აფრიკატებში გადასვლაზე ქვემოთ გვექნება საუბარი (ინხ. 2. 13. 4.). ანდიურ ენებში, როგორც აღნიშნულია [ცერცვაძე 1953 : 277; გუდავა 1964 : 79], უკანაენისმიერ ხმულთა პალატალიზაცია ყრუ არაინტენსიური კორელატებისათვის დასრულდა აფრიკატიზაციით, ხოლო ინტენსიური კორელატების ევოლუციის პროცესი უფრო შორს წავიდა და, აფრიკატიზაციის შემდეგ, მოხდა მათი გასისინება:²⁵ ქ > ჩ > ც, კ > ჭ > წ, მაგალითად: ტინდ. ჰაკი > ანდ. ჰორჭი (< *ჰარჭი) > ჭამ. > ხაწი (ჰიპ.) > ჰაწა (ჰაქე.) „დედალი“ > „ცოლი“; ხუნდ. ქუნა ~ ბოთლ. ბიქჟუ > ტინდ. ბი-ქჟო > ანდ. ბი-ჩი > ჭამ. ბიც (< *ბიცაი < *ბიჩი < *ბიქი) „დაიჭირა“, „დაიკავა“.

ინტერესს იწვევს პირველი მაგალითი, რომლის ფუძისეულ მორფემას (კ) დილოურ ენათა ამავე სემანტიკის სახელში ვ შეესატყვისება. აქ ხუნდ.-ანდ. ენათა ინტენსიური კ, როგორც მახვილგონივრულად შეინიშნავენ, მიღებული უნდა იყოს ყ-სგან [გუდავა 1979 : 175]. ეს დაჩნდება ჭამალურის ერგატივსა და „ირიბ ბრუნვათა“ ფუძეში: სახ. ჰაწა (< *ჰაკა) „ცოლი“ — ერგ. ჰაყუ-დ (< *ჰაყუ-დ). სწორედ ეს მაგარი კ-ს მონაცვლე *ყ მოგვცემდა ჯ ფარინგალს, რომელმაც ღილ. ენებში ნეიტრალიზაცია განიცადა: კ > ჯ.

წინაველარული ხმულ-მსკდომებიდან თავისებურებას იჩენს ქ, რომელიც სპირანტიზაციის უნარს ამჟღავნებს: ქ > წ (ხუნდ., კარ., ახვ.), ქ > წ > შ (ტინდ.), ქ > ხ > ხ' > ჰ (ღილ.).

როგორც ჩანს, აფრიკატიზაციის პროცესი (ქ > ჩ, კ > ჭ) ქრონოლოგიურად სპირანტიზაციის მოკლენაზე გვიანდელია ისევე, როგორც, აფრიკატიზაციასთან შედარებით, მეორეულია გასისინების პროცესი (ჭ > წ, ჩ > ც). პირიქით რომ მომხდარიყო, მაშინ ჭ (< კ), ჩ (< ქ) აფრიკატებს დილოურ ენებში შესაბამისად უნდა მოეცა ჩ (< ჭ) > ჩ, ც (< წ) > ც რეფლექსები, რაც რეალურად არ დასტურდება. ამიტომ, საკვლევ ენათა მიხედვით, ერთმანეთისაგან რელიეფურად დაცილებულია ერთი ფონემის ორი მიმართულების პროცესი, რაც სქემატურად ასე გამოიხატება:

²⁵სხვათა შორის, ველარული რივის არამაგარი და მაგარი კორელატების ერთმანეთის მსგავსი პალატალიზაცია დამატებით ამტკიცებს მათ ხმულ-მსკდომობას.



2.9. ლეზაბრუპტივიზაცია. ეს პროცესი მეტწილად ინტენსიური აბრუპტიული აფრიკატებისათვის არის ნიშანთვისებრივი [გუდავა 1964 : 103-104]. ლეზაბრუპტივიზაცია ხუნძ.-ანდ. ენებში სპორადული ბუნებისაა, ხოლო დიდ. ენებში მწყობრი და დასრულებული სახით წარმოგვიდგება. მასთან, ხუნძ.-ანდ. ენებში ამ პროცესს ყველა აბრუპტიული აფრიკატი (მაგ., ტა, ყა) არ განიცდის: წა > ცა, ჭა > ჩა (ხუნძ., ლოდ., ტინდ.). დიდ. ენებში ლეზაბრუპტივიზაცია აფრიკატთა წყების ყველა მაგარ კორელატს ეხება: წა > *ცა > ც, ჭა > *ჩა > ჩ, ტა > *ლ' > ლ', ყა > *ჭა > ჳ, [მაგალითები იხ. 2. 15. 2. ე; 2. 15. 3. ე; 2. 15. 4. ე; 2. 15. 5. ე].

ტ. გუდავას არსებითად სწორი დებულებით, ტა და ყა მკვეთრები ლეზაბრუპტივიზაციას არ ემორჩილებიან იმიტომ, რომ ამ პროცესის მიმდინარეობისას, ინტენსივობის მიხედვით, თანხმოვანთა ნეიტრალიზაცია უკვე დამთავრებული იყო [გუდავა 1959 : 272; 1964 : 106-107].

დიდურ ენებში ლეზაბრუპტივიზაცია განიცადა განურჩევლად ყველა მკვეთრი აფრიკატის ინტენსიურმა კორელატმა მაშინ, როცა ინტენსიურობის კორელაცია ფონოლოგიურად რელევანტური იყო, ე. ი. ლეზაბრუპტივიზაცია წინ უსწრებდა მაგარ თანხმოვანთა მოშლას [შდრ. გუდავა 1959 : 272].

ირკვევა, რომ აბრუპტიულ აფრიკატებში სპირანტიზაციის ტენდენციის სვედრითი წილი მცირეა, ხოლო ლეზაბრუპტივიზაციის პროცესი წარმოდგენილია ხელშესახებად. ამისი ფიზიოლოგიური მიზეზი მათ სარტიკულაციო თავისებურებაში უნდა ვეძიოთ. კერძოდ, აბრუპტივთა წარმოთქმა ხდება ზესადავამ მილში არსებული ჰაერნაკადით, ვინაიდან ყია და სრტილებშუა ნაპრალი და კეტილია ექსპირაციისათვის [ახვლედიანი 1999 : 27-28]. ბუნებრივია, რომ საფონაციო ჰაერნაკადის არსებული მარაგი უკმარი უნდა ყოფილიყო ინტენსიური აბრუპტივების წარმოსათქმელად, რომელთათვისაც ხშვა ხანგრძლივი და ძლიერია. ურესპირაციო ბგერათწარმოთქმა შეუძლებელი შეიქმნა და ამ სიძნელის სუპერაციისათვის სრტილებშუა ნაპრალი უნდა გახსნი-

²⁶ *კა > ტა, *ქა > ლ' პროცესები, ლატერალთა წარმოქმნის კუთხით, საინტერესო ჩვენებას იძლევიან.

ლიყო, რაც აფრიკატთა გაფშვინვიერებას გამოიწვევდა. როგორც ჩანს, ინტენსიური კორელაციებისათვის, მათი სუსტი ფონაციიდან გამომდინარე, ეს საჭირო არ გამხდარა. ტ. გუდავა აფრიკატთა სპირანტიზაციასაც ამ მოვლენას უკავშირებს [გუდავა 1959 : 273], მაგრამ ეს ტენდენცია შეპირობებულია აფრიკატთა ბუნებით — მათი რეკურსია სპირანტიზებულია და იოლია მათი გასპირანტება. რაც შეეხება ბაგვალურის, ჭამალურისა და კარატაულის ვითარებას, აქ ინტენსიურ აბრუპტიულ სპირანტებს ფონემიზაციაც კი არ განუცდია, რის გამოც ნაპრაღის გაჩენასა და, აქედან გამომდინარე, არტიკულაციის შესუსტებაზე საუბარი ნაკლებსარწმუნოა.

2.10. **დინტენსივიზაცია.** ინტენსიური (resp. მაგარი) თანხმოვნები, რომელთაც ახასიათებს უფრო მეტად დაჭიმული და დაყოფილი არტიკულაცია, ვიდრე მათ საოპოზიციო ერთეულებს, ამჟამად ნიშანდობლივია ოდენ ხუნძურ-ანდიური ენებისთვის [ტრუბეტკოი 1987 : 289; გუდავა 1953 : 342; შდრ. შორი 1935 : 137].

ვარაუდობენ, რომ ინტენსიური თანხმოვნები გენეზისურად მეორეული წარმომავლობის ფონემები [ჩიქობავა 1979 : 64; ბურჭულაძე 1991 : 9-10...]. მასთან, ამ რიგის თანხმოვნები ერთმანეთს უპირისპირდებიან რაგვარობითაც და ლოკალური რიგითაც. ამ თვალსაზრისით ერთი გარემოება არის თვალშისაცემი: თანხმოვანთკომპლექსებით ღარიბ ენებში (დალესტნური) ინტენსიურ თანხმოვანთა სიმრავლეა, ხოლო კომპლექსთა სიმრავლით გამორჩეულ ენებში (ნახური და აფხაზურ-ადიღური) მაგარ თანხმოვანთა რიცხვი საგრძნობლად შეზღუდულია. ხსენებული ენების მონაცემთა ამგვარი წონასწორობა ბაღებს კითხვას: ხომ არ არის ინტენსიური კორელაციები თანხმოვანთა შერწყმისა და ფონემიზაციის შედეგად მიღებული? რამდენადაც ინტენსივიზაცია ბგერის გაძლიერება-გახანგრძლივებას ნიშნავს, ხომ არ არის იგი გემინაციის მოდიფიკაციით წარმოქმნილი?

სინქრონიულად გემინირებული (resp. გაორმაგებული) და ინტენსიური თანხმოვნები ერთმანეთი-

საგან თვალსაჩინოდ განსხვავდებიან: პირველი წარმოადგენს ორი ფონემის შემჭიდროებულ არითმეტიკულ ჯგუფს, ხოლო მეორე — ფონოლოგიური სტატუსის მქონე, დამოუკიდებელ თანხმოვანს.²⁷ ამ მხრივ, მეტად საგულისხმო ჩვენებას გვაწვდის ანდლური ენის რიკვანის თქმა, რომელშიც შენიშნულია თანხმოვანთა ინტენსივიზაცია: „ეს ფონეტიკური პროცესი დაკავშირებულია თანხმოვნის მოძღვროვნის რელექციასთან“ [ცერცვაძე 1965 : 42], მაგ.: ბიხილუ (ანდ., ლაღ.) > ბიხლუ (რიკვ.) „აღბა“ > „ყიდვა“, ვუყ'ილუ (ანდ.) > ვუყლუ (რიკვ.) „მოსვლა“...

ანალოგიური პროცესი გავრცელებულია დიდ. ენებშიც იმ განსხვავებით, რომ თანხმოვანთა გემინაცია ინტენსივიზაციაში აღარ არის გადაზრდილი [ლომთაძე 1963 : 64-65; 2000 : 131-134]. ეს გამოწვეული უნდა იყოს იმით, რომ ამ პროცესის მოქმედების დროს დიდ. ენებში ინტენსივობის კორელაცია უკვე მოშლილი იყო.²⁸

ისტორიულად ინტენსიური კორელატები უცილოდ ნიშანდობლივი უნდა ყოფილიყო არა მარტო ხუნძურ-ანდლურ-დილოური ფუძეენისთვის [გუდავა 1974 : 139], არამედ დაღესტნურ ენათა ერთიანობის ხანისთვისაც [ტრუბეტკოი 1987 : 322; ბოკარევი 1981 : 26-34; გიგინეიშვილი 1977 : 66; შდრ. აბაშია 2004 : 8]. ამ ძველისძველი კორელაციის გარეშე საკვლევ ენათა კონსონანტიზმის ისტორია მეტწილად გაუგებარი იქნებოდა, რადგან იგი რაოდენობრივადც მომცველია და ევოლუციის თვალსაზრისითაც მეტად საინტერესო.

ზემოხსენებული ფონოლოგიური დაპირისპირება დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო შემდეგი აფრიკატებისა (ც — ცჃ, წ — წჃ, ჩ — ჩჃ, ჭ — ჭჃ, ლ' — ლ'Ⴣ, ტ' — ტ'Ⴣ, ვ — ვჃ, ყ — ყჃ) და სპირანტებისათვის (ს — სჃ, შ — შჃ, ლ' — ლ'Ⴣ, ხ — ხჃ). ხშულ-მსკლომთა ქვესისტემაში მაგარი და არამაგარი წყვილულები ოდენ წინაველარულთა რიგში იჩენს თავს: ქქჃ²⁹ კ — კჃ [შდრ.

²⁷ გემინაცია უნდა გაირჩეს ინტენსივიზაციისაგან. გემინატი (resp. გემინირებული, ლათ. geminare „გაორკვევა“) წარმოადგენს ორმაგ თანხმოვანს, რომელიც მიღებულია მსგავს თანხმოვანთა შეერთებით [ახვლედიანი 1999 : 104]. ინტენსიური თანხმოვანი, გემინატიდან განსხვავებით, არის არა ორი ერთგვარი თანხმოვნის მჭიდროდ დაკავშირებული ჯგუფი, არამედ სრულიად განსხვავებული არტიკულაციის მქონე ცალმაგი თანხმოვანი [ჩიქობავა, ცერცვაძე 1962 : 49]. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ინტენსიურ ფონემების მიჩნევა გაორმაგებულ თანხმოვნებად და მათი გათანაბრება გემინატიტთან, რასაც არცთუ იშვიათად ვხვდებით, გაუმართლებელია.

²⁸ რიგ შემთხვევაში ინტენსიურ თანხმოვანთა ფორმირებაში, საფიქრებელია, ექსპრესიულ გემინაციას ელო წილი (ამის შესახებ დაწვრილებით სხვა დროს).

²⁹ ტინდ. და ლოდ. ენების მიხედვით კჃ ხშულად (resp. ხშულ-მსკლომად) მიიჩნევა [გუდავა 1953: 344-345].

ტრუბეცკოი 1987 : 248; ჟირკოვი 1936 : 145].

ამ ისტორიული სინამდვილის გათვალისწინება აუცილებელი ხდება ყველა დილოური ენის ფონოლოგიური სისტემისთვის, რომლებშიც კორელაცია „ინტენსიური — არაინტენსიური“ მთლიანად მოიშალა. ინტენსიური ოპოზიციის ნეიტრალიზაცია უნდა განხორციელებულიყო დილოურ ფუძეენაში [ლომთაძე 1962 : 287; გუდავა 1979 : 54-55]. ზოგ ხუნძ.-ანდ. ენაში (ცალკეულ დიალექტებში) ზემოსენებულმა ფონოლოგიურმა დაპირისპირებამ სრული ან ნაწილობრივი ელიმინაცია განიცადა, რაც გვიანდელი მოვლენაა [ჩიქობავა, ცერცვაძე 1962 : 53].

უნდა ითქვას, რომ ინტენსიურობის ამოსავალი კორელაციის მოშლა და, შესაბამისად, ფონოლოგიური სისტემის გამარტივება, რაც ხუნძური ენის დიალექტებში ამ დაპირისპირების ელიმინაციის ყოველი საფეხური თვალნათლივ დაჩნდება, მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს დილოურ ენათა კონსონანტიზმის თანამედროვე სახეს.

რიგ შემთხვევაში ფონოლოგიური ნეიტრალიზაცია შეპირობებული უნდა იყოს სხვადასხვა ქრონოლოგიური დონის სპონტანური ფონეტიკური პროცესებით: 1) სიბილანტთა ტრანსფორმაცია: არაინტენსიური სისინები იცვლებიან შიშინებით, ხოლო ინტენსიური შიშინები შესაბამისი სისინებით, რაც შედეგად სისინა-შიშინა სიბილანტების მოშლას იწვევს. სქემატურად:

საერთო ამოსავალი	პროცესი	შედეგი
შ — შა	შა → სა	შ
ჩ — ჩა	ჩა → ცა	ჩ
ჭ — ჭა	ჭა → წა	ჭ
ს — სა	ს → შ	—
	სა → ს	
ც — ცა	ც → ჩ	—
	ცა → ც	
წ — წა	წ → ჭ	—
	წა → წ	

ზემოწარმოვსთქვილი პროცესების შედეგად, როგორც ცნობილია, მაგარი სისინები, სათანადო არამაგარი კორელატების უქონლობის გამო, ფონოლოგიურად თანდათანობით ნეიტრალურები გახდნენ,

თუმცა ფონეტიკურად ინტენსიურობა მეტ-ნაკლებად შემოინახეს. ინტენსიურ შიშინა სიბილანტთა ანალოგიურ სისინა სიბილანტებად გარდაქმნის შემდეგ, ეს უკანასკნელები ამოსავალ ინტენსიურ სისინებს დაემთხვენენ, არაინტენსიური შიშინები კი უკორელაციოდ დარჩნენ.³⁰

დიდ. ენებში სისინა და შიშინა სიბილანტთა ცვლილებები, მართალია, ერთი შეხედვით შემომოყვანილ პროცესებთან პოულობს პარალელს (საკ. დიდ. ს > ჰინ. შ, საკ. დიდ. ც > ჰინ. ჩ...), მაგრამ აქ ეს პროცესი ოდინდელ მაგარსაც და არამაგარსაც ერთნაირად შეეხო, რაც სისინათა გაშიშინებას ინტენსივობის კორელაციის მოშლის შემდეგდროინდელ მოვლენად მიგვაჩვენებს.

2) მაგარ აბრუპტივთა დეზაბრუპტივიზაცია, რომელიც რეალიზებულია ხუნძურის ზოგ თქმაში (ბაწადა, ჭუნთიბი...), ლოდობერიულსა და ტინდიურში: წა > ცა, ჭა > ჩა, კა > ქა.

დიდ. ენებში ფშვინვიერ აფრიკატად იცვალა ყველა შესაბამისი აბრუპტივი, ხოლ ხმულებიდან — ოდენ კ (ე-ს წინა პოზიციის გარდა) [შდრ. გულავა 1974 : 142].

3) მაგარ აფრიკატთა სპირანტიზაცია (ცა > სა, ჩა > შა), რაც უკორელაციოდ დარჩენილ არაინტენსიურ აფრიკატთა ნეიტრალიზაციით დასრულდა.

4) ინტენსივობის კორელაცია, როგორც მიუთითებენ, შეიძლება მოშლილიყო ცალკეულ ლოკალურ რიგებში გაერთიანებულ საპირისპირო წყვილთა თანდათანობითი შესუსტება-გაქრობის გზითაც [გულავა 1974 : 143]. ეს, უპირველესად, უნდა შეხებოდა მათ ფონეტიკურ მხარეს, რაც თვალსაჩინოდ არის გამოხატული ხუნძური ენის სამხრულ დიალექტებში. კერძოდ, შ. მიქაილოვის დაკვირვებით, სწორედ სამხრულ დიალექტებში ინტენსივების წარმოთქმისას საარტიკულაციო ორგანოთა დაჭიმულობა უფრო შესუსტებულია, ხოლო ნაპრალი გაფართოებული, რაც არტიკულაციის გამარტივებას ნიშნავს [მიქაილოვი 1958 : 37]. ამ შემთხვევაში შეიძლება მოქმედებდეს ეკონომიის პრინციპიც [სოსიური 1977 : 180-181].

გარდა შემომოყვანილი ფაქტორებისა, გამოსარიცხი არ არის ინტენსიურ თანხმოვანთა მოშლა გარეენობრივი ფაქტორების შემოქმედებით, რაც გარკვეულწილად ინტერფერენციულ პროცესებს გუ-

³⁰ საფიქრებელია, რომ ამგვარი კორელატები ფონეტიკურადც არ იყვნენ სადა სიბილანტების იდენტური და, ამდენად, განეიტრალებოდა, კორელაციის მოშლის შემდეგ, მათაც დასჭირდებოდა [შდრ. ლომთაძე 1962 : 310].

ლისხმობს. ხუნძური ენის დიალექტების მიხედვით, ინტენსივობის კორელაციის მოშლის ტენდენცია ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ ძლიერდება: ხუნძურ დიალექტში 10 საკორელაციო წყვილი გვაქვს, ხოლო ჭარული დიალექტის ზოგ თქმაში (ბელაქ., თაღ.) ინტენსივობა სისტემა საგნებით ელიმინირებულია. საანალიზო კორელაციის მოშლა რომ ამ ენათა მარგინალური ნიშანია, ამას ადასტურებენ აგრეთვე დილოური ენები, რომლებიც უშუალოდ ესაზღვრებიან ანალოგიურ თანხმოვანთა უქონელ ქართულ ენას (sic!). ცხადი ხდება, რომ გარდა იმანენტური ფაქტორებისა, რაზედაც ზემოთ მოკლედ ვისაუბრეთ, ინტენსიურ ფონემათა სერიის მოშლა გარეენობრივი მიზეზებითაც უნდა იყოს გამოწვეული [ჩიქობავა 1979 : 73].

2.11. **ლაბიალიზაციის საკითხისათვის.** ხუნძურ-ანდიურ-დილოურ ენებში დასტურდება $C + W$ ტიპის ლაბიალიზებული კომპლექსები, რომლებიც წარმოადგენენ ფაქტობრივად ორი დამოუკიდებელი ფონემის ჯამს და, აქედან გამომდინარე, თვალსაჩინოდ განსხვავდებიან აფხაზურ-ადილოურ ენათა დახურული ლაბიალიზებული $g^{\circ}, k^{\circ}, q^{\circ}$ და ზოგი დაღესტნური ენის (თაბასარანული, დარგუული...) ე. წ. დენტოლაბიალიზებული $g^{\circ}, k^{\circ}, q^{\circ}$ თანხმოვნებისაგან, რომლებსაც ფონოლოგიური ღირებულება აქვთ.

საანალიზო ლაბიალიზებული კომპლექსის ($C + W$) ბიფონემურობა ეჭვმიუტანლად მტკიცდება როგორც ნ. ტრუბეცკოის [ტრუბეცკოი 1960 : 63-68] ბგერათა ფონემური კლასიფიკაციის — მონოფონემის დადგენის წესების — მიხედვით, ისე კომბინაციური ფონეტიკური პროცესების გათვალისწინებითაც [გუდავა 1956 : 216; არლოტელი 1997 : 43-49].³¹

ისმის კითხვები: ისტორიულად დადასტურებული $C + W$ ტიპის კომპლექსები ოდინდელ ლაბიალიზებულ თანხმოვანთა ბიფურკაციის ($C^{\circ} > C + W$) შედეგია თუ მათი ($C + W > C^{\circ}$) შერწყმის? შეიძლება თუ არა ხუნძურ-ანდიურ-დილოურ ფუძეენაში ლაბიალიზებულ თანხმოვანთა პოსტულირება?

სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია ვარაუდი, რომ კორელაცია „ლაბიალიზებული • არალაბი-

³¹ აქედან გამომდინარე, დელაბიალიზაციის საკითხი კი აღარ დაისმის, არამედ ლაბიალიზებული კომპლექსის მეორე კომპონენტის (resp. ლაბიალური ელემენტის) რელუქციის საკითხი, მაგ.: ხუნძ. რა-კ (< *რა-კჷ-ა, შდრ. ანდ. როკ-ო) ~ დიდ. როკუ < *რო-კჷ-ი (შდრ. ჰინ. რო-კჷ-ე) „გული“ და მისთ.

ამ მხრივ, საგულისხმო ჩვენებას გვაწვდის ხუნძახური დიალექტის აულ ტანუსის მეტყველება, რომელშიც „გულის“ აღნიშნავად გვხვდება რაჷკ < *რაჷჷ [გუდავა 1956 : 230].

ალიზებული“ ისტორიულად ნიშანდობლივი იყო დაღესტნური ფუძეენისათვის [ტრუბეცკოი 1987 : 322]. ნ. ტრუბეცკოიდან მოყოლებული ამ შეხედულებას ავრცელებს სხვა იბერიულ-კავკასიური ენების მიმართაც და, სათანადო არგუმენტაციის გარეშე, იზიარებს ამ ენათა ზოგი მკვლევარი [იუშმანოვი 1937 : 36; ჟენტი 1941 : 185; ლომთაძე 1952 : 34-35; 1997 : 17-20; 1998 : 162-172; გაფრინდაშვილი 1954 : 16-19; გულაგა 1956 : 231-232; მიქაილოვი 1958 : 33; იმნაიშვილი 1963 : 15, 21; ჯეირანაშვილი 1966 : 355-357; მაჰლომეტოვი 1974 : 169-176; თალიბოვი 1980 : 227-246...]. მათი აზრით, $C + W$ ლაბიალიზებული კომპლექსი წარმოქმნილია ამოსავალ ლაბიალიზებულ ფონემათა შემადგენელ ელემენტებად დაშლის ($C^{\circ} > C + W$) შედეგად.

ქ. ლომთათიძემ ქართველურსა და აფხაზურ-აბაზურ ენებში დამაჯერებლად დაასაბუთა ერთი რიგის ლაბიალიზებულ კომპლექსთა და ფონემათა მეორეული წარმომავლობა [ლომთათიძე 1968 : 69-73; 1976 : 222-225]. ამის შემდეგ ჰ. ფენრიხმა [ფენრიხი 1971 : 149-158] და ბ. გიგინეიშვილმა [გიგინეიშვილი 1977 : 140-141] საკვებით სამართლიანად ივარაუდეს, რომ საერთო-დაღესტნურში ფუძისეული მორფემის ანლაუტი $C + W$ ლაბიალიზებული კომპლექსის შემცველი იყო. საანალიზო კომპლექსის მეორე კომპონენტი უ იმთავითვე წარმოადგენდა დამოუკიდებელი სონანტური ფონემის უმარცვლო ალოფონს [გიგინეიშვილი 1977 : 34].

უნდა ითქვას, რომ ზემოსხენებული კომპონენტი უ იმის მიხედვით, თუ რა ფონოლოგიურ გარემოცვაშია მოქცეული, მართლაც ამჟღავნებს სონანტურ ბუნებას, ვინაიდან იგი უ-სთან არის დამატებითი დისტრიბუციის დამოკიდებულებაში, მაგ.: დიდ. ესიდუ, ესიჟ (დიალ. ვარ.) „ძმა“, „და“, ზეჟჟ, ზეჟს (დიალ. ვარ.) „იყო“; ჰინ. რეკჟე (სახ.) „კაცი“ — ერგ. რეკუე; ხუნდ. სჟიზე „დაჭრა“ — სუე! „დაჭერი!“ და სხვ. მისთ.

იმ მკვლევართაგან, ვინც საერთო-დაღესტნურ ქრონოლოგიურ დონეზე ლაბიალიზებულ ფონემათა რეკონსტრუქციას ახდენს, არავინ ასახელებს ფუძეენაში ისტორიულად სავარაუდებელ ამ ტიპის თანხმოვანთა ზუსტ რიცხვს და არავინ განსაზღვრავს მათ რავგარობას სათანადო ტაბულაში.³² ჩვე-

³² ე. ლომთაძე თავდაპირველად სამ ლაბიალიზებულ თანხმოვანს ასახელებს [ლომთაძე 1952 : 34], ხოლო შემდეგ მათ რიცხვს საგრძნობლად ზრდის [ლომთაძე 1998 : 162]. რ. შარაფუტდინოვასა და რ. ლევიანს, მართალია, ხვარშიული ენის თანხმოვანთა ტაბულაში შეაქვთ 13 ლაბიალიზებული თანხმოვანი, მაგრამ მათ ფრჩხილებში ათავსებენ [იხ. გულაგა 1979 : 91]. როგორც ჩანს,

უღებრივ გამოყოფენ უკანაენისმიერებსა და ფარინგალურ თანხმოვნებს. ის ფაქტი, რომ წყვილბაგის-მიერმა ჟ სონანტმა ლაბიალიზებული კომპლექსი შეიძლება შექმნას ყველა თანხმოვანთან, მ, ნ, ლ სონორების, ბ, ფ, ჰ ბაგისმიერი ხშულებისა და დ, ე სონანტების გარდა, თავისთავად ეჭვქვეშ აყენებს მათი ფუძეენაში არსებობის ვარაუდს.

ჩვენი თვალსაზრისით, ხუნძურ-ანდიურ-დილოურ ენებში არც ამჟამად გვაქვს და, მით უფრო, არც ისტორიულად უნდა გვქონოდა ლაბიალიზებულ თანხმოვანთა კორელაცია. შევეცდებით ამ მოსაზრების დასაბუთებას ბგერათშესატყვისობის საფუძველზე.

ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ უკანაენისმიერთა ლოკალურ რიგებში წარმოდგენილ თანხმოვანთა სადა და შესაბამისი ლაბიალიზებული კომპლექსები იდენტურ ბგერათშესატყვისობებს გვიჩვენებენ:

საერთო ამოსავ.	ხუნძ.	ანდ.	დიდ.	
*ქ	ქ ქექე (< *ქაქა)	ქ ქოქა	ქ ქიქი	„ზუზუ“
*ქჟ ³³	ქჟ ქან (< *ქჟან)	ქჟ ქჟანი (ბოთლ.)	ქჟ ქჟა	„კვარი“
*კ	კ —	კ ცეკირ	კ ცეკი	„თიკანი“
*კჟ	კჟ რაკ (< *რაკჟა)	კჟ როკო *როკჟო)	ჟ (< როკუ *როკჟი)	(< „გული“

ხვარშიულში ე-ს შეგუება-შერწყმის ხარისხი ძირითად თანხმოვანთან არ არის იმ დონისა, რომ სათანადო ბგერები დამოუკიდებელ ფონემებად მივიჩნიოთ.

³³ *ქჟ და მისი ანალოგიური კომპლექსები საერთო ამოსავლად პირობითად არის დასახელებული.

*ღ	ღ	ღ	ღ	
	—	რელილ	ცოლ ⁴	„ბარძაყი“
*ღჟ	ღღო (< *ღჟე- ლო)	ღანნი (< *ღჟან- ლი)	ღ ⁴ ჟადი	„ყვავი“

გარდა ამისა, დასტურდება არაიდენტური შესატყვისობანი, რომელთა ერთმანეთის მიმართ კორელა-
ტებად მიჩნეული სახესხვაობანი ენათა მიხედვით ერთგვაროვნებას ამჟღავნებენ და მწყობრ სისტემას
ქმნიან:

საერ- თო ამოსავ.	ხუნძ.	ანდ.	დიდ.	
*ყ	ყ ყო-გო	ყ ყე-ნღუ	ბ ჰუ	„ოცი“
*ყჟ	ყჟ ბა-ყჟ- ახე	ყჟ ბე-ყ-უღუ იღუ)	ჟ ჰუჰა (< ჰჟ-ა)	*ბე- „გაშრობა“
*წ	წწა მაწა	წა მიწაი	ც ³⁴ მეც	„ენა“
*წაჟ	წაჟ წაჟა	წაჟ წ ა (< წაჟა)	ცე ცა (< *ცა ა)	„კარსკვლავი“

როგორც ზემოთყვანილი მაგალითები მოწმობენ, მარტივ თანხმოვანსა და მის ისტორიულად
სავარაუდო ლაბიალიზებულ კომპლექსს (resp. ბილაბიალიზებულ თანხმოვანს) შორის ერთგვაროვანი
ბგერათშესატყვისობები იჩენს თავს. განსხვავებას ქმნის ბილაბიალური ჟ, რომლის მიხედვით შორ-

³⁴ დილოურ ენებში ინტენსიურობის კორელაცია მოშლილია.

სმიძავალი დასკვნები კეთდება.³⁵

ჩვენი თვალსაზრისით, გასაზიარებელი ჩანს ჰ. ფენრიხის [ფენრიხი 1971, 149-158] მოსაზრება დალესტნურ ფუძემენაში ჟ სონანტის არსებობის შესახებ. თავად ჟ-ს ლისტრიბუციაც (#-V, ვV-V, C-V, V-#) მის სონანტურ ბუნებაზე მიგვანიშნებს — იგი სონანტისათვის დამახასიათებელ ფონოლოგიურ გარემოცვაში რეალიზდება.

ყურადღებას იქცევს არნ. ჩიქობავას მიერ „გულის“ გენეზისის რკვევისას წამოყენებული საგულისხმო მოსაზრება: „ძირეულ თანხმოვანს (გ|კ) („გულის“ აღმნიშვნელს — ნ.ა.) მოსდევდა თუ არა ლაბიალური ელემენტი, რომელიც აფხაზურ-ადიღურ, ქართველურ და ანდიურ-დიღურში გვაქვს, აგრეთვე არჩიულში?“ — სვამს კითხვას ავტორი და მას დადებითად უპასუხებს, რაც მართებული ჩანს [ჩიქობავა 1974: 51].

იბადება კითხვა: შეიძლება თუ არა დავუშვათ, რომ მარტივმა თანხმოვანმა და მისმა ლაბიალიზებულმა კორელატმა იდენტური შესატყვისობები ჩამოიყალიბეს და ამჟამად, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ლაბიალურ კომპონენტს, შესატყვისობის ერთნაირი ფორმალეზით გვხვდებიან?

ვფიქრობთ, ამგვარი თეორიული ვარაუდის დაშვებას ეწინააღმდეგება კორელაციის წყვილთა (მაგ., ინტენსიური — არაინტენსიური) არაერთგვაროვანი ტრანსფორმაციის თვალშისაცემი სურათი: ინტენსიური კორელატი უპირატესად ნულოვანი რეფლექსაციით არის წარმოდგენილი, არაინტენსიური კორელატი კი სხვადასხვაგვარ სპონტანურ ფონეტიკურ ცვლილებას განიცდის. ამას ცხადს ხდის შესატყვისობის შემდეგი ფორმულები: ს.-ამოს. *ხ > ხუნძ. ხა : ანდ. ხა : დიდ. ხ, შდრ. ს.-ამოს. *ხ > ხუნძ. ჰ : ანდ. ხ : დიდ. ღ [გუდავა 1979: 90, 100]. აქედან გამომდინარე, ლაბიალიზებულსა და არალაბიალიზებულ სახეობებს, თუ ამოსავალში ისინი არსებობდნენ, კანონზომიერებით სხვადასხვა შედეგი უნდა მოეცა.

ე. წ. დენტოლაბიალიზებულ ფონემათა მეორეულობა ცხადი გახდება, თუ ხუნძურ-ანდიურ-დიღურ ენათა მონაცემებთან შევადარებთ თაბასარანული ენის საანალიზო თანხმოვანთა შემცველ ფუძეებს, მაგ.: ხუნძ. წარ ~ ანდ. წჷრ, ბოთლ. წჷრი ~ დიდ. ცი, ბეჟ. ცარო ~ თაბ. ცჷურ, ჩჷურ

³⁵ სრულხმოვნის ფაქტორს ეწევა განსაკუთრებული ანგარიში, რაც ანლაუტში თანხმოვანთა თავერას გამოიცხავს, თუმცა უყურადღებოდ რჩება C + W კომპლექსის სტრუქტურული მოდელი, რაც ფაქტობრივ კონსონანტის (C) და სონანტისგან (S) შედგება.

(დიალ. ვარ.), აღ. თჷრ, ლეზგ. ტარ, ტჷარ (დიალ. ვარ.) „სახელი“.

ხუნძურ-ანდიურ-დილოურ ენებში ძირეულ მორფემად გვაქვს წა (ხუნძ.-ანდ.), ც (დიდ.), რომლისთვისაც ფუძეენაში წაჷ ოდენობის აღსადგენად სირთულეები გვხვდება [გუდავა 1979: 156]. მასადაძე, უნდა ვიფიქროთ, რომ დენტოლამბიალიზაცია თაბასარანულსა და ზოგ მის ახლომონათესავე ენაში (დარგუული, ლაკური...) მეორეული მოვლენაა. მასთან, დენტოლამბიალიზებულ და ბილამბიალიზებულ ფონემა-კომპლექსთა ურთიერთმონაცვლეობა [მაჰომეტოვი 1974: 174] გენეზისურად მათ კავშირსაც ცხადყოფს.³⁶

ამრიგად, ლამბიალიზებული თანხმოვნები ფონემატიქმნადობის მაგისტრალურ საზს მისდევენ — ლამბალური ჷ ელემენტის ძირითად თანხმოვანთან შეგუება-შერწყმის ხვედრითი წონა პირდაპირპროპორციულია ამ ტიპის ფონემათა რელევანტურობისა [არდოტელი 2000: 258]. ლამბიალიზებულ თანხმოვანთა ფონემური არაერთგვაროვნება, რომელიც გამსჭვალავს იბერიულ-კავკასიურ ენათა ძირეულ ლექსიკას, შეპირობებული უნდა იყოს ჷ სონანტის მეზობელ ძირითად თანხმოვანთან მეტ-ნაკლებად შერწყმით,³⁷ ე.ი. ყღ და ყჷ ოდენობებს შორის განსხვავება ლამბიალიზაციის ხარისხში უნდა ვეძიოთ. იმ ენებში (თაბასარანული, დარგუული...), რომლებშიც ლამბიალიზებულ თანხმოვნებს მონოფონემური სტატუსი აქვთ, ლამბიალიზაცია ანალოგიურად (ყჷ > ყღ) ჩანს წარმოქმნილი.

2.12. ფარინგალიზებულ თანხმოვანთა გენეზისისათვის. ფარინგალიზებული თანხმოვნები დასტურდება საკ. დილოურში, ჰინუსურსა³⁸ და ხვარშიული ენის ინხოყვარულ დიალექტში.³⁹ ფარინგალიზებულ თანხმოვნებს მოეპოვებათ ფონემური სტატუსი, რაც იმავე რიგის არაფარინგალიზებულ თანხმოვნებთან სემანტიკური დაპირისპირებით მჟღავნდება, მაგ.: საკ. დიდ. ვ‘აბა „შავი“ — ვაბა „თიხის

³⁶ ნ. ტრუბეტკოის მოსაზრებაზე დამყარებით, ა. მაჰომეტოვი ხუნძურსა და თაბასარანულ ენებში ლამბიალიზებულ/არალამბიალიზებულ თანხმოვანთა შესატყვისად განსხვავებულ რეფლექსებს წარმოგვიდგენს [მაჰომეტოვი 1974 : 175]. სინამდვილეში ცა > ჩა პროცესი პოზიციურად ჩანს შეპირობებული [იხ. გიგინიეშვილი 1977 : 106].

³⁷ სუფიქსისეული ჷ-ს ძირითად თანხმოვანთან შერწყმით ახალი ფონემის წარმოქმნა ცნობილია სპეციალურ ლიტერატურაში [როგავა 1980 : 107].

³⁸ ს. კოძასოვი ჰინუსურში ფარინგალიზაციის არსებობას უარყოფს [კოძასოვი 1986 : 25-26].

³⁹ მართალია, ბეჟ. ენის ბეჟტის თქმაში გამოყოფენ ფარინგალიზებულ თანხმოვნებს [ხალილოვი 1995 : 390], მაგრამ მათი გამოყენება მეტად სპორადულია და ისინი ფონოლოგიურად ირელევანტურნი უნდა იყვნენ [იხ. კოძასოვი 1986 : 25].

თუნგი“, ჰუ „სახნისი“ — ჰუ „ოცი“, რეყა „ცოდნა“ — რეყა „სამიზნე“, „სერი“ ...; ხვარ. ყ'უყ'ად „მოზელვა“ — ყუყად „ვირჩის თესლი“, ყ'ელე „ხორთუმი“ — ყელე „ხიშტი“ და ა. შ.

ისმის კითხვა: ისტორიულად გვექონდა თუ არა ეს ფონემები ხუნძურ-ანდიურ-დილოურ ფუძე-ნაში?

არსებულ ლინგვისტურ ლიტერატურაში ამ თანხმობანთა გენეზისის შესახებ ძირითადად ორი ურთიერთსაპირისპირო აზრი არის გამოთქმული: მეცნიერთა მეტი ნაწილი ფიქრობს, რომ ეს ბგერე-ბი ფუძეების დიფერენციაციამდელი ვითარების ამსახველია [ტრუბეტკოი 1987 : 322; ლომთაძე 1955 : 423-430; 1963 : 45; 1998 : 44-61; იმნაიშვილი 1963 : 20, 32; იბრაჰიმოვი 1974 : 193...], სხვანი ფარინგალიზაციას დილოურ ენათა ინოვაციად მიიჩნევენ [გულაგა 1979: 39; რაჯაბოვი 1997 : 107; არ-ლოტელი 1998 :104...].

1) ფარინგალიზებულ მჟღერ სპირანტ ღ'-ს ხუნძურში კანონზომიერად და რეგულარულად ჰ შეე-სატყვისება, ანდიურ ენათა დიდ ნაწილში — მისი ისტორიული სახეობა ხ [ბოკარევი 1981:26; ლომთაძე 1962: 296; გულაგა 1964: 112, 146], რომლის რეფლექსაცია გარკვეულია. ამოსავალ *ხ-ს შესატყვისად ბეჟიტური ენის ორსვე დიალექტში ჰ მოგვეპოვება (*ხ > ღ > ჰ),⁴⁰ რომელსაც ბილაბიალური ჟ-ს წინ რეფლექცია მოუდის [ლომთაძე 1963 : 21] [იხ. მაგალითები 2. 16. 6. ბ].

მეცნიერთა ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ ღ'-ს რეკონსტრუქცია ხუნძურ-ანდიურ-დილოურ ფუ-ძენაში შესაზღვრებელია [ლომთაძე 1962 : 296-297; იმნაიშვილი 1963 : 20]. კერძოდ, ე. ლომთაძის აზრით, დიდ. ენათა ფარინგალიზებულ ღ'-ს ხუნძურ-ანდიურ ენებში ხ შეესატყვისება, არაფარინგა-ლიზებულ ღ-ს კი — ჰ [ლომთაძე 1962 : 297; 1998 : 142], რასაც სერიოზული დაბრკოლებები ხვდებ-ბა. მართალია, ერთი მხრივ, ხუნძ. ჰ : ს.-ანდ. ხ : ს.-დიდ. ღ შესატყვისობის, ხოლო, მეორე მხრივ, ხუნძ. ღ : ს.-ანდ. ღ : ს.-დიდ. ღ ბგერათიფიკაციის მაგისტრალური ხაზიდან ცალკეულ გადახრებს ვხვდებით, მაგრამ ეს ნაირგვარობა კომბინაციური ბგერათცვლილებებით არის შეპირობებული.

⁴⁰ ს.-დიდ.-ში ღ > ჰ უნდა მომხდარიყო ღ-ს ფარინგალიზაციამდე. ტ. გულაგა ფიქრობს, რომ *ხ > ჰ. მაშინ საკითხავია: ს.-დიდ.-ში *ხ-ს შესატყვისად ორი ფონემა უნდა გვექონოდა?

უფრო სარწმუნო ჩანს ღ > ჰ [ლომთაძე 1962 : 296; 1963 : 78]. მით უფრო ბეჟ. ენის დიალექტებში ამგვარი ფონეტიკური პროცესი ამჟამადც ხელშესახება, მაგ.: ყონღ > ჰუნზ. ყოჰ „ქერი“, საკ. ბეჟ. ბუღლო > ჰუნზ. ბუჰლო „მიცვალეული“ ...

იმის დასასაბუთებლად, რომ ისტორიულად დიდ. ლ' და ლ ერთმანეთისგან არ განირჩეოდა, მოვიყვანო რამდენიმე მაგალითი: ა) ხუნძ. ჰჷე ~ ანდ. ხოდ : ბოთლ. ხჷად ~ საკ. დიდ. ლ' ჷად : ხვარ. ლ'ჷე „ძალი“ (ასეთივეა: „გაღება“, „წისქვილი“...); ბ) ხუნზ. დედო ~ ანდ. დანნი : ბოთლ. დანდი ~ საკ. დიდ. ლ'ჷადი : ხვარ. ლ'ად „ყვავი“ (ასეთივეა: „ბარძაყი“, „პატარა ზვინი“ და მისთ.).

ბუნებრივია, დასმის კითხვა: თუ დიდ. ლ' ამოსავალია, მაშინ როგორ მოხდა პოსტულატად აღებული *ლ'-ს არაერთგვაროვანი რეფლექსაცია?

უნდა აღინიშნოს, რომ ე. ლომთაძე შემოწარმოდგენილ შესატყვისობათა მართებულობას იზიარებს [ლომთაძე 1962 : 296; 1998 : 145], მაგრამ პირველ შესატყვისობაში (ხუნზ. ჰ : ს.-ანდ. ხ : ს.-დიდ. ლ) ფონეტიკური პროცესი ასე წარმოუდგენია: ლ' > ხ > ჰ, რაც სარწმუნო არ ჩანს [იხ. თალიბოვი 1988 : 155]. თავისთავად ფაქტის კონსტატაცია, რომ ლ' შეიძლება იყოს როგორც ერთი შესატყვისობის, ისე მეორე შესატყვისობის წევრი, მის მეორეულ წარმომავლობას ეჭვმიუტანელს ხდის.

2) რაც შეეხება მეორე ფარინგალიზებულ ხ' სპირანტს, რომელიც მარტოოდენ დილოური ენის ზოგ თქმაში (მოყოფი, ხეთოხი...) შეინიშნება, მისი გენეზისის შესახებ მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობაა: დ. იმნაიშვილი ფარინგალიზებულ ხ'-ს მიიჩნევს ამოსავლად [იმნაიშვილი 1963 : 30], რ. რაჭაბოვი კი ჩვეულებრივ ხ-ს აღადგენს [რაჯაბოვი 1997 : 103].

უნდა აღინიშნოს, რომ დილოურ ენებში სამი განსხვავებული წარმომავლობის ხ დასტურდება, რომელთა ერთმანეთისაგან მკაფიოდ გარჩევა ყოველთვის ვერ ხერხდება მიუხედავად იმისა, რომ ხუნძურ-ანდიურ ენებში სხვადასხვა რეფლექსები აქვთ: *ხჷ > ხ, *ჷ' > ხ, *ჷჷ > ხ [გუდავა 1979 : 120, 126].

ხუნძურ-ანდიურ-დილოურ ენათა სათანადო მონაცემების ურთიერთშედარებით ირკვევა, რომ დილოურ ენათა ერთ-ერთი ფარინგალიზებული ხ' მიღებულია ინტენსიური ხჷ-ს ტრანსფორმაციით (ხჷ >

ხ' > ჰ>), მაგ.:

1. ხუნდ. ხაუნა „შეხვრიპა“ ~ ბოთლ. ხაულუ- : ჭამ. ხედ : ტინდ. ხაო „შესვა“ ~ საკ. დიდ. ხ'ალ'ჟა, ჰალ'ჟა (დიალ. ვარ.): ხვ. ხილ'ა, ინხ. ხულ'ა : ჰუნზ. ხულ'ა, ბეჟ. ხულ'ალ „ხვრე-პა“, „სმა“.

2. ხუნდ. იხა ~ ახვ. ი^ნხჟ, ინხე „ნაკადი“ ~ საკ. დიდ. იჰ>უ, იხ'უ (დიალ. ვარ.): ჰინ. ციხუ : ხვ. ცი^ნხუ (ინხ. ცე^ნხუ): ბეჟ. ცე^ნხე „მდინარე“.

3. ხუნდ. ხინკ ~ ჭამ. ხინჭ (< *ხინკ) : კარ. ხინკად ~ საკ. დიდ. ხ'აკო, ჰაკო⁴¹ (დიალ. ვარ.) : ჰინ. ხოკო : ხვარ. ხიკო : ბეჟ. ხოკა (ჰუნზ. ხანკ-ალ) „ხინკალი“.

დასტურდება რამდენიმე მაგალითი, რომლებშიც, საფიქრებელია, ხ' < *ხ : ხუნდ. მეჰედ ~ ბოთლ.: ლოდ. ნიხი : ჭამ. ნიხ : ტინდ. მიჰი : კარ. ნიხე ~ საკ. დიდ. ხ'ამორი, ჰამორი (დიალ. ვარ.) : ჰინ. ხემა- (შდრ. ხემა-როკუ ზედმიწ. „მკერდ-გული“) : ხვარ. ჰუმან- (შდრ. ჰუმან-ლოკო ზედმიწ. „მკერდ-გული“) : ბეჟ. ლედო (ჰუნზ. ლერუ) „მკერდი“. ანალოგიურ შემთხვევებში *ხ-ს ცვლილების გზა ასე წარმოიდგინება: *ხ > ხ' > ჰ> (საკ. დიდ.), *ხ > ლ (ბეჟ.), *ხ > ჰ (ხვარ.).

არცთუ იშვიათად ფარინგალიზებული ხ' ისტორიულად უცვლელ ღ-ს უკავშირდება:⁴² ხუნდ. მად ~ ბოთლ.: ლოდ.: ჭამ.: ბაგვ. მილა ~ საკ. დიდ. მახ'ი, მაჰი (დიალ. ვარ.) : ჰინ. მიჰი : ხვარ. მი^ნჰი^ნ (ინხ. მიჰე) : ბეჟ. მილ (ჰუნზ. მილ) „კული“, „ღუმა“.

მაშასადამე, დილოურ ენაში თავჩენილი ხ'-ს სხვადასხვა არქიფონემა უღევს საფუზძვლად, რაც იმის მაუწყებელია, რომ იგი წარმოქმნილია გვიან და დილოური ენის ფარგლებს არ სცილდება.

3) ახვასურ ენაში დაცულ, ამოსავალ *ჰ'-ს ხუნძურში ხ შეესატყვისება, დილოურში — ჰ, ხ [ტრუბეცკოი 1987 : 256; ლომთაძე 1962 : 292; გულავა 1979 : 120-121].⁴³

ე. ლომთაძის შეხედულებით, ამ ბევრათშესატყვისობისათვის არქიფონემად დიდ. ენათა ფარინგალიზებული ჰ' არის მიჩნეული და ახვასურ ჰ'-ს გათანაბრებული [ლომთაძე 1962 : 292].

⁴¹ ჰაკო < ხ'აკო [იმნაიშვილი 1963 : 30].

⁴² ამას არც ე. ლომთაძე უარყოფს [ლომთაძე 1998 : 144].

⁴³ ცხადია, ტავ' („დანა“) და სხვა მისთანა ლექსემებში ჰ' სულ სხვა წარმომავლობისაა, ვინაიდან ამოსავალი ჰ', რომელიც ახვასურმა დაიცვა, დიდ. ენებში ხ-ს სახით არის წარმოდგენილი [გულავა 1979 : 121].

ეფიქრობთ, რომ ფარინგალიზებული ვ' დიდ. ენებში, თავისი ლოკალური რიგის სხვა თანხმო-
ვანთა მსგავსად, მეორეული წარმომავლობისა ჩანს. კერძოდ, იგი გენეზისურად ს.-ხუნდ.-ანდ. ყა-ს
უკავშირდება, მაგ.: ხუნდ. ყაებ ~ ბოთლ. ყაუბუ : ჭამ. ყაობ : ახვ. ყაობე ~ საკ. დიდ. ვ'უ „ხის
კავი“, „ოქოქა“; ხუნდ. ჟა-ყა ~ საკ. დიდ. ჟა-ვ'ულ' „დღეს“, შდრ.: ხუნდ. ყაედ ~ ბოთლ. ყაინდა :
ახვ. ყაენდა ~ საკ. დიდ. ვილო : ხვარ. ვოდ „კედელი“.

ფარინგალიზებული აფრიკატები ვ', ყ' არაიშვიათად ნასესხებ მასალაშიც დაჩნდება, რაც აგრეთ-
ვე მათ მეორეულ წარმომავლობას უჭერს მხარს. საილუსტრაციო მაგალითები: საკ. დიდ. : ვ'ალ (<
ხუნდ. ვალ) „ხის ქერქი“, ვ'აჭაუ (< ხუნდ. ვაჭაბ) „გამოფიტული“, ვ'ანჩ (< სომხ. ხაჩ) „ჯვარი“,
ნაყ'იმ (< თურქ. ნაყიმ) „მონატულობა“, „ნახჭი“, ყ'აჭოზი (< ხუნდ. ყაჭაზე) „მომზადება“ და სხვ. მრ.

4) ფარინგალიზებულ ყრუ აბრუპტივ ყ'-ს ხუნდურში ზ შეესატყვისება, ხოლო ანდიურში
— ყ, ლ, ზ, ზ. საერთო ამოსავალი ყ' დაცულია ახვასურ ენაში [გუდავა 1979 : 136; შდრ. ბოკარევი
1981 : 34].

საერთო ამოსავალი	ხუნდ.	ანდ.	დიდ.	
ყ'	ჟ	ყ'	ყ'	
	რაჭიზე	ბიყ'არი	რეყ'ა	„ცოდნა“
	ჭეზე	ბიყ'უ	ბაყ'უ	„ბეკრი“
	უნჭ-გუ	ბო-ყ'ო-გუ	უყ'ყ'უე-ნ	„ოთხი“
	მაჭო	მოყ'ო	მოყ'უ	„ცრემლი“
	მაჭ	მიყ'ე	მუყ'	„ლურსმანი“

ზემოწარმოდგენილი შესატყვისობის გვერდით დასტურდება მეორე რიგის შესატყვისობა: ხუნდ.-
ანდ. კა : დიდ. ყ', მაგ.: ხუნდ. ჟუნკა ~ ანდ.: ბოთლ. კჭენ ა ~ საკ. დიდ. აყ'უ, „თავი“;
ხუნდ. რო ენ ~ ბოთლ. მა უ-ღ ~ ხვარ. ბუყ'ონ „ნემსი“.

დიდლოურ ენებში ფარინგალიზებული ყ'-ც და მისი კორელატიც (ყ) ბგერათიგივეობას გვიჩვენ-

ნებს.⁴⁴


ამ შესატყვისობათა შეპირისპირებიდან ცხადი ხდება, რომ ყ' ორგვარი გენეზისისა (ყ' < აზვ. ყ'; ყ' < კა), რაც აგრეთვე მის გვიანდელ წარმოქმნას ადასტურებს.

ამრიგად, არნ. ჩიქობავას ცნობილი დებულება, რომ „ფარინგალიზებული ფონემების... მეორეულობა სათანადო ენათა ფონემატურ სისტემაში ეჭვს არ უნდა იწვევდეს“ [ჩიქობავა 1979 : 63], დილოური ენების უკანაველარულ სპირანტთა (ღ, ხ) და ფარინგალურ აფრიკატთა (ჟ, ყ) ფარინგალიზებული კორელატების გენეზისის ჩვენებითაც მტკიცდება. აქედან გამომდინარე, დილოური ენები ინოვაციით გამოირჩევიან — ფარინგალიზებული ფონემები აინის (ან მისი მჟღერი ჟ ვარიანტის) საკომპენსაციო რედუქციით ჩანან ჩამოყალიბებული [არდოტელი 1998 : 104]. საანალიზო თანხმონები დილოურ ენათა ერთი წყების კუთვნილებაა და მათი ხუნძურ-ანდიურ-დილოურ ფუძეენაში არსებობის მტკიცება საფუზძველს მოკლებულია.

ზემოგანნილული ფონეტიკური პროცესების მიხედვით, საერთო-ხუნძურ-ანდიურ-დილოური კონსონანტური სისტემის თანდათანობითი ცვლილებების ქრონოლოგიზაციის სურათი სქემატურად ასე გამოიხატება:²⁸⁹

⁴⁴ ასახურ თქმაში ინტერვოკალური ყ' > ღ [იმნაიშვილი 1963 : 20].

²⁸⁹ სიმარტივისათვის მოგვყავს მხოლოდ ის თანხმონები, რომელთაც ესა თუ ის ცვლილება (ძირითადად, სპონტანური) განიცადეს



შესატყვისობანი

2.13. ხშული (ხშულ-მსკლომი) თანხმოვნები

2.13.1. ზოგადი. ხუნძურ-ანდიურ-დილოური ფუძეების ფონოლოგიური სისტემისთვის, ზოგ სხვა იბერიულ-კავკასიურ ენათა ანალოგიურად, ნიშანდობლივი უნდა ყოფილიყო ხშულთა (resp. ხშულ-მსკლომთა) სამწვერიანი და ხუთწვერიანი ლოკალური რიგები. სამწვერიანი რიგის სახით წარმოდგენილი იყო ბილაბიალური (ბ, ფ, პ) და დენტალური (დ, თ, ტ) თანხმოვნები, ხოლო ხუთწვერიანი რიგი დამახასიათებელი ჩანს წინაველარული (ბ, ქ, ქგ, კ, კგ) თანხმოვნებისათვის. ამჟამად წყვილბაგისმიერ რიგს ხუნძ.-ანდ. ენებში აკლია ყრუ აბრუპტივი პ.⁴⁵

2.13.2. ბილაბიალური ხშულები. ბილაბიალურ ხშულთა ნულოვანი რეფლექსაციის ფორმულები, რომელთა საფუძველზედაც ხდება მათი რეკონსტრუქცია, სქემატურად ასე გამოიხატება:

*	ხუნძ.	ანდ.	ბოთლ.	ლოდ.	ჭამ.	ტინდ.	ბაგვ.	კარ.	ახვ.	საკ. დიდ.	ჰინ.	ხვარშ.	ბეჟ.
ბ	ბ	ბ	ბ	ბ	ბ	ბ	ბ	ბ	ბ	ბ	ბ	ბ	ბ
ფ	ფ	ფ	ფ	ფ	ფ	ფ	ფ	ფ	ფ	ფ	ფ	ფ	ფ
პ	*პ	*პ	*პ	*პ	*პ	*პ	*პ	*პ	*პ	პ	პ	პ	პ

ა. ბილაბიალური ხშულ-მსკლომი მქლერი *ბ:

1. ხუნძ. ბაწ ~ ანდ. ბოწო : ბოთლ.: ლოდ.: ჭამ. ბაწა : კარ. ბაწე : ახვ. ბაჭა ~ საკ. დიდ. ბოწი : ჰინ. ბოწე : ხვარშ. ბოწა : ბეჟ. ბაწო „მგელი“.

2. ხუნძ. ბაყ ~ საკ. დიდ.: ჰინ.: ხვარშ. ბუყ : ბეჟ. ბოყ „მზე“.

3. ხუნძ. ბოროხ ~ ანდ. ბერჩა : ბოთლ. ბერქა : ლოდ. ბერქ ა : ჭამ. ბერა : ტინ.: ბაგვ. ბეჩ ა : კარ.: ახვ. ბექა ~ საკ. დიდ. ბიქორი : ჰინ. ბიქორე : ხვარშ. ბეროლა : ბეჟ. ბექელა „გველი“.

⁴⁵ აბრუპტივი პ-ს საკითხი ცალკე განხილვას საჭიროებს, ვინაიდან იგი ოდენ დილოურ ენათა ძირეულ ლექსიკის მცირე ნაწილში იჩენს თავს [გუდავა 1979: 81; შდრ. ლობთაძე 1998: 39-40].

4. ხუნდ. ხიბილ ~ ანდ.: ბოთლ.: ლოდ. ისიბ : ჭამ. ესიბ : ტინდ. ესაბა : ბაგვ. ესებლი : კარ. ესებო : ახვ. ეშიბლა ~ საკ. დიდ.: ჰინ. ჟიბრა : ხვარშ. ჟებლა : ბეჟ. შებლო „ნიკნი“, „გვერდი“.

5. ხუნდ. ლ'აბ- ~ ანდ. ლ'ობ-: ბოთლ.: ლოდ.: ჭამ.: ბაგვ.: ტინდ.: კარ. ლ'აბ-: ახვ. ლ'აბ ~ საკ. დიდ.: ჰინ.: ხვარშ. ლ'ო- (< *ლ'ობ-): ბეჟ. ლ'ა- (< *ლ'აბ-) „სამი“.

6. ხუნდ. ბ- ~ ს.-ანდ. *ბ- ~ ს.-დიდ. *ბ- „III გრ. კლასის ნიშანი“.

ბ. ბილაბიალური ხმულ-მსკლომი ყრუ ფშვინვიერი *ფ:

1. ხუნდ. ფახ ~ ბოთლ.: ტინდ.: კარ. ფახ ი : ჭამ.: ბაგვ.: ფახ ~ ჰინ. ფაქ : ბეჟ. ბაქ (<

*ფაქ) „სპილენძი“.

2. ხუნდ. ფირხანა ~ ანდ. ფირხუნნი : ბოთლ. ფირხილე : ლოდ. ფირხილი : ჭამ. ფირიდი: ბაგვ. ფირხირი: კარ. ფირხე : ახვ. ფირხერი „გაიელვა“ ~ საკ. დიდ. ფოლ'ა „აფეთქება“, ფერ „მეხის დაცემა“:⁴⁶ ბეჟ. ფრ (შდრ. ჰუნზ. ფერ „id“.) „მეხი“.

3. ანდ.: ბოთლ.: ლოდ.: ტინდ.: ბაგვ.: კარ. ფერა : ჭამ. ფიდა⁴⁵, ფენ : ახვ. ჰერა (< *ფერა) ~ ხვარშ. ფარ (ინხ. ფორ), ბეჟ. დოპა (<როპა < *პორა < *ფორა) „ფუტკარი“, „დედა ფუტკარი“.

4. ხუნდ. ფუ-ზე ~ ანდ.: ლოდ. ფუ-დი : ბოთლ. ფუ-დ-უ : ჭამ. ფუ-ლა : ტინდ.: ფოჟ-ო : ბაგვ. ფუ-რ-ი : კარ. ფუ-დ-ე : ახვ. ჰჟე-რი (< *ფეე-რი) ~ საკ. დიდ. ფჟალ'ჟ-ა, ფელ'ჟ-ა : ბეჟ. ფჟლ'-ვლ⁴⁷ „ბერვა“, „ქროლა“.

5. ანდ.: ბოთლ.: ლოდ. ფაფა : ტინდ.: ბაგვ.: კარ. ფაფაბ „მსუბუქი“ ~ საკ. დიდ.: ბეჟ. ფაფა-ტუ „პეპელა“.⁴⁸

6. ხუნდ. ფოლოფ ~ ანდ. ფოლ : ბოთლ. ფოლოფ : ლოდ. ფალი ~ ბეჟ. ფოფ „ქაფი“.

გ. ბილაბიალური ხმულ-მსკლომი ყრუ აბრუპტივი *პ. საყურადღებოა, რომ წყვილბაგისმიერ

⁴⁶ საპ. ფირი („ჭექა-ქუხილი“) ხუნდურისაგან ჩანს ნასესხები (შდრ. ხუნდ. ფირი „id“.).

⁴⁷ ბეჟ. ფუხლ'-ა (ჭიხვინი“, „ფრუტუნ“) ბგერწერთი ლექსემა და სხვა ფუძის შემცველი ჩანს [შდრ. გულავა 1979: 70].

⁴⁸ „მსუბუქი“ > „პეპელა“ სემანტიკური გადასვლა მოსალოდნელია, თუ იგი ნასესხობა არ არის (შდრ. ქართ. ფარფატი).

ხმულთა რიგის მესამე წევრი — აბრუპტივი პ არ დასტურდება საკვლევ ენათა მეტ წილში. სიმ-პტომატურია წყვილბაგისმიერი არტიკულაციის შესუსტებისა და, აქედან გამომდინარე, ბაგისმიერი ხმულთა მოშლის თვალშისაცემი ტენდენცია [ჩიქობავა, ცერცვაძე 1962: 43, 56-58]. ლაბიალური რიგის ფონემათა რღვევა, როგორც სტრუქტურული ტიპოლოგია ცხადყოფს, იწყება მკვეთრებიდან. ამ კუთხით ინტერესს იწვევს სწორედ შემოსხენებული პ-ს უქონლობა ხუნძურის ჩრდილოურ დიალექტსა და ანდიურ ენებში.⁴⁹ პ გრამატიკული ფუნქციით არც დილოურ ენებში შეიმჩნევა.

ისმის კითხვა: მოეპოვებოდა თუ არა პ ხუნძურ-ანდიურ-დილოურ ფუძეენას?

სპეციალურ ლიტერატურაში ამ საკითხის შესახებ აზრთა სხვადასხვაობას ვხვდებით: ერთნი პ-ს ამოსავალში ჰიპოთეზურად აღადგენენ [ბოკარევი 1961 : 61; 1981 : 19; ჩიქობავა, ცერცვაძე 1962 : 44; გონიაშვილი 1969 : 216, 221, 224; დეშილ 1971 : 32, 51; ლომთათიძე 1976 : 148-150; ლომთაძე 1998 : 39; კახაძე 1998 : 49...], ხოლო სხვანი მას მეორეულად მიიჩნევენ [ტრუბეცკო 1987 : 248; როგავა 1955 : 279, 282; გუდავა 1979 : 54, 81; გიგინეიშვილი 1977 : 67, 81...].

დილოურ ენათა სათანადო ლექსიკური მასალის განხილვისას პ მეტწილად ნასესხებ სიტყვებში წარმოჩნდება, მაგ.: საკ. დიდ. ტაპო (შდრ. ხუნზ. ჭაპური „id“.), ჰინ. ტაპოლოქო < ტაპო+ლოქო⁵⁰ (შდრ. ხვარ. ლოქტო, ბეჟ. დაქო „ნაკელი“) „ნაკელშერეული თხევადი ჭუჭყი“, „თხევადი ნაკელი“, ხვარ. ტაპო „ახალი ნაკელი“; ჰინ., ჰუნზ. აპა (< რუს. лаяа) „თათი“, „საფეხური“; ბეჟ. სიპი (<ქართ. სიპი, შდრ. გუდავა 1979 : 81) „ქვის ფილა“, პოროპკა (< რუს. пробка) „საცობი“, ღიპი (< ქართ.) „ღიპი“, ჰიპილა (< ქართ.) „პეპელა“; საკ. დიდ. პაპარა (<ქართ. პარპალი) „თვალის დახამხამება, ჭუჭყა“, კუპლა (<ქართ. კუმპალა) „ფოჩი“...

ზოგ ძირეულ სახელში პ მეორეული წარმომავლობისა უნდა იყოს: ტამპურ (<ტამბურ)⁵¹ „ერთგვარი საკრავი“, პეზ < *ბეზ (დისიმილაციური გამკვეთრებით, შდრ. საკ. დიდ. პერზე-კუ < პეზეკ-რუ „მოლავებ“, „ენაკვიმატი“) „ნაქი“, „სალამურის ენა“, ხვარშ. ჰობოჟე < ჰობოჟე (შდრ.

⁴⁹ ახვ. პ < ბ (ასიმილაციით): აადა < აბჟადა (დალ. ვარ.) „ცხრა“. კარ.-ში პ-ს ფონემის სტატუსი არ აქვს [მაპომეღბეკოვა 1967, 15; 1971, 14]. ბ > პ პროცესი გავრცელებულია ხუნძურშიც [ჩიქობავა, ცერცვაძე 1962 : 43].

⁵⁰ ტაპო < ქართ. ტაპო [მეგრულიძე 1955 : 238; გუდავა 1979 : 81]. თუ ეს დაკავშირება სწორია (შეიძლება პირიქითაც ვივარაუდოთ), მაშინ ტაპოლოქო კომპოზიტი ჩანს — ლოქო „ნაკელი“ (შდრ. ხევს. ლოვი „ჭუჭყი“).

⁵¹ იხ. ჩიქობავა, ცერცვაძე 1962 : 43; ჯეირანიშვილი 1966 : 354.

საკ. დიდ. ჰობოუე „id“. „ახლა“ და მისთ.

ზემომოყვანილ ნასესხობათა გარდა, შეინიშნება ჰ-ს შემცველი ისეთი სახელებიც, რომელთა ეტიმოლოგიზება კვლევის ამ ეტაპზე ვერ ხერხდება. ამ წყების ძირეულ სახელებს განეკუთვნება: საკ. დიდ. ტაპი „გამრავლება“, ტაპანადა (შდრ. ხუნზ. ტაპიზე)⁵² „დარტყმა“, „ტყლაშუნი“, ხუპრი „აულის სახელი“, გუპ „გორი“, „წანაზარდი“, პაპანი „ყაყანი“, „ლაცობა“, პელეყუ „კოჭი“, „გირჩა“, პობოლ¹-ა (საკ.) „ცემა-ტყევა“, პეპრუ „მსუქანი“, პაპია „გამხდარი“, „საწყალი“, ეპლიფი „ერთ-ერთი გვარიშვილობის სახელი“, ბუპდოლი „უვარგისი“...; ხვარ. ტეპლ¹ა „ქალის ცერემონიალი ადამიანის სიკვდილის დროს“, ზიპირი „ზედმეტი სახელი“...; ბეჟ. პაპ „დამურა“, პომპოლოყ „სულელი“ (წყევლის მნიშვნელობით), ლ¹ირიპ „ზღმარტლი“, პერაზო „კანაფი“, კამპ-უხ „ბზრიალა“, ყა პლ¹ ლ-ალ „დაკაკუნება“, კაპე „ბელი“, პერლოლი „ბრტყელი“ და სხვ.

დასტურდება ისეთი მაგალითებიც, რომელთა ძირეულ მორფემებში თავჩენილი ჰ-ს დისტრიბუცია თავისუფალია და ნულოვანი რეფლექსაციით არის წარმოდგენილი, რაც მის საერთო-დილოურ წარმომავლობას გვაგვარულებინებს, მაგ.: საკ. დიდ.: ჰინ. პაპარუ : ხვარ. პაპალუ : ბეჟ. პაპპლო „ქაჩალი“, „მოტვლეპილი“ საკ. დიდ. ტეპერუ.⁵³ ჰინ. ტეპრუპ : ხვარ. ტეუპურუ, ტეპერუ (დიალ. ვარ.) : ბეჟ. ტეიდუ 1. „ქერის ფქვილისგან დამზადებული ერთგვარი ნამცხვარი“; 2. „ალაო“ და მისთ.

უნდა აღინიშნოს, რომ დილოურ ენაზე მოსაუბრე ხალხები ჰ-ს თავისუფლად გამოთქვამენ [ლომთაძე 1963 : 39; შდრ. 1998 : 39].

ჩვენი ვარაუდით, აბრუპტიული ხმული ჰ უნდა გვეჩინოდა იმ დიალექტში, რომელიც საფუძვლად დაედო დილოურ ენათა ქვეჯგუფს. ხუნძურ-ანდიურ ფუძეენაში მისი პოზიციების დასაბუთებას დამატებითი მასალის საფუძველზე ჰ-ს რეფლექსების გამოვლენა სჭირდება. მარტოოდენ ბაგისმიერთა მოშლის ზოგადი ტენდენციისა [უსლარი 1889 : 9] და სისტემის სიმეტრიულობის არათანმიმდევრულობის გამო, ჰ-ს პოსტულირება ხუნძურ-ანდიურ ფუძეენაში მოკლებული იქნება დამაჯე-

⁵² ხუნძ. ტაპიზე სხვადასხვაგვარად არის ასხნილი [იხ. მიქაილოვი 1958 : 150; შდრ. გუდავა 1959 : 80-91; ჩიქობავა, ცერცვაძე 1962: 43].

⁵³ ტეპერუ კომპოზიტი ჩანს (ტფ „ალაო“ — პერუ? შდრ. ქართ. პური). მისი პირველი კომპონენტის ტ⁰ (<*ტ¹) კანონზომიერ შესატყვისებს გვიჩვენებს: ხუნძ. ტი (<ტ¹ი) ~ კარ. ტ¹ი⁵: ახვ. ტ¹ინი ~ საკ. დიდ. ტფ „ალაო“.

რებლობას. მით უფრო მაშინ, როცა პ სხვა დალესტნურ ენებშიც მეტად იშვიათად დაჩნდება [გიგინე-იშვილი 1970 : 187; 1977 : 81; კახაზე 1979 : 50; თალიბოვი 1980 : 277...].

უნდა ვიფიქროთ, რომ პ-ს მოშლის დენდენცია ზოგადი სპონტანური პროცესის კერძო გამოვლინებაა და შინაგანი კანონზომიერებებით არის შეპირობებული [შდრ. ლომთაძე 1998 : 39], თუმცა არ უნდა გამოირიცხოს პ-ს უქონელ სხვა წრის (არაბული, რუსული...) ენათა ამ პროცესის დამაჩქარებელი ზეგავლენა. მარტოოდენ არაბული ენის ფაქტორით რომ იყოს შეპირობებული პ-ს გაქრობა, მაშინ მას, უპირველესად, ლაკურ-დარგუელისა და ლეზგიური ქვეჯგუფების ენებში უნდა ეჩინა თავი, რადგანაც ხსენებულ ენებზე აღმოსავლურ ენათა გავლენა ისტორიულად მეტი სიძლიერისა იყო. აქ კი სხვა ვითარებაა: პ, სხვა აბრუპტივებთან ერთად, ხელშესახებად არის წარმოდგენილი უდიურ ენაშიც [სინარულიძე 1987 : 290-293], რომელშიც, ბ. თალიბოვის დაკვირვებით, აბრუპტივთა მოშლის ტენდენცია შეიმჩნევა [თალიბოვი 1980 : 186].

2.13.3. დენტალური ხშულები. კბილისმიერი ხშულები, რომლებიც ბგერათიგივეობებით არიან წარმოდგენილი [გუდავა 1979 : 67, 70, 73], რეკონსტრუირდებიან შესატყვისობის შემდეგი ფორმულების მიხედვით:

*	ხუნდ.	ანდ.	ბოთლ.	ლლ.	ჭამ.	ტინდ.	ბაგვ.	კარ.	ახვშ.	საკ. დიდ.	ჰინ.	ხვარშ.	ბუჟ.
რ	რ	რ	რ	რ	რ	რ	რ	რ	რ	რ	რ	რ	რ
თ	თ	თ	თ	თ	თ	თ	თ	თ	თ	თ	თ	თ	თ
ტ	ტ	ტ	ტ	ტ	ტ	ტ	ტ	ტ	ტ	ტ	ტ	ტ	ტ

ა. დენტალური ხშულ-მსკლომი მჟღერი *დ:

1. ხუნდ. ყედ ~ ბოთლ. ყინდა : ჭამ. ყუნნა (<ყუნდა) : ახვარშ. ყაენდა ~ საკ. დიდ. ვილო : ჰინ. ვეშუ (< *ველუ) : ხვარშ. ვად „კეღელი“.

2. ხუნდ. -ღ ~ ანდ.: ბოთლ.: ლოდ.: ტინდ.: კარ. -ღი : ჭამ.: ბავვ. -ღ: ახვ. -ღ ~ საკ. ღიდ.: ჰინ. -ღ: ხვარშ.: ბეჟ. -ღ (>-ტ) „ერგატივის ისტორიული ნიშანი, რომელიც ღიდ. ენებში ამჟამად ისტრუმენტალისის სუფიქსად გამოიყენება“.⁵⁴

3. ხუნდ. ღუნ ~ ანდ.: ბოთლ.: ლოდ.: კარ. ღენ : ჭამ. ღი⁵ : ტინდ. ღე ~ საკ. ღიდ. ღი : ჰინ. ღე : ხვარშ. და : ბეჟ. ღო, ღა (ღიალ. ვარ.) „მე“.

4. ხუნდ. ღელო ~ ანდ. ღანნი (< *ღანდი) : ბოთლ.: ლოდ.: ტინდ.: ღანდი : ჭამ. ყ⁵ღ-ღან (< *ყ⁵ღ-ღანდ): ბავვ. ღანღე ~ საკ. ღიდ. ღ⁵ღადი : ჰინ. ღ⁵ღადე : ხვარშ. ღაღა : ბეჟ. ღადე „ყვავი“.

5. ხუნდ. ჭადალ (შდრ. ბაცბ. ჰად „id“) ~ საკ. ღიდ.: ჰინ. ათა (<*აღ) : ხვარშ. ა⁵თა (<ანღა < ნაღა) : ბეჟ. ა⁵ღა < ნ⁵ღა (ჰუნზ. ა⁵ღა < ნაღა) „ტვინი“.

6. ხუნდ. გორღე ~ ბავვ. გურ (<*გურღ) : კარ.: ახვ. გორღი ~ საკ. ღიდ. გედ : ხვარშ. გიდ „კაბა“.

ბ. ღენტალური ხმულ-მსკლომი ყრუ ფემინივიერი *თ:

1. ხუნდ. თურანა ~ ანდ. თურღი : ბოთლ. თამღე : ჭამ. თან : ლოდ. თუღი : ჭამ. თუღ : ტინდ. თ⁵ო⁵ო : ბავვ. თური : ახვ. თ⁵ერი „მოღუნა“, „მოაბრუნა“ ~ საკ. ღიდ.: ჰინ. Øუთ-ა „ტრიალი“, „ღუნვა“, „დაბრუნება“.

2. ხუნდ. თუ-ნა ~ ანდ.: ლოდ. თუ-ღი : ბოთლ. თუ-ღე : ჭამ. თუ-ღ : ბავვ. თუ-რ-ი : კარ. თუ-ღ-ე : ახვ. თ⁵-ე-რი „გადააფურთხა“ ~ საკ. ღიდ. თი-ღ¹-ა : ბეჟ. თ⁵-ღ¹-ალ (ჰუნზ. თი-ღ¹-ა) „ფურთხება“.⁵⁵

3. ხუნდ. ბურთინა ~ ბოთლ.: ლოდ.: კარ. ბურთინა : ჭამ. ბოთუ⁶ : ახვ. მუთინა ~ საკ. ღიდ. ბუთნი : ხვარშ. ბუთნუ (ინზ. ბუთნი) : ბეჟ. ბურთინა⁵⁶ „ქეჩა“, „ნაბადი“.

⁵⁴ ე. ლომთაძის მართებული მოსაზრებით, ღიდ. ენებში ერგატივის ოდინღელი ნიშანი შემონახულია ინსტრუმენტალისის ნიშნის სახით, რომელიც ერგატივის ნიშნად -ტი (< *-ღი) სახესხვაობით რელიქტურად დაჩნდება ხვარშ. და ბეჟ. ენებში [ლომთაძე 1956 : 303-305; 1998 : 132; იხ. აგრეთვე ცერცვაძე 1962 : 278].

⁵⁵ ამ შესატყვისობის საილუსტრაციოდ სახელდება ოდენ ეს მაგალითი და ისიც ხმაბაძვითი ჩანს [იხ. გუღავა 1979 : 70].

⁵⁶ ბეჟიტურსა და ზოგ ანდიურ (ბოთლ., ლოდ., კარ.) ენაში ბურთინა შესაძლოა ხუნძურისაგან იყოს შეთვისებული, მაგრამ ეს შესატყვისობის არსს ვერ ცვლის.

4. ხუნდ. თანა ~ ანდ.: ბოთლ.: ლოდ.: ჭამ.: ბავვ. ბეთა : ტინდ. ბეთო : ახვ. ბეთარა „მიატო-ვა“ ~ ბეჟ. მეთას „სხვა“, „მიტოვებული“.

5. ხუნდ. ჩჟუთ (ჰიდ. შჟუთ) ~ საკ. ლიდ. შეთრო : ჰინ. შოთრა „ხვლიკი“.

6. ანდ.: ბოთლ.: ლოდ.: ბითა : ჭამ.: ბავვ. ბითა⁵ : ტინდ. ბითო ~ საკ. ლიდ. ბეთა „ლაკარ-გვა“.

გ. ლენტალური სშულ-მსკლომი ყრუ აბრუპტივი *ტ:

1. ხუნდ. ტუტ ~ ანდ. ტენტა : ბოთლ.: ლოდ.: ტინდ.: კარ. ტუნტუ : ჭამ. ტუნტ : ბავვ. ტუნტე : ახვ. ტიტი ~ საკ. ლიდ.: ჰინ.: ხვარშ. ტუტ : ბეჟ. ტოტ (ჰუნზ. ტონტ) „ბუზი“.

2. ხუნზ. ტუნა ~ ანდ. ტინნი : ბოთლ. ტინდი : ჭამ. ტედ : ტინდ. ტინო : ბავვ. ტინი : კარ. ტინდე : ახვ. ტინერი „დასხა“ ~ საკ. ლიდ. ეტე-ა : ჰინ. ოტ-ა : ხვარშ. გიტ-ა, გუტ-ა : ბეჟ. გიტ-ალ „დასხა“.

3. ხუნდ. შატ ~ ლოდ. ჰატი : ჭამ.: ბავვ. ჰატ : ტინდ. ჰატა : ახვ. ატალი ~ საკ. ლიდ.: ჰინ. გატ : ბეჟ. ჰატტრ (ჰუნზ. ჰატუ) „ფქვილი“.

4. ანდ.: ბოთლ.: ლოდ.: ჭამ.: ტინდ.: ბავვ.: ახვ. ბუტა : კარ. ნიტე ~ საკ. ლიდ. ბეტი : ჰინ. ბეტე : ხვარშ. ბუტა⁵⁷ "vulva".

5. ანდ.: ბოთლ.: ახვ. ტუქა : ლოდ. ტუქა... ~ საკ. ლიდ.: ჰინ. ტექა : ხვარშ. ტექა (ინხ. ტექა, ტუქა) : ბეჟ. ტიგა „ვაცი“.⁵⁸

2.13.4. წინაველარული სშულეზი. წყვილბავვისმიერ-კბილისმიერი თანხმოვნებისაგან განსხვავებით, უკანაენისმიერ ყრუ სშულ-მსკლომ თანხმოვანთა დაპირისპირება ხდება ფონოლოგიურად რელევანტური ნიშნის — ინტენსივობის კორელაციის საშუალებით და სინქრონიულ დონეზე ხუნდურ-ანდიურ

⁵⁷ ხვარ. ბუტა შეიძლება შემოსული იყოს ანდიურ ენათაგან, თუმცა საკ. ლიდ. და ჰინ. ენებში აუსლაუტის ხმოვანი კანონზომიერ შესატყვისობას (ი:ე) ავლენს.

⁵⁸ ტ. გულავას „ვაცი“ გამომხატველი ლექსემა თურქულ ენებისაგან ნასესხობად მიაჩნია [გულავა 1979: 74]. რამდენადაც სხენებული სახელი კანონზომიერ შესატყვისობას ორივე თანხმოვნის (ტ, ქ) მიხედვით ამჟღავნებს [ლომთაძე 1955: 400-435], უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი ყუმუხურში (შდრ. თექე „id“) კავკასიურ ენათაგან ჩანს შეთვისებული.

ენებში მწყობრ სისტემას ქმნის. იგი ისტორიულ სინამდვილეს ასახავს და მნიშვნელოვანწილად არ-
თულებს ამ ენათა კონსონანტიზმის სახეს.

რაც შეეხება დილოურ ენებსა და ხუნძური ენის ზოგ დიალექტს, ამჟამად აქ წარმოდგენილია
წინაველარულთა სამწევრიანი რიგი, რომელიც ხუთწევრიანი რიგის ტრანსფორმაციის შედეგად არის
მიღებული. ამ ენებში ინტენსივობის მიხედვით დაპირისპირების ნეიტრალიზაცია, როგორც ცნობი-
ლია, უნდა განხორციელებულიყო დილოურ ფუძეენაში [ლომთაძე 1962: 287; გუდავა 1979: 54-
55].

ხშულთა სისტემაში თავისებურებას ამჟღავნებენ წინაველარული რიგის ყრუ (ფშვინვიერი) ქ
და მკვეთრი კ, რომელთაც სათანადო მაგარი კორელატები მოეპოვებათ: ქჃ, კჃ. ინტენსივობის მი-
ხედვით დაპირისპირება არ არის ხშულთა ბუნებრივი ფონოლოგიური ნიშანი და, ამდენად, ისინი არ-
სებითად აფრიკატებს ეკედლებიან, რის გამოც ბ. გიგინეიშვილი ქჃ და კჃ მაგარ კორელატებს
ოდეს- ღაც არსებულ აფრიკატთა ხუთეულის ნაშთად მიიჩნევს [გიგინეიშვილი 1970: 189], რაც
ნაკლებ- სარწმუნოა. ხშულთათვის ნიშანდობლივი სამეულებრივი სისტემის ასიმეტრიულობა სწორედ
წინავე- ლარულთა რიგში იჩენს თავს. ამ რიგის ინტენსიური კორელატების (,) ფონეტიკური
რეალიზა- ცია ზოგ მკვლევარს საფუძველს აძლევს, რომ ისინი, ფარინგალურ ყ-სთან ერთად,
აფრიკატებად მი- იჩნიოს და მათ გრაფაში გააერთიანოს [იხ. გუდავა 1964 : 21-23; მაჰმედბეკოვა
1967 : 14].

ჩვენი შეხედულებით, ველარულთა რიგის ხუთეული (ბ, ქ, ქჃ, კ, კჃ) ერთ მთლიან მონოლითურ
რიგს ქმნის და ისინი, როგორც წესი, უნდა გაერთიანდნენ ხშულთა გრაფაში. მათ ასახვას სპი-
რანტთა და აფრიკატთათვის ნიშნეული განხშვის შესუსტება, მაგრამ ეს ნიშანი ირელევანტურია [იხ.
ჩიქობავა, ცერცვაძე 1962 : 38, 51]. ნ. ტრუბეცკოისეული დებულება, რომ „ყველა ხუნძურ-ანდიური
ხშულ-მსკდომი მოკლეა (არაინტენსიურია — ნ. ა.)“ — დაზუსტებას საჭიროებს [ტრუბეცკოი 1987:
249]. დამატებით არგუმენტაციას მოითხოვს აგრეთვე ისიც, რომ მაგარი ქჃ, კჃ რეალიზდებიან აფრი-
კატებად, ხოლო მათი კორელატები (ქ, კ) — ხშულ-მსკდომ თანხმოვნებად. არსებითად ამ მოსაზრე-
ბას იზიარებს ტ. გუდავა, რომელსაც ინტენსიური ქჃ, კჃ წარმოშობით ქ, კ თანხმოვნების კორელატე-

ბად მიაჩნია, რომლებიც აფრიკატიზაციის შემდეგ მოწყდნენ ძირითად ხშულებს და აფრიკატული ბუნება შეიძინეს [გუდავა 1959: 263].

ეგოლუციის თვალსაზრისით, განსხვავება საანალიზო თანხმონებს შორის ხელშესახებად მჟღავნდება: გ, ქ, კ ნულოვანი რეფლექსაციით არიან წარმოდგენილი, ხოლო ინტენსიური კორელატები სხვადასხვაგვარ ტრანსფორმაციას განიცდიან: სპირანტიზაციას (ქ_ა > ხ_ა > შ_ა), ლატერალიზაციას ქ_ა > ლ¹), ლეზბრუპტივიზაციას (ქ_ა > ქ_ა) და ა. შ.

ამ თანხმონათა პოსტულირება ხდება შესატყვისობის შემდეგი ფორმულების მიხედვით:

*	ხუნდ.	ანდ.	ბოთლ.	ლოდ.	ჭამ.	ტინდ.	ბავგ.	კარ.	ახვ.	საკ.ლიდ.	ჰინ.	ხვარშ.	ბეჟ.
გ	გ	გ(ჯ.შ) ⁵⁹	გ	გ(გ)	გ(ჯ.შ)	გ(გ)	გ(ჯ.შ)	გ(გ)	გ	გ	გ	გ	გ
ქ	ქ	ქ(ჩ)	ქ	ქ(ქ)	ქ(ჩ)	ქ()	ქ(ქ ^ჩ)	ქ(ჯ)	ქ	ქ	ქ	ქ	ქ
ქ _ა	ქ _ა (ხ ^ლ)	ქ _ა (ჩ _ა)	ქ _ა	ქ _ა (ქ _ა)	ქ _ა (ქ _ა + ა)	ქ _ა ქ _ა (შ _ა)	ქ _ა (ქ _ა , ჩ)	ქ _ა (ხ _ა)	ხ _ა	ხ _ა (ჰ)	ხ _ა	ხ _ა (ჰ)	ხ _ა (ლ)
კ	კ	კ(ჭ)	კ	კ(კ)	კ(ჭ)	კ(ქ)	კ(კ ^ჭ)	კ(კ)	კ	კ	კ	კ	კ
კ _ა	კ _ა (ქ _ა)	(ჭ)	კ _ა	კ _ა (ქ _ა)	(ა)	კ _ა (ქ _ა)	კ _ა (ქ _ა , ჭ _ა)	კ _ა	კ _ა	ჟ _ა	ჟ _ა	ჟ _ა	ჟ _ა

ა. წინაველარული ხშულ-მსკლომი მჟღერი *გ:⁶⁰

1. ხუნდ. ქეთო (<გიღუ) ~ ანდ.: ლოდ. გელუ : ჭამ. ჭებტა (< *კებტა < *გელა) : ტინდ. გიღუ : ბავგ. ქითუ (< *გიითუ) : კარ.: ახვ. ქეთუ (< *გეთუ) ~ საკ. ლიდ.: ჰინ. კებტუ (< *გელუ) : ხვარშ. კებტუ (< *გიღუ) : ბეჟ. გელო (ჰუნზ. გელუ)⁶¹ „კატა“.

2. ხუნდ. ბუ-გო ~ ანდ. ი < ჟი < ჯი < *გი⁶² (შდრ. ახვ. გი-დი): ბოთლ.: ჭამ. ი-ღა (< *გი-ღა) : ტინდ. გი-გა : ბავგ. ი-რა (< *გი-რა) : კარ. ჰი-ჟა < ჰი-ღა < გი-რა , ი-ღა (< *გი-ღა) ~ საკ. ლიდ. დ-ო-ლ¹ (< *გ-ო-ლ¹): ჰინ. გო-ლ¹ : ხვარშ. გო-ლ¹ე, გო-ლი (დიად. ვარ.) : ბეჟ. გემ, გაღნი „არის“.

⁵⁹ ფრჩხილებში მოქცეულია დილექტური და პოზიციური ვარიანტები.

⁶⁰ ტ. გუდავა მხოლოდ ორიოდე მაგალითს ასახელებს, რომელთაგან „გუგული“ ამკარად ონომატოპოეტურია, ხოლო მეორე („ქვაბი“), ავტორისავე მითითებით, ანდიური ენებიდან უნდა იყოს დიდ. ენებში შესული [გუდავა 1979: 69].

⁶¹ ეს სახელი წარმომავლობით ინდოევროპულია და ძალიან ძველი ნასესხობაა იბერიულ-კავკასიურ ენებში, რასაც ბევრათმესატყვისობის არსებობაც ამტკიცებს [გიგინეიშვილი 1977: 79-80; თალიბოვი 1980: 283-284].

⁶² იხ. ცერცვაძე 1965: 67; გუდავა 1964: 80.

3. ხუნდ. გურგინაბ ~ ანდ. გურგუმა : ლოდ. გირგამუ : კარ. გერგამობ : ახვ. გირგან- ~ საკ. დიდ. გელმაჭიკა⁶³ („დამრგვალუბა“) : ხვარშ. გირმა⁶⁴ : ბეჟ. გომორდიდო (ჰუნზ. გერლუ) „მრგვალი“.

4. ხუნდ. გირანა ~ ანდ. გირდი : ჭამ. გარად : ტინდ. გორლო („ჩათვლიმა“) : ბავვ. გირგირი : კარ. გირე, გირდე (დიალ. ვარ.) „გაგორდა“, „დაწვა“ ~ საკ. დიდ. ერჟა (<*გერჟა) : ჰინ. გორა : ხვარშ. გილ-ა (ინხ. გულ-ა)⁶⁵ : ბეჟ. გულ-ალ „დაღება“, „დაღმა“.

5. ანდ. ჯინჯი (< *გინგი) : ბოთლ. გიგინა : ლოდ.: ტინდ.: ბავვ.: გიგინ : ჭამ. ჯიჯი⁶⁶ (<*გიგინ) : კარ. გიგინ : ახვ. გიგილ, გიგიმ (დიალ. ვარ.) ~ საკ. დიდ. გაგალი : ჰინ. გაგა : ხვარშ. განგე „ყვავილი“.

ბ. წინაველარული ხმულ-მსკლომი არაინტენსიური ფშვინვიერი *ქ:

1. ხუნდ. ბოროხ (< *ბოროქ)⁶⁶ ~ ანდ. ბერჩა (< *ბერქა) : ბოთლ.: კარ. ბერქა⁶⁷ : ლოდ. ბერქა : ჭამ. ბენა (< ბექა) : ტინდ. ბექა : ბავვ. ბექა, ბელჩა (<ბერქა) : ახვ. ბექა ~ საკ. დიდ. ბიქორი : ჰინ. ბუქორე : ხვარშ. ბენოლა (<ბექოლა, შდრ. ინხ. ბექოლ): ბეჟ. ბექელა (ჰუნზ. ბეგა-ლა)⁶⁸ „გველი“, „ჭია“.

2. ხუნდ. ქექე ~ ანდ. ქოქა : ბოთლ.: ახვ. ქაქა : ლოდ.: ბავვ. ქაქა : ჭამ. ჩაჩა (< *ქაქა) : ტინდ. ქექა ~ საკ. დიდ. ქიქი : ხვარშ. ქაქა (ინხ. ქოქო) „ძუძუ“, „ძუძუს კერტი“.

3. ხუნდ. ქან ~ ბოთლ. ქჟანი : ლოდ.: ბავვ.: ქჟანი : ჭამ.: ტინდ. ქჟანი ~ საკ. დიდ. ქჟა : ბეჟ. ქანი „სანთელი“.

⁶³ საკ. დიდ. გელმაჭიკა კომპოზიტი უნდა იყოს: გელმა+ჭიკა (შდრ. ბეჟ. გომორდიდო „id“). ამ კომპოზიტის პირველი კომპონენტი (გელმა) საკუთრივ სიმრგვალის აღნიშვნელი უნდა ყოფილიყო (შდრ. ხვარშ. გირმა „მრგვალი“).

⁶⁴ საკ. ხვარშ. კორკოლულ („id“). ტინდიურიდან არის ნასესხები (შდრ. ტინდ. კორკოლბ „id“).

⁶⁵ იხ. იმნაიშვილი 1963, 26, 34; შდრ. გულავა 1979, 106-107; ბურჭულაძე 1986, 433.

⁶⁶ ილ. ცერცვაძე მაგარ ქ-ს მიიჩნევს ამოსვლად, რასაც სხვა ანდლური და დიდლური ენების მონაცემები არ უჭერს მხარს [ცერცვაძე 1953: 300; შდრ. გულავა 1964: 128].

⁶⁷ ეს სახელი ბოთლურში, როგორც საკ. დიდლურში, „ჭიასაც“ აღნიშნავს [გულავა 1963: 212].

⁶⁸ ქ > გ ჰუნზიბურში განხორციელებულა, რასაც ზოგიერთი ნასესხები სახელი ცხადყოფს: საკ. დიდ., ჰინ. ქიჩორი (შდრ. ჰუნზ. გიჩორი „id“), „ქიჩორი“. ხუნდ. ენის აწ. დიალექტში ანალოგიური პროცესი გვაქვს (ქ>გ) [ცერცვაძე 1948: 144].

4. ხუნდ. ქოღობ ~ ბოთლ. ქჷადლე : ჳამ. ქჷადლ⁶⁹ : ბავ. ქჷად „ხელთ ქონა“ ~ ჰინ. ქჷჷზედ : ბეჟ. ქრ (ჰუნზ. ქორო) „ხელის მტევანი“.⁶⁹

5. ანდ. ქუბ : ბოთლ. ქობი : ლოდ.: ტინდ.: კარ. ქუბა : ჳამ. ქობა („რკინა“) : ბავ. ქუბი ~ საკ. ლიდ.: ჰინ. ქებუ : ხვარშ. ქიბო (ინხ. ქუბუ) : ბეჟ. ქობო „ტყვია“.⁷⁰

6. ჳამ. ჩნ <ქნ) : ტინდ. ქარა : ახვ. ქარი ~ საკ. ლიდ.: ჰინ. ქოდი : ხვარშ. ქოდე : ბეჟ. ქედა (ჰუნზ. ქერა)⁷¹ „თმა“, „თმის ღერი“.

7. ანდ. მოქო : ბოთლ. მაქჷასარ : ჳამ. მაქჷათი : ბავ. მაქჷას : ახვ. მაქჷანე ~ საკ. ლიდ. მექო: ხვარშ. მუქონუ : ბეჟ. *ნუქო (შდრ. ნუქოღო „მშიერი“) „შიმშილი“.

8. ხუნდ. ქჷენ ~ ბოთლ. ინქჷარ : ლოდ. იქუნ : ტინდ. ექუნა ~ ჰინ.: ხვარშ.: ბეჟ. ქენ (შდრ. ხუნდ. ქჷენ) „საჭმელი“.

გ. წინაველარული ხმულ-მსკლომი ინტენსიური ფშვინვიერი *ქა დაცულია უცვლელად ხუნდურში, ანდიურში, ბოთლიხურსა და ლოღობერიულში. ახვ.-ში ქა>წ. ჳამ. და ბავ. ენებში ქა>ქ, ხოლო ტინდ.-ში ქა > წ > შა. ხუნდ. ენის დიალექტებში შემდეგნაირად იცვლება: ქა > ლ' (სიუხი), ქა > წ

(ჰიდ., ანწ.) [გულაგა 1964: 141].

დილოური ენები არაერთგვაროვან რეფლექსებს გვიჩვენებენ: საკ. ლიდ. ქა > წ > ჰ, ჰინ. ქა > ხ, ხვარშ. ქა > ხ > ჰ, ბეჟ. ქა > ხ.

1. ხუნდ. ნაქჷუ, ნაწ'ო (დიალ. ვარ.) ~ ანდ.: ბოთლ.: ლოდ. ნიქჷუ : ჳამ. ნიქე : ტინდ. ნიშჷა (< აქნ.-ანდ. ნიქჷე) : ახვ. ნიწ'ო (< *ნიქაო) ~ საკ. ლიდ. ნიხუ: ხვარშ. ხიხორო (< *ნიხორო): ბეჟ. ნახო (ჰუნზ. ნახუ) „ჩაღა“, „ბზე“.

2. ხუნდ. მიქა ~ საკ. ლიდ. ნახ'უ, ნაჰჷუ, ნეჰჷუ, ნეხჷი (დიალ. ვარ.): ჰინ. ნეხჷი : ხვარშ. ნიჰო (< *ნიხო) : ბეჟ. ნიღე (< *ნიხე) „მუნა“.

⁶⁹ ქოღობ დაკავშირებულია ქჷერ („ხელის მტევანი“) სახელთან. ამავე ზირის შემცველი სახელები უნდა იყვნენ: ლაკ. ქჷა : არჩ.: ლეზგ.: ხინ.: უდ. ქულ: წახ. ქელ: ინგ. ქულგ: ბაცბ. ქოგ „ხელის მტევანი“.

⁷⁰ ხუნდ. ტონი („id“) ხულ სხვა ფუძე ჩანს [გულაგა 1964: 151; შდრ. ლომთაძე 1962: 290].

⁷¹ ფონეტიკურ გარდაქმნათა გრადაცია ამგვარია: ლ > რ > დ.

3. ხუნძ. ქჷუნა ~ ანდ. ბიჩი (< ბიქი) : ბოთლ.: ლოდ. ბიქჷ : ჳამ. ბიც (< ბიცი < ბიჩი < ბიქი):⁷² ტინდ. ბიშო (< ბიწო < ბიქო) : ბავგ. ბიში (<ბიქი): კარ. ბიქე : ახვ. ბიწერი (< *ბიქერი „დაჭირა“, „მოხელთა“) ~ ჰინ. რუხ-ა : ბეჟ. დონ-ალ (ჰუნზ. როხ-ა) „ლაჭერა“, „მოხელთება“.

4. ხუნძ. ქჷზე ~ ანდ. ბუქჷლუ: ბოთლ. ბუქი : ჳამ. ბუქლა : კარ. ბუქჷლა ~ ხვარშ. ლეკჷლა (<*ლექჷლა) : ბეჟ. ბექალ (ჰუნზ. ბექა) „წაქცევა“, „ღავარდნა“.

2.14. ერთი „ანომალიური“ ბეგრათშესატყვისობის შესახებ. ხუნძურ-ანდიურ ენათა უკანაენისმიერ მკვეთრ კ-სა და მის ინტენსიურ კორელატ კა-ს დიდოურ ენებში სხვადასხვა რეფლექსები (კ, ყ, ქ) მოეპოვება, რაც სპეციალისტების აზრთა სხვადასხვაობას იწვევს: ერთნი საერთო ამოსავლად ფარინგალიზებულ ყ'-ს მიიჩნევენ [იმნაიშვილი 1963 : 38], მეორენი — კ-ს [ლომთაძე 1962 : 290-291; შდრ. ბოკარევი 1959 : 32], მესამენი კი აღადგენენ ბოლომდე გაურკვეველი გვარობის კ-ს მისგავსებულ აბრუპტიულ ხმულ (resp. ფარინგალიზებულ მსკლომ) ჳ¹ არქიფონემას [გუღავა 1979 : 191; გიგინეიშვილი 1977 : 137-138].

ჩვენი აზრით, ხუნძ. კ : ს.-ანდ. *კ : ს.-დიდ. *კ შესატყვისობის დარღვევის საკითხი არც დაისმის, ვინაიდან გამონაკლისებად მიჩნეულ მაგალითებში კა > კ პროცესი ზემონსენებული შესატყვისობის წარმოქმნის შემდეგ ხუნძურში ჩანს განხორციელებული. ამ დებულების სისწორეს ცხადყოფს, ერთი მხრივ, სხვა დალესტნურ ენებში ამ რიგის მაგალითების („იყო“, „ორი“...) ერთგვაროვანი რეფლექსაცია [გიგინეიშვილი 1977 : 138], მეორე მხრივ, ზოგი სახელის („ორი“) შინაგანი რეკონსტრუქცია. კერძოდ, კა > კ სპონტანური ფონეტიკური პროცესი ინტენსივობის კორელაციის მოშლის საერთო ტენდენციით უნდა იყოს შეპირობებული.⁷³ ინტენსიური კა კორელატის შემცველი „ორის“ აღმნიშვნელი ძირი რელიქტურად დანდება ზოგ სახელში,⁷⁴ მაგ.: ხუნძ. დარ-ი-ნ, დორ-კა-ნ (დიალ. ვარ.) ~ ანდ. დორ-ჭი-ნ (<დორ-კი-ნ) : კარ. არ-კჷ-ნ : ბავგ. ჰარ-ჭი-მ (< ჰარ-კი-მ) : ტინდ.:

⁷² იხ. გუღავა 1964 : 141.


⁷³ ამ პროცესის რეალიზაციის კონკრეტული მიზეზები საძიებელია.

⁷⁴ ანალოგიურად უნდა იყოს მიღებული ბუკუნა < *ბუკუნა („იყო“) ჳმნის ძირისეული კ.

ჰარ-კჷი : ახვ. ჰა^ნ-კჷ ~ საკ. დიდ. ყ^უ-ნუ-ლა⁷⁵ : ჰინ. ყ^ჷ-ნუ : ბეჟ. ყუ-ნლ¹ელ⁷⁶ („ტყუპები“)
 „საქონელი ერთი წლიდან ორ წლამდე“.⁷⁷

ამგვარი ინტერპრეტაციით არაინტენსიური კ-ს შესატყვისობიდან დარღვევები გამოირიცხება და შესაბამისი ფორმულა ხუნძურ-ანდიურ-დილოურ ენებშიც გასწორდება.

ყურადღებას იქცევს ინტენსიური კჷ-ს არაერთგვაროვანი ტრანსფორმაცია დილოურ ენებში, რომლებშიც ამოსავალი კჷ ხან ყ-ს გვაძლევს, ხან — ქ-ს. ტ. გულავას ვარაუდით, ხუნძ.-ანდ. კჷ : დიდ. ყ რეალიზებულია ლაბიალური ელემენტის წინ, ხოლო დანარჩენ პოზიციებში გვექნება შესაბა- მისად კჷ : ქ, რაც არსებითად მართებული ჩანს [გულავა 1979: 191]. აქედან გამომდინარე:



ორგვარი ტრანსფორმაცია პოზიციურად რომ არის შეპირობებული, გვიდასტურებს სათანადო შესატყვისობის წევრთა დისტრიბუციული ანალიზი. კერძოდ, ხუნძ.-ანდ. კჷ : დიდ. ყ შესატყვისობა დასტურდება ოდენ #—S, V—S ფონოლოგიურ პოზიციებში, სხვა შემთხვევებში თავს იჩენს ხუნძ.-ანდ. კჷ : დიდ. ქ შესატყვისობა.⁷⁸ თითო საილუსტრაციო მაგალითი: ა) კჷ : ყ: ხუნძ. ღუნკჷ (< *ნიკჷ-ად) ~ ანდ. ჰინკჷა (< *ნი-კჷ-ად): ჰამ. ჰეკჷად (< *ნე-კჷ-ად) ~ საკ. დიდ. აყ^უ (< *ნა-ყ^უ-იდ): ხვარშ. ა^ნყ^ა (< *ნა-ყ^ა-ად) „თაგვი“; ბ) კჷ : ქ: ხუნძ. ~ ანდ.: კარ. კჷარა ~ ბეჟ. ქანლ^ა (ჰუნზ. ქელო „id“.) „კოლო“.

ამრიგად, ირკვევა, რომ „ანომალიური“ შესატყვისობის სახელით ცნობილი ბევრათშესატყვისობა ხუნძ.-ანდ. კჷ ~ დიდ. ქ, ყ წარმოადგენს ჩვეულებრივი სახის კანონზომიერ ფონემურ შესატყვისობას.

⁷⁵ შდრ. ხუნძ. კანლ^ა-ალ („ტყუპები“). ამ სახელის ფუძის თანხმოვანთა შორის ზუსტი შესატყვისობა ვლინდება: კ:ყ, ნ:ჩ, ლ¹:ლ.

⁷⁶ შდრ. საკ. დიდ. ყ^უ-ლა¹, ხვარ. ყ^ა-ლა¹ულა („id“). ამავე ძირისა ჩანს ხვარ. ყ^ო-ლ¹უ (ხვან.) < კო-ლ¹უ (ინხ.) „ფიწალი“.

⁷⁷ თუ ოდინდელი ქართული ნასესხობა არ არის, შდრ. ქართ. ერკემ-ალი [ცერცვაძე 1948: 147].

⁷⁸ თუ პოზიციურად შეპირობებულობას გამოვრიცხავთ, მაშინ დიდ. ენებში აუცილებელი გარღვევალით უნდა დავუშვათ ლუბლუტების არსებობა, მაგ.: საკ. დიდ. ყ^ა-ნო „ორი“ — კო-ხ „ორჯერ“ [შდრ. სტაროსტინი 1995: 46].

ბას. ინტენსიური კა-ს არაერთგვაროვანი რეფლექსაციის ასხნა ხერხდება როგორც შინაგანი, ისე შედარებითი რეკონსტრუქციის მეშვეობით.

2.15. აფრიკატები

2.15.1. **ზოგადი.** სპეციალური ლიტერატურის მიხედვით, ამჟამად ხუნძურ-ანდიურ-დილოურ ენათა ფონოლოგიურ სისტემას მოეპოვება ოდენ ყრუ ფარინგალური აფრიკატები, რომლებიც ინტენსივობის კორელაციას ქმნიან და ოთხწევრიანი ლოკალური რიგებით არიან წარმოდგენილი : არაინტენსიური ფშვინვიერი — ინტენსიური ფშვინვიერი, არაინტენსიური აბრუპტივი — ინტენსიური აბრუპტივი [ტრუბეცკო 1987: 248; გუდავა 1959 : 262]. ამოსავალი მჟღერი აფრიკატების კვალი საკვლევ ენებში არც ამჟამად შეინიშნება და მათი არსებობა არც ფუძეენაში არის სავარაუდებელი.

მართალია, ტ. გუდავა ისტორიულად აფრიკატთა ხუთეულგვრივ სისტემას ვარაუდობს [გუდავა 1958 : 260], მაგრამ მოგვიანებით, სათანადო შესატყვისობათა გამოწვევლილვითი ანალიზის საფუძველზე, იცვლის თვალსაზრისს და აღადგენს მხოლოდ ყრუ აფრიკატებს [გუდავა 1959 : 265; 1964 : 25]. დაახლოებით ანალოგიურ აზრს ადგას ე. ბოკარევი [1958 : 8; 1981 : 37-43]. ვფიქრობთ, სისტემის სიმეტრიულობის პრინციპი მოითხოვს მჟღერი აფრიკატების (ძ, ჯ, ლ, ე) გენეზისის გარკვევას, რომელთა არქტიპების პოსტულირება დარგუეულისა და ლეზგიურ ენათა მონაცემების გათვალისწინებით უნდა მოხდეს. ამისი ცდები სპეციალურ ლიტერატურაში გვაქვს, თუმცა მჟღერ აფრიკატთა არსებობა საკვლევ ენათა დაშლამდე გაურკვეველია [ტრუბეცკო 1987: 280; ბოკარევი 1958: 8-9; გიგინეიშვილი 1977: 82-84]. ამ კუთხით ყურადღებას იქცევს ე. ლომთაძის ორიგინალური მოსაზრება, რომელიც არ იზიარებს ტ. გუდავას დებულებას მჟღერ აფრიკატთა ფუძეენაში უქონლობის შესახებ და მათ გაქრობას უცხო ენათა (არაბულისა და რუსულის) ზეგავლენას მიაწერს [ლომთაძე 1998: 40].

უნდა აღინიშნოს, რომ წინამორბედ მკვლევართაგან არავის უცდია ხუნძურ-ანდიურ-დილოურ ფუძეენაში მჟღერ აფრიკატთა უქონლობის (resp. მქონებლობის) მეცნიერული დასაბუთება. ზემონახ-

სენები დებულებები ზოგადი ხასიათისა, სახელდობრ: „მჟღერ სპირანტთა არავითარი კვალი არ შეინიშნება ამ ენებში“ [გუდავა 1979 : 111].

2.15.2. წინანუნისმიერი (სისინა) აფრიკატები.

ა. მჟღერი აფრიკატი *ზ. ზ ამჟამად არ დასტურდება ხუნძურში, ანდიურში, ბოთლიხურში და ა. შ. საკ. დიდ. ენის საჰალურ დიალექტში ერთადერთ სიტყვაში სპორადულად იჩენს თავს: ხინზორ < ხინზორ⁷⁹ „უკან“. ამ რიგის მაგალითებში ზ წარმომავლობით მეორეულია და ზ-ს ალოფონს ეთანაბრება [ბოკარევი 1958: 6; გუდავა 1959: 264].

აღდება თუ არა ზ ისტორიულად ხუნძურ-ანდიურ-დილოურ ფუძეენაში?

აფრიკატთა რიგის სისინა სიბილანტი *ზ საერთო-დაღესტნურ ქრონოლოგიურ დონეზე პოსტულირდება [ტრუბეცკოი 1987: 275, 280] და იგი ხუნძურ-ანდიურ-დილოურ ენებში შემდეგ რეფლექსებს გამოავლენს: ხუნზ. წა (> ცა) ~ ანდ. წა : ბოთლ. წა : ლოდ. ცა : ჭამ. წა (> წ) ⁸⁰ : ტინდ. ცა : ბაგვ. წა (> წ) : კარ. წა (> წ) : ახვ. წა ~ საკ. დიდ. ც : ჰინ. ც (> ჩ) ⁸¹ : ხვარშ. ც (> ჩ) ⁸² : ბეჟ. ც.

საილუსტრაციო მაგალითები:

1. ხუნძ. ნუწაა ~ ანდ.: ბოთლ.: კარ. ჰინწაუ : ლოდ. ჰინწაუ : ჭამ. ჰინწაე : ბაგვ. ჰუწა : ტინდ. ჰუწა უ : ახვ.წა⁸³ ო ~ საკ. დიდ.: ჰუნ. აც : ხვარშ. ა⁸³ც (< *ნაც) : ბეჟ. ა⁸³ც (< *ნაც) „კა- რი“.

2. ხუნძ. მაწა ~ ანდ.: ბოთლ.: ახვ. მიწაი : ლოდ.: ტინდ. მიცაი : ჭამ.: ბაგვ. მიწა : კარ. მაწაი ~ საკ. დიდ.: ჰინ. მეც : ხვარშ.: ბეჟ. მიც „ენა“ ⁸³.

⁷⁹ შდრ. ანალოგიური პროცესი ანწურ დიალექტში [ცერცვაძე 1948: 132].

⁸⁰ წ გრაფიკით მკვეთრი სპირანტი აღინიშნება [გუდავა 1971: 31].

⁸¹ ც > ჩ ორივე სახელში („მარილი“, „ჭიპი“) შეინიშნება და იგი, როგორც ჩანს, შეპირობებულია ი, ე ხმოვნების მეზობლობით — პალატალიზაციით [ლომთაძე 1963 : 74-76; გუდავა 1979 : 23].

⁸² ერთ მაგალითში შეიმჩნევა: ჩიკი < *ციკი (შდრ. საკ. დიდ. ცეკი „id“.). შესაძლოა, ამ სახელის პირველი კომპონენტი „თხას“ უკავშირდებოდეს, მეორე კი — „ტყავს“ [ლომთაძე 1998 : 135].

⁸³ არნ. ჩიქობავა ამოსავალ ოდენობად დ-ს ვარაუდობს [ჩიქობავა 1974 : 52].

3. ხუნძ. წან ~ ანდ. წონ : ბოთლ.: ბაგვ.: კარ. წან : ჭამ. წან^ნ : ლოდ.: ტინდ. ცან^ნ : ახვ. ცანი ~ საკ. დიდ. ციდო : ჰინ. ჩიდო : ხვარშ. ცინ^ნ : ბეჟ. ცა „მარილი“.

4. ხუნძ. წაუძხე ~ ანდ. წაურუ : ბოთლ. წაურუნ : ლოდ. ცაურდი : ჭამ. წაუდილა : ტინდ. ცაღლა : კარ. წაღლა : ახვ. წაღლა ~ საკ. დიდ. ცეც-ა : ჰინ. ტეც-ა : ხვარ. ცეც-ა : ბეჟ. ტეც-ალ (ჰუნზ. ტეც-ა) „გამოწურვა“.

ახლა მოვიყვანოთ ისეთი მაგალითები, რომელთა ფუძეც ამოსავალ ინტენსიურ აბრუპტივ წა-ს შეიცავს:

1. ხუნძ. წაე ~ ანდ. წაიდა : ბოთლ.: კარ.: ახვ. წაინ-: ლოდ.: ტინდ. ცაენ-: ჭამ.: ბაგვ. წაენ ~ საკ. დიდ. ჩანიდა (< *ცანიდა) : ჰინ.: ხვარ.: ბეჟ. ცან „თხა“.

2. ხუნძ. ჰოწო ~ ანდ.: ბოთლ.: კარ. ჰუნწი : ლოდ. ჰუნცი : ჭამ. ჰუნწა : ტინდ. ჰუნცი : ბაგვ. ჰუნწა : ახვ. ჰუნწი ~ საკ. დიდ. ნუცი : ჰინ. ნუცი : ხვარ. ნუცი : ბეჟ. ნუცი „თაფლი“.

ზემომოყვანილი მაგალითების ჩვენებით, ამოსავალი წა და მეორეული წა (< *ძ) ერთგვაროვან სპონტანურ ცვლილებებს განიცდიან და, აქედან გამომდინარე, ერთნაირ ბგერათშესატყვისობებს იყალიბებენ. ეს საფუძვლიანად ამტკიცებს, რომ ხუნძურ-ანდიურ-დილოურ ფუძეენაში მეორეული წა (< *ძ) აბრუპტივის შერწყმა არქექტიპულ წა-სთან უკვე დამთავრებული იყო.⁸⁴ შემდეგ კი მათ, ბუნებრივია, ერთგვარი ტრანსფორმაცია განიცადეს და ისტორიულად დადასტურებულ ყველა საკვლევ ენაში შესაბამისი შესატყვისობის ერთიანი ფორმულის წევრებად დაგვიდასტურდნენ.

ბ. ყრუ ფშვინვიერი არაინტენსიური აფრიკატი *ც. აფრიკატთა წყების არაინტენსიური სისინა სიბილანტი *ც რეკონსტრუირდება შესატყვისობის შემდეგი ფორმულის მიხედვით:

⁸⁴ აქ ღვება *ძ-ს შემდგომი რეფლექსაციის საკითხი: *ძ > წა ~ ზ [გიგინეიშვილი 1977: 83], თუ *ძ > წა [ბოკარევი 1981: 37-38]. ჩვენ მეორე თვალსაზრისი უფრო მართებულად მიგვაჩნია.

*	ხუნდ.	ანდ.	ბოთლ.	ლოდ.	ჭამ.	ტინდ.	ბაგვ.	კარ.	ახვ.	საკ. დიდ.	ჰინ.	ხვარშ.	ბეჟ.
ც	ც (ს,შ,ჩ)	ს	ს	ს	ს	ს	ს	ს	ჩ	ს	ს(შ)	ს	ს

1. ხუნდ. ცა ~ ანდ. სოლ : ბოთლ.: ტინდ.: ბაგვ. სალუ : ჭამ. სალე : კარ. სალი სალე, სალა (დიად. ვარ.) : ახვ. ჩილო ~ ხვარშ. სელ (ინხ. სილ) : ბეჟ. სილა⁸⁵ „კბილი“.

2. ხუნდ. ბიცანა ~ ანდ. ბოსა⁶ : ბოთლ. მასა : ლოდ.: ჭამ.: ბაგვ.: კარ. ბასა⁶ : ტინდ. ბასო⁶ : ახვ. მაჩანი „მოყვა“ ~ საკ. დიდ.: ჰინ. ეს-ა : ხვარშ. ის-ა : ბეჟ. ნის-ალ „თქმა“, „მოყოლა“.

3. ხუნდ. ოც (ჰიდ. ოს, ანწ. ოშ, ბათლ. ოჩ) ~ ანდ. უნსო : ბოთლ.: ლოდ.: კარ. უნსა : ჭამ.: ტინდ.: ბაგვ. მუსა : ახვ. უჩა ~ საკ. დიდ. ის (საჰ. ოს) : ჰინ. უშ : ხვარშ. ი⁶ს (ინხ. ე⁶ს) : ბეჟ. ო⁶ს „ხარი“.

4. ხუნდ. ცო ~ ანდ.: ჭამ.: ტინდ.: ს-ებ : ბოთლ.: ლოდ.: ბაგვ.: კარ. ც-ებ ~ საკ. დიდ. სი-ს : ჰინ. ჰე-ს : ხვარშ. ჰა-ს⁸⁶ : ბეჟ. ჰონ-ს⁸⁷ „ერთი“.

5. ხუნდ. ღარაც (ჰიდ. ღარას, ანწ. ღარაშ, ბატლ. ღარაჩ) ~ ანდ. ორსი : ბოთლ.: ლოდ. არსი : ჭამ.: ბაგვ. ას : ახვ. აჩი ~ ხვარშ. ოს „ვერცხლი“ > „ფული“.

6. ხუნდ. ბორცინე ~ ანდ. ბასინნუ : ბოთლ. მასი : ჭამ. დასინა : ტინდ. ბასინა : ბაგვ. ბა-სან : კარ. ბასინა : ახვ. მაჩუნულა ~ საკ. დიდ. ბასადა : ჰინ. ბასაზ : ხვარშ. ნასა : ბეჟ. დასინა „გაზომვა“.

განმხილვებით დგას რამდენიმე სახელი, რომლებშიც, ახვარხურისა (შ) და ზოგი დიდური (საკ. დიდ., ჰინ. ხვარ.) ენის (ზ) ჩვენების მიხედვით, ამოსავალი ც-ს შესატყვისობა ირლვევა [არ-ლოტელი 1999: 94].

ისმის კითხვა: „დათვი“, „მელა“, „ჩრჩილი“, „კოწახური“ და მისთ. სახელები ასახვენ თუ არა ზემოწარმოდგენილი შესატყვისობის რეალურობას?

⁸⁵ იხ. გუღავა 1979: 112; ბურჭულაძე 1988: 241-245.

⁸⁶ იდენტური დიალექტური ფორმებიდან მხოლოდ ერთ-ერთს ვიმოწმებთ.

⁸⁷ „კბილისა“ და „ერთის“ გამომსატყველ სახელებს გ. ბურჭულაძე წარმომაველობით ერთმანეთს უკავშირებს [ბურჭულაძე 1988: 253].

6. ტრუბეცკოიდან მოყოლებული ზემონახსენებ ლექსემათაგან ორ მათგანს („ლათვი“, „მელა“) *ც : ს შესატყვისობის წევრებად მიიჩნევენ [ტრუბეცკოი 1987: 256; მაჰომედბეკოვა 1955: 304; გულავა 1959: 274; 1964: 86; ბოკარევი 1981: 27; ლომთაძე 1962: 286; თალიბოვი 1980: 295], თუმცა ტ. გულავა გამონაკლის მაგალითებში ერთგვარი დაეჭვებით უყურებს *ც > ს პროცესის მართებულობას. მოგვიანებით ამავე საკითხს სპეციალურად შეეხო ბ. გიგინეიშვილი და სარეკონსტრუქციო ც და ს არაერთგვაროვანი რეფლექსაციის გათვალისწინებით (ახვ. შ ნაცვლად ჩ აფრიკატიის, საკ. ლიდ., ჰინ. და ხვარ. ზ ნაცვლად ს სპირანტიისა...), დაღესტნურ ფუძეენაში ივარაუდა ლუბლეტურ ფორმათა არსებობა, რომლებშიც ც-ს თავისუფლად ვარირებდნენ [გიგინეიშვილი 1972: 72].

ჩვენი ვარაუდით, ხუნძურ-ანდიურ-დილოური ფუძეენის ლუბლეტურ ფორმათათვის საერთო ამოსავლად *ც უნდა აღდგეს, რომელიც ხუნძ. ენის დიალექტებში სპირანტიზაციისა და გამიშინების საფუძველზე ამგვარ ტრანსფორმაციას განიცდის : *ც : ხუნძ. ც > ანწ., ჰიდ. ს > ჭადაქ. შ [ცერცვაძე 1974: 132].

საფიქრებელია, ამ რიგის მაგალითებში სპირანტიზაციის პროცესი (*ც > ს), რომელმაც სათავე დაუდო თავისუფლად მონაცვლე ფორმებს, წინ უსწრებდა გამიშინებისა (ახვ. შ) და გამჟღერების (დიდ. ზ) პროცესებს [შლრ. გულავა 1979: 208]. მას შემდეგ კი, რაც ს.-ანდ. და ს.-დიდ. ენებში მეორეული ს (< *ც) და ამოსავალი *ს ერთმანეთს დაემთხვნენ, თანაბარი ტრანსფორმაცია განიცადეს. თითო საილუსტრაციო მაგალითი:

1. *ც : ხუნძ. ცი ~ ანდ. სედი : ბოთლ. სი⁶: ახვ. შინ ~ საკ. ლიდ. ზედ : ჰინ.: ხვარშ. ზე : ბეჟ. სი „ლათვი“.

2. *ს : ხუნძ. სანი ~ ანდ. სონ : ბოთლ. სან : ახვ. შანი ~ საკ. ლიდ. ზინ : ჰინ. ზენუ : ხვარშ. ზან⁸⁸ : ბეჟ. სინო „კოწახური“.

⁸⁸ ჰინ. ზელუ მცდარი ფიქსაციის შედეგია, ხოლო ხვარ. ა^ნსა („ცირცელი“) სხვა ფუძეა [შლრ. დეშილ 1971: 160].

გ. ყრუ ფშვინვიერი ინტენსიური აფრიკატი *ცა. *ცა-ს მოეპოვება შესატყვისობის შემდეგი ფორმულა:

*	ხუნდ.	ანდ.	ბოთლ.	ჭამ.	ტინდ.	ბავგ.	კარ.	ახვ.	საკ. დიდ.	ჰინ.	ხვარშ.	ბეჟ.
ცა	ცა(სა)	ცა	ცა	ც	ცა	სა (ცა)	ცა	ცა	ს	ს	ს	ს

1. ხუნდ. ფურუცა ~ ანდ. რეჭა უ (< *ბერჯა უ) : ბოთლ. ფერჯა უ : ჭამ. ბიდაცა : ლოდ. რეცაი : ტინდ. ბეცაი : კარ. ბეცაე : ახვ. დეცაი ~ საკ. დიდ. ბირუს : ხვარშ. ბარუს: ბეჟ. ბოგოს „ხის კავი“, „ოქოქა“.

2. ხუნდ. ჟაც⁸⁹ ~ ანდ. ჟოჯაი : ბოთლ.: ლოდ.: ტინდ.: კარ.: ახვ. ჟოჯაი⁹⁰ : ჭამ. ჟაც ~ საკ. დიდ. ესიჟ : ჰინ. ესსუ : ხვარშ. ეს : ბეჟ. ის (ჰუნზ. ეს) „ძმა“.

3. ანდ. საიბირუ (< *ცაიბირუ)⁹¹ : ბოთლ. ცაიბარუ : ჭამ. ცაიბ : ტინ. ცაიბარა : კარ. ცაიბერო : ახვ. ცაიბერა ~ საკ. დიდ. სები : ჰინ. სებე : ხვარ. სება (ინხ. სუბო) : ბეჟ. სიბოქა „ზამთარი“.

დ. ყრუ აბრუპტიული არაინტენსიური აფრიკატი *წ. ისტორიული წინაუნისმიერი აფრიკატი *წ ახვ. ენაში თავისვე გვარობის ჭ-ში გადადის, ხოლო ჭამ. ენის ზოგ დიალექტში ზზ (ჰიჰ.) და დდ (ჰად.) ნაირსახეობებად ტრანსფორმირდება [გულავა 1964: 130]. ჰინუხურ ენაში ანლაუტსა და ინლაუტში ი-ს მომდევნოდ წ > ჭ [იმნაიშვილი 1963: 39; ლომთაძე 1963: 74]. სხვა საკვლევ ენებში იგი კარგად არის შემონახული და რეკონსტრუირდება შესატყვისობის ქვემოწარმოდეგნილი ფორმულის მიხედვით:

⁸⁹ შულანიბის მეტყველებაში აღსტურებენ ჟა-წა („id.“) ფორმის არსებობას; ცა > წა [ჩიქოძე 1979: 81].
⁹⁰ ამავე ზირს შეიცავს „ღის“ აღმნიშვნელი სახელიც [გულავა 1979: 122].
⁹¹ იხ. ცერცვაძე 1965: 60.

*	ხუნდ.	ანდ.	ბოთლ.	ჭამ.	ბაგვ.	კარ.	ახვ.	საკ. ლიდ.	პინ.	ხვარშ.	ბეჟ.
წ	წ (ჭ)	წ	წ	წ (ზზ, ლდ)	წ	წ	ჭ	წ	წ (ჭ)	წ	წ

1. ხუნდ. ანწ-გო (ანწ. ანჭ-გუ) ~ ანდ. პოწო-გუ : ბოთლ.: ლოდ.: ბაგვ.: კარ. ჰაწა-და : ჭამ. აწა-და (ჰიპ. აზზა-და) : ტინდ. ჰაწა-და : ახვ. აჭა-და-ბე ~ საკ. ლიდ. ოწი-ნო (საპ. ოწწე-ნ) : პინ. ოწე-ნო : ხვარშ. უწა-ნ : ბეჟ. აწო-ნა (ჰუნზ. ოწა-ნ) „ათი“.

2. ხუნდ. წიდა-ბ ~ ანდ. წიეუ : ბოთლ: წი^წ, წოჟ^წ (ლოდ.)⁹² : ჭამ. წი^წეუ-ბ : ტინდ.: წი^წ ჰუ-ბ : ბაგვ. წინუ-ბ : კარ. წიღო-ბ : ახვ. ჭი^წ-და-ბე ~ საკ. ლიდ.: ხვარშ. ეწწუ : პინ. ეწწენ-ლიეუ : ბეჟ. იწწო (ჰუნზ. გწწუ) „ახალი“.

3. ხუნდ. წა (ანწ. ჭა) ~ ანდ.: ჭამ. წა : ბოთლ.: ტინდ.: ბაგვ.: კარ. წაღ : ლოდ. წაღი : ახვ. ჭარი ~ საკ. ლიდ. წი : პინ. ჭე : ხვარშ. წა : ბეჟ. წო „ცეცხლი“.

4. ხუნდ. ბაწ (ანწ. ბაჭ) ~ ანდ. ბოწო : ბოთლ.: ლოდ.: ჭამ.: ტინდ.: ბაგვ.: კარ. ბაწა : ახვ. ბაჭა ~ საკ. ლიდ. ბოწი : პინ. ბოწე : ხვარშ. ბოწა : ბეჟ. ბაწო „მგელი“.

5. ხუნდ. წუნა ~ ანდ. ბიწი : ბოთლ. ჰიბ-წ-უ : ბაგვ.: ლოდ. ბეწი : ტინდ. ბეწო : ჭამ. ბიწ : კარ. ბეწე : ახვ. ბეჭარი ~ საკ. ლიდ. რიწი : პინ. რიჭიმ : ხვარ. ლეღწა : ბეჟ. როწირო „აივ-სო“.

6. ხუნდ. ჭორ (<*წორ) ~ ანდ. წიჟუ : ტინდ.: წი^წჟუ: ბაგვ. წი^წ : ახვ. ჭი^წო ~ საკ. ლიდ წერუწო (< წერუ+წო ზედმიწ. „ისარი+ მშვილდი“): პინ. წერუწა (ზედმიწ. „ისარ-მშვილდი“) : ხვარშ. წე^წ : ბეჟ. წულუ „ისარი“, „მშვილდისარი“.

ე. ყრუ აბრუპტიული ინტენსიური აფრიკატი წა. წინანუსნისმიერი აფრიკატი *წა ტინდიურში, ლოდობერიულსა და ხუნდურის ზოგ დიალექტში ცა-ს გვაძლევს, ხოლო დილოურ ენებში — ც-ს.

⁹² ტ. გულავა ბოთლ. წი^წუ ფორმას იმეორებს [გულავა 1964: 87]. ალბათ, უნდა იყოს წი^წეუ, ვინაიდან ი^წ ნაზალიზებულია და ხმოვანთმიმდევრობა ი^წუ ხმოვანთგამყარად ~-ს მოითხოვს (შდრ. ჭამ. წი^წეუ-ბ „id“). მასთან, იგი ზოგჯერ გამოხატულია წი^წ ფორმითაც [იხ. გულავა 1963: 241], რაც დაზუსტებას საჭიროებს.

ლიდ. ენებში ფაკულტატიურად $c > h$. საბოლოო ჯამში მისი შესატყვისობის ფორმულა ასეთ სახეს მიიღებს:

*	სუნდ.	ანდ.	ბოთლ.	ლოდ.	ჭამ.	ტინდ.	ბაგვ.	კარ.	ახვ.	საკ. ლიდ.	ჰინ.	ხვარშ.	ბეჟ.
წა	წა (𐌆)	წა	წა	ცა	წა	ცა	წა (სა)	წა (სა)	წა	ც	ც	ც	ც

1. სუნდ. წაუნ ~ ანდ. წაუნ : ბოთლ.: ბაგვ.: კარ.: წაუნ^ნდი : ლოდ. ცაუნ^ნდ : ჭამ. წაუნ^ნდ : ტინდ. ცაუნ^ნდჟ : ახვ. წაუნ^ნ ~ საკ. ლიდ. ცეა : ჰინ. ცოა : ხვარშ. ცე (ინხ. ცე^ნ) : ბეჟ. ცუპა (ჰუნხ. ცუ) „არწივი“.

2. სუნდ. წარ ~ ანდ. წერ : ბოთლ.: ჭამ.: კარ.: ახვ. წერი : ლოდ. ცერი : ბაგვ. წერ : ტინდ.: ცერა ~ საკ. ლიდ. ცი : ჰინ. ცე : ხვარშ. ცო : ბეჟ. ცარო „სახელი“.

3. სუნდ. ნაწა ~ ანდ. ნოწა : ბოთლ.: ახვ. ნაწა : ლოდ.: ტინდ.: ნაცა : ჭამ.: ბაგვ.: ნაცა : კარ. ნაწაჟ ~ საკ. ლიდ. ნოცი : ჰინ. ნოცე : ხვარშ. ნუცა : ბეჟ. ნაცო „ტილი“.

4. სუნდ. წანო ~ ანდ. წანნი : ბოთლ.: ბაგვ. წანი : ლოდ. ცაუნ^ნდი : ჭამ. წაუნ^ნ : ტინდ.: ცა^ნ : კარ. წანდელ : ახვ. წაუნ^ნდი ~ საკ. ლიდ. ციტორი : ჰინ. ჩიტო (< *ციტო) : ხვარშ. ცე-ტონ : ბეჟ. ცოტა „ჭიპი“.

5. სუნდ. წე (< *წან) ~ ანდ. წადა : ბოთლ. წინალ^ი : ჭამ. წინალ^ი : ტინდ. ცენალ^ი : ახვ. წონოლ^ი ~ საკ. ლიდ. ჩანიდა (< *ცანიდა, შდრ. ცანი-ლუ „წალი“) : ჰინ.: ხვარშ.: ბეჟ. ცან „თხა“.

6. სუნდ. ჰოწა ~ ანდ.: ბოთლ. ჰინწაჟ: ლოდ. ჰინცუ : ბაგვ. ჰინწაჟ : კარ. ჰინწაჟ : ახვ. ჰინწა ~ საკ. ლიდ. ოც : ჰინ წრ (<*იჩე <*იცე): ხვარშ. ე^ნც, ი^ნც (დიალ. ვარ.): ბეჟ. ა^ნც (ჰუნხ. გ^ნც) „ძალო“.

7. სუნდ. წაუნკიხე ~ ანდ. წაუნუ (<*წაუნდუ) : ბოთლ. წაუნდი : ჭამ. წაუნა : ტინდ. ცაუნილ^ა : კარ. წაუნალ^ა : ახვ. წაუნელ^ა ~ ბეჟ. ცოლ^ილ^ალ „წოვა“, „კონა“.

2.15.3. უკანანუნისმიერი (შიშინა) აფრიკატები

ა. მჟღერი აფრიკატი *ჯ. აფრიკატთა წყების ამოსავალი უკანანუნისმიერი შიშინა სიბილანტი ჯ უცვლელად არც ერთ ხუნძურ-ანდიურ-დილოურ ენაში არ შემონახულა.⁹³ სპეციალურ ლიტერატურაში მისი გენეზისის გარკვევის რამდენიმე სერიოზული ცდაა წარმოდგენილი [ტრუბეცკოი 1987: 280; ბოკარევი 1958: 8-9; ლეშელ 1971: 43; გიგინეიშვილი 1977: 84-85; 1967: 203-217; თალიბოვი 1980: 298...].

ბ. ტრუბეცკოის შეხედულებით, საერთო-დაღესტნურ მჟღერ შიშინა ჯ-ს ხუნძურ-ანდიურ ენებში შესატყვისად უ მოჰოვება [ტრუბეცკოი 1987: 280]. ამ დებულების დასასაბუთებლად მოყვანილია სამი მაგალითი: 1. „თავად“, 2. „სმა“, 3. „შეწვა“.

ჩვენი აზრით, ზემოხსენებული მაგალითები ლეზგიურ ენებში ჯ-ს შესატყვისობის მხოლოდ ილუზიას ქმნიან. ამის გაუთვალისწინებლობით ჩანს გამოწვეული, რომ ბ. გიგინეიშვილი ხუნძურ-ანდიურ ენებში ჯ-ს რეფლექსებად მიიჩნევს ორ ფონემას: *ჯ > ჭ/ჟ, რომლებიც ამოსავალ ეტაპზე დუბლეტური ფორმების არსებობას გულისხმობენ [გიგინეიშვილი 1977: 83], რაც ნაკლებად სარწმუნოა.

ვფიქრობთ, ბ. გიგინეიშვილის მიერ მოყვანილი მაგალითები („შეწვა“, „ეშვი“...) არ უნდა ასახავდნენ *ჯ აფრიკატის ევოლუციის კანონზომიერ პროცესს [თალიბოვი 1980: 300], ვინაიდან იგი განსხვავებულ რეფლექსებს გვიჩვენებს და მისდევს ამოსავალი *ჟ-ს შესატყვისობას ანდიურ ენებში ჭამალურის გამოკლებით (ჭამ. ჟ > ზ). ამგვარსავე ცვლილებას განიცდის ბეჟიტურ ენაში, ხოლო ზოგ დილოურ ენაში პოზიციური ფონეტიკური პროცესის შედეგად ყრუვდება [ლომთაძე 1998 : 131] : ბეჟ. ზი-ზ-ნლ (< ჟი-ჟ-ნლ, შდრ. ჰუნზ. ჟგ-ჟ-ა „id“.), ჰინ. რე-შ-ა (< *რე-ჟ-ა), სკ.

⁹³ თუ არ ჩავთვლით მეორეული წარმომავლობის ჯ აფრიკატს, რომელიც თავს იჩენს ხუნძ. ენის სამხრულ დიალექტებში, ანდიურსა და ჭამალურში [ჩიქობავა, ცერცვაძე 1962: 44-45; გულაშვილი 1964: 78-79].

დიდ., შად-ა, ხვარ. იმან-ა „შეწვა“, „ცხოზა“. ასევეა სხვა ლექსებშიც: „თვითონ“, „ემვი“⁹⁴ და მისთ.

ბ. გიგინეიშვილი ხუნძურ-ანდიურ ფუძენაში ჭა და ჟ თანხმოვანთა არსებობას მათი თავისუფალი მონაცვლეობით ხსნის [გიგინეიშვილი 1977: 83], რაც დამაჯერებელი არ ჩანს, რადგან ამ ვარაუდს ეჭვქვეშ აყენებს არაერთგვაროვანი რეფლექსები. გარდა ამისა, თავისუფალი ვარირება ლუბლეტურ ფორმათა არსებობას გულისხმობს, რომელთაც საწყის საფეხურზე ერთი არქეტიპი უნდა ჰქონოდა.⁹⁵ აქედან გამომდინარე, ჟ სხვა შესატყვისობას განეკუთვნება, ჭა კი — სხვას და მათ შორის შესატყვისობის კუთხით ტოლობის ნიშანი ვერ დაიხმის.

მამასადამე, საერთო სავარაუდო *ჯ აფრიკატის შესატყვისობის საილუსტრაციოდ შეიძლება დასახელებს მარტოოდენ ინტენსიური ჭა-ს შემცველი მაგალითები:

1. ხუნძ. მიჭა ~ ანდ.: კარ. მიჭაი : ახვ. მიჭაი : ბავ. მიჭა : ლოდ.: ტინდ. მიჭა ~ საკ. დიდ.: ჰინ. მეჩა : ხვარ.: ბეჟ. მიჩ „ჭინჭარი“.

2. ხუნძ. მეჭ (< *მეჭა) ~ საკ. დიდ.: ჰინ. მოჩი : ბეჟ. მაჩე „მიწის ნაკვეთი“, „ყანა“, „კორდი“.⁹⁶

ბ. ყრუ ფშვინვიერი არაინტენსიური აფრიკატი *ჩ. ამოსავალი უკანანუნისმიერი აფრიკატი ჩ ხუნძურ-ანდიურ ენებში ძირითადად უცვლელად არის შემორჩენილი, თუმცა იგი, გამიშინების შედეგად, ჭამალურში შ-ს გვამღევს [ტრუბეცკოი 1987: 225, 256; ლომთაძე 1962: 289; გუდავა 1964 : 130].

დიდოურ ენებში ჩ სპირანტიზაციის ტენდენციას ამჟღავნებს: ჩ > შ [ლომთაძე 1962: 288].

ამრიგად, ამოსავალი ფშვინვიერი აფრიკატი ჩ რეკონსტრუირდება შესატყვისობის ამგვარი ფორმულის საფუძველზე:

⁹⁴ ხუნძ. გოჟო („ემვი“) სახელს დიდ. ენებში შესატყვისება: საკ. დიდ.: ჰინ. გაჟუ : ხვარ. ქოჟუ : ბეჟ. გაჟო („id“). საკ. დიდ. კიცუ, ჰინ. კეჩუ („კბილი“), შესადლოა, ქართული ნასესხობა იყოს, შდრ. კიჭი [ბურჭულაძე 1988: 241, 245].

⁹⁵ პრობლემატურია, ენათა მიხედვით, ლუბლეტურ ფორმათა განაწილების საკითხი. ალოგიკურია ვიფიქროთ, რომ თავისუფლად მონაცვლე ფორმებიდან, ყოველგვარი კანონზომიერების გარეშე, ხან ერთი იქცა ამოსავლად, ხანაც — მეორე.

⁹⁶ ამ რიგის მაგალითები მცირეა.

*	ხუნდ.	ანდ.	ბოთლ.	ლოდ.	ჭამ.	ტინდ.	ბავგ.	კარ.	ახვ.	საკ. დიდ.	ჰინ.	ხვარშ.	ბეჟ.
ჩ	ჩ	ჩ	ჩ	ჩ	შ(ჩ)	ჩ	ჩ	ჩ	ჩ	შ	შ	შ	შ

1. ხუნდ. ჭეჩ ~ ანდ. იჩჩი : ბოთლ. იჩჩუ : კარ.: ახვ. ჭეჩე : ტინდ. ეჩი : ბავგ. ჭეჩ : ჭამ. ეშ ~ საკ. დიდ. ჰენეშ : ჰინ. იში : ხვარშ. ჰინდომ : ბეჟ. ეშ „ვაშლი“.

2. ხუნდ. ჩუ ~ ანდ.: ბოთლ.: ლოდ. იჩა : ტინდ.: კარ.: ახვ. იჩა : ბავგ. იჩუ : ჭამ. იშა ~ საკ. დიდ. სირ-შალუ : ჰინ. შეგუე : ბეჟ. შუგო „ჭაკი“, „ფაშატი“.

3. ხუნდ. ჩამ||ჩან ~ ანდ. ჩომ : ბოთლ.: ლოდ.: ბავგ. ჩამუ : ჭამ. შინ : ტინდ. ჩანა : კარ. ჩამ : ახვ. ჩამა ~ საკ. დიდ.: ხვარშ. შომო : ჰინ. სომო (< *შომო) : ბეჟ. ლასო (< *ლასო) „რამდენი?“

4. ანდ. ნიჩო : ბოთლ.: ლოდ.: ტინდ.: კარ.: ახვ. ნიჩა : ჭამ. ნიშა : ბავგ. მიჩა ~ საკ. დიდ.: ჰინ. ნეშუ : ხვარშ. ნიშუ : ჰეჟ. მიშუ „ნამგალი“.

5. ანდ. ბოჩო : ბოთლ. ბეჩეკი : ლოდ. ბაჩეკ : ბავგ.: ტინდ.: ბაჩაკუბ : ჭამ. ბაშაკუბ : კარ. ბაჩაკობ : ახვ. ბაჩადაბე ~ საკ. დიდ. ნიშიჟე : ხვარშ. ნიშეშუ : ბეჟ. ნეშეშო „წვრილი“, „მოკლე“.

6. ხუნდ. ჭურჩინაბ ~ ანდ. ხაჩოჩი : ბოთლ. აჩუ : კარ. ოჩობ : ტინდ. აჩუბ : ბავგ. დაჩუბ : ჭამ. აშუბ ~ ბეჟ. იშლაღლი „ყვითელი“, „მწვანე“.

გ. ყრუ ფშენივეერი ინტენსიური აფრიკატი *ჩა. ამოსავალი უკანაენისმიერი მაგარი აფრიკატი ჩა ბავგ. ენაში შა სპირანტად გარდაიქმნა, ხოლო ჭამ. და ახვ. ენებში — ცა -დ. ხუნდური ენის თქმებსა და დიალექტებში: ჩა > ცა (ბათლ.), ჩა > შა (ჰიდ.), ჩა > წა (ბაწად.) [გულავა 1964: 130].

ლოდ. ენებში ჩა სპირანტიზაციის ტენდენციას ემორჩილება: ჩა > შ.

*ჩა-ს კორესპონდენციის ფორმულა ასეთ სახეს მიიღებს:

*	ხუნდ.	ანდ.	ბოთლ.	ლოდ.	ჭამ.	ტინდ.	ბაგვ.	კარ.	ახვ.	საკ. ლიდ.	ჰინ.	ხვარშ.	ბეჟ.
ჩა	ჩა(ცა , შა , წა)	ჩა	ჩა	ჩა	ცა	ჩა	შა (ჩა)	ჩა	ცა	შ	შ	შ	შ (ს)

1. ხუნდ. ჩინ ~ ანდ. იშონ (< *ჩომ) : ბაგვ. იშამ ~ საკ. ლიდ. შამი : ჰინ. ეშიძო : ხვარშ. შიძულ : ბეჟ. შამი „დედლი თსა ექესი თვიდან ორ წლამდე“, „წალი“.

2. ხუნდ. ჩუთ (ანწ. ცუთ, ჰიდ. შუთ) ~ ანდ. კონ-ჩუ : ჭამ. კუ^აკუ არაცე : ტინდ.: კარ. კნ- ჩა : ბაგვ. კნ- შა: ახვ. კან- ცრა ~ საკ. ლიდ. შეთრო : ჰინ. შოთრა : ბეჟ. კემუ-სა (< *კე-მუ-შა, შდრ. ჰუნზ. კიმი-შო „id“.) „ხვლიკი“.

3. ხუნდ. ბურ ი-ნე ~ საკ. ლიდ. ბიშ-ა : ბეჟ. დონ^ა-ალ (< *დონ^ა-ალ) „დამწყვედეა“, „შემოზღუდეა“.

დ. ყრუ აბრუპტიული არაინტენსიური აფრიკატი *ჭ. ფუძეენისეული უკანანუნისმიერი აფრიკატი ჭ, თუ ყურადღებას არ გავამახვილებთ ცალკეულ ფონეტიკურ გადასრებზე, ფონემათიგივეობას გვაძლევს.

საერთო-ხუნდურ-ანდიურ-დილოური *ჭ-ს შესატყვისობის ფორმულა სქემატურად ასე გამოიხატება:

*	ხუნდ.	ანდ.	ბოთლ.	ლოდ.	ჭამ.	ტინდ.	ბაგვ.	კარ.	ახვ.	საკ. ლიდ.	ჰინ.	ხვარშ.	ბეჟ.
აჟ	აჟ	აჟ	აჟ	აჟ	აჟ	აჟ	აჟ	აჟ	აჟ	აჟ	აჟ	აჟ	აჟ

1. ხუნდ. -ჭო ~ ანდ.: -ჭი : ბოთლ.: ლოდ. -ჭი||-ჭა : ტინ. -ჟე (< *-ჭე) : ბაგვ.: კარ. -ჭი||-ჭე ~ საკ. ლიდ. -ჭი||-ჭუ : ხვარშ. -ბ-ჭი||-ბ-ჭუ „ზმნის უარყოფითი ფორმანტი“.

2. ხუნდ. ჭეტ ~ ანდ. ჭონნი : ბოთლ.: ბავ. ჭანტ: ლოდ.: ახვ. ჭანტი : ჭამ. ჭან : ტინდ. ჭანდი ~ საკ. ლიდ.: ჰინ. ჭიქი⁹⁷ : ხვარშ. ჭექე : ბეჟ. წიქე (< *ჭიქე, შდრ. ჰუნზ. ჭიგე, „id“.) „რწყილი“.

3. ხუნდ. იჭ-გო ~ ანდ. ჰოჭო-გუ : ბოთლ. ჰაწა-და : ლოდ.: ჭამ.: კარ. ჰაჭა-და : ბავ. ჰაჭუა-რა : ტინდ. ჰაჭუა-და : ახვ. ოჭა-და ~ საკ. ლიდ.: ჰინ. ოჭი-ნო : ხვარშ. უჭი-ნ : ბეჟ. აჭე-ნა „ცხრა“.

4. ხუნდ. ჭობო-გოდებ ~ ანდ. ბეჭუ-გუ : ბოთლ.: ლოდ. ბეჭულა : ჭამ.: ბეჭულასა : ტინდ. ბეჭუბ : ბავ. ბეჭურაბ : ახვ. ბეჭულა-ბე ~ ბეჟ. დოჭჭო (ჰუნზ. როჭუ) „ცარიელი“.

5. ხუნდ. ჭოლო ~ ანდ. ჭოლ : ბოთლ. ჭამ.: ბავ.: ახვ. ჭალი : ტინდ. ჭულო ~ საკ. ლიდ ჭირ : ჰინ. ჭილუ : ბეჟ. ჭელო (ჰუნზ. ჭელუ) „ღველი“, „თასმა“.

ე. ყრუ აბრუპტიული ინტენსიური აფრიკატი *ჭა. ისტორიული უკანაენისმიერი აბრუპტივი ჭა პოსტულირება ხდება ქვემოძოყვანილი ფორმულის მიხედვით:

*	ხუნდ.	ანდ.	ბოთლ.	ლოდ.	ჭამ.	ტინდ.	ბავ.	კარ.	ახვ.	საკ. ლიდ.	ჰინ.	ხვარშ.	ბეჟ.
ჭა	ჭა (ჩა, წა)	ჭა	ჭა	ჩა	წა	ჩა	ჭა (შა)	ჭა (შა)	წა	ჩ	ჩ	ჩ	ჩ

1. ანდ. ბუჭაინნუ : ბოთლ. ჭარდი : ჭამ. წარლას : ბავ. ჭუარლას : კარ. ჭუადალს ~ ხვარშ. ბინა : ბეჟ. დოჩალ (ჰუნზ. რუჩა „გაქცევა“, „გაცლა“).

2. ხუნდ. რაჭა („კული“)⁹⁸ ~ ანდ. რომენ : ბოთლ. ნამარ (<*რამარ <*რჭაარ): ახვ. რაჩაი ~ საკ. ლიდ.: ჰინ. როჩ : ბეჟ. რაჩ (ჰუნზ. რაჩ) „თოკი“.

⁹⁷ ხევს. ჭავი დილოური ენებისაგან უნდა იყოს ნასესხები [იხ. ზვიადური 1997: 102].
⁹⁸ ანალოგიურ მაგალითებში შეიძლება დავაგეშოა ლუბლუტურ არქეტიპთა არსებობა ფუძეენაში, მაგრამ მათი რეფლექსები, როგორც დამოწმებული მაგალითიდანაც ნათლად ჩანს, მეტ-ნაკლებად განსხვავებულია.

როგორც ამ შესატყვისობის ფორმულიდან ჩანს, *ჭა ნულოვანი რეფლექსაციით არის წარმოდგენილი ხუნძურში, ანდიურში, ბოთლიხურში, ბაგვალურსა და კარატაულში. სხვა ენებში იგი ტრანსფორმაციას განიცდის: ტინდიურსა და ლოდბერიულში იმავე რიგის ინტენსიურ ფშვინვიერს (ჩა) გვაძლევს, ხოლო ჭამალურსა და ახვასურში — წა-ს. დიდ. ენებში ჭა-ს თავდაპირველად, ტინდიურისა და ლოდბერიულის მსგავსად, ჩა უნდა მოეცა, რომელიც, ინტენსივობის კორელაციის მოშლის შემდეგ, ჩ-დ გარდაქმნილა, ე. ი. დიდ. ენებში ლატენტურ საფეხურად ჩა მოიაზრება: $\text{ჭა} > \text{ჩა} > \text{ჩ}$.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ მჟღერი ჯ-სგან მომდინარე ხუნძ.-ანდ.-დიდ. ენებში თანხვედბა ამოსავალ *ჭა-ს რეფლექსებს [ბოკარევი 1958: 8; 1981: 28]. ეს იმის მიმანიშნებელია, რომ $\text{ჯ} > \text{ჭა}$ სპონტანური ფონეტიკური პროცესი საერთო-დაღესტურში განხორციელდა, სახელდობრ, იმ დიალექტში, რომელიც შემდეგ საფუძვლად დაედო ხუნძურ-ანდიურ-დილოურ ფუძეენას. ამით ჩანს შეპირობებული ორგვარი წარმომავლობის ფონემის ერთგვაროვანი რეფლექსაცია.

ყურადღებას იქცევს ისიც, რომ ანდიურ-დილოურ ენებში რეალიზებული ფონეტიკური პროცესების ანალოგიური ვითარება ხელშესახებად არის წარმოჩენილი ხუნძური ენის დიალექტებში. ყველა ის სახეცვლილება ძირითადად განხორციელებულია ხუნძურ ენაში, რაც აფრიკატთა ხაზით მომხდარა სხვა საკვლევ ენებში, თუმცა ხუნძური ენის დიალექტებში დადასტურებული ცვლილებები ქრონოლოგიურად გვიანდელია.

2.15.4. მაგარსასისმიერი ლატერალური აფრიკატები.

ა. მჟღერი ლატერალური აფრიკატი *ღ. მაგარსასისმიერი მჟღერი ლატერალური აფრიკატი არც ერთ საკვლევ ენაში არ დასტურდება. ჩვენ ზემოთ [2.15.1.] აღვნიშნეთ, რომ აფრიკატთა სერიის სისინ-შიშინა სიბილანტები (ზ, ჯ) ხუნძურ-ანდიურ-დილოურ ფუძეენაში არ უნდა გვქონოდა. ანალოგიურად უნდა აიხსნას მჟღერი ლატერალისა (ღ) და მჟღერი ფარინგალის (ღ) უქონლობა ამ ენათა სინამდვილეში.

ვფიქრობთ, დამატებით დასაბუთებას საჭიროებს მჟღერ აფრიკატთა (ზ, ჯ) სპირანტიზაციის საკითხი, ვინაიდან პოზიციით შეპირობებულობის დადგენა ვერ ხერხდება. დებულება ფუძეენაში თავისუფლად მონაცვლე ფორმათა პოვნეირების შესახებ წინააღმდეგობას ხვდება იმის გამო, რომ დუბლეტთა შემდგომი განაწილება ენათა მიხედვით მეტად ჭრელ და არაერთგვაროვან სურათს გვიჩვენებს [შდრ. გიგინეიშვილი 1977: 135].

ბ. ყრუ ფშვინვიერი არაინტენსიური ლატერალი ლ^ვ. მაგარსასისმიერი ლატერალური აფრიკატი *ლ^ვ შემოგვინახა ახვ. ენის ჩრდილოურმა დიალექტმა, რომელიც ამავე ენის სამხრულ დიალექტსა და ხუნდ. ენაში იმავე რიგის შესაბამის ლ^ვ სპირანტში გადავიდა [მაჰომედბეკოვა 1955: 308; 1974: 123-124]. ხუნდ. ენის დიალექტებში ლ^ვ ლატერალმა, ფუძეენაშივე შეერწყა რა ოდინდელ ლ^ვ სპირანტს, ნაირგვარი ტრანსფორმაცია განიცადა: ლ^ვ > ლ^ვ (ხუნდახ.), ლ^ვ > ლ^ვ > თ (ანწ.), ლ^ვ > ლ^ვ > ჰ, ლჰ, ლ (ანდალ.-ყარახ.), ლ^ვ > ჰჰ (ჭარ.), ლ^ვ > ზ (ზაქ.). ანდიურ ენებში ამოსავალი ლ^ვ > ლ^ვ. თავის მხრივ, ლ^ვ > ჰ (ბოთლ. და ბაგვ., აგრეთვე, ბაგვ. ენის თლონდოლური დიალექტის სიტყვა- ფორმათა ანლაუტში) [უსლარი 1989: 14; მიქაილოვი 1958: 74-79; ჩიქობავა, ცერცვაძე 1962: 59-68; გუდავა 1964: 96, 110; გიგინეიშვილი 1972: 73; მიქაილოვი 1974: 150].

ამოსავალი ლ^ვ სპირანტისა და მეორეული ლ^ვ (< *ლ^ვ) ლატერალის ერთგვარი რეფლექსაცია საფუძველს იძლევა დავასკვნათ, რომ ხუნდურ-ანდიურ ენათა ერთობის ხანისათვის ლ^ვ > ლ^ვ (ახვახურის გამოკლებით) უკვე რეალიზებული იყო [შდრ. გუდავა 1979: 111]. გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ლ^ვ ლატერალის პოვნეირება ხუნდურ-ანდიურ-დილოურ ფუძეენაში ეჭვს გარეშეა [მაჰომედბეკოვა 1955: 308; გუდავა 1979: 111].

იბალება კითხვა: იყო თუ არა ლ^ვ ნიშანდობლივი დილოური ფუძეენისათვის?

სპეციალურ ლიტერატურაში ეს საკითხი საბოლოოდ გადაჭრილი არ არის. ტ. გუდავა ვარაუდობს, რომ დილოურ ენებში ლ^ვ > ლ^ვ პროცესი ადრეულ ეტაპზე განხორციელდა [გუდავა 1979: 111]. ბ. გიგინეიშვილის აზრით, ხუნდურ-ანდიურ-დილოურ ენათა მონაცემები *ლ^ვ და *ლ^ვ ლატერალთა გასამიჯნავად ხელმოსაჭიდს ვერაფერს იძლევიან [გიგინეიშვილი 1972: 73], თუმცა მოგვიანებით იგი ერთგვარ

დამხმარე საკონტროლო საშუალებად დიდოურსაც ასახელებს: თუ ლ' > ლ პროცესი არ მოხდა, მაშინ უნდა აღვადგინოთ სერთო-დალესტნური *ლ' [გივინიეშვილი 1977: 93-94].

*ლ' ლატერალის პოსტულირება ზემოწარმოდგენილი პროცესის საფუძველზე საეჭვო ჩანს, რადგან ლ' სპირანტს დიდოურ ენებში წარმომავლობის სხვა წყაროებიც აქვს: ლ' < ლბ, ლ' < ლ'.⁹⁹

ამრიგად, უნდა ვიფიქროთ, რომ ლ' > ლ' პროცესი განხორციელდა ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ფუძეენაში. აქედან გამომდინარე, ფშვინგიერ აფრიკატთა არაინტენსიური კორელატების არსებობის მტკიცება სერთო-დიდოურში საფუძველს მოკლებულია [ალექსეევი 1986: 129; შდრ. გუდავა 1979: 111].

ამოსავალი *ლ' ლატერალის შესატყვისობის ფორმულა სქემატურად ასე გამოისახება:

*	ხუნძ.	ანდ.	ბოთლ.	ლოდ.	ჭამ.	ტინდ.	ბაგვ.	კარ.	ახვ.	საკ. დიდ.	ჰინ.	ხვარშ.	ბეჟ.
ლ'	ლ' (თ,კ,ლჰ,ლ,ჰდ)	ლ'	ლ'	ლ'	ლ'	ლ'	ლ' (პ,ლჰ)	ლ'	ლ' (ლ')	ლ'	ლ'	ლ' (ნ,ლ)	ლ' (ლ)

1. ხუნძ. ლ'აბ-გო (ანწ. თაბ-გუ, ანდალ. ჰაბ-გუ, ჭარ. ჰაბ-გუ) ~ ანდ. ლ'ობ-გუ : ბოთლ. ჰა-ბუ-და : ლოდ.: ჭამ. ლ'აბუ-და : ბაგვ. ჰაბ-და : ტინდ.: კარ. ლ'აბ-და : ახვ. ლ'აბ-და-ბე ~ საკ. დიდ.: ჰინ. ლ'ონ-ო : ხვარშ. ლ'ონ-ა (ინხ. ჰონო < *ლ'ონო) : ბეჟ. ლ'ანა „სამი“.

2. ხუნძ. მალ' ~ ანდ. მულ'ა : ბოთლ. ჰუმ („ჩლიქი“) : ლოდ. ლ'უმულ : კარ. მელ'უ : ბაგვ. მილჰე (თლონდ. მიჰე) : ახვ. მილო ~ საკ. დიდ. მჰოლ'უ : ჰინ. მოლ'უ : ხვარშ. მულ'უ (ინხ. მონუ, მოლუ) : ბეჟ. მილ'ო (ჰუნხ. მალუ < *მალ'უ) „ფრჩხილი“, „ბრჭყალი“.

3. ხუნძ. ლ'ანა ~ ანდ. ანლ'ი : ბოთლ. ა^ნჰა : ლოდ. ანლ'ა : ჭამ. ჟოლ'ა : ტინდ. ა^ნლ'ო : კარ. ანლ'ე : ახვ. ა^ნლ'ენი „შეიტყო“ ~ საკ. დიდ. ჭალ'-ა : ბეჟ. ჭალ'-ალ „მოსმენა“.

⁹⁹ გარდა ამისა, ისტორიული *ლ' ხან ლ-დ ტრანსფორმირდება, ხანაც უცვლელი რჩება [გუდავა 1979: 93]. ამ ორ რეფლექსს (*ლ' > ლ, *ლ' > ლ') ვგეროვანი გამოვივსა სჭირდება.

4. ანდ. ლ'ედერ : ბოთლ. ჰედირ : ჭამ. ლ'ელი : ბავ. ლ'ედერ : ახვ. ლ'ედე „ხო“ ~ საკ. დიდ.: ჰინ. ლ'იდ : ხვარშ. ლ'ედ : ბეჟ. ლედ (< *ლ'ედ) „ირემი“, „შველი“.

5. ხუნდ. რელ'ელა ~ ანდ. რელ'ო : ბოთლ. რეჰა : ლოდ.: ტინდ. რელ'ა : ჭამ. დელ'ა : ბავ. რეჰა (თლის. რელჰა) : ახვ. რელ'ა ~ საკ. დიდ. ჰუელ' : ხვარ. ჰუნ'ლ' (< *ნულ') : ბეჟ. ჰუნ'ლ' (< *ნულ') „სალამოს“, „გუმინ“.

6. ანდ. ყელ'ინ : ბოთლ.: ბავ. ყეჰენ : ლოდ. ყელ'ენ : ახვ. ყელ'ე ~ საკ. დიდ. ლ'ელ „ბალიში“.

გ. ყრუ ფშვინვიერი ინტენსიური ლატერალი *ლ'. მაგარსასისმიერი ლატერალური აფრიკატი *ლ', როგორც ცნობილია, სპირანტიზაციის საფუძველზე ბავ. ენაში გადავიდა ლზ სპირანტში [გუდავა 1964: 132].

ხუნდური ენის ხუნდახურსა და ანწუხურ დიალექტებში ლ' არ შეცვლილა, სხვა დიალექტებში ამგვარად ტრანსფორმირდა: ლ' > ლზ (სამხ. დიად.), ლ' > ლზ > ჰძჰძ, ლ' > ჰძ > შ (ჭარ.) [მიქაილოვი 1958: 97; ჩიქობავა, ცერცვაძე 1962: 67-68].

რაც შეეხება დილოურ ენებს, ლ' ყველგან ლ' ნაპრალოვან ლატერალში გადავიდა: ლ' > *ლზ > ლ'.

*ლ' ლატერალის კორესპონდენციის ფორმულა, საკვლევე ენათა მიხედვით, ასე წარმოგვიდგება:

*	ხუნდ.	ანდ.	ბოთლ.	ლოდ.	ჭამ.	ტინდ.	ბავ.	კარ.	ახვ.	საკ. დიდ.	ჰინ.	ხვარშ.	ბეჟ.
ლ'	ლ', ჰძჰძ, შ)	ლ'	ლ'	ლ'	ლ'	ლ'	ლ' (ლ')	ლ'	ლ'	ლ'	ლ'	ლ'	ლ'

1. ხუნძ. -ლ' ~ ანდ.: ბოთლ.: ღოდ.: ჭამ.: ტინდ.: კარ. -ლ'ი ~ საკ. დიდ.: ჰინ.: ხვარშ.: ბეჟ. -ლ' „-ში“ („რაიმე მასის შიგნით მყოფობაზე მისათითებელი თანდებული“).¹⁰⁰

2. ხუნძ. ანლ'-გო ~ ანდ. ონლ'ი-გუ : ბოთლ.: ღოდ.: კარ.: ახვ. ინლ'ი : ჭამ. ინლ'ი-და : ტინდ. ინლ'ი-და : ბაგვ. ინლ'ი-რა, ინლ'ი-რა ~ საკ. დიდ.: ჰინ. ილ'-ნო : ხვარშ. ე^ნდლ'-ა : ბეჟ. ილ'-ა „ექვსი“.

3. ხუნძ. ლ'უტანა ~ ანდ.: ღოდ. ბელ'უტი : ბოთლ. ბელ'უტუ : ჭამ. ბელ'უტ : ტინდ. ბელ'უტო : ბაგვ. ბელ'დი : ახვ. ბელ'უტერი „გამოჭრა“ ~ საკ. დიდ. ლ'ეტ-ა („გამორჩევა“) : ბეჟ. ლ'უტ-ალ (ინფ.) „გამოჭრა“.

4. ანდ. ლ'ურლა¹⁰¹ : ბოთლ.: ღოდ. ლ'ირლ'ი : ჭამ. ლ'ილ' : ტინდ. ალ'ა : ბაგვ. ლ'ილ' : კარ. ლ'ორლ'ე ~ საკ. დიდ. რილ' : ხვარ. ლალ' : ბეჟ. ეელ' „ერბო“.

დ. ყრუ აბრუპტიული არაინტენსიური ლატერალი *ტ'. მაგარსასისმიერი ლატერალური აფრიკატი *ტ' წარმოდგენილია სხვადასხვა რეფლექსებით. იგი დაცულია ანდიური ენის ცალკეულ თქმებში [ცერცვაძე 1952: 434-436; 1965: 45-46], კარატაული ენის ორიოდე თქმაში [მაჰომედბეკოვა 1971 : 36], ახვანურის ჩრდილოურ დიალექტსა [მაჰომედბეკოვა 1955 : 295] და ხუნძური ენის ზოგიერთ დიალექტში [ჩიქობავა, ცერცვაძე 1962: 62-63; შდრ. მიქაილოვი 1959: 55]. ანდიური ენის ერთი წყების თქმებსა და კარ. ენის ტოქ. დიალექტში ინლაუტის ტ' > ლც, ბოთლ. ენის ყველა პოზიციაში, ჭამ., ტინდ. და ბაგვ. ენების სახელთა ანლაუტში ტ' > ც, ღოდ. ენასა და ზოგი ანდიური ენის (ჭამ., ტინდ., ბაგვ.) სიტყვათა ინლაუტში ტ' > ლ, კარ. და ახვ. ენათა თქმა-დიალექტებში ტ' > ტ, ბაგვ. ენის კვანადის მეტყველებაში ტ' > კ [ფირკოვი 1949: 112; გუდავა 1964: 133]. *ტ' ხუნძ. ენის დიალექტებში დაახლოებით ანდიურ ენათა ანალოგიურ ტრანსფორმაციას განიცდის: ტ' > ტ

¹⁰⁰ მ. ალექსევი ამ სუფიქსის გენეზისურ კავშირს აფხაზურ-ადიღურ ენათა სათანადო სუფიქსთან სამართლიანად გამოიკვამს [ალექსევი 1988: 181].

¹⁰¹ ხუნძურში სხვა ფუძის შემცველი სახელი (ნახ „id.“) გამოიყენება.

(ხუნძახ., ანწ.), ტ' > ხ || ლხ || ლ¹⁰² [ანდალ.-ყარ.], ტ' > კა (ჭარ.) [ჩიქობავა, ცერცვაძე 1962: 62-64; ჯაფარიძე 1957: 253-255].

დიდლოურ ენებში ამოსავალ *ტ'-ს შეესატყვისება მკვეთრი ლატერალური აფრიკატი [ცერცვაძე 1952: 435-437; ბოკარევი 1958: 10-11; გულავა 1979: 144; შდრ. ლომთაძე 1962: 297-299].

შესატყვისობის ფორმულა, რის საფუძველზედაც ვახდენთ *ტ' ლატერალის რეკონსტრუირებას, სქემატურად ასე გამოიყურება:

*	ხუნძ.	ანდ.	ბოთლ.	ლოდ.	ჭამ.	ტინდ.	ბავ.	კარ.	ახვ.	საკ. დიდ.	ჰინ.	ხვარშ.	ბეჟ.
ტ'	ტ(ლ ხ, ლ, ტ' კა)	ტ'(ლ, ლხ, ხ)	ხ	ლ	ხ, ლ	ხ, ლ	ხ, ლ (კ'-)	ტ'(ლხ, ხ, ტ)	ტ'(ტ)	ტა	ტა	ტა	ტა

1. ხუნძ. ტი (ჰიდ. ტ'ი) ~ ანდ. ტ'ინნი : ლოდ. ნიცი¹⁰³ (< ლი^{ნი} < *ლინი, შდრ. კარ. ც^{ნი} < *ცინი) : ჭამ. ც^{ნი} : ტინდ.: ბავ. ც^{ნი} (კვან. კ^{ნი}) : კარ. ტ'ინი (რაჩ. ც^{ნი}დი, ტოქ. ციპი, ინხელ. ტი^{ნი}) ~ საკ. დიდ.: ჰინ. ტე : ხვარშ. ტუ-პურუ¹⁰⁴ („ერთგვარი ნამცხვარი“) : ბეჟ. ტა „ალა“.

2. ხუნძ. ტორ (ჰიდ. ტ'ორი) ~ ანდ. ტ'ორა (თქმ. ლორა, ლჳორა, ცორა) : ბოთლ. ცარა : ლოდ. ლალა : ჭამ. ცა (<ყარა) : ბავ. ცარა (კვან. კ'არა) : კარ. ტ'არა (ინხელ. ტარა) : ახვ. ტ'არა (სამხ. დილ. ტარა) ~ საკ. დიდ. ტარა : ხვარშ. ტალ : ბეჟ. ტერა „თავთავი“.

3. ხუნძ. რატა (ჭირ. ჰეტე) („ცხოველის წინა ფეხი“) ~ ანდ.: ახვ. რეტ'ა (ანდ. რელა) : ლოდ. ლელა : ჭამ. დელა : ბავ. რელა : კარ. რეტ'ა (ტოქ. რელჳა, ინხელ. რეტა) : ახვ: რეტ'ა (სამხ. დილ. რეტა) ~ საკ. დიდ. რეტა : ხვარშ. ლეტა : ბეჟ. დიტა¹⁰⁵ („სახელო“) „ხელი“, „ხელის მტევანი“.

¹⁰² რეფლექსები პოზიციურად არის შეპირობებული.
¹⁰³ ფ. საილოვას ნაშრომში [საილოვა 1973: 222] ნიი ფორმა გვხვდება, რაც კალმის შეცდომა ჩანს. უნდა იყოს ან ნიი, ანდ ნიცი.
¹⁰⁴ შდრ. საკ. დიდ. ტე-პურუ („id“).
¹⁰⁵ ბეჟ. ზოტო („თითი“) სხვა ფუძე ჩანს [შდრ. ლომთაძე 1962: 297].

4. ხუნდ. ტობ. (ჰიდ. ტ'ომ)¹⁰⁶ ~ ანდ. ტ'ომ (თქმ. ლომ, ლუმ, უომ) : ბოთლ.: ჭამ. ცამ : ლოდ. ლამბურ : ბავვ. ცამა (კვან. კ'ამა) : ტინდ. ცამი : კარ. ტ'ამე (თქმ. ცამე, ტამე) : ახვ. ტ'ამი (ცეპ. ტამა, რატლ. ტ'ამურ) ~ საკ. დიდ.: ჰინ.: ხვარშ. ტჷუ : ბეჟ. ტამო „სახურავი“.

5. ხუნდ. ტად (ჰიდ. ტ'ად) ~ ანდ. ჰიტ'ა (თქმ. ჰილა, ჰილყა, ჰიცი) : ბოთლ. ჰეყა : ჭამ. ჰილაჲ : ახვ. ტ'ადო ~ საკ. დიდ. ტი-რი : ჰინ. ტე-რ : ხვარშ. ტა-ლა : ბეჟ. ტო-ლო „ხემოთ“, „თაეზე“.¹⁰⁷

6. ხუნდ. ტინო (ჰიდ. ტ'ინო) ~ ანდ. ჰინტ'უ : ლოდ. ჰინლუ : ბავვ.: ჭამ. ჰილუ : ტინდ. ჰინლუ : ახვ. მიტ'ო ~ საკ. დიდ. ჰეტუ : ჰინ. იტუ : ხვარშ. ეტუ : ბეჟ. ოტო (ჰუნხ. ეტუ) „ძირი“, „ფსკერი“.

ე. ყრუ აბრუპტული ინტენსიური ლატერალი *ტო. მაგარსასისმიერი აბრუპტიული ლატერალის ინტენსიური კორელატი ტო ხუნძურ-ანდიურ ენებში არ შეეცვლილა, თუ არ გავითვალისწინებთ ხუნძური ენის დიალექტურ ვარიაციებს: ტო > კა (სიუხ.), ტო > კა (ჭარ.) [ბოკარევი 1958 : 9; ლომთაძე 1962 : 300; გუდავა 1964 : 135].

დიდოურ ენებში *ტო-ს ეკვივალენტად ლ' გვაქვს [ტრუბეცკოი 1987 : 237; გუდავა და სხვ. 1952 : 34].

ისტორიული *ტო-ს შესატყვისობის ფორმულა ასეთია:

*	ხუნდ.	ანდ.	ბოთლ.	ლოდ.	ჭამ.	ტინდ.	ბავვ.	კარ.	ახვ.	საკ. დიდ.	ჰინ.	ხვარშ.	ბეჟ.
ტო	ტო(კა, კამ, კ)	ტო	ტო	ტ	ტო	ტო	ტო	ტო	ტო	ჩ-	ჩ-	ჩ-	ჩ-

¹⁰⁶ სალიტ. ხუნძურში ტომ („ტყავი“) სემანტიკური გადაზრანებით უნდა იყოს მიღებული.

¹⁰⁷ ეს ფუძე უნდა შეიცავდეს ერთ-ერთი ლოკატიური ბრუნვის ნიშანს [ლომთაძე 1962 : 297; გუდავა 1964 : 135; მაჰომედბეგოვა 1989 : 200-210].

1. ხუნზ. ბატა (ხაქ. ბაკ) ~ ანდ. ბოტა : ბოთლ.: ლოდ.: ტინდ.: ახვ. ბატი : ჭამ : ბავვ. ბატი : კარ. ბატე ~ საკ. დიდ.: ჰინ. ბილ' : ხვარშ. ბელ' : ბეჟ. ბელ' „ნაწლავი“, „მაჭიკი“.

2. ხუნდ. ბეტანა ~ ანდ.: ლოდ.: ბავვ. ბეტა : ბოთლ. ბეტე : ტინდ. ბეტა : კარ. ბეტე : ახვ. ბეტერი „მონა“ ~ საკ. დიდ. ბილ'-ა : ჰინ. ბელ'-ა : ხვარშ. ლალ'-ა : ბეჟ. ბოლ'-ალ „მონხენა“.

3. ხუნდ. ბოტა ~ ანდ.: ბოთლ.: ლოდ. ბეტი : ჭამ : ბავვ. ბეტა : ტინდ. ბოტი : კარ. ბეტე : ახვ. ბეტა ~ საკ. დიდ.: ჰინ. ბულ'ე : ხვარშ. ბულ'უ : ბეჟ. ბილ'ო „სახლი“, „გომური“.

4. ხუნდ. ანტა-გო (ჭარ. ანკა-გუ) ~ ანდ. ჰოტე-გუ : ბოთლ.: ლოდ.: ჭამ.: კარ. ჰატე-და : ბავვ. ჰატე-რა : ტინდ. ჰატე-და : ახვ. ატე-და-ბე ~ საკ. დიდ. ცოლ'-ნო : ჰინ. ოლ'-ნო : ხვარშ. ოლ'ლა : ბეჟ. ალ'-ნა „შვიდი“.

5. ხუნდ. მიტა-გო (ჭარ. მიკა-გუ) ~ ანდ. ბიტა-გუ : ბოთლ.: ლოდ.: კარ. ბიტა-და : ბავვ. ბიტა-რა : ტინდ. ბიტა-და : ახვ. ბიტა-და-ბე ~ საკ. დიდ. ბილ'-ნო : ჰინ. ბელ'-ნო : ხვარშ. ბალ'ლა : ბეჟ. ბელ'-ნა „რვა“.

6. ანდ. კონტა : ბოთლ.: ლოდ.: ჭამ.: ტინდ. კანტა ~ საკ. დიდ. ყულ'უ : ჰინ. ყ'ელ'ა : ხვარშ. ყ'ოლ'უ : ბეჟ. ყუნლ'ელა „ფიწალი“, ეტიმ. „ორ+ტოტი“, „ტყუპი“ (მდრ. ბეჟ. ყუნლ'ელა „ტყუპი“).

7. ხუნდ. ტედერ ~ ბოთლ. ტეტირ (ლოდ.ტიდირ) : ჭამ.: ტედირ : ტინდ. ტედ'რ : ბავვ. ტედერ : კარ. ტიდირ : ახვ. ტედე ~ საკ. დიდ.: ჰინ. ლ'ელი; ხვარშ.: ბეჟ. ლ'ილე „ბატკანი“.

8. ხუნდ. ბატულ' ~ ანდ. როტალ : ბოთლ. ბატურ . ლოდ. ბატე : ჭამ.: ტინდ. ბატ-მაკა : ბავვ. ბატ-მაკა : კარ. როტობ ~ საკ. დიდ. ბოლ'ო : ჰინ. როლ'ო : ბეჟ. დ/რალ'ო (ჰუნზ. ბლ'ო) „შუა“, „შუაგული“.

2.15.5. ფარინგალური აფრიკატები.

ა. ფარინგალურ აფრიკატთა რიგის მჟღერი წვერი (ფ), როგორც სამართლიანად მიუთითებენ [გუ-
ლავა 1958: 259; 1979: 111; ბოკარევი 1981: 25; შდრ. ლეშილ 1971: 35], ხუნძურ-ანდიურ-დილოურ
ფუძეენაში არ უნდა გვქონოდ.

რაც შეეხება ყრუ ფარინგალურ თანხმოვანთა გენეზისს, მათი ინტენსივობის კორელაციის მიხედ-
ვით დაპირისპირება რელიქტურად ახვასურმა შემოგვინასა, ყ' – ყა დაიცვა ანდიურმაც, სხვა საკვლევე
ენებში, როგორც ცნობილია, არაინტენსიურმა კორელატებმა ძირეული ცვლილებები განიცადეს [ტრუ-
ბეცკოი 1926: 29-30; 1987: 280; გულავა 1959: 261; 1979: 111].

ბ. ყრუ ფშვინვიერი არაინტენსიური აფრიკატი *ჭ. ამოსავალი ფარინგალური აფრიკატი ჭ, რო-
მელიც ხუნძურ-ანდიურ-დილოურ ენათა სინამდვილეში ამჟამად მხოლოდ ახვასური ენის ჩრდილოურ
დიალექტში იჩენს თავს, ისტორიულად დადასტურებულ სხვა საკვლევე ენებში, ქართველურ ენათა
ანალოგიურად, მეტწილად სპირანტიზაციას განიცდის: *ჭ > ხ. ზოგ ანდიურ-დილოურ (ტინდ., ბაგვ.,
კარ., ხვარ., ბეჟ.) ენაში *ჭ-სგან მომდინარე ხ > ჰ [ტრუბეცკოი 1987: 256; გულავა 1958: 262; არ-
ლოტელი 2000: 41]. ამგვარსავე ცვლილებას განიცდის ძირეული *ხ, თუმცა ხუნძურში *ხ > ჰ ქრონო-
ლოგიურად წინ უსწრებს *ჭჭ > ხ¹⁰⁸ (ხუნძახ.) პროცესს, ამიტომ მათი დამთხვევა აღარ ხდება. სა-
მხრულ დიალექტებში: *ჭ > ხ > ჰ. ჰ-ს იძლევა ამოსავალი *ხ სპირანტიც: ხ > ჰ [გულავა 1964:
97-98; ლომთაძე 1962: 292; შდრ. ჩიქობავა, ცერცვაძე 1962: 56].

დილოური ენებიდან ამოსავალი ჭ სპირანტიზაციის საფუძველზე საკ. დილოურსა და ჰინუსურში
ხ-დ ტრანსფორმირდება, ხოლო ხვარშიულსა და ბეჟიტურში პროცესი უფრო შორს მიდის: *ჭ > ხ
> ჰ [შდრ. ლომთაძე 1998: 53]. უნდა აღინიშნოს, რომ, შესაბამისი მაგალითების სიმცირის გამო,
ტ. გულავას საილუსტრაციოდ მოჰყავს სულ ორიოდ სხელი, რომლებსთვისაც ზოგ დილოურ ენაში
სა-

თანალო ეკვივალენტი არც არის დაქვნილი [გულავა 1979: 121].

¹⁰⁸ არნ. ჩიქობავა და ილ. ცერცვაძე ჩრდილო ხუნძურისთვის ჭ > ხ პროცესის დატენტურ საფუძველად ჰ-ს მიიჩნევენ (*ჭ >
ჰ > ხ), რისი გაზიარებაც ჭირს. ხუნძურში ხ > ჰ მეტად გავრცელებული პროცესია, ხოლო ჰ > ხ — არა [გულავა 1974: 145].

*ვ-ს რეკონსტრუირებას ვახდენთ შესატყვისობის ქვემომოყვანილი ფორმულის საფუძველზე:

*	ხუნზ.	ანდ.	ბოთლ.	ლოდ.	ჭამ.	ტინდ.	ბავგ.	კარ.	ახვ.	საკ.დიდ.	ჰინ.	ხვარ.	ბეჟ.
ვ	ხ(ჰ>)	ხ	ხ	ხ	ხ	ხ(ჰ)	ხ(ჰ)	ხ,ჰ	ჰ	ხ	ხ(ჰ)	ჰ	ჰ(ღ)

1. ხუნძ. ნინა ~ ანდ.: ბოთლ.: ლოდ.: ჭამ.: ტინდ.: ბავგ. ნინა : ახვ. ნიჭა ~ საკ. დიდ. ნინა (ქიდ. ნესა) : ხვარშ. ნინა¹⁰⁹ : ბეჟ. ონხ (ჰუნზ. ოპ) „შვრია“, „ქერი“.

2. ხუნძ. ახ (ჰიდ. აჰ>) ~ ანდ. ოხი : ბოთლ.: ლოდ.: ტინდ. ახი : ჭამ. ახ : ბავგ. აჰ : კარ. ახე : ახვ. აჭი ~ საკ. დიდ.: ჰინ. ცახ : ხვარშ. ცოჰ . ბეჟ. ეჰ „ბალი“, „ვენახი“.¹¹⁰

3. ხუნძ. ხახანა ~ ანდ. ბოხხონი : კარ. ქეხა : ახვ. ბაჭარი „მოწოვა“ ~ საკ. დიდ. ხირა : ბეჟ. ხალ-ალ „წოვა“.

4. ხუნძ. ხუჭანა ~ ახვ. ბუჭარი „მოკვდა“, „გაფუჭდა“ ~ საკ. დიდ. ბეხ-ა : ჰინ. ბუჰა (< *ბუხ-ა) : ხვარშ. ბიჰა : ბეჟ. ბულ-ალ (< *ბუჰ-ალ, შდრ. ჰუნზ. ბუჰა „id“.) „მოკვდომა“.

5. ხუნძ. ხალუბ ~ ანდ. ბეხულუ : ბოთლ.: ლოდ. ბეხულუ : ჭამ. ეხატუ : ტინდ. ხერი : ბავგ. ჰერი : კარ. ხი-გი : ახვ. ჯელო (ტლიან. ხელო, ცეჰ. ხელი) ~ საკ. დიდ. ხიზიდო, ხიზორ : ხვარ. ჰელ : ბეჟ. ბუ-ღთთჷ (< *მუ-ჰთთჷ) „უკან“, „შემდეგ“.

გ. ყრუ ფშვინვიერი ინტენსიური აფრიკატი *ჰა. ფარინგალური აფრიკატი *ჰა, რომელსაც საოპოზიციო ცალი ადარ მოეპოვება, ფონოლოგიურად ნეიტრალურია, ხოლო ფონეტიკურად სიმაგრეს ამჟღავნებს. იგი ხუნძურ-ანდიურ ენებში ნულოვანი რეფლექსაციით არის წარმოდგენილი, ხუნძურის სამხრულ დიალექტებსა და დიდურ ენებში კი, ვ-ს მსგავსად, სპირანტიზაციის ტენდენციას ავლენს: ჰა > ხ [გუდავა 1959: 263; ლომთაძე 1962: 292; არდოტელი 2000: 42]. ისტორიული * -სკაორელაცია (ვ —) ვეცაულისა ოდენ ახვ. ენის ჩრდილოურ დიალექტში [მაჰმედბეკოვა 1955: 306].

¹⁰⁹ საკ. დიდ. და ხვარშ. ენებში ეს სახელი შეიძლება ანდიური ენებისაგანაც იყოს შეთვისებული.

¹¹⁰ იხ. [ჩიქობავა 1954: 41-49].

*ვ-ს შესატყვისობის ფორმულა სიმარტივით ხასიათდება:

*	ხუნდ.	ანდ.	ბოთლ.	ლოდ.	ჭამ.	ტინდ.	ბაგვ.	კარ.	ახვ.	საკ. დიდ.	ჰინ.	ხვარშ.	ბეჟ.
ვ	ვ(ხ)	ვ	ვ	ვ	ვ	ვ	ვ	ვ	ვ	ხ	ხ	ხ	ხ

1. ხუნდ. ჯქაზე (ჰიდ. ხქაზე) ~ ანდ. ჯქარლუ : ჭამ. ჯქ-ალა : ტინდ. ჯქადლა : ბაგვ. ჯქარა : კარ. ჯქარალა : ახვ. ჯქარუ ~ საკ. დიდ. ცა-ხქა : ჰინ. ცა-ხ-ა : ხვარშ. ჯქად-ა¹¹¹ : ბეჟ. ჩა-ხ-ალ „წერა“.

2. ხუნდ. ბუკ-ანა ~ ჭამ. ბა-ვ-უ⁵ : ბაგვ.: კარ. ბა-ვ-უ⁵ : ტინდ. ბა-ვ-უ-ო⁵ : ახვ. მა-ჯა-ონი „ამოთხარა“ ~ ხვარშ. ლუ-ხ-ა : ბეჟ. დ-ხ-ალ (ჰუნზ. ა-ხ-ა) „თხრა“, „ბარვა“.

3. ხუნდ. ვუ-ნა ~ ანდ. ბუ-ვუ : ბოთლ.: ბე-ვ-უ : ლოდ. ბი-ვ-ი : ჭამ. ბუ-ვ : ტინდ. ბუ-ვ-ო : კარ. ბი-ვ-უ : ახვ. ბი-ჯა-არი ~ საკ. დიდ. ბე-ხქა-დ-ს : ჰინ. ბე-ხქა-ს : ხვარშ. ბი-ხქა-დ-ა : ბეჟ. მუ-ხო-დო „დაკლა“.

4. ხუნდ. -ვ (ჰიდ. -ხ) ~ ბოთლ.: ლოდ.: ჭამ.: ტინდ.: ბაგვ.: კარ. -ვ : ახვ. -ჯა ~ საკ. დიდ. -ვ (< ვო) : ჰინ.: ხვარ. -ვო : ბეჟ. -ვა „თან“, „ზე“ („ერთ-ერთი ლოკატიური ბრუნვის ნიშანი“).¹¹²

5. ხუნდ. რავ ~ ანდ. როჯა : ბოთლ.: ჭამ.: ბაგვ. რეკინ : კარ. რეჯინ : ახვ. რავჟა ~ საკ. დიდ. როხ : ჰინ.: ხვარშ. ლახ : ბეჟ. რეხ „კვალ“.

¹¹¹ ვ-ს შემცველი ხვარშიული ფორმა, რომელიც ანდ. ენათაგან უნდა იყოს შეთვისებული, საფუძველი ხდება მცდარი ინტერპრეტაციისა [იხ. ლომთაძე 1962 : 292].

¹¹² ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ *ვ ყველა სახალიზო ენაში, ანგახურის გარდა, ბერათიგივეობას გვიჩვენებს [ლომთაძე 1962 : 292]. -ხო თანდებულის ახლომდგომი ფუნქციები აქვს -ხო თანდებულს [იმაიშვილი 1963 : 150-152], მაგრამ ისინი სხვადასხვა წარმომავლობის ფორმანტები ჩანან [გუდავა 1964 : 140]. *ვა > ხ ხუნდურისათვის კანონზომიერია, მაგრამ იმავე არაინტენსიური (sic!) ხ-ს შემცველი ფორმანტი ანდიურ ენებშიც იჩენს თავს [მაჰომედბეკოვა 1967 : 62-63]. ხუნდ. ნავა < მავა („უკან“) და ხად-უ-ვ („შემდეგ“, „უკან“) სამართლიანად არის სხვადასხვა ფუძედ მიჩნეული [ბურჭულაძე 1981 : 733-734].

კვლევის ამ ეტაპზე უნდა დავუშვათ ორი შესაძლებლობა: ა) -ვო ფორმანტისეული ვ ამ ენათა დიფერენციაციის შემდეგდრინდელია; გ) დილოურ ენებში სპირანტიზაციის (ვ > ხ) პროცესის უქონლობა -ვო-ს გრამატიკულ დატვირთვას უნდა მიეწეროს.

ნ. ანდ. სუჩა (<*ჟუჩა) : ბოთლ.: ლოდ. ჟუჩა : ჭამ. ხომა : კარ. ჟოჩა : ახვ. ლოჩა (<*ჟოჩა) ~ საკ. დიდ. ჰომი (<*ხომი) : ჰინ. ხუმი : ხვარშ. ჰენშე (<*ხენშე) : ბეჟ. ღაშე (<*ნაშე) „ტყავი“.

დ. ყრუ აბრუპტიული არაინტენსიური აფრიკატი *ყ'. ამოსავალი ფარინგალური აფრიკატი *ყ', რომელიც შემონახულია ახვ. ენის ჩრდილოურ დიალექტსა და ანდ. ენის ანდის თქმაში, სხვა ენებსა და მათ დიალექტებში მრავალგვარ სახეცვლილებას ემორჩილება: ყ' > ლ (ბოთლ., ანდ.), ყ' > ლ (ანდ., ბოთლ., ლოდ., ჭამ., ტინდ., ბავვ., კარ., ახვ.),¹¹³ ყ' > ჟ (კარ. ენის ტოქ. დიალ.).

ხუნდ. ენაში *ყ' სისტემატურად ჟ სპირანტში გადადის (თუმცა იშვიათად ყ' ყა-დ რეალიზდება), ხოლო დიდოურ ენებში ნეიტრალურ ყ-ს გვაძლევს [ტრუბეცკოი 1987: 265; გუდავა 1958: 261; ლომთაძე 1962: 294; ცერცვაძე 1965: 55-57].

საბოლოო ჯამში, რელიქტურად შემონახულ ფარინგალთა რიგის არაინტენსიურ კორელატ ყ'-ს შესატყვისობის ფორმულა სქემის სახით ასე წარმოგვიდგება:

*	ხუნდ.	ანდ.	ბოთლ.	ლოდ.	ჭამ.	ტინდ.	ბავვ.	კარ.	ახვ.	საკ.დიდ.	ჰინ.	ხვარ.	ბეჟ.
ყ'	ღ (ყ')	ყ (ბ, ლ)	ღ (ბ)	გ	გ	გ	გ (ღ)	გ (ღ)	ყ' (გ)	ყ, ყ'	ყ, ყ'	ყ, ყ'	ყ

1. ხუნდ. ბუჟა ~ ლოდ. მუჟა : ჭამ.: ბავვ. მუდა (< *მუჟა): ტინდ. მუდა (< მუჟა, შდრ. ანდ. მუჟა) : კარ. მუჟ (< ტოქ. მუჟა) : ახვ. მუყა ~ ხვარშ. მიყჟე : ბეჟ. მჟყო (ჰუნზ. მუყე) „ქერ-შველი“, „ხორბალი“.

2. ხუნდ. უნყო (ანწ. უნჟ-გუ) ~ ანდ. ბოყ'ო-გუ: (ზილ. ბოჟო-გუ) : ბოთლ. ბულუ-და : ლოდ.: ჭამ. ბულუ-და : ბავვ. ბულუ-რა : ტინდ. ბულო-და : კარ. ბულო-და : ახვ. ბოყ'ო-და-ბე ~ საკ. დიდ. უყ'ყ'ენ : ჰინ. უყი-ნო : ხვარშ. უყ'ე : ბეჟ. უყე-ნა „ოთხი“.

¹¹³ *ყ > ლ, გ პროცესი, დიალექტ-თქმებისა და ფონოლოგიური გარემოცვის მიხედვით, განსხვავებულად ხდება.

3. ხუნდ. მაჟო ~ ანდ. მოყ'ო : ბოთლ. მალა: ლოდ.: კარ. მაჟა : ჭამ. მაჲ (< *მაჟი) : ტინდ. მა⁶დი (< *მა⁶ჯი) : ბავვ. მაჯო : ახვ. მაყ'ა ~ საკ. ლიდ.: ჰინ. მოყ'უ : სვარშ. მუყ'უ : ბეჟ. მაყო „ცრემლი“.

4. ხუნდ. რაჟანა („გაიგონა“)~ ლოდ. ბიჯა : ჭამ. იჯა : ტინდ. ბიჲ (< *ბიჯა, შდრ. აქნ. ბიჯე) : კარ. ბიჯა : ახვ. ბეყ'არი „გაიგო“, „იციო“¹¹⁴ ~ საკ. ლიდ. რეყ'-ა (საკ.) : ჰინ. რეყ-ა : სვარშ. ლიყ-ა (ინხ. ლიყ'-ა) : ბეჟ. რიყ-ალ „ცოდნა“, „ცნობა“.

5. ხუნდ. ყონო ~ ლოდ. ყუნუ : ახვ. ყ'ორ ~ საკ. ლიდ. ყ'ირ : ჰინ. ყ'ილ : სვარშ. ყ'ელ „ფიცარი“, „ფილა“.

6. ხუნდ. მაჟ ~ ახვ. მუყ'ე ~ ბეჟ. მუყო (ჰუნზ. მეყ) „ლურსმანი“, „ლატანი“, „სატეხი“.

ე. ყრუ აბრუპტიული ინტენსიური აფრიკატი *ყა. ფარინგალური რიგის ამოსავალ ინტენსიურ აბრუპტივ ყ -ს ხუნძურ-ანდიურ ენებში ფონეტიკური ცვლილება არ მოხვლია, თუმცა ინტენსივობის კორელაცია (ყა — ყ'), ორიოდე ენის (საკ. ანდ., ახვ.) გარდა, ყველგან მოიშალა და ყა ფონოლოგი-ურად ნეიტრალური გახდა [გუდავა 1964: 138].

ისტორიულ *ყა-ს დიდოურ ენებში კანონზომიერად და რეგულარულად ვ შეესატყვისება.

*ყა-ს შესატყვისობის ფორმულა სიმარტივეს ამჟღავნებს:

*	ხუნდ.	ანდ.	ბოთლ.	ლოდ.	ჭამ.	ტინდ.	ბავვ.	კარ.	ახვ.	საკ. ლიდ.	ჰინ.	სვარშ.	ბეჟ.
ყა	ყ	ყა	ყ	ყ	ყ	ყ	ყ	ყ	ყა	ჰ,	ჰ,	ჰ,	ჰ

¹¹⁴ „ცოდნისა“ და „მოსმენის“ ზმნურ სემანტიკათა ურთიერთმონაცვლეობა ამ ენებში ცნობილია [გუდავა 1979: 137-138]. ხუნდ. ლ'აზე („ცოდნა“), როგორც ჩანს, სხვა ფუძის მქონეა (შდრ. ჩეჩნ. ხაგან, ინგ. ხარ „id“) [იხ. ცერცვაძე 1956: 341].

1. ხუნძ. ყედ ~ ანდ. ყაენ : ბოთლ. ყინდა : ლოდ. ყუ⁶ღ : ჭამ. ყუნა : ტინდ. ყენა : ბავ. ყინ : კარ. ყინი : ახვ. ყენდა ~ საკ. დიდ. ვილო : ჰინ. ვეშე (<*ვეჟუ <*ვეჟუ <ველე):¹¹⁵ ხვარშ. ვად (ინხ. ვოდ) „კედელი“.

2. ხუნძ. ბაყანა ~ ანდ. ბეყაუ : ბოთლ.: ბავ.: კარ. ბეყუ : ლოდ. ბეჟუყი (< ბეყუყი) : ჭამ. ბეყუყ : ტინდ. ბეყუყო : ახვ. ბუყაორი „გამრა“ (< „გამზევდა“) ~ საკ. დიდ.: ჰინ.: ხვარ. ვუვ-ა (<*ბუვ-ა)¹¹⁶ : ბეჟ. ვოვ-ალ (< *ბოვ-ალ) „გამრობა“, „გახმობა“ (< „გამზევება“).

3. ხუნძ. ყო-გო ~ კარ. ყენდუ : ახვ. ყენდო-და-ბე ~ საკ. დიდ.: ჰინ. ვუ : ხვარშ. ვუ-ნ : ბეჟ. ვო-ნო „ოცი“.

4. ხუნძ. რუყ ~ ანდ. ჰაყუ : ბოთლ.: ლოდ. ჰანყუ : ჭამ. ჰანყე : ახვ. ყჟ („ხუტორი“) ~ ხვარშ. ა⁵ვ (ინხ. ავ) : ბეჟ. ვო („კომლი“),¹¹⁷ ჰუნზ. ვოვო „სახლი“.

5. ბოთლ. ყუბუ : ჭამ.: ბავ. ყობ : კარ. ყობო : ახვ. ყობე ~ საკ. დიდ.: ჰინ. ვ⁵უ : ხვარშ. ვუ : ბეჟ. ვო⁵ (ჰუნზ. ვე) „სახნისი“, „ოქოქა“.

6. ხუნძ. ყანდალ¹¹⁸ ~ ანდ. ყელინ : ბოთლ. ყეჰენ : ლოდ. ყელენ : ბავ. ყეჰენ : კარ. ყელინ : ახვ. ყენლენ ~ საკ. დიდ. ბილსი : ჰინ. ბიცვა (<*ბილსა : ხვარშ. ბილა (<*ბილა) „ბალიში“, „ტომარა“.

7. ხუნძ. ყ-ოტი-იზე ~ ანდ. ბუ-ყ-იდუ : ბოთლ. ბუ-ყ-ი : ჭამ. ბუ-ყ-ლა : ტინდ. ბუ-ყ-ილა : ბავ. ბუ-ყ-ულა : კარ. ბო-ყ-ჟა : ახვ. ბუ-ყ-ურულა ~ საკ. დიდ. რა-ვ⁵ (> ასახ. რო-ხ) : ჰინ. ლ-ვ : ბეჟ. ლ⁵-ვ „დაჭრა“, „ჭრილობა“, „ორნატი“ (< „ჭრილი“).

8. ანდ. ყირ : ბავ. ყერე : კარ. ყერუ : ახვ. ყირუ ~ ბეჟ. ვიბო „ხორბალი“.

9. ხუნძ. ბა-ყ-არ-აბ ~ ანდ. ბე-ყუბ : ბოთლ. ბე-ყუ : ჭამ.: ტინდ.: ბავ. ბე-ყუბ : ახვ. ბუ-ყა-დაბე ~ საკ. დიდ. ვუვ⁵სი (<*ბუვ⁵სი?) : ჰინ. ვუვეს : ხვარშ. ვუვ⁵უ : ბეჟ. ვოვორო (ჰუნზ. ვოვორო)

¹¹⁵ დ > ზ > ე გადასვლები კანონზომიერია [ლომთაძე 1962: 293]. ასეთივე ცვლილება დ-ს საკ. დიდ.-შიც მოუღის, მაგ.: ეძალე > ეძაჟუ > ეძაჟუ „ზღაპარი“...

¹¹⁶ შდრ. საკ. დიდ. ბუვ (< *ბივუ) „მზე“.

¹¹⁷ „სახლის“ აღმნიშვნელი ლექსემა „კომლის“ გამოხატველ ფუძესთან ჩანს დაკავშირებული [ლომთაძე 1962: 293]. ამავე სახელის რედუპლიცირებული ფორმა ჰუნზ. დიდექტში „სახლს“ აღნიშნავს.

¹¹⁸ აბრუპტიული აფრიკატი ყო საანალიზო სახელში ინტენსიური კორელატიით უნდა იყოს წარმოდგენილი (შდრ. ანდ. ყელენ „ტომარა“), სხვანაირად საკვლევ ენებში *ყ-ს ანალოგიურ რეფლექსებს ვერ მოგვცემდა. აქედან გამომდინარე, ახვანურში მისი ფიქსაცია შემოწმებას ითხოვს [შდრ. მაჰომედიეკოვა 1967: 219, 246].

„ხმელი“, „მშრალი“.

10. ხუნდ. ყჭარიდაბ ~ ბოთლ. ყჭარაბ : ჭამ. ყურაბ : კარ. ყორაბ : ახვ. ყაჭარადა ~ ხვარშ.
ვოსსუ : ბეჟ. ვუსსო (ჰუნზ. ვუნსსუ) „ვიწრო“.

11. ხუნდ. ყაზე ~ ბოთლ.: ღოდ. არყუე : ახვ. ყაყურულა (<*ბაყურულა) ~ საკ. დიდ. ბუკა
: ჰინ. ბაკა : ბეჟ. დინჯალ „დაფარვა“, „მიბმა“.

2.16. სპირანტები

2.16.1. ზოგადი. ხუნდურ-ანდიურ-დილოური ფუძეების ფონოლოგიური სისტემისთვის ნიშან-
დობლივი უნდა ყოფილიყო სპირანტთა სამეულბრივი და ხუთეულბრივი სისტემები: მჟღერი (ზ, ჟ,
ღ),¹¹⁹ ყრუ არაინტენსიური (ს, შ, ლ', ხ, ჰ) და ყრუ ინტენსიური (სა, შა, ლა, ხა, ჰა) [შდრ. გუდავა
1979: 82]. ზოგი სერია ნაკლულია: მჟღერთა სერიაში მჟღერი ლატერალი არ ჩანს. წინაველარული
რიგის ყრუ მაგარი ხა, ფარინგალური მჟღერი ჟ და ყრუ ჰა ცალეულებით არიან წარმოდგენილი.
მასთან, ჟ და ჰა ფუძეებში არ უნდა გვქონოდა [გუდავა 1979: 201]. ყრუ სპირანტი ჰ-ც, როგორც
მრავალ ენათა სინამდვილე ცხადყოფს, ლარინგალური რიგის ცალეულით გვიდასტურდება.

ინტერესს იწვევს ის გარემოება, რომ ბ. გიგინეიშვილი საერთოდ უარყოფს საერთო-დაღეს-
ტნურ მჟღერ სპირანტთა პოსტულირების შესაზღებლობას, თუმცა ზოგი მჟღერი სპირანტის (ზ, ჟ, ღ)
აღდგენას მხარს უჭერს ოდენ ხუნდურ-ანდიურ-დილოური ქრონოლოგიური დონისთვის. ეს, მისი
აზრით, შეპირობებულია იმით, რომ ხუნდ. ზ (ჭა-სთან ერთად) მიღებულია საერთო-დაღესტნური ზ-ს
ორგვარი რეფლექსაციის საფუძველზე, რომელსაც შემდეგ ხუნდურ-ანდიურ-დილოურ ენებში ჩამოყა-
ლიბებია ახალი შესატყვისობა¹²⁰ [გიგინეიშვილი 1977: 114; შდრ. ბოკარევი 1981: 23; გონიაშვილი
1968: 220], რაც ძნელად გასაზიარებელი ჩანს. ზემოწამოყენებული დებულება მართებულიც რომ

¹¹⁹ ნ. ტრუბეტკოი მჟღერ სპირანტებს „გემინირებულ“ (resp. ინტენსიურ) თანხმოვნებად მიიჩნევს, რაც რეალურ ვითარებას
ვერ ასახავს [ტრუბეტკოი 1987: 248; შდრ. გუდავა 1964: 99; 1971: 31-32].

¹²⁰ ხუნდ. ზობ („ცა“) და წობ („წყალობა“) სახელები სხვადასხვა ფუძის შემცველი უნდა იყოს [შდრ. გიგინეიშვილი 1977:
84]. ერთადერთი სახელი, რომელმაც შეიზღება *ზ-ს ორგვარი რეფლექსაცია (*ზ > წზ) გვაგარაულებინოს, არის ხუნდ. წწრ ~ ანდ.
ზარ („ყინული“) [გუდავა 1979: 83], თუმცა აქაც მისი ეტიმოლოგია დაუდგენელია.

იყოს, საკვლევ ენებში ამოსავალი *ზ და მეორეული ზ (< *ძ) ერთნაირ შედეგს მოგვცემდა, ვინაიდან *ძ > ზ ამ ენათა დივერგენციამდე ივარაუდება.

ამგვარი სიჭრელე და ნაირგვარობა გამოწვეული უნდა იყოს სპირანტთა არამდგრადი ბუნებით — განიცადონ სხვადასხვა სახის მოდიფიკაცია: მოიშალონ ინტენსივობის კორელაცია, გამჟღერდნენ, დაყრუვდნენ და მისთ.

2.16.2. წინაუნისმიერი სპირანტები. სპირანტთა წყების სისინა სიბილანტების ლოკალური რიგი წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო სამეულით: ზ, ს, სა. ხუნძურ-ანდიურ ენათა სინამდვილეში ეს ამოსავალი სისტემა შემოგვენახა, მაგრამ დილოურ ენებში, კორელაციის „ინტენსიური — არანტენსიური“ ელიმინაციის შემდეგ, ყრუ სპირანტი ნეიტრალური ვარიანტითლა გვხვდება და, ბუნებრივია, ს სპირანტს ემთხვევა. მიუხედავად ამისა, თავდაპირველი ინტენსიური სა და არანტენსიური ს სპირანტების განსხვავებული რეფლექსაციიდან გამომდინარე, არქეტიპების რეკონსტრუქციისას მათი ერთმა-ნეთისაგან გამიჯვნა ხერხდება.

სპეციალურ ლიტერატურაში ძირითადად დადგენილია სპირანტულ სისინა სიბილანტთა შესატყვისობის ფორმულები: ა) *ზ: ხუნძ. ზ ~ ს.-ანდ. ზ: ს.-დიდ. ზ; ბ) *ს : ხუნძ. ს ~ ს.-ანდ. ს ~ ს.-დიდ. ზ; გ) *სა : ხუნძ. სა ~ ს.-ანდ. სა ~ ს.-დიდ. ს [ტრუბეცკოი 1987: 257-258, 262; მაჰლომეძე 1955: 303, 305; ბოკარევი 1959: 260-262; ლომთაძე 1963: 75; იმნაიშვილი 1963: 38-39; გულავა 1964: 142; 1979: 82, 89, 94; გიგინეიშვილი 1977: 114].

მართალია, ამ შესატყვისობათა შესახებ სპეციალისტ-მკვლევართა თვალსაზრისები მეტწილად ერთგვაროვანია, მაგრამ ცალკეული საკითხები მაინც საკამათოა. მეტადრე სისინა სიბილანტთა შესატყვისობანი, რეფლექსთა დიდი სიჭრელის გამო, დილოურ ენებში დავას იწვევენ.

ა. მჟღერი სპირანტი *ზ. ამოსავალი მჟღერი სისინა სიბილანტი ზ დაუცავს ხუნძურ-ანდიურ ენებს, ხუნძურის ზოგი დიალექტისა (ანწ., ბათლ.) და ახვასურის გამოკლებით, რომლებშიც იგი შინა ვარიანტს გვაძლევს: ზ > ჟ [ტრუბეცკოი 1987: 262; ცერცვაძე 1948: 141]. *ზ ნულოვანი რეფლექსაციით არის წარმოდგენილი ბეჟიტური ენის ორსავე დიალექტში, თუმცა საკ. დილოურში,

ჰინუხურსა და სვარშიულში ყრუვლება: ზ > ს [შდრ. გულაგა 1979: 82]. ჰინ. ენაში თუ ს-ს წინ პალატალური ხმოვნები (ი, ე) უძღვის, მაშინ, გამიშინების საერთო წესის მიხედვით, ს > შ [ლომ-თაძე 1963: 75].

მაშასადამე, *ზ-ს რეფლექსაციის სურათი ასე წარმოგვიდგება:

*	ხუნდ.	ანდ.	ბოთლ.	ლოდ.	ჭამ.	ტინდ.	ბაგვ.	კარ.	ახვ.	საკ.დიდ.	ჰინ.	ხვარშ.	ბეჟ.
ზ	ზ (ჟ)	ზ	ზ	ზ	ზ	ზ	ზ	ზ	ჟ	ს	ს(შ)	ს	ზ

1. ხუნდ. ჭაზო (ანწ. ჭაზე, ჰიდ.-ანდალ. ჭასუ)¹²¹ ~ ანდ.: ტინდ.: კარ.: ბოთლ.: ანზი : ახვ. ანჟი ~ საკ. დიდ. ისი¹²² : ჰინ. იშე (< *ისე) : ხვარ. ე^ნსა : ბეჟ. ო^ნზ (ჰუნზ. ე^ნზ)¹²³ „თოვლი“.

2. ხუნდ. ზარ ~ ანდ.: ტინდ.: ზა : ბოთლ.: ტინდ.: კარ. ზად : ჭამ. ზარ-(ბა) : ახვ. ჟარი ~ საკ. დიდ. ბე-სი : ჰინ. ბე-ში (< *ბე-სი) : ხვარ. ბე-სა : ბეჟ. ბი-ზა (ჰუნზ. ბე-ზა) „მუშტი“.

3. ხუნდ. გაზა ~ ანდ. გაზა : ლოდ. გაზა : ჭამ. გოზა ~ საკ. დიდ. ბიზო (< *ბისო) : ჰინ. ბეზო ბეჟ. ბოზა (ჰუნზ. ბოზო) „წერაქვი“.

4. ანდ.: ბაგვ.: ჭამ.: კარ. აზალ : ახვ. იჟი ~ საკ. დიდ.: ჰინ. ასი „ხვეწი“.

ყურადღებას იქცევს ამ შესატყვისობის დარღვევის შემთხვევები, რაც გამოიხატება *ზ-ს ეკვი-ვალენტად ს ან ჟ სპირანტების გამოვლენით [არლოტელი 1998: 94]: პირველი (ს) მჟღერთა გაფშინიერების შედეგია [ლომთაძე 1998: 130], მეორე კი გამიშინებას უკავშირდება, მაგ.: 1. ხუნდ. ზო-ბ („ცა“) ~ ანდ.: ტინდ.: კარ. ზე-ბუ : ბოთლ. ზი-დუ (< *ზი-ბუ) : ბაგვ. ზე-ბ : ახვ. ჟო (<ჟო-ბო) ~ საკ. დიდ. ა-ს: ჰინ. ჰა-ს : ხვარშ. ა-ს¹²⁴ : ბეჟ. ა-ს (< *ა-ზ) „ლლე“, „ცა“, „ლრუბე-“

¹²¹ თუ ფიქსაცია (ჭასუ) ზუსტია [იხ. მიქაილოვი 1958: 10], მაშინ გასარკვევი იქნება ზ > ს პროცესის კანონზომიერების საკითხი.

¹²² შ. მიქაილოვი ამოსავლად ს-ს მიიჩნევს [მიქაილოვი 1958: 86].

¹²³ ტ. გულაგა ხუნდ. ჭაზო („თოვლი“) და ჭანსი („ნამქერი“) სახელთა კონტამინაციით მიღებულად მიიჩნევს ანდ. ანზი ფორმას [გულაგა 1979: 84], თუმცა ჭანსი ლექსემას დიდ. ენებში თავისი კანონზომიერი შესატყვისი მოეპოვება: საკ. დიდ. იზ-ლო : ბეჟ. ა^ნზო „თოვლის ზვავი“, „ჭირხლი“. ამდენად მათი კონტამინაციის შესაძლებლობაც გამოირიცხება, რაც ხუნდურის შესაბამის მაგალითში (ჭაზო) ნ-ს რელექციას გვაგვარაულებინებს (შდრ. ბეჟ. ო^ნზ < *ზოზ).

¹²⁴ ხვარშ. ზებუ ნასესხობა ჩანს (შდრ. ანდ. ზებუ „id“).

ლი“; 2. ხუნძ. გოზო : ბოთლ. გაზა : ლოდ. გჷაზა : ახვ. გოჟო ~ საკ. ლიდ.: ჰინ. გაჟუ : ხვარ. ქოჟუ : ბეჟ. გპჟო (< *გპზო) „ნისკარტი“. სავარაუდოა, ეს უკანასკნელი ზემომოყვანილ „მუშტის“ აღმნიშვნელ სახელს უკავშირდებოდას.

რამდენიმე მაგალითის მიხედვით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ლილოურ ენათა ერთი წყების (საკ. ლიდ., ჰინ., ხვარ.) სიტყვათა ანლაუტში ზ > ს არ ხდებოდა, მაგ.: 1. ანდ. ზიჟუ : ბოთლ.: ტინდ. ზინი : ახვ. ჟო¹²⁵ ~ საკ. ლიდ. ზიდა : ხვარ. ზიჰე „ზროსა“¹²⁶; 2. ანდ. ზარ : ბოთლ. ზარი : ახვ. ჟარი „ყინული“ ~ საკ. ლიდ. ზი-გოლუ : ხვარ. ზან-გალ „სეტყვა“ და მისთ.

ბ. ყრუ არაინტენსიური სისინა სპირანტი *ს. ამოსავალი სისინა სპირანტის არაინტენსიურ კორელატ ს-ს მოვპოვება სპეციალურ ლიტერატურაში კარგად ცნობილი შესატყვისობის შემდეგი ფორმულა: ხუნძ. ს ~ ს.-ანდ. ს ~ ს.-ლიდ. ზ [გუდავა 1979: 95], რის სისწორესაც, სათანადო საილუსტრაციო მაგალითების სიმცირის გამო, ე. ლომთაძე არ იზიარებს [ლომთაძე 1996: 22].

ჩვენი დაკვირვებით, ხუნ. - ს.-ანდ. ს ყრუ სპირანტი, რომელიც ხუნძურის ზოგ დიალექტსა (ბათლ., ანწ.) და ახვასურში გაშიშინებას (ს > შ) განიცდის, ბეჟიტურ ენაში ბგერათიგივივობას (ს:ს) გვიჩვენებს, ხოლო სხვა ლიდ. ენებში გამჟღერებით ზ-დ გარდაიქმნება. ჰინ. ენაში ზ, თავის მხრივ, ი-ს შემდეგ შიშინა სახესხვაობას გვაძლევს (ზ > ჟ). ამ შემთხვევაში ზ სპირანტის რეფლექსებთან სიმეტრია ხელშესახება.

*ს-ს კორესპონდენციის ფორმულა სქემატურად ასე შეიძლება გამოიხატოს:

*	ხუნძ.	ანდ.	ბოთლ.	ლოდ.	ჰამ.	ტინდ.	ბავ.	კარ.	ახვ.	საკ. ლიდ.	ჰინ.	ხვარშ.	ბეჟ.
ს	ს (შ)	ს	ს	ს	ს	ს	ს	ს	შ	ზ	ზ (ჟ)	ზ	ს (ზ)

¹²⁵ ნ. ტრუბეცკოი ახვ.-ში ზიჟუ⁵ მცდარ ფორმას იმოწმებს და ამ მაგალითს ნორმიდან გადახრილს უწოდებს [ტრუბეცკოი 1987: 263; შდრ. საილოვა 1973: 214].

¹²⁶ რ. აბაშია ამ სახელს მთლიანად დალესტურ ენათა მიხედვით განიხილავს, თუმცა ლილოურ ენათა მასალა დამოწმებული არ არის [აბაშია 2007: 7].

1. ხუნძ.: სეზო ~ ანდ. სულოლ : ტინდ. სოლა : ჭამ.: ბაგვ. სოლ : კარ. სოლი ~ საკ. დიდ. ზუ : ხვარ. ზუნ (ინხ. ზუ) : ბეჟ. სობო (ჰუნზ. სო) „ღანზილი“, „შიბუ“.¹²⁷

2. ხუნძ. ნისუ ~ ანდ. ისო : ბოთლ.: ტინდ.: ინსა : ჭამ. ინსა < *ინსა < *ნისა¹²⁸ : ბაგვ. ისა : კარ. ესა : ახვ. ინშა ~ საკ. დიდ. იზუ : ჰინ. იჟუ : ხვარშ. ენუ („გამხმარი ყველი“) : ბეჟ. ონო (< *ონსო < *ონსო < *ნოსო, შდრ. ჰუნზ. ნესუ) „მოუხდელი ყველი“, „ხაჭო“.

3. ხუნძ. სანი, სონო, შანი (დიალ. ვარ.) ~ ანდ. სონ : ბოთლ.: ლოდ.: ტინდ.: კარ. სანი : ბაგვ. სან : ახვ. შანი ~ საკ. დიდ. ზინ : ჰინ. ზენუ : ხვარშ. ზან (ინხ. ზონ) : ბეჟ. სინო (ჰუნზ. სენუ) „კოწახური“.

4. ხუნძ. ღანსი „თოვლის ნამქერი“ ~ ანდ. ასორ : ბოთლ.: ლოდ.: ჭამ.: ტინდ.: ბაგვ.: კარ. ასა : ახვ. აშა ~ საკ. დიდ. აზ-ტა : ბეჟ. ანო (< *ანსო) (ჰუნზ. ანა < *ანსა) „ჭირხლი“.

5. აქ შემოვა საკ. დიდ. ზერუ : ჰინ. ზერე : ხვარ. ზილო : ბეჟ. სურო (ჰუნზ. სურუ) „ბანგი“, „ერთგვარი სასმელი“. ხუნძურ-ანდიურ ენათა შესაბამისი ეკვივალენტი არ ჩანს.

ამ შესატყვისობის მაგისტრალური საზიდან გადახრებსაც ვხვდებით, რის შედეგადაც დიდ. ენებში ზ-ს ნაცვლად ზოგჯერ ს, შ და ჟ იჩენს თავს, მაგ.: 1. ხუნძ. ბო-ს-იზე ~ საკ. დიდ. ბი-ს-ა : ჰინ. ბჷ-ჟ-ა : ხვარშ. ბა-ს-ა : ბეჟ. ბჷ-ზ-ა „აღება“ > „ყიდვა“; 2. ხუნძ. სონ ~ ანდ. სუნ : ბოთლ.: ტინდ.: ბაგვ. სუნი : ახვ. შუნი ~ საკ. დიდ. ნე-შირუ : ჰინ. ნე-სა : ხვარ. ნი-შო-ჰო : ბეჟ. ნი-შე (< *ნი-სე) „გუმინ“, „საღამოთი“ და მისთ.

ირკვევა, რომ ზემოგანხილული სპონტანური ფონეტიკური პროცესი (ს > ზ) ქრონოლოგიურად დიდი ფუძემდებლის დიფერენციაციის შემდეგდროინდელია.

ყურადღებას იქცევს რამდენიმე სახელი („დავი“, „მელა“, „ჩრჩილი“...), რომელთაგან წინა ორი, სპეციალური ლიტერატურის მიხედვით [ტრუბეცკოი 1987: 256, ლომთაძე 1962: 286-287;

¹²⁷ ეგვიპე ფუძე უნდა გვქონდეს ნახურ ენათა სათანადო ლექსემაში: ჩეჩნ. შიბუ (ითუმკ.), შოფუ (ჭებ.) : ინგ. შუბ : ბაცბ. შიბ „id“. სწორედ ნახური ენებისაგან უნდა იყოს შეთვისებული შიბუ ქართული ენის მთის დიალექტებში [ზვიადური 1997: 98].

¹²⁸ იხ. [ბურჭულაძე 1986: 38].

გულავა 1979: 115-116], ხუნძ. ც ~ ანდ. ც : ახვ. ჩ ~ დიდ. ს შესატყვისობის წევრებად არის მიჩნეული (იხ. 2.15.2.ბ.),¹²⁹ მაგ.: 1. ხუნძ. ცი, სი, ში, ჩი (დიალ. ვარ.) ~ ანდ. სეღ : ბოთლ. სი^ნღ : ლოდ.: ჭამ. სი^ნპი : ტინდ.: ბავვ.: კარ. სი^ნ : ახვ. ში^ნ ~ საკ. დიდ. ზეღ, ზე (დიალ. ვარ.) : პინ. ზე : ხვარ. ზე^ნ : ბეჟ. სი^ნ „ღათვი“; 2. ხუნძ. ცერ, სერ, შერ, ჩერ (დიალ. ვარ) ~ ანდ. სორ : ბოთლ.: ლოდ.: ტინდ.: ბავვ. სარ : ჭამ. სნ : კარ. სარი : ახვ. შარი ~ საკ. დიდ. ზირუ : პინ. ზერუ : ხვარ. ზარუ : ბეჟ. სორა (პუნზ. ს) „მელა“.

სწორედ ზემომოყვანილი ორი („ღათვი“, „მელა“) სახელის კანონზომიერ ურთიერთმიმართებაზე მსჯელობისას ტ. გულავა ვარაუდობს, რომ „ძალიან ადრე ახვ.-ში *ც > ს, შემდეგ კი ს > შ“ [გულავა 1964: 86; 1979: 116]. ავტორი არ აკონკრეტებს, როდის უნდა მომხდარიყო *ც > ს ახვასურსა და დიდურში?

ამოსავალი *ც, როგორც წესი, ახვ.-ში უნდა ცვლილიყო ჩ-დ, ხოლო ყველა დიდ. ენაში — ს-დ, რაც ფაქტობრივ არ განხორციელებულა.

მამასადაძმე, უნდა ვიფიქროთ, რომ ამოსავალი *ც-ს ტრანსფორმაცია უნდა მომხდარიყო ხუნძურ-ანდიურ-დიდური ფუძეების წიაღში, რადგანაც მისი დიფერენციაციის შემდეგ *ც > ს პროცესის დაშვება ორივე ქვეჯგუფის (ანდ. და დიდ.) ენებში ისტორიული *ს-ს იდენტურ შედეგს ვერ მოგვცემდა¹³⁰. რჩება ორი შესაძლებლობა: 1) თავდაპირველად აფრიკატიზაციით ან ხუნძურში მოხდა *ს > ც;¹³¹ 2) ანდა ჯერ კიდევ ფუძეენაში განხორციელდა *ც > ს, რასაც დუბლეტურ ფორმათა დაშვებამდე მივყავართ [გიგინეიშვილი 1977: 136].

საინტერესოა აღინიშნოს, რომ საანალიზო სახელებში *ც-ს რეფლექსები ზედმიწევნით ემთხვევა *ს-ს რეფლექსებს, რაც მათ ისტორიულ ვარიანტებულობას გვაფიქრებინებს. ხუნძური დიალექტე-

¹²⁹ ზ. მაჰომედბეკოვას აზრით, სპირანტიზაციის საფუძველზე ჩ (< ც) > შ [მაჰომედბეკოვა 1955: 304]. სხვაგან, ანალოგიურ ფონოლოგიურ პოზიციაში, ჩ > შ არ შეიმჩნევა [გულავა 1964: 86], რაც ზემოსთნებული ფონეტიკური პროცესის (*ც > ჩ > შ) მართებულობას საეჭვოს ხდის [არდოტელი 1999: 95]. ამის გამო, ნაკლებსარწმუნო ჩანს დიდ. ენებში *ც > ს > ზ გადასვლებიც [ლომთაძე 1998: 134; შდრ. გულავა 1979: 116].

¹³⁰ საგულისხმოა, რომ *ც-ს რეფლექსაცია საერთო-დაღესტურ ქრონოლოგიურ დონეზეც განსხვავებულ სურათს გვიჩვენებს.

¹³¹ აქ დგება მეორე კითხვა: თუ *ს > ც ფუძეენაში მომხდარი ფაქტია, მაშინ იმავე ფონოლოგიურ პოზიციაში („ღანძილი“, „კოწახური“) რატომ არ განხორციელდა ანალოგიური პროცესი?

ბის მონაცემებს თუ ღვაკვირებით, ცხადი გახდება, რომ ანდიურ-დილოურ ენებში თავჩენილი ამ რიგის ყველა ბგერათცვლილება მათშიც რეალიზებულია: *ც > ჩ (ჭად.); *ც > ს > შ (ბათლ.).

ჩვენი ვარაუდით, ხუნძურ-ანდიურ-დილოური ფუძეების დაშლის წინა პერიოდში უნდა გვექონოდა, ერთი მხრივ, ც-ს შემცველი, ხოლო, მეორე მხრივ, ს-ს მქონე, ფონეტიკურად თავისუფლად მონაცვლე ფორმები, რომელთაგან საძიებელ სახელებს სწორედ ს არქიფონემა დაელო საფუძვლად. ეჭვს გარეშეა, სხვა შემთხვევაში ახვასურში ჩ გვექნებოდა, ხოლო დილოურ ენათა ერთ წყებაში (საკ. დიდ., ჰინ, ხვარ.) — ს, რაც ამ ენათა სინამდვილეში არ შეიმჩნევა.

გ. ყრუ ინტენსიური სისინა სპირანტი *სა. ინტენსიური სისინა სიბილანტი სა, როგორც ცნობილია, უცვლელად შემოუნახავს ხუნძურ-ანდიურ ენებს, ხოლო დილოურ ენებში მომხდარა მისი ნეიტრალიზაცია ინტენსივობის თვალსაზრისით [ტრუბეცკოი 1987 : 258; ბოკარევი 1981 : 23; გულავა 1964 : 142; 1979 : 89¹³²...].

სქემატურად:

*	ხუნძ.	ანდ.	ბოთლ.	ლოდ.	ჭამ.	ტინდ.	ბავ.	კარ.	ახვ.	საკ.დიდ.	ჰინ.	ხვარ.	ბეჟ.
სა	სა (ცა)	სა	სა	სა	სა	სა	სა	სა	სა	ს	ს	ს	ს

1. ხუნძ. ტენსაერ ~ ანდ. ლინსაიბ : ბოთლ. ტინსაირ : ლოდ. ტინსაირ : ჭამ. ტესაალ : ბავ. ტესაერ : ტინდ.: ტუნსარუ : კარ. ტისაბად : ახვ. ტე^ნსაე ~ ხვარშ. ე^ნსერ (ინხ. ესსერ) : ბეჟ. ჰანს-წიწ (ზედმიწ. „წარბ-წამწამი“) (ჰუნზ. ჰას-წეწ) „წარბი“.

2. ხუნძ. საუნ- ~ კარ. საუნ- : ახვ. საუ^ნ („რა“ კითხვითი ნაცვალსახელის „ირიბ ბრუნვათა“ ფუძე)¹³³ ~ ჰინ. სე : ბეჟ. სიდო (ჰუნზ. შიდო < სიდო) „რა“.

¹³² ტ. გულავას ამ შესატყვისობის დასასაბუთებლად ოდენ ერთი მაგალითი მოჰყავს და ისიც არასრულად. მიუხედავად ამისა, ხუნძურ-ანდიურ ენათა მასალას იგი უხვად იმოწმებს [იხ. გულავა 1964: 142-143].

¹³³ ბ. გიგინეიშვილი ხუნძ. საუნ- ოდენობას „ვინ“ კითხვითი ნაცვალსახელის ფუძეს უკავშირებს [გიგინეიშვილი 1977: 125], რაც სინამდვილეს არ შეეფერება [იხ. ჩიქობავა, ცერცვაძე 1962: 211; ბურჭულაძე 1982: 173; ათაევი 1996: 126]. მეორე (ჩ-სა და შ-ს შემცველი) სახელობითის ფორმებს საერთო ამოსავლად ჩ უჩანს [ლომთაძე 1963: 73-74; ბურჭულაძე 1982: 173].

3. ხუნძ. სუნა ~ ბოთლ. მუსჷ : ლოდ. ბუსა⁶: ჭამ. ბუსჷ⁶ : კარ. ბურსჷ⁶ : ახვ. ბუსრა „დაჭრა“, „დანაკუწა“ ~ ბეჷ. სუს-ალ „გაჭრა“ (ინფინ.).

4. ხუნძ. -სჷებ ~ ანდ. -სჷი : ბოთლ.: ახვ. -სჷე : ჭამ.: კარ. -ი-სჷ ~ საკ. დიდ. -ს-ი : ჰინ. -ს : ხვარ. -ს-ა (ინხ. -ს-ო) : ბეჷ. -ს-ო „მატრიბუტივებელი ფორმანტი“.¹³⁴

5. ანდ.: კარ. სუნკა¹³⁵ : ტინდ. სუნკა ~ ბეჷ. სიკო (ჰუნზ. შიკუ < *სიკუ) „პირი“.

6. ხუნძ. ბო-ს-იხე (< ბო-სჷ-იხე) ~ საკ. დიდ. ბი-ს-ა : ჰინ. ბა-შ-ა (<*ბა-ს-ა) : ხვარ. ბა-ს-ა „აღება“ > „ყიდვა“.

2.16.3. უკანანუნისიერი სპირანტები

ა. მჟღერი შიშინა სპირანტი *ჷ. *ჷ-ს შესატყვისობის შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში, თუ არ გავითვალისწინებთ სათანადო საილუსტრაციო მასალის სიმცირესა და ნაირგვარობას, სრული ერთსულღვნება [ტრუბეტკოი 1987: 262; მაჰომედბეკოვა 1955: 305; ბოკარევი 1981: 23;¹³⁶ გულა-ვა 1964: 143; 1979: 85]. მართალია, *ჷ-ს რეკონსტრუქციას საერთო-დაღესტურ ენაში დაბრკო- ლება ხვდება [გიგინეიშვილი 1977: 115; შდრ. თალიბოვი 1980: 315], თუმცა, სვარაულოა, იმ დი- ალექტში, რომელიც მოგვიანებით საფუძვლად დაედო ხუნძურ-ანდიურ-დილოურ ფუძეენას, ჷ-ს ფონე- მის სტატუსი უნდა ჰქონოდა.

ამოსავალი ჷ უცვლელად დაიცვა ყველა საკვლევმა ენამ, გარდა ჭამალურისა, ბეჷ. ენის ტლად. თქმისა და ხუნძური ენის ზოგი დიალექტისა (ბათლ., ანწ.), რომლებშიც ჷ > ზ [გულავა 1964: 143; 1979: 85]. ბეჷიტურში და ხანდახან სხვა დიდ. ენებშიც ჷ > შ (დაყრუებით).¹³⁷

*ჷ-ს შესატყვისობის ფორმულა შემდეგნაირად გამოიხატება:

¹³⁴ [ლაწვრ. იხ. ზვიადური 1995, 171-176].

¹³⁵ სუნკა კომპოზიტი ჩანს: სუნ+კა < სუნ+კალ (შდრ. ხუნძ. კალ „პირი“) „?+პირი“.

¹³⁶ ე. ბოკარევი საკ. დიდ.-ში, ზ-ს გარდა, სისინა სპირანტ ს-საც აღნიშნავს.

¹³⁷ ფაკულტატიურად ჷ > ზ (გასისინებით), ჷ > შ (დაყრუებით) პროცესიც შეიმჩნევა, მაგ.: ბეჷ. ბიზალბა (< *ბი-ჷალბა, შდრ. ჰუნზ. ბილაჷბა „id.“), საკ. დიდ. მეშოგლა (< მეჷოგლა), ხვარ. ბეშანდე (< ბეჷანდე) `წვერი` [შდრ. ხალილოვი, რამაზანოვი 1992: 71].

*	ხუნდ.	ანდ.	ბოთლ.	ლოდ.	ჭამ.	ტინდ.	ბავგ.	კარ.	ახვ.	საკ. დიდ.	ჰინ.	ხვარშ.	ბეჟ.
ჟ	ჟ (ზ)	ჟ	ჟ	ჟ	ზ	ჟ	ჟ	ჟ	ჟ	ჟ	ჟ	ჟ	ჟ (ზ)

1. ხუნდ. ბეჟიზე ~ ბოთლ.: ლოდ. ბეჟი : ბავგ. ბეჟილა : კარ. ბეჟა : ჭამ. ბეზლა : ახვ. ბი-ჟურულ¹³⁸ ~ ჰინ. ეზ^ბჟ (<*ეჟ^ბჟ) : ბეჟ. ზიზ-ალ (< ტლად. ჟიჟ-ალ,¹³⁸ შდრ. ჰუნზ. ჟგჟ-ა „id“.) „შეწვა“, „მოხრაკვა“.

2. ხუნდ. ბოჟანა ~ ანდ. ბუჟუ : ბოთლ. ბუჟა : ჭამ. ბოზა : ტინდ. ბოჟო : კარ. ბეჟუ : ახვ. ბეჟორი „დარწმუნდა“ ~ ხვარშ. ბაჟ-ა : ბეჟ. ბოჟ-ალ (ჰუნზ. ბოჟ-ა) „დარწმუნება“, „რწმენა“.

3. ხუნდ. ჟა-ყა ~ ანდ. ჟე-ლ^ალ ~ საკ. დიდ. ჟა-ვულ¹³⁹ : ბეჟ. ჟე-ღსა „ღღეს“.

4. ხუნდ. ნუჟ ~ საკ. დიდ.: ჰინ. მეჟი : ხვარშ. მეჟა : ბეჟ. მიჟე „თქვენ“.

5. ხუნდ. მიგეჟუ ~ ანდ. მიგაჟუ : ბოთლ. მიგჟაჟურ : ტინდ. მიჟათუ : კარ. მიგაჟუ : ახვ. მიჟელ¹უ ~ საკ. დიდ. მეშოლგა : ხვარ. ბიშანდე : ბეჟ. ბიჟალბა (ჰუნზ. ბილაჟბა) „წვერი“.

6. ხუნდ. რაჟი ~ ანდ.: ბოთლ. რაჟი ~ ბეჟ. ნაჟი > ხაშ. ნაზი (ჰუნზ. ნიჟი) „ნიორი“.

7. ხუნდ. გოჟო (<*გაჟო, შდრ. მრ. რ. გაჟალ), გოზო¹⁴⁰ ~ ანდ. გოჟო, გუჟი (დიად. ვარ.): ბოთლ. გაზა (<*გაჟა): კარ. გოჟო (< ტოქ. გჟაჟა, გოჟა): ახვ. გოჟო (წევ. გორჟო) ~ საკ. დიდ.: ჰინ. გაჟუ: ხვარ. ქოჟუ: ბეჟ. გჟ^ბჟ (ჰუნზ. გა^ბჟუ) „ნისკარტი“, „ეშვი“, „სიბრძნის კბილი“.

8. ხუნდ. ჟინი ~ ლოდ. ეჟუნ ~ საკ. დიდ. ეშინ (<*ეჟინ) : ბეჟ. ჟჟუნ „ეჩო“.

9. ხუნდ. ჟა ~ ანდ. ჟონო : ბოთლ.: ლოდ.: ბავგ.: კარ. ჟანა ~ საკ. დიდ.: ხვარ. შა (<*ჟა) : ჰინ.: ბეჟ. ჟა „ღვინო“, „ყურძნის წვენი“.

¹³⁸ შდრ. მაღიევა 1965 : 16. ფ. საილოვა ლოდობერიულში ბეჟი ფორმას ადასტურებს [საილოვა 1973 : 207].

¹³⁹ ეტიმოლოგიურად ხუნდ. ჟა-ყა „ღღეს“ (ზედმიწ. „ამ დღით“) [გულავა 1979 : 85]. ასევეა საკ. დიდ. ჟა-ვულ^ა „id“ (ზედმიწ. ჟა „იგი“ + ვულ^ა „ღღეს“). ჟა ჩვენებითი ნაწილაკი დაჩნდება სახელში ჟი-ლ^ბო (< *ჟი-ლ^ბო) „შარშან“ (ზედმიწ. „იმ წელს“, შდრ. ლ^აებ „ფოთოლი“ > „წელი“).

¹⁴⁰ სემანტიკური დიფერენციაცია ხუნდურსა (გოჟო „ეშვი“ > გოზო „ნისკარტი“) და ზოგ სხვა ენაში ფორმობრივი ცვლილებებით (ჟ > ზ) ჩანს შეპირობებული: თავდაპირველად მას „ეშვი“ უნდა აღენიშნა, ხოლო შემდეგ სემანტიკური გადაზრინებით — „ნისკარტი“, „სიბრძნის კბილი“ (თუ, რა თქმა უნდა, ქართულის ძველთაძველი ნასესხობა არ არის, შდრ. ლოჯი).

ბ. ყრუ არაინტენსიური შიშინა სპირანტი *შ. შიშინა სპირანტთა ამოსავალი არაინტენსიური კორელატი შ ენათა მიხედვით ნაირგვარ რეფლექსებს გამოავლენს, რომელთა ქრონოლოგიური მიმართებების დადგენისას სპეციალისტთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა.

ნ. ტრუბეცკოი ხუნძურ-ანდიურ ენათა მასალაზე დამყარებით ვარაუდობს, რომ ანდიურ ენათა ერთ წყებაში დადასტურებული ისტორიული შ ხუნძურში გადავიდა წინაველარულ ხ სპირანტში, რომელიც, აკუსტიკურ-არტიკულაციური თვალსაზრისით, ინტენსიურ კორელატს ეთანაბრება¹⁴¹ [ტრუბეცკოი 1987: 252; ჩიქობავა, ცერცვაძე 1962: 41]. მასთან, რიგ შემთხვევაში ხუნძ. ს მიიჩნევა შ ფონემის „კანონზომიერ განვითარებად“, მაგრამ რომელ ფონოლოგიურ პოზიციებში, გარკვეული არ არის [იხ. გუდავა 1964: 148].

შ. მიქაილოვი და ტ. გუდავა არ იზიარებენ ნ. ტრუბეცკოის მიერ მწირ ენობრივ მასალაზე დაყრდნობით წამოყენებულ დებულებას (*შ > ხ) და ორიგინალურ მოსაზრებას გამოთქვამენ: *შ ხ სპირანტად კი არ ტრანსფორმირდა, არამედ ეს უკანასკნელი ხუნძ. ენის ქუთლბის მეტყველებასა და ანდ. ენათა ერთ წყებაში გადავიდა შ სპირანტში [მიქაილოვი 1958: 79; გუდავა 1964: 148-149]. რაც შეეხება შიშინა შ და სისინა ს სპირანტულ სიბილანტთა ფარდობას (შ:ს), აქ საერთო ამოსავლად შ მიიჩნევა, რაც სავსებით გასაზიარებელია.

დიდოურ ენებში გამჟღერების პროცესი შეუქცევადია — ყველა ენაში *შ > ჟ.

ფორმულა, რომელიც შ-ს შესატყვისობის სურათს გვიჩვენებს, ასე გამოიყურება:

*	ხუნძ.	ანდ.	ბოთლ.	ლლ.	ჭამ.	ტინდ.	ბაგვ.	კარ.	ახვ.	საკ.ლიდ.	ჰინ.	ხვარ.	ბეშ.
შ	ს (შ)	შ	შ	შ	შ (ჰ)	შ (ჰ)	შ	შ (ხ)	შ	ჟ	ჟ	ჟ	ჟ

¹⁴¹ ამ ენათა სინამდვილეში მისი ინტენსიური კორელატი, რომელიც ნიშანდობლივია ზოგი დაღესტნური (ლაკური, ღარგუული...) ენისთვის [აკიევი 1977: 30], არ შეიმჩნევა.

1. ხუნდ. ჟას (ანწ. ჟამ) ~ ანდ. ჟომო : ბოთლ.: ლოდ.: ბაგვ.: კარ.: ახვ. ჟამა : ჭამ. ჟამა (ჰაქ. ჟაჰა) : ტინდ. ჟამა (საკ. ტინდ. ჟაჰა) (შდრ. ჩენნ. ჟუომა „id“.) ~ საკ. ლიდ.: ჰინ. უჟი : ხვარშ. უჟა : ბეჟ. ოჟო „ვაჟიშვილი“.¹⁴²

2. ანდ. რომო : ბოთლ.: ლოდ. რომა ~ საკ. ლიდ.: ჰინ. როჟი : ხვარშ. ლოჟა : ბეჟ. დჰჟე (ჰუნზ. როჟე) „სიტყვა“.

3. ხუნდ. ბოსენ ~ ანდ. ბეშონ : ბოთლ.: ლოდ. ბეშენ : ჭამ. ბეჰან⁶ (< *ბეშან) : ბაგვ. ბუჰუნ⁶ (< *ბუშუნ) : ახვ. ბუშანი ~ საკ. ლიდ. მუჟი : ხვარშ. მუჟა : ბეჟ. მჰჟო („ნის იატაკი“) „ლოგინი“, „ბუდე“.

4. ხუნდ. ბო-ს-იზე (< *ბო-შ-იზე) „აღება“, „ყიდვა“ ~ საკ. ლიდ.: ჰინ. რი-ჟ-ა : ხვარ. ლე-ზ-ა (< *რე-ჟ-ა) : ბეჟ. დე-ზ-ალ (< *რე-ჟ-ალ, შდრ. ჰუნზ. რე-ჟ-ა „id“.) „თან წაღება“, „აღება“, „ყიდვა“.

5. ანდ. ბუმა : ბოთლ. მიმა : ლოდ.: კარ. ბიმა : ჭამ. ბიჰა (< *ბიმა) : ახვ. ბიშარი „გამარჯვა“ ~ საკ. ლიდ. ბეჟ-ა : ხვარ. ბიჟ-ა : ბეჟ. დიზ-ალ (< *დიჟ-ალ,¹⁴³ შდრ. ჰუნზ. ბიჟ-ა „id“.) „გამარჯვება“.

გ. ყრუ ინტენსიური შიშინა სპირანტი *შხ. სპირანტთა წყების ინტენსიური შიშინა სიბილანტი *შხ შემონახულია უცვლელად ანდიურ ენათა მეტ წილში, ჭამ. და ახვ. ენების გამოკლებით, რომლებშიც, ხუნდურის ანალოგიურად, ზა-ს გვადლებს [ტრუბეცკოი 1987: 257; გუღვა 1964: 144].

რაც შეეხება დილოურ ენებს, *შხ, ინტენსივობის კორელაციის მოშლის გამო, ნეიტრალიზებულია და *ჩ აფრიკატის რეფლექსს ემთხვევა (შდრ. ხუნდ. ბეჩე : ხვარ. მიში „ზბო“...).

*შხ-ს კორესპონდენციის ფორმულა სქემის სახით ამგვარად წარმოგვიდგება:

¹⁴² ქართულში ყურადღებას იქცევს დალესტნური ნასესხობა ვაჟი, რომელიც XII ს.-ში წერილობით დასტურდება [ჩიქოვაია 1987: 9]. ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ სესხების ხანისათვის ე-, დ- კლასის ექსპონენტები „ვაჟისა“ და „ქალიშვილის“ გამომსახველ ლექსებში ჯერ კიდევ გაიჩნეოდა. თუ ეს ასეა, მაშინ, კლასის ნიშანთა მიხედვით, ამ სახელთა დაპირისპირების მოშლა XII ს.-ის შემდეგდროინდელი უნდა იყოს.

¹⁴³ ზედსართავ სახელში სპორადულად პირველადი ჟ დაჩნდება: ბეჟ. იჟედო „გამარჯვებული“.

*	ხუნდ.	ანდ.	ბოთლ.	ლოდ.	ჭამ.	ტინდ.	ბაგვ.	კარ.	ახვ.	საკ. დოდ.	ჰინ.	ხვარშ.	ბეჟ.
შა	სა (შა)	შა	შა	შა	სა	შა	შა	შა	სა	შ	შ	შ	შ

1. ხუნდ. ბა(რ)საანა ~ ანდ.: ლოდ.: ბაგვ.: ბეშაი : ბოთლ. ბეშაუ : ჭამ. ბესაა : ტინდ. ბეშაო : კარ. ბეშე : ახვ. ბესაერი „შეწვა“, „მოხრაკა“ ~ საკ. დოდ. ეშად-ა : ჰინ. რეშ-ა : ხვარშ. იშან-ა „გამოცხობა“.

2. ხუნდ. ბესაანა ~ ანდ. ბეშაი : ლოდ. ჰიშაი : ჭამ. ისა : ტინდ. შაო : ახვ. გოხა ერი „მოქსოვა“ ~ საკ. დოდ. რიშ-ა, რეშ-ა (დიად. ვარ.): ხვარშ. ინშ-ა : ჰუნზ. რეშ-ა „ქსოვა“.

3. ბოთლ.: ლოდ. ბეშაი : ჭამ. ბესაბ : კარ. ბეშაბ ~ საკ. დოდ. რუმწისი : ბეჟ. დონშ (ჰუნზ. ბომერუ) „მსუქანი“.

4. ჭამ. ა^ნსალა („ჩაცმა“) : ტინდ. ა^ნშო : ბაგვ. ე^ნშან „დაიხურა (ჩაიცვა) ქელი“ ~ საკ. დოდ. შე-ტო-ა : ხვარშ.: ჰუნზ. ში-ტო-ა „ჩაცმა“.

2.16.4. მაგარსასისმიერი ლატერალური სპირანტები

ა. ყრუ არაინტენსიური ლატერალური სპირანტი *ლ^ʼ. ძირეული ლ^ʼ ზირითადად უცვლელად არის დაცული ხუნძურსა და ანდიურ ენათა ერთ ნაწილში (ანდ., ლოდ., ჭამ., კარ., ახვ.) [ბოკარევი 1981 : 24; შდრ. გუდავა 1979 : 106].

ხუნძური ენის სამხრულ დიალექტებში *ლ^ʼ ნაირგვარ სახეცვლილებას განიცდის: ლ^ʼ > თ (ანწ.), ლ^ʼ > ჰ, ლჰ, ლ (ანდალ.-ყარახ.), ლ^ʼ > ჰჰ, შ,შა (ჭარ.) [ჩიქობავა, ცერცვაძე 1962 : 68; მიქაილოვი 1974 : 150-156].

ანდიურ ენათა ერთ წყებაში *ლ^ʼ ასე იცვალა: ლ^ʼ > ჰ (ბოთლ.), ლ^ʼ > ლჰ ინტერვოკალურ პოზიციაში, სხვა პოზიციებში ლ^ʼ > ჰ (ბაგვ.) [გუდავა 1964 : 147; ცერცვაძე 1965 : 44-45].

დილოურ ენებში *ლ'-ს დელატივაციის შედეგად სხვადასხვა რეფლექსები მივიღეთ: *ლ' > ლ > რ¹⁴⁴ (საკ. დიდ., ჰინ.), *ლ' > ლ (ხვარ.), *ლ' > ჰ (ანლაუტი), *ლ' > ლ (ინტეროკალური პოზიცია) (ბეჟ.).¹⁴⁵

ირკვევა, რომ ფშვინვიერ აფრიკატულ ლატერალ *ლ'-ს დიდ. ენებში კანონზომიერად და რეგულარულად ლ' შეესატყვისება, ხოლო ამოსავალ სპირანტ ლ'-ს — ზემოწარმდგენილი რეფლექსები. აქედან გამომდინარეობს, რომ *ლ' > ლ' ოდენ სუნძურ-ანდიურ ენათათვის დამახასიათებელი მოვლენაა. იგი ქრონოლოგიურად ამ ენათაგან დილოური ენების გამოყოფის შემდეგდროინდელი პროცესია [შლრ. გულავა 1979 : 111].

*ლ'-ს შესატყვისობის ფორმულა ასეთია:

*	სუნძ.	ანდ.	ბოთლ.	ლოდ.	ჭამ.	ტინდ.	ბაგვ.	კარ.	ახვ.	საკ. დიდ.	ჰინ.	ხვარშ.	ბეჟ.
ლ'	ლ' (ო, ჰ, ლჰ, ლ, ჰღ, შ, ში)	ლ'	ჰ	ლ'	ლ'	ლ'	ლ' (ჰ, ლჰ)	ლ'	ლ'	ლ(რ)	ლ(რ)	ლ	ჰ (ლ)

1. სუნძ. ლ'უნა ~ ტინდ. ბი-ლ'ო : კარ. ბი-ლ'ე : ბაგვ. ბილჰი : ახვ. ბილ'ერი „დალო“, „დაღა“ ~ საკ. დიდ. ე-რჟ-ა (< *გე-რჟ-ა) : ჰინ. გო-რ-ა : ხვარ. გი-ლ-ა (ინხ. გუ-ლ-ა) : ბეჟ. გუ-ლ-ალ „დაღება“, „დაღმა“.¹⁴⁶

2. ანდ.: ლოდ. ლ'უდი : ბოთლ. ჰუდი : ჭამ. ლ'უნნი : ტინდ. ლ'უდი (ანდ. ლ'უდე) : ბაგვ. ლ'ულა (თლონდ. ჰურ) : ახვ. ლ'ულა ~ საკ. დიდ.: ჰინ. რედუ (< *ლედუ) : ხვარ. ლიდა (ინხ. ლილო) : ბეჟ. ჰუნლო (ბეჟ. მეტყვ.), ჰულო (ტლად.) „შეშა“.

¹⁴⁴ შეიძლება ლ ზოგ მაგალითში („ფრთა“) არც გადავიდეს რ-ში.
¹⁴⁵ ლ' → ლჰ ნიშანდობლივი უნდა ყოფილიყო დიდ. ენებისთვისაც [მიქაილოვი 1958 : 85; ლომთაძე 1998 : 136].
¹⁴⁶ ტ. გულავას შეცდომით მოჰყავს სხვა ფუძის შემცველი ზმნები: საკ. დიდ. ქურა, ხვარ. ქულა „ტყორცნა“ [გულავა 1979 : 106; იხ. არდოტელი 1999 : 84].

3. ანდ. ლ'ირუ : ლოდ. ლ'ერუ : ჭამ. ლ'ინე : ტინდ. ლ'ირუ : კარ.: ახვ. ლ'ირო : ბაგვ. ჰილუ ~ საკ. დიდ. ლელა : ჰინ. ლაბა : ხვარ. ლილ (ინხ. ლილუ) : ბეჟ. ჰაბო (ჰუნზ. ჰაბუ) „ფრთა“.

4. ანდ. ლ'ოლ : ჭამ. ლ'ალ : ტინდ.: კარ.: ახვ. ლ'ალი : ბაგვ. ჰალ „ნალი“ ~ საკ. დიდ. რორი (< *ლოლი) : ჰინ. რორე (< *ლოლე) : ხვარ. ლოლო : ბეჟ. ჰალე (ჰუნზ. ჰოლე) „ტერფი“.

ბ. ყრუ ინტენსიური ლატერალური სპირანტი *ლბ. ამოსავალი ლბ ანდიურ ენებში უცვლელად არის შემონახული, ხოლო დიდურ ენებში, ინტენსივობის კორელაციის ელიმინაციის შემდეგ, ნეიტრალური ლ'-ს სახით დასტურდება [გუდავა 1964 : 147; 1979 : 93].

ხუნდ. ენის ჭარულ დიალექტში *ლბ-ს ამგვარი ცვლილებები მოუღის: *ლბ > ჰმჰ, ჰმ, შ.

*ლბ-ს შესატყვისობის ფორმულა ამგვარად წარმოგვიდგება:

*	ხუნდ.	ანდ.	ბოთლ.	ლოდ.	ჭამ.	ტინდ.	ბაგვ.	კარ.	ახვ.	საკ. დიდ.	ჰინ.	ხვარშ.	ბეჟ.
ლბ	ლბ (ჰმჰმ, ჰმ, შ)	ლბ	ლბ	ლბ	ლბ	ლბ	ლბ	ლბ	ლბ	ლბ	ლბ	ლბ	ლბ

1. ხუნდ. რე-ლბ-ინე ~ ანდ. აბ-ლბ-ინ (< *ბა-ლბ-ინ) : ბოთლ. ბა-ლბ-ინა „დამსგავსება“ : ტინდ.: ბაგვ. ბა-ლბუმ : ჭამ. ბა-ლბუმბ : ახვ. ე^ნ-ლბელა „მსგავსი“ : კარ. ბა-ლბენ : „დამსგავსა“ ~ საკ. დიდ. ბი-ლ'-ა : ხვარშ. ბა-ლ'-ა : ბეჟ. ე^ნ-ლ'-ალ „დამსგავსება“.

2. ხუნდ. ლბი- ~ ანდ.: ბოთლ.: ლოდ.: ჭამ. ლბე- : ტინდ. ელბი- : ბაგვ. ლბენ- : კარ.: ახვ. ლბო- ~ საკ. დიდ.: ჰინ. ლ'უ („ვინ“) : ხვარშ. ლ'უ („ვინ“) : ბეჟ. ლ'ო („ვინ“ ნაცვალსახელის ერგ. და „ირიბ ბრუნვათა“ ფუძე).

3. ხუნდ. ლბინ ~ ანდ.: ტინდ. ლბენ : ბოთლ. ლბენ(ი) : ლოდ.: კარ.: ახვ. ლბენი : ჭამ. ლბინ : ბაგვ. ლბენ ~ საკ. დიდ. ლ'ი : ჰინ. ლ'ე : ხვარშ. ლ'ან (ინხ. ლ'ონ) : ბეჟ. ლ'ი (ჰუნზ. ლ'ენ) „წყალი“.

4. ხუნძ. -(ა)ლბ ~ ანდ.: ბოთლ.: ლოდ.: ჭამ.: ტინდ.: ბავვ.: კარ.: ახვ. ლბ „ერგატივის ნიშანი“ ~ ჰინ. -ლ'ო : ხვარშ. -ლ'ი : ბეჟ. -ლ'უ „ე. წ. ჩანართი ელემენტი (resp. ფუძის საწარმოებელი აფიქსი) სახელებში“.¹⁴⁷

2.16.5. წინაველარული *ხ'. სპირანტი ხ', როგორც ცნობილია, ძირითადად ხუნძურსა (მეტწილად) და ანდიურ (იმვითადა) ენებში დასტურდება და აკუსტიკურ-არტიკულაციურად მაგარი ყრუ კორელატის (ხგ) ტოლფარდია [ჩიქობავა, ცერცვაძე 1962 : 41].

სპეციალური ლიტერატურის მიხედვით, ამოსავალი ხ'-ს პოსტულირებისას ერთმანეთისაგან თვალსაჩინოდ განსხვავებული ინტერპრეტაციები გვაქვს: ერთნი ხ'-ს ფუძეენაში აღაღვენენ [მიქაილოვი 1958 : 79-81; ბოკარევი 1961 : 57-68; გულავა 1964 : 148-150; ცერცვაძე 1965 : 90; 1974 : 136; თალიბოვი 1980 : 322...], სხვანი მის თავდაპირველადობას უარყოფენ და უპირატესად შ-ს რეფლექსად მიიჩნევენ [ტრუბეტკო 1987 : 252; გიგინეიშვილი 1977 : 120; ლომთაძე 1996 : 23...].

უნდა აღინიშნოს, რომ ხუნძურში *შ > ხ' გადასვლის მართებულობის ეჭვქვეშ დაყენება გამო-წვეულია შ-ს ორგვარი რეფლექსაციით (ანდ. *შ : ხუნწ. ს,),¹⁴⁸ რომელიც ფონოლოგიურად შეუ-პირობებელია [გულავა 1964 : 148].

ჩვენი აზრით, ხუნძ. ხ' : ანდ. შ ფონემათფარდობაში ამოსავალი ხ' უნდა იყოს.¹⁴⁹ თუ დავუშ-ვებდით შ > ხ' ბეგრატცვლილებას, მაშინ უნდა დაგვედგინა ის კომბინატორული ფაქტორები, რომ-ლებიც აპირობებდნენ ამ პროცესს. ეს კი ჭერ ხერხდება, ვინაიდან -ს დისტრიბუცია თავისუფალია და რაიმე ფონოლოგიური პოზიციით მისი შეზღუდვა არ შეინიშნება. პალატალიზაციის პროცესი (*ხ' > შ), რომელიც გარდამავალ რგოლად ანწუსური დიალექტის ღვედის მეტყველებაში თავჩე-ნილ პალატალიზებულ -ს გულისხმობს, ბუნებრივი ჩანს ხუნძურისთვისაც [მიქაილოვი 1958 : 79-80] და ანდიური ენებისთვისაც [გულავა 1964 : 150].¹⁵⁰

¹⁴⁷ იხ. გულავა 1964 : 148; იმნაიშვილი 1963 : 143-144.
¹⁴⁸ ლაბიალურ ბეგრათა წინ ანდიურ ენებშიც მეტ-ნაკლებად განსხვავებული ვითარებაა [გულავა 1964 : 150].
¹⁴⁹ ხ' რეკონსტრუირდება არა მხოლოდ ხუნძურ-ანდიურ-დილოური ერთობისათვის, არამედ ლაკურ-დარგუული და ლუზიური ფუძეენისთვისაც [თალიბოვი 1980 : 322-323; აკიევი 1977 : 112-114].
¹⁵⁰ ანდიური ბეგრატცვლილება ასასიათებს ლაკურ-დარგუულსაც [აკიევი 1977 : 112].

თუ ხუნძურში ლუბლუტურ ფორმათა არსებობას გამოვრიცხავთ, მაშინ აუცილებელი გარღვევა-ლობით არქიფონემად უნდა დაუშვათ წინაველარული წ, რომელსაც ღიდ. ენებში ეკვივალენტად ჟ (< შ < წ) ექნება. საერთო ამოსავლად ნავარაუდებ წ-ს, რომელიც თავს იჩენს ხუნძურსა და ზოგ ანდიურ (ბოთლ., კარ.) ენაში, ღიდოურ ენებში *შ-ს რეფლექსაციისაგან რამდენადმე განსხვავებულ ვითარებას გვიჩვენებს — ზოგ ენაში ხშირად დასტურდება შ > ჟ. ამგვარ პროცესს სისტემური ხა-სიათი არ აქვს. რაც შეეხება მტკიცებას, რომ „ამოსავალ არამაგარ სპირანტთა გამჟღერების პროცე-სი ღიდოურ ენებში წინ უსწრებდა ხუნძურ-ანდიური ერთობის დაშლას“ [გიგინეიშვილი 1977 : 120], რელატიური ქრონოლოგიის მიხედვით, მართებულია და კარგად ცნობილიც [იხ. გუდავა 1964 : 148-149; 1979 : 208]. კორექტირება სჭირდება მხოლოდ ღებულებას იმის შესახებ, რომ ამოსავალ შ და წ თანხმოვანთა თანხვედრის შემდეგ მათი რეფლექსების გარჩევა შეუძლებელია [გუდავა 1979 : 95]. ამოსავალ შ-ს ღიდ. ენებში რეგულარულად ჟ შეესატყვისება, ხოლო *წ-ს — შ, ჟ.¹⁵¹

ამრიგად, წ-ს შესატყვისობის ფორმულა ამგვარ სახეს მიიღებს:

*	ხუნძ.	ანდ.	ბოთლ.	ღიდ.	ჭამ.	ტინდ.	ბაგვ.	კარ.	ახვ.	საკ. ღიდ.	ჰინ.	ხვარშ.	ბეჟ.
წ	(შ)	შ	შ (ხ)	შ (ჩ)	ჰ (შ)	ჰ (შ)	ჰ (ხ)	წ-, შ წ	შ	შ (ჟ)	შ (ჟ)	შ (ჟ)	შ (ჟ, ხ)

1. ხუნძ. როწ ~ ანდ. რეშა : ბოთლ.: ღოდ.: ახვ. რეშა : ჭამ. ჟ ოჰა : ტინ. როჰა : კარ. როშა „ხე“ ~ საკ. ღიდ. აჟუ : ჰინ. აჟე („ხე“) : ხვარშ. აჟან „ბუჩქი“.

2. ხუნძ. წონ (ანწ. შონ) ~ ანდ. შენ : ბოთლ. წუნი : ღოდ. შუნი : ჭამ. ჰუწ⁵ (ჰიჰ. ჰუნი) : ტინდ.: ჰუმურ : ბაგვ. ჰუწ⁵დი : კარ. წუწ⁵დი ~ საკ. ღიდ.: ჰინ. ეჟი : ხვარშ. იჟა : ბეჟ. იზო (< ტლად. იჟო, შდრ. ჰუნზ. იწ⁵ჟუ „id“.) „თესლი“.

ფონემა ჰ: ფარინგალური ჰ გვხვდება როგორც დარგუულში, ისე ლაკურში. ლაკურ ენაში ეს ფონემა ყოველთვის და ყველა პოზიციაში ფარინგალიზებულია. დარგუულ ენას რაც შეეხება, ს. აბლულაევის თქმით: „ჰ და ჰ ბგერები ასუშურ დიალექტში გვხვდება ოდენ შუა და ქვედა აწეულობის ხმოვნებთან მეზობლობაში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, „ჰ და ჰ ბგერების გვერდით ხმოვნები ყოველთვის რბილდებიან და ხორხისმიერ უღერადობას იძენენ. იგივე შეიმჩნევა წუდახარულ დიალექტშიც. ასუშურ-ურახული ტიპის სხვა დიალექტებსა და წუდახარული ტიპის რიგ დიალექტში ხორხისმიერი უღერადობა (გლოტიზაცია) ხმოვნების ჰ და ჰ ბგერების წინ არ არის აუცილებელი: ამ თანხმოვანთა წინ და მომდევნოდ ამ დიალექტებში ხშირად მოიხმის ზედა და შუა აწეულობის ხმოვნები გლოტიზაციის გარეშე“ (აბლულაევი, 1954: 27). მაგალითები:

ასუშ.	წუდახ.	მულ.	ურახ.
ჰენე „ჯოგი“	ჰენე	ჰენე	ჰანე
ჰეჰ „ხველა“	ჰეჰ	ჰეჰ	ჰაჰ
ბეჰ „ბოლო“	ბეჰ	ბეჰ	ბეჰ

და სხვა.

დარგუული ენის მულის დიალექტში გვხვდება ფარინგალური ჰ ასპირატის ინტენსიური (გემინირებული) სახეობებიც. მაგალითად:

ასუშ.-წუდახ.	მულ.
მეჰე „ტენი“	მეჰე
ყეჰე „თალგამი“	ყეჰე
გეჰელ // ქეჰელ „რვა“	ქეჰელ
დჰჰი // დუჰჰ „თოვლი“	დუჰჰ

ლაკურ ენაში ჰ ფონემის ინტენსიური სახეობები დადასტურებული არ არის.

ფონემა ზ: დარგულ ენაში მნიშვნელოვანი გავრცელება ჰპოვა ფარინგალურმა მჟღერმა ზ ფონემამ; მისი შესუსტებული ვარიანტი ვლინდება ლაკური ენის ვიცხიური დიალექტის ცალკეულ სახელებში:

დარგ.	ლაკ.
ჭატა „ბაყაყი“	ჭორბატი
ჭარჭა „ქათამი“	ჭანაკი
და სხვა.	

ფონემა ჰ: როგორც ლაკურ, ისე დარგულ ენებში შეიმჩნევა მნიშვნელოვანი ლექსიკური ფენა, რომლის შემადგენლობაშიც გამოიყოფა ლარინგალური ასპირატი ჰ. მაგალითად:

დარგ.	ლაკ.
ჰულუ „ოსპი“	ჰულუ
ჰუ „თესლი“	ჰანა
ხურჰარი „ფილტვები“	ჰუთრუ

იგივე ფონემა ხშირად გვხვდება არაბულ-თურქულ-სპარსულ მრავალრიცხოვან ნასესხობებში: ბაჰანა „მიზეზი“, ჰალმანჩუ „ამხანაგი“, ჰუნარჩი „აკრობატი“, ფაჰლივან „მუშაითი“, ჰავა „ჰაერი“, ჰუჟუმ „შეტევა“, მამჰურ „გამორენილი“ და სხვა.

ფონემა ც: დარგულ და ლაკურ ენათა სახელებში ეს ლარინგალური აბრუპტივი მეტად იშვიათად გვხვდება.

ღარგ.	ლაკ.
ბჰცლი „ბალი“	ბჰცლი
ნაცმაყ „სლოკინი“	ბაცბაც

ღარგუული ენის ახუმურ-ურახულ დიალექტებში უ ძირითადად გვევლინება სხვადასხვა თანხმოვანთა რეფლექსად; ასეთი თანხმოვნებია ღარგუულში გ, უ, ღ, ზ, ხოლო ლაკურში კ, ყ, წ. მაგალითები:

წუღახ.	ახუმ.-ურახ.	ლაკ.
მიგ „ყინული“	მიც	მიკ
ნიგ „რძე“	ნიც	ნაკ
ღიგ „ხორცი“	ღიც	ღიკ
აჟღალ „ოთხი“	აჟღალ	მუყ
ბერღჟიზ „გაშრობა“	ბერჟჟიზ	ყაყან
ბაღღიზ „ჭრა“	ბეღღეს	ყუყინ
ნიზ „ტილი“	ნერჟ	ნაწ
უმჟუსე „სუფთა“	უმჟულ	მარწ
ჟაზა „თაფლი“	ჟარჟა	ნიწ
ზური „კარსკვლავი“	ცურჟი	წუ

ღა სხვა.

იგივე ლარინგალური აბრუპტივი ლაკურ ენაში გვხვდება ნასესხებ სიტყვებშიც; შღრ:

ღარგ.	ლაკ.
ნიჟმათ „ნეტარება“	ნიცმათ
მაჟნა „მნიშვნელობა“	მჰცნა

ფონემა ა: შუაენისმიერ (ნახევარხმოვან) ა ფონემას დარგულ და ლაკურ ენებში გავრცელების მნიშვნელოვანი არეალი და გამოყენების საკმაოდ დიდი სიხშირე მოეპოვება. განსაკუთრებით ფართოდ გამოიყენება ეს ფონემა კუბაურში გრამატიკული კლასის ნიშან რ-ს ა ფონემაში გადასვლის წყალობით; გარდა ამისა, ინფინიტივის აფიქსი კუბაურში ასევე ა ფონემათ ბოლოვდება: ბახიდ „სწავლა“, ბაყიდ „გაკეთება“ და სხვა.

ფონემა ა დასტურდება აგრეთვე დარგულ და ლაკურ ენათა სახელის ფუძეებში:

დარგ.

ლაკ.

ჟადსი „ცოდნა“

ვადლილსა

დალადა „სიმღერა“

ბალადა

ბადა „კოცნა“

ფაადა

და სხვა.

გვხვდება აგრეთვე არაბულ-თურქულ-სპარსული და აგრეთვე რუსული ენიდან ნასესხობებში:

დარგ.

ლაკ.

ფადა „სარგებელი“

ფადა

შადატან „ემშაკი“

შადატან

ჰაულადსი „ხელსაყრელი“

ჰაულადსა

და სხვა.

ფონემა ბ: ერთადერთი სიტყვა, რომელშიც დასტურდება ფრიკატიული ფშვინვიერი ბ წარმოადგენს ხმაბაძვით სიტყვას. იგი გვხვდება როგორც დარგულ, ისე ლაკურ ენებში: დარგ. უბ (იკეს) „შებენა“, ლაკ. უბ (უზინ).

როგორც შედარებითი ანალიზიდან ჩანს, დარგუული ენის კუბაჩურ-წუდასარული ტიპის დიალექტებს ახასიათებს ის, რომ ამ დიალექტთა ფონეტიკურ სისტემაში წარმოდგენილია ღრმად განვითარებული სისტემა ინტენსიური (გემინირებული) ფონემებისა.

3.2. ფონეტიკური პროცესები

3.2.1. ბაგისმიერი ხშულები ბ, ფ, ფა, პ. საერთო დაღესტნური მჟღერი ხშული ბ სრულადაა შენახული ლაკურ-დარგუული ენობრივი ერთობის დონეზე: დარგ. ბეკ // ბიკ „თავი“ : ლაკ. ბაკ; დარგ. ბეწ // ბიწ „მგელი“ : ლაკ. ბარწ...

უკვე ისტორიულ პერიოდში ბ ხშულმა მოგვცა მ რეფლექსი, რაც ნათლად ჩანს სახელთა ანლაუტში, მონათესავე დაღესტნურ ენათა მასალის შედარებისას:

დარგ. მარგა : ლაკ. ბურნ ნი : ხუნძ. ბინ ინ „ხვადი“; დარგ. ბუტა : ლაკ. ბუტა, ჰინუხ. მუტა „წილი“; დარგ. მუჩი : ჰინუხ. მეში : ლაკ. ბარჩ „ფეტვი“; დარგ. ბაზ // ბად // ბაცა : ლაკ. ბარზ : ხუნძ. მოწა „მთვარე“ და სხვა (აკიევი, 1977: 100).

იოლად რეკონსტრუირდება ლაკურ-დარგუული ენობრივი ერთობისათვის ფშვინვიერი ფ : დარგ. ფენწ „ცვარი“ : ლაკ. ფიწ; დარგ. ფუმ „საბერველი“ : ლაკ. ფურმ... ვერ აღდგება აღნიშნული დონისათვის ინტენსიური (გემინატი) ფა, რომელიც ბ ბგერისგან არის განვითარებული მხოლოდ ლაკურში და დარგუული ენის კუბაჩურ-წუდასარული ტიპის დიალექტებში: ბ → ფ, ბბ → ფა, მაგ., ახუმ. ბალა „მატყელი“ → წუდახ. ფალა → ლაკ. ფალ, ახუმ. ვაუბა „გუმბათი“ → წუდახ. ვაუფა // ლაკ. ვაუფა... ლაკურ ენაში ბაგისმიერ ბგერათა თავმოყრა ასევე იძლევა ფა-ს: შაფა „შინ“ (III გრ. კლასი) ← *შაბა (შდრ. შარდა „შინ“, II გრ. კლასი) ... ინტენსიური ფა-ს ჩამოყალიბების პროცესი დასრულებული არ არის.

ლაკურ დარგუული ენობრივი ერთობის დონისათვის პ აბრუპტივი აღდგება საკმაოდ მწირი მასალის საფუძველზე: დარგ. კაპი „ფოთოლი“ : ლაკ. ჭაპი ... დარგ. პარ-პარ (იკეს) „ბუზღონი“ : ლაკ. პარ-პარ (ტუნ)...

ამრიგად, ძირეულ ლექსემათა შედარება საშუალებას იძლევა ლაკურ-დარგუული ენობრივი ერთობის დონეზე რეკონსტრუირებულ იქნეს ბ, ფ, პ ფონემები.

3.2.2. **დენტალური ხშულები დ, თ, თა, ტ.** დენტალური მჟღერი ხშული დ ერთ-ერთი მკვიდრი ელემენტია მთის კავკასიურ ენათა ფონეტიკურ სისტემაში. ლაკურ ენაში ეს ფონემა არ მონაწილეობს სიტყვათა ინლაუტსა და აუსლაუტში, ამიტომ მისი რეკონსტრუქცია აღნიშნული დონისათვის ხერხდება მხოლოდ თავკიდურ პოზიციაში: დარგ. დიგ // დიგ „ხორცი“ : ლაკ. დიკ ... ისტორიულად დ არაიშვიათად გადადის რ ბგერაში: დარგ. დუკ „უღელი → ლაკ. რუკ; ლაკ. დუშ „ქალიშვილი“ → დარგ. რურსი (შდრ. მეკებ. დიადლ. დურსი).

მიუხედავად თ (← დ) რეფლექსის დამთხვევისა ამოსავალ თ ბგერასთან, ლაკურ-დარგუული ერთობის დონეზე შემოინახა საერთოდ აღესტნური ენობრივი ერთობის თ ფონემაც: დარგ. ბათაეს „დაგლება“ : ლაკ. ბუთან (შდრ. ხუნდ. ბორთიზე „დავარდნა“) და ა.შ.

ლაკურ-დარგუული ერთობის დონეზე ვერ რეკონსტრუირდება ინტენსიური თა, რომელიც ფუნქციონირებს მხოლოდ კუბაჩურ-წუდახარული ტიპის დიალექტებსა და ლაკურ ენაში. მისი ფორმირების ძირითადი წყაროა პროცესი დ → თა: დარგ. დარშალ „ასი“ : ლაკ. თაურშ, დარგ. ჩუდუ „ღვეზელი“ : ლაკ. ჩუთაუ... თუმცა დასტურდება თ → თა პროცესის შემთხვევებიც: დარგ. თექაუ „ვირის ჩოჩორი“ : ლაკ. თაუქაუ; დარგ. ბითეს „დარტყმა“ : ლაკ. ბათან...

ლაკურ-დარგუული ენობრივი ერთობის დონისათვის ამოსავალი ტ ვლინდება ძირეული ლექსიკის მნიშვნელოვან ნაწილში: დარგ. ტუტი „ყურძენი“ : ლაკ. ტუტი „ყვავილი“; დარგ. კინტ „წვეთი“ : ლაკ. კუნტ; დარგ. კატა „ნიჩაბი“ : ლაკ. ჭატა ... თუმცა ვლინდება საერთოდ აღესტნური დ ბგერის ტ-ში გადასვლის შემთხვევებიც: თაბ. ჭუდ „რწყილი“ → დარგ., ლაკ. ჭიტ, ხუნდ. ჭეტ ... ან დ → ტ ლაკურ-დარგუული ერთობის დონეზე: დარგ. ყადა „ბუჩქი“ → ლაკ. ვატა...

ამრიგად, წინაენისმიერთა რიგში ლაკურ-დარგუული ენობრივი ერთობის დონისათვის აღდგება დ, თ, ტ, ხოლო ინტენსიური თ მეორეულია.

3.2.3. **სონორები.** საერთო დაღესტნური დ ბგერის რ ბგერაში გადასვლის მრავალრიცხოვანი შემთხვევების მიუხედავად, რ ფონემა აღდგება განსაკუთრებული სირთულეების გარეშე: დარგ. ვარა „მუხუდო“ : ლაკ. ვურუ; დარგ. მივირ „მკერდი“ : ლაკ. ვურუ...

ნ ფონემა აღდგება როგორც საერთო ლაკურ-დარგუული, ისე საერთოდ აღესტნური ენობრივი ერთობის დონეზეც: დარგ. ნეგ „ბზე“ : ლაკ. ნავ; დარგ. უნც „ხარი“ : ლაკ. ნიც...

საერთო დაღესტნური ერთობის დონეზე მ ფონემის პოსტულირებისათვის მოიპოვება საკმაოდ ვრცელი მასალა, თუმცა თავკილური მ ამ ენებში შეიძლება აღმოჩნდეს გაქვავებული გრამატიკული კლასის ნიშან ბ-ს რეფლექსი, მაგრამ არაერთი ლექსემა საშუალებას იძლევა იოლად იქნეს რეკონსტრუირებული მ ფონემა როგორც საერთო დაღესტნურ, ისე საერთო ლაკურ-დარგულ დონეზე: დარგ. მიც // მიგ „ყინული“ : ლაკ. მიკ // მეჰ // მეხ...

აუსლაუტში და მ თანხმოვნის წინ ლაკურ ენაში მ გადადის ნ ბგერაში: ჭუნ „დრო“ : ჭუმულ (ნათ. ბრ.), შმუ „ხონჩა“ : შნთულ (ნათ. ბრ.)... მაგრამ დარგული მ-ს ინარჩუნებს: დარგ. გუმგუმ „ლოქი“, შდრ. ლაკ. გუნგუმი; დარგ. ხამხა „სხეული“, შდრ. ლაკ. ხანხა...

ლაკურ დარგული ენობრივი ერთობის დონეზე რეკონსტრუირდება თავკილური ლდარგ. ლჰვი „ლოყი“ : ლაკ. ლჰინ; დარგ. ლიგა // ლიქა „ძვალი“ : ლაკ. ლიჩა ... თუმცა ლ შეიძლება მიღებული იყოს დ → რ → ლ პროცესის შედეგად, ამიტომ ამოსავალი ლ-ს რეკონსტრუქციისას უპირატესობა ენიჭება ინლაუტისა და აუსლაუტის ჩვენებებს: დარგ. ჰულუ „ოსპი“ : ლაკ. ჰულუ; დარგ. დალაჰ : ლაკ. ბლაჰ; დარგ. გილი „უნაგირი“ : ლაკ. კილი...

3.2.4. უკანანისმიერი (ველარული) გ, ქ, ქზ, კ. მჟღერი ხშული გ ლაკურსა და კუბაჩურ-წუდახარული ტიპის დიალექტებში ცვლილებებს ექვემდებარება ისეთი პროცესების გამო, როგორცაა გ → ქ → ჩ, გ → ქ, გ → კ და გ → ზ // ზ. მიუხედავად გ ბგერის არასტაბილურობისა, იგი მაინც რეკონსტრუირდება მინიმალური რაოდენობის ძირეული ლექსიკის საფუძველზე: დარგ. გჰაჰა // გჰაჰა // ქჰაჰე „შუქნა“ : ლაკ. გუჰა; დარგ. ჟურუგ „მრგვალი“ : ლაკ. გურგა „კვერი“ ...

ამოსავალი ქ-ს რეკონსტრუქცია შესაძლებელია ძირეული ლექსიკის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილის მეშვეობით: დარგ. ნიქა „ჩლიქი“ : ლაკ. ნიქ „მუხლი“; დარგ. ქაინ „კუჭი“ : ლაკ. ქუ // ბადა-ქუ ... შემორჩა საერთოდაღესტნური დონის ზოგიერთ სიტყვაშიც. ამოსავალ ქ ბგერაზე უარყოფითად იმოქმედა ისეთმა პროცესებმა, როგორცაა: აფრიკატიზაცია ქ → ჩ, გემინაცია ქ → ქზ და სპირანტიზაცია ქ → ზ.

ინტენსიური ქზ ვერ აღდება ამოსავალი სისტემისათვის, რამდენადაც იგი სტატიკაშია წარმოდგენილი როგორც შედეგი პროცესისა გ (ახუშურ-ურახულის დონე) → ქზ (ლაკურისა და კუბაჩურ-წუდახარულის დონე): დარგ. გული „ტყავი“ → ლაკ. ქული // ქირი; დარგ. ლიგა „ძვალი“ → ლაკ. ლიჩა ← *ლიქა (შდრ. ნათ. ლიქურალ) და ა.შ.

ამოსავალი აბრუპტივი კ შემონახულია ძირეულ ლექსიკაში: დარგ. კუჭა // კიჭა // კია „ალო“ : ლაკ. კუ; დარგ. კინტ „წვეთი“ : ლაკ. კუნტ; დარგ. ურკი „გული“ : ლაკ. ლაკ...

ამრიგად, ლაკურ-დარგუული ერთობის დონისათვის რეკონსტრუირდება ამოსავალი გ, ქ, კ, ხოლო ინტენსიური ქ მეორეულია და იგი სინქრონიამიც ვითარდება.

3.2.5. ფარინგალური ხშულები ვ, ვა, ყ. ლაკურ-დარგუული ერთობის დონისათვის ამოსავალი ვ დასტურდება, უპირველეს ყოვლისა, საერთოდალესტნური ლექსიკის შემადგენლობაში: დარგ. ნივა „შვრია“ : ლაკ. ნივა; დარგ. ვუ „ყანა“ : ლაკ. ვუ და ა.შ. იგი დასტურდება აგრეთვე ლაკურ-დარგუულ ძირეულ ლექსიკაში: დარგ. ბუუუტა „ყვითელი“ : ლაკ. ვავისა; დარგ. ვიწიწ „გირჩა“ : ლაკ. ვიწი და ა.შ.

რაც შეეხება ინტენსიურ ვა-ს, უნდა აღინიშნოს, რომ ახუმურ-ურახული ტიპის დიალექტებში მან ჯერ კიდევ ვერ ჰპოვა განვითარება. მისი გამოჩენა ლაკურში და კუბაურ-წუდახარული ტიპის დიალექტებში განპირობებულია ამოსავალი ვ ბერის ვა-ში გადასვლით, აგრეთვე სუსტი ვ-ს მიერ ინტენსიურობის მოპოვების პროცესის გამოისობით: ვ → ვა.

ამოსავალი აბრუპტივი ყ აღდება საერთო ლაკურ-დარგუულში: დარგ. ყაწ „პირი“ : ლაკ. ყანწ; დარგ. ყამსიქ „ხრტილი“ : ლაკ. ყანსლუ, დარგ. ყუტ „კაკუნი“ : ლაკ. ყუტ; დარგ. წირყ „ვეფხვი“ : ლაკ. წინიყ და სხვა მრავალი.

წარმოდგენილი მასალა საფუძველს იძლევა, რომ საერთო ლაკურ დარგუულ დონეზე რეკონსტრუირებულ იქნეს ხშული ფარინგალური თანხმოვნები ვ, ყ. ინტენსიურ ვა-ს რაც შეეხება, ლაკურ ენასა და კუბაურ-წუდახარული ტიპის დიალექტებში იგი ისტორიულად გვევლინება ვ-ს რეფლექსად.

3.2.6. სპირანტები ზ, ს, სა, ჟ, შ, შა. საერთოდალესტნური დონის ამოსავალი ზ გამოიყოფა ძირეული ლექსიკის არც თუ მნიშვნელოვან ნაწილში: დარგ. აზხეს „აღომა“ : ლაკ. იზან; დარგ. აზხეს „შეერთება“ : ლაკ. ბაზინ ... გამოიყოფა იგი საერთო ლაკურ-დარგუულ ლექსემებშიც: დარგ. კაზ „აბრეშუმი“ : ლაკ. კიზ „თმის კულული“; დარგ. ღურზამ „ცხვრის ფარა“ : ლაკ. თურზან და სხვა.

იოლად რეკონსტრუირდება საერთო ლაკურ-დარგუულიათვის ამოსავალი ს ფონემაც: დარგ. სუსულ „ჭვავი“ : ლაკ. სუს; დარგ. სირის „თრვილი“ : ლაკ. სირთ; დარგ. ყამსიქ „ხრტილი“ : ლაკ.

ყანსლუ... **ს** ფონემა ვლინდება საერთოდადესტნურ ლექსემებშიც: დარგ. ნუსი „ყველი“ : ლაკ. ნის; დარგ. მუსი „ოქრო“ : ლაკ. მუსი ...

ინტენსიური **ს** ბგერის სტატუსი ამ ენებში ანალოგიურია ზემოთ აღწერილი ფა, თა, ქა თანხმოვნების მდგომარეობისა... მისი ფორმირება დაკავშირებულია **ს** → **ს** პროცესთან: ლაკ. ყუსაა „კოვზი“ → წუდახ. ყულსაა ... ახუმ. სიგ „ჟანგი“ → სი ... აგრეთვე ამოსავალი მჟღერი **ძ**-ს რეფლექსაციასთან.

ამოსავალი ლაკურ-დარგუული **ჟ** რეკონსტრუირდება საერთო ლაკურ-დარგუულ ღონეზე ძირეული ლექსიკის მეტად მიზერული რაოდენობის საფუძველზე, თუმცა ისიც არ არის საიმელო, რამდენადაც დარგ. ლაჟი „ლოყა“ და ლაკ. ლაჟინ, რომელთა შემადგენლობაშიც ამჟამად ფუნქციონირებს მჟღერი სპირანტი **ჟ**, მომდინარეობენ **ლაგინ** ფორმისაგან.

საერთო ლაკურ-დარგუული ენობრივი ერთობის სპირანტი **შ** დასტურდება ძირეულ ლექსიკაში: დარგ. ბურუმ „ლეიბი“ : ლაკ. შანუ; დარგ. ფუმ „საბერველი“ : ლაკ. ფურშ; დარგ. ფიმ „ლიმილი“ : ლაკ. ფიმ... გვხვდება საერთოდადესტნურ ლექსიკაშიც: დარგ. დარშალ „ასი“ : ლაკ. თაურშ ... **შ** სპირანტიან სიტყვათა რაოდენობის გაზრდას ლაკურ და დარგუულ ენებში ხელს უწყობს პროცესები **ს**→**შ**, **ს**→**შ**, **ც**→**ს**.

ინტენსიური სპირანტი **შ** წარმომავლობის თვალსაზრისით ანალოგიურია **ს** სპირანტისა. ამ ბგერამ განვითარება ჰპოვა მხოლოდ კუბაჩურ-წუდახარული ტიპის დიალექტებსა და ლაკურ ენაში. ძირითადი ფონეტიკური პროცესი, რამაც ხელი შეუწყო **შ** ინტენსიური სპირანტის წარმოქმნას, არის **შ** → **შა**: ურახ. დარშალ „ასი“ → წუდახ. დარშალ; ურახ. ში „სოფელი“ → შაე : ლაკ. შარ და სხვა.

შესამჩნევია აგრეთვე, რომ ინტენსიური **შა**-ს წარმოქმნას ამ ენებში ხელს უწყობს პროცესებიც **ს**→**შა**, **ს**→**შა**, აგრეთვე **ძ**→**ცა**→**სა**→**შა**.

ამრიგად, წინაენისმიერი სპირანტებიდან ამოსავალი ლაკურ-დარგუული სისტემისათვის რეკონსტრუირდება **ზ, ს, ჟ** (ეს უკანასკნელი მინიმალური სანდობით) და **შ**.

3.2.7. უკანაენისმიერი სპირანტები **ღ, ხ, ხა, ხ**, **ხ**, **ხა**. მჟღერი ველარული **ღ** შედის საერთოდადესტნური და ლაკურ-დარგუული ენობრივი ერთობის ღონის ლექსიკის მნიშვნელოვან ნაწილში: დარგ. ღამ „ახლო“ : ლაკ. ღან; დარგ. ღადრა „ჭურჭელი“ : ლაკ. ღადრა; დარგ. ზალ „შაბი“ : ლაკ. ზალ და სხვა. მიუხედავად იმისა, რომ საერთოდადესტნური **ღ** ლაკურში ყრუვდება და

ფარინგალურ **ჰ**, **ჰ**, **ჟ** ბგერებში გადადის, მაინც შემოინახა არქეტიპი და შენარჩუნდა ლაკურ-დარგუული ენობრივი ერთობის ღონეზე.

ამოსავალი **ხ** აღდგება ძირეული ლექსიკის მონაცემების მეშვეობით: დარგ. უმხა „ცარიელი“ : ლაკ. ხაბსა // ხაფსა; დარგ. ხახ „გავა“ : ლაკ. ხახ ... ორსავე ენაში წარმოდგენილია მრავალი სიტყვა, რომელთა შემადგენლობაშიც ფუნქციონირებს ფშვინვიერი **ხ**.

ჯერ კიდევ ლაკურ-დარგუული ენობრივი ერთობის პერიოდში მიმდინარეობდა პროცესი **ხ** თანხმოვნის გადასვლისა ინტენსიურ ბგერაში, რადგან უმეტეს შემთხვევებში საერთოდად სტნური **ხ** ლაკური ენისადა კუბაურ-წულასარული ტიპის დიალექტებში გადავიდა ინტენსიურ **ხა** ბგერაში და ურახული ტიპის დიალექტებში – ლარინგალურ **ჰ** სპირანტში, მაგ., წულახ. ბილხეიხ „ჭრა“ → ლაკ. ბიხვან // ურახ. ბელჰეს; ურახ. ნირხ „ერბო“ : ხუნდ. ნახ : არჩ. ნიხ → ლაკ. ნაჰ...

ინტენსიური **ხა** შეიძლება რეკონსტრუირებულ იქნეს ლაკურ-ხუნძური ენობრივი ერთობის ღონეზე, მაგრამ არა ლაკურ-დარგუული ერთობისა, რადგან იგი სხვა ინტენსიურების მსგავსად ვერ განვითარდა ახუშურ-ურახული ტიპის დიალექტებში: ახუშ. ურახ. ხაჰსა „მტკერი“ → ლაკ. ლახ (→ ნათ. ბრ. ლუხა-ალ), ახუშ.-ურახ. ხალა-დემ „სიამაყე“ → ლაკ. ხალლილ-შივეუ; ახუშ.-ურახ. ბიხეს „თრევა“ → ლაკ. ბუხინ, კუბაჩ. ბუხიდ „კერვა“ → ლაკ. ბურუხან და სხვა. **ხა**-ს განვითარებას ხელს უწყობს აგრეთვე ამოსავალი **ჟ**-ს დაშლა, მაგ., დარგ. ინიჟ „გამოქვაბული“ → ლაკ. ნუხ (შდრ. ნათ. ნუხა-ულ), ხუნდ. ჯეჟე „დაკვლა“ → ლაკ. ბიხვან; ხუნდ. ჯუჯაჟე „ხერხვა“ → ლაკ. ხუქუ-დან და ა.შ.

ამრიგად, ველარული სპირანტებიდან ლაკურ-დარგუული ენობრივი ერთობის ხანისათვის აღდგება **ღ** და **ხ** ფონემები.

ამავე რიგის ველარული სპირანტებიდან ლაკურსა და დარგუულში წარმოდგენილია **ხ** ფონემა ლექსემათა მნიშვნელოვან ნაწილში: დარგ. დირხ ა „ჯოხი“ : ლაკ. თაარხ ; დარგ. მირხ ა „სინდიყი“ : ლაკ. დახ ი ; დარგ. ბიხ ეს „დადება“ : ლაკ. ბიხ ლან და სხვა. ინტენსიური **ხ** ა-სფორმირება ძირითადად ხდება სადა **ხ** სპირანტიდან, მაგრამ ეს არ არის ერთადერთი საშუალება. ასე, მაგ., ვლინდება **გ** → **ხ** პროცესი, რომელიც გაშუამავლებულია **ქ** (→ **ქ**) პროცესით: ახუშ. დუგი „ღამე“ → წულახ. დუგი (← დუქი) → ხ ოუ; ახუშ. მიგლა „მუხისა“ → წულახ. მიქულა → ლაკ. მურხ ; ახუშ. ნეგ „ნამჯა, ბზე“ → წულახ. ნაქ → ლაკ. ნახ (ნათ. ბრ. ნუხ ალ) ... **ქ** → **ხ** პროცესი ფიქსირდება ლაკურ ენაშიც.

3.2.8. ფარინგალური ჟ და ჰ, ლარინგალური ე და ჰ. მიუხედავად იმისა, რომ ძირეული ლექსიკის დიდი ნაწილი ინარჩუნებს ფარინგალურ ჟ და ჰ სპირანტებს, მაინც განსახილველ ენებში ისინი წარმოადგენენ ფონეტიკური ინვენტარის ნაკლებეკვან ერთეულებს. მჟღერი ფარინგალური ჟ გვხვდება ძირეულ ლექსიკაში: დარგ. დჰ „ქარი“ : ლაკ. დჰ „სიცივე“; დარგ. ჟატა „ბაყაყი“ : ლაკ. ჟურბატი; დარგ. ჟარჟჰ „ქათამი“ : ლაკ. ჟანჰკი; დარგ. ჟანჟი „მიწა“: ლაკ. ჟარში და სხვა. ძირეულ ლექსიკაში გამოიყოფა ამავე რიგის ყრუ ფარინგალური ჰ ფონემაც: დარგ. ჰარჰლი „ჩემად“ : ლაკ. ჰურჰა; დარგ. ბეჰ // ბჰჰ „ბოლო“ : ლაკ. ბარჰ „ზურგი“ ... თუმცა არც ისე იშვიათია დარგ. ჟ → ლაკ. ჰ, დარგ. ჰ → ლაკ. ჰ პროცესის შემთხვევები: დარგ. ჟანჟა „ნახარში“ : ლაკ. ჰავ; დარგ. ჰეჟა „პერანგი“ : ლაკ. ჰეჟა; დარგ. დჰჰიმწალა „სარკე“ : ლაკ. დჰჰანი...

ლარინგალური აბრუპტივი ე ბგერის წარმოქმნის საშუალებაა პროცესები ჟ → ე, ჰ → ე, ან ჟ → *ჰ → ე, აგრეთვე გ → ე (გაფრინდაშვილი, 1966: 272). პროცესი ჟ → ე და ჰ → ე შეინიშნება ლაკურ ენაშიც, ოღონდ ნასესხებ ლექსიკაში. ლაკურ და დარგულ ენათა მონაცემები ადასტურებს ე აბრუპტივის რეფლექსოგენურ ბუნებას ამ ენებში და არ არსებობს საფუძველი ამოსავალ სისტემაში მისი რეკონსტრუქციისა.

ლარინგალური ჰ წარმოადგენილია ძირეულ ლექსიკაში: დარგ. ჰინთა „ირემი“ : ლაკ. ჰინთა; დარგ. ჰულუ „ოსპი“ : ლაკ. ჰულუ; დარგ. ჰე „თესლი“ : ლაკ. ჰანა; დარგ. ბეჰლა „იოლად“ : ლაკ. ბიჰასა „იოლი“ და სხვა.

ჰ ფონემა დადესტნურ ენათა ლექსიკაში ფართოდაა წარმოადგენილი. მისი არსებობა ლაკურ-დარგული ერთობის დონის ამოსავალ სისტემაში სრულიად უეჭველია, თუმცა ჰ-ს ფორმირების სპექტრი შესადარებელ ენებში ფართოვდება ისეთი პროცესების წყალობით, როგორცაა ჟ → ჰ, ჰ → ჰ.

3.2.9. მჟღერი აფრიკატები ძ და ჯ. ფონემები ძ და ჯ გვხვდება ახუმურ-ურახული ტიპის დიალექტებსა და თქმებში, ხოლო ლაკურ ენასა და კუბაჟურ-წუდახარული ტიპის დიალექტებში რეფლექსაცია განიცადეს შესაბამისი რიგის ბგერებად: ძ ← *ძ → ცჰ // → ზ, ძ ← *ძ → ცჰ // წ, ძ ← *ძ → ც // ცჰ, ძ ← *ძ → ცჰ // ს (→ შ). ხუნძური ინტენსიური აბრუპტივი წა წარმოადგენს ერთ-ერთ მაკავშირებელ რგოლს რეფლექსაციისა: *ძ → ცჰ // წა → წა.

ლექსემათა მცირე ნაწილში ვლინდება მჟღერი შიშინა აფრიკატი **ჯ**, რომელიც ასევე რეფლექსაციას განიცდის და იძლევა პროცესებს **ჩა // (ჟ) ← ჯ ← *ჯ → ჩა // ჩა, ჯ ← *ჯ → ჩა // ჭ → ჭა**.

ძ და **ჯ** ფონემათა პოზიციურა ახუმურ-ურახული ტიპის დიალექტებსა და თქმებში და მათ შესატყვის რეფლექსთა ფუნქციონირება აღგვადგენინებს მათ სტატუსს ლაკურ-დარგუული ენობრივი ერთობის დონეზე.

3.2.10. აფრიკატები ც, ცა, წ, ჩ, ჩა, ჭ. საერთოდალესტნური და ასევე საერთო ლაკურ-დარგუული ამოსავალი აფრიკატი **ც** წარმოდგენილია ძირეულ ლექსემებში: დარგ. უნც „ხარი“ : ლაკ. ნიც; დარგ. არც „ვერცხლი“ : ლაკ. არცუ; დარგ. უმცეს „გაზომვა“ : ლაკ. ბუცინ; დარგ. ცა „ერთი“ : ლაკ. ცა და სხვა. არაიშვიათად ლეზაფრიკატი ზაციის შედეგად **ც** გადადის **ს** ბგერაში.

ც → **ცა** პროცესის პროლექტიულობა არ დასტურდება. ინტენსიური **ცა**-ს შემცველი ძირეული ლექსემები მეტწილად მომდინარეობენ მჟღერი **ძ** აფრიკატისაგან: **ძ** → **ცა**, ანდა **დ** → ***ძ** → **ცა**.

ბევრად უფრო დიდა **წ** აფრიკატის შემცველ ამოსავალ ლექსემათა რიცხვი: დარგ. აწ „ათი“ : ლაკ. აწ; დარგ. წუ-ბა „თეთრი“ : ლაკ. წუ-სა „ახალი“; დარგ. ბიწეს „ავსება“ : ლაკ. ბუწინ; დარგ. ბიწეს „ღნობა“ : ლაკ. ბავწინ და სხვა. ზოგჯერ დარგუულ **წ**-ს ლაკურში შეესატყვისება ამავე რიგის შიშინა **ჭ** ფონემ: დარგ. ბაწ-სი „ცარიელი“ : ლაკ. ბაჭვა-სა, დარგ. ვუწარ „მხარი“ : ლაკ. ვაჭ ... დასტურდება ლეზაფრიკატი ზაციის შემთხვევებიც **წ** → **ტ**: ლაკ. წუში „ცოცხი“ → ლაკ. ტუში... დარგ. ვიწიწი „გირჩა“ → ლაკ. ყიტი... ლაკ. წუნვა-ტუნ „წოვა“ → დარგ. უტუჯ „საწოვარა“...

საერთო ლაკურ-დარგუულ ფონეტიკურ სისტემაში **წ** აფრიკატის რეკონსტრუქციისათვის მასალა სრულიად საკმარისი და საიმედოა.

ამოსავალი აფრიკატი **ჩ** წარმოდგენილია ძირეულ ლექსემებში: დარგ. ურჩი „ცხენი“ : ლაკ. ჩუ; დარგ. ჩინა „საით“ : ლაკ. ჩუნ; დარგ. ჩატა „მერცხალი“ : ლაკ. ჩიტუ და სხვა. **ჩ** აფრიკატის შემცველ ლექსემათა რაოდენობა ორსვე ენაში იზრდება **გ** → **ქ** → **ჩ** პროცესის წყალობით. საერთო ლაკურ-დარგუულ დონეზე აფრიკატი **ჩ** იოლად რეკონსტრუირდება.

ინტენსიური **ჩა** ორსვე შესადარებელ ენაში ვითარდება შემდეგი პროცესის მეშვეობით: **გ** → **ქ** → **ჩა** : დარგ. ლიგა „ძვალი“ → *ლიქა → ლაკ. ლიჩა; დარგ. დიგა „სიყვარული“ → *დიქა → ლაკ. ჩავეუ...

გარდა ამისა, სხვა დადესტნურ ენათა მასალა საშუალებას იძლევა თვალი გავადევნოთ **ჩ** → **ჩა** პროცესს, მაგ., ხუნდ. ჩედ „პური“ → ლაკ. ჩაატ და, პირიქით, ლაკ. ჩავავ „თევზი“ → ხუნდ. ჩაუჭა...

ინტენსიური ჩა-ს ფუნქციონირების შემთხვევები საერთო ლაკურ-დარგუულ ფონეტიკურ სისტემაში არ შეინიშნება.

ამოსავალი აბრუპტივი **ჭ** წარმოდგენილია ლაკურ-დარგუული ენობრივი ერთობის მნიშვნელოვან ლექსიკურ ნაწილში: დარგ. ურჭემალ „ცხრა“ : ლაკ. ლაკ. ურჭ; დარგ. ჭიჭ „ლილი“ : ლაკ. კიჭ; დარგ. კიჭა // კუიჭა „ჯამი“ : ლაკ. კიჭუ // კუიჭუ და სხვა. ზოგჯერ **ჭ** დეზაფრიკატიზაციას განიცდის და **ტ**-ს „იძლევა: ლაკ. ჭუ „ხმა“ → დარგ. ტამა, ლაკ. ბაჭინ „გაყოფა“ → დარგ. ბურტეს...

ჭ აბრუპტივიან ლექსემათა არეალის გაფართოებას ხელს უწყობს პროცესები **გ** → **კ** → **ჭ**: დარგ. ლუგი „თავთავი“ → ლაკ. ჭალი (← *კალი), დარგ. აგუის „დანახვა“ → ლაკ. ჭალან (← *კალან)... **კ** → **ჭ**: ახუმ.-ურახ. კიმი „კუდი“ → წულახ. ჭიმი, ურახ. კუინტ → წულახ. ჭუინტ...

3.2.11. სპირანტები დ და ძ. სპირანტი **დ** დასტურდება ლაკურ-დარგუულ ძირეულ ლექსემებში, როგორცაა, მაგ., დარგ. უა-სი „ცული“ : ლაკ. ვა; დარგ. დალა „სიყვარული“ : ლაკ. ბალა; დარგ. ბა „კოცნა“ : ლაკ. ფა; დარგ. მუდ „ქონი“ : ლაკ. მა და სხვა. **დ** ფონემის განვითარებას საერთოდადესტნურ დონეზე ხელს უწყობდა სპონტანური პროცესი **დ** → **რ** → **დ**. იგივე პროცესი დასტურდება დარგუული ენის დიალექტებშიც: მეჭებ დურსი „ქალიშვილი“ → ურახ.-ახუმ. რურსი → კუბაჩ. დუსე.

სპირანტი **დ** ასრულებს მორფოლოგიურ ფუნქციასაც, კერძოდ, იგი ლაკურ ენაში გვევლინება ინტერვოკალურ პოზიციაში ამოვარდნილი **I** გრამატიკული კლასის შემცველად: ცა-დ-ა „ერთი“ (**I** კლ.), კი-დ-ა „ორი“ (**I** კლ.), ხა-დ-ა „ხუთი“ (**I** კლ.), არუ-დ-ა „შვიდი“ (**I** კლ.)...

დ ფონემის რეკონსტრუქცია ლაკურ-დარგუული ენობრივი ერთობის დონეზე, ამრიგად, იოლად ხერხდება მის შემცველ ლექსემათა და მორფემათა საკმაო რაოდენობის გათვალისწინებით.

ერთადერთი ძირეული ლექსემა ლაკურ-დარგუული ენობრივი ერთობისა, რომელიც **ძ** სპირანტს შეიცავს, ხმაბადებითი ხასიათისაა: დარგ. უძ (იკეს) „შებერვა“ და ლაკ. უძ (უჩინ) „შებერვა“. ამ ლექსემის გარდა არ მოიპოვება ძირეული ლექსიკური მასალა **ძ** ფონემის ლაკურ-დარგუული ენობრივი ერთობის დონეზე რეკონსტრუქციისათვის.

3.2.12. პალატალიზაცია და აფრიკატიზაცია. ლაკური ენისა და დარგუული ენის კუბაჩურ-წუდახარული ტიპის დიალექტთა მონაცემები ადასტურებენ, რომ მათ ფონეტიკურ სისტემებში ისტორიულად მოქმედებდა ველარულ ფონემათა პალატალიზაციისა და აფრიკატიზაციის პროცესები. ამჟამად ამ პროცესების კვალი დაჩნდება როგორც დიალექტურ და დიალექტთაშორის, ასევე ენათაშორის დონეზე: წუდახ. ურუი „ისარი“ ← *ურგი (შდრ. ურგნე „ისრები“), წუდახ. ჭუელ „ორი“ ← კუელ (ურახ.)... ან ლაკურში (ლუმუქ.): ხენკ „ხინკალი“ → ხენჭალ ... აგრეთვე ლაკ. (ლუმუქ.) ქავაცა „ჭაკი“ → ჩავაცა (ვიხლ. დიალ.), კვისა „თითი“ (ლუმუქ.) → ჭვისა (ვიხლ.)... ლაკ. (ლუმუქ.) ჭვანი „შუქი“ ← ხუნძ. ქან „შუქი“, ლეზგ. ექუ; ლაკ. ჩვუ „სად“, შდრ. ხუნძ. ქიბ „სად“... ამრიგად, პალატალიზაციის პროცესში ხშულ-მსკლომი გ ფონემა გადადის ჟ სპირანტში, ხოლო ხ^ა → შ და ხ^ა → შა. აფრიკატიზაციის შემთხვევებში უკანაენისმიერი ქ, ქჟ, კ ფონემები იძლევა ჩ, ჩა, ჭ ფონემებს. ამ პროცესს ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, თუ დარგუული ენის ველარები ი და ე ხმოვანთა და უი, უე დიფთონგთა წინამავალ პოზიციაშია, ხოლო ლაკურში – ი და ა ხმოვნების წინ არიან.

3.2.13. ასიმილაცია-დისიმილაცია. დარგუულ ენაში ნ და ლ სონორების თავმოყრა (ნ + ლ) იძლევა ნლ კომპლექსს, ხოლო ლაკურში ეგევე პროცესი ნ+ლ → ნნ მეტად იშვიათია. დარგუულ და ლაკურ ენებში ნიშანდობლივია აგრეთვე პროცესი რ+ლ → ლლ.

ლაკური ენა ვერ იგუებს რ+რ → რრ პროცესს განსხვავებით დარგუულისაგან, რომლისთვისაც რრ თანხმოვანთა შეყრა არ არის უცხო (ურახულ დიალექტში). წუდახარულ დიალექტში რრ → ნრ, ხოლო ხაიდაყურში რრ → ნდ, ხოლო გუბდენის მეტყველებაში რრ → ჯ. ლაკურისათვის ბუნებრივია პროცესი რ + ნ → ნნ, ასევე ლ+დ → ლლ; ლაკურში ლ+ნ → ნნ, ხოლო ვიცხიურ დიალექტში ნაწილობრივ ლ+ნ → ნდ: ზალ „ღმერთი“ + ნ-ალ (ნათ. ბრ.) → ზან-ნ-ალ (ლუმუქ. დიალ.) და ზალ+ნ-ალ (ნათ. ბრ.) → ზან-დ-ალ (ვიცხ. დიალ.) // ზან-ნ-ალ (ვიცხ. დიალ.); კუბაჩურში დ+ლ → ლლ, დ+ნ → ნნ, ბ+მ → მმ, რაც ლაკურისათვის დამახასიათებელი არ არის; ლაკურსა და კუბაჩურში ნ+ბ → მბ (ვიცხ. დიალ.), ხოლო მბ კომპლექსი, თავის მხრივ, → მმ (ლუმუქ. დიალ.). დისტანციური რეგრესული დისიმილაციისას ლაკურში ლ ← რ, ხოლო დისტანციური ასიმილაციისას – რ → ლ.

3.2.14. სუბსტიტუცია. დამახასიათებელია ბ ხშულის შეცვლა ვ სპირანტით (ბ → ვ) ლაკურში. დარგუულის დიალექტებში დ → რ → ღ პროცესი ისტორიულად მოქმედებდა და ამჟამად იგი

შეჩერებულია. ლაკურში შესამჩნევია კლასის ნიშან **ღ**-ს ჩანაცვლება (სუბსტიტუცია) **რ** თანხმონით (**ღ** → **რ**) ზმნურ ფორმებში: ლუტინ „დასხმა“ → რუტინ, დატინ „შეკრება“ → რატინ... **ღ**→**რ** პროცესი ლაკურში ამჟამადაც მიმდინარეობს, თუმცა ამ ენაში მან ვერ მოიპოვა სისტემური და რეგულარული ხასიათი.

3.2.15. მეტათეზისი. ლაკური და დარგუული ენების მასალის ანალიზით ვლინდება მეტათეზისის შემთხვევებამ ენათა ძირეულ ლექსიკაში: დარგ. უნც „ხარი“ : ლაკ. ნიც; დარგ. უნზა „კარი“ : ლაკ. ნუზ... თუმცა მეტათეზისის შემთხვევები უფრო ხშირად დასტურდება არაბულ-სპარსულ-თურქულ ნასესხობებში: დარგ. ჭამრუ „ცხოვრება“ : ლაკ. ურმუ; დარგ. უქალი „აქლემი“ : ლაკ. ვარანი // ვანარი...

3.2.16. რელექცია. დარგუული ენის დიალექტებსა და ლაკურ ენაში სიტყვებში ყველაზე ხშირად ვარდება ფარინგალური **ჭ** და **ჭ** ფონემები. ლაკური ენის ლუმუქურ დიალექტში **ჭ** სავსებით ამოვარდნილია ლექსიკური შემადგენლობიდან და მისგან მხოლოდ ფარინგალური ტონილა არის დარჩენილი მეზობელ თანხმონებზე. ცალკეულ შემთხვევებში ახუშურ დიალექტში ვარდება ლარინგალური **ც** აბრუპტივიც. ახუშურ დიალექტში სრულ რელექციას ექვემდებარებიან ერგატივის და ნათესაობითის **ლლ** და **ნნ** კომპლექსებიც, ხოლო ურახულში **ბლ** კომპლექსიდან ვარდება **ბ**. დამახასიათებელი მოვლენაა ლაკურისათვის **ლ** (← **რ**) თანხმონის ამოვარდნის პროცესი ზმნურ ფორმებში: ლაკ. ჰა-ღ-ან „გალეწვა“ (შდრ. ჰარუსა „გალეწილი“), მაგრამ *ჰარ-ღ-ან → ჰალ-ღ-ან „კალოზა“. **ლლ** (← **რლ**) კომპლექსის ამოვარდნა ამ შემთხვევაში კომპენსირდება **ღ** ფონემით (**ღ** ← **რ**).

3.3. თანხმონათა შესატყვისობანი ლაკურ და დარგუულ ენებში

ლაკურ და დარგუულ ენებს შორის არსებულ თანხმონათა შესატყვისობების საკითხს ეძღვნება შ. გაფრინდამვილის ვრცელი სტატია (გაფრინდამვილი, 1954: 281-326) და ა.აკიევის მონოგრაფია (აკიევი, 1977: 59-93).

შ. გაფრინდაშვილის გამოკვლევის თანახმად, ფონემათა შესატყვისობების თვალსაზრისით, ყველაზე უფრო რთულ ვითარებას ფარინგალური თანხმოვნები წარმოგვიდგენენ. დარგუულის ფარინგალურ ყრუ სპირანტ ჰ-ს ლაკურში შეესატყვისება **ღ**; მაგალითად:

დარგ.	ლაკ.	
ჰული	და	„თვალი“
ჰპაღ	აღღიუ	„სტუმარი“
ყეჰე	ყადა	„თალგამი“
ჰინტინა		მატაოლ „წითელი“ და სხვა.

შეინიშნება აგრეთვე შესატყვისობა დარგუულ ფარინგალურ ყრუ სპირანტ ჰ-სა და ლაკურ წინაენისმიერ შ (← ჟ) და ზ სპირანტებს შორის:

დარგ.	ლაკ.	
ჰუშა	ზუ	„თქვენ“
ჟჰჰ	ზალ	„ღმერთი“
ჰჰაღ	შანვა	„სამი“ და სხვა.

შესატყვისობა შეინიშნება ლარინგალურ ყრუ სპირანტ ჰ-სა და წინაენისმიერ ყრუ სისინა სპირანტ ს-ს შორის:

დარგ.	ლაკ.	
ჰიმი	სი	„მრისხანება“, „ნაღველი“
მურჰი	მუსი	„ოქრო“
ჟარჰი	ვარსი	„ნაბადი“ და სხვა.

შესატყვისობა **ჰ : ს**, აგრეთვე **ჰ : ს : თ** დასტურდება დარგუული ენის დიალექტებს შორისაც.

დარგუული ენის ხშულ მსკდომ თანხმოვნებს ლაკურში ხშირ შემთხვევაში სპირანტი შეესატყვისება. ეს მოვლენა განსაკუთრებით შესამჩნევია ფარინგალთა და უკანაენისმიერთა შორის:

დარგ. ვ	ლაკ. ხ	
ჰარავილ		არხსა „შორი“ „შორი“
ცინივ	ნუხ	„გამოქვაბული“
ჯარ	მარხვ	„ჯირკი“ და სხვა.

ამავე დროს მეტად ხშირია შემთხვევები, როცა დიფერენცირებული შესატყვისობების ნაცვლად დარგულ და ლაკურ ენებში ფარინგალთა იდენტური შესატყვისობებია წარმოდგენილი:

დარგ.	ლაკ.	
ანვ	ავ	„ბალი“
უვნა	ვუნა	„ბებერი“
ვუ	ვუ	„სახნავი მიწა“ და სხვა.

ძირეული ლექსიკის ერთი ნაწილი გვიჩვენებს შესატყვისობას დარგულ უკანაენისმიერ მჟღერ ღ-სა და ლაკურ ყრუ ყ-ს შორის:

დარგ.	ლაკ.	
ნირღ	მაყ	„ცრემლი“
ბერღუიზ	ყაყან	„განმობა“
აჟღაღ	მუყბა	„ოთხი“
ღაღ	ყუბა	„ოცი“
ბაღლიზ	ყუყინ	„ჭრა“ და სხვა.

დარგულის უკანაენისმიერი ყრუ ფშვინვიერი ხშული ქ-ს შესატყვისად ლაკურში ვლინდება პალატალიზებული ყრუ სპირანტი ქ და აგრეთვე ამ უკანასკნელისაგან მიღებული თანხმოვანი შ:

დარგ.	ლაკ.	
ნიქუა	მიქ	„ფრჩხილი“

ლაკურში წარმოდგენილი ქ მეორეულია, პალატალიზაციის შედეგს წარმოადგენს.

დარგ.	ლაკ.	
სინქა	ცუშა	„დათვი“

დარგულის უკანაენისმიერ გ ფონემას ლაკურში შეესატყვისება კომორგანული ყრუ აბრუპტივი კ:

დარგ.	ლაკ.	
ღიგ	ღიკ	„ხორცი“
მიგ	მიკ	„ყინული“
ნიგ	ნაკ	„რძე“ და სხვა.

დარგუული ენის დიალექტების **ძ** და **ც** აფრიკატებს ლაკურში შეიძლება შეესატყვისებოდეს როგორც მუდური სპირანტი **ზ**, ისე ყრუ ინტენსიური სპირანტი **ს** და ყრუ აფრიკატი **წ**:

დარგ.	ლაკ.	
მეც	მაზ	„ენა“
უნძა	ნუზ	„კარი“
ბად	ბარზ	„მთვარე“ და სხვა.

დარგ. ზ	ლაკ. წ	
ზუ	წა	„სახელი“
ზუმალ	წუნსაა	„ხშირი“, „მჭიდრო“
უმზუსე	მარწსაა	„სუფთა“
ბიზილ	ნაწუსაა	„ტკბილი“
ჟაზა	ნიწ	„თაფლი“
ზარაცი	წულდასაა	„კანმრთელი“
ზური	წუქუ	„კარსკვლავი“ და სხვა.

დარგ. ძ	ლაკ. ს	
ძუჟარი	საავ	„ცა“
რუძი	საუ	„და“
უძი		„უსაუ“ „ძმა“ და სხვა.

გადიფერენცირებულ შესატყვისობათა გარდა დარგუულ და ლაკურ ენებში ხშირია იდენტურ ბგერათშესატყვისობათა მაგალითებიც. იდენტური შესატყვისობები ნიშანდობლივია წინაენისმიერი თანხმოვნებისათვის, მაგალითები:

დარგ. თ	ლაკ. თ	
ჟათის	ბითან	„დატოვება“
ბითის	ბათან	„ცემა“ და სხვა.

დარგ. წ	ლაკ. წ	
ბეწ	ბარწ	„მგელი“
ბირწის	დარწან	„ღნობა“
ბიწიბსე	ბუწუესა	„სავსე“
ჭაწა	ვაწა	„ტყე“
ჭიწალ	აწ	„ათი“ და სხვა.

დარგ. ს	ლაკ. ს	
ასის	ლასუნ	„აღება“
ნუსია	ნის	„ყველი“
ბურსის	ბუსან	„თქმა“ და სხვა.

ბაგისმიერთა შესატყვისობები დარგუელსა და ლაკურს შორის არ სცილდება თითოეული ამ ენის შიგნით დადასტურებული ბგერათხანაცვლების (სუბსტიტუცია) ფარგლებს:

დარგ. მ	ლაკ. ნ	
ღამსი	ღანსა	„ანლომყოფი“
ხამხა	ტანი	„ტანი“
ზუმაღ	წუნსა	„ხშირი“, „მჭიდრო“ და სხვა

დარგ. ჟ	ლაკ. მ	
ჟერალ	მდაღ	„რვა“
ქიჟა	ქუმ-ღი	„ცხვრები“ და სხვა.

დარგ. მ	ლაკ. ბ, ფ	
მურღა	ბურთი	„მხედარი“
უმაღ	ფაღ	„კოცნა“ და სხვა.

ისტორიული განვითარების ხანგრძლივ პერიოდში დარგუელი და ლაკური ენების თანხმოვანმა ფონემებმა განიცადეს სხვადასხვაგვარი კომბინატორული და სპონტანური ფონეტიკური ცვლილებები.

კომბინატორულ და სპონტანურ ცვლილებებს აქვთ ან კანონზომიერი ანდა შემთხვევითი ხასიათი. შემთხვევით ფონეტიკურ ცვლილებებს ა. აკიევი უწოდებს იმ სპონტანურ ცვლილებებს, რომელთა ახსნაც გაძნელებულია დარგულ და ლაკურ ენათა საკმარისად შეუსწავლელობის გამო და ისინი რჩებიან შემთხვევითობად (სპონტანურობად) ვიდრე არ არის გარკვეული ის შინაგანი მექანიზმი, რამაც განაპირობა ამგვარი ცვლილებები, ვიდრე არ გარკვეულა შინაგანი კანონები, რომლებიც მართავენ ამგვარ ცვლილებებს (აკიევი, 1977: 98).

ლაკური და დარგული ენების ლექსიკური მონაცემების შედარება ცხადყოფს, რომ რაც უფრო უკანა წარმოებისაა ბგერები, მით უფრო მდიდრადაა წარმოდგენილი ბგერათშესატყვისობები, რომლებიც მიიღება მათი ფონეტიკური ცვლილებების შედეგად. შესატყვისობები წინა წარმოების ბგერათა შორის ისევე ფართოდაა გავრცელებული, როგორც უფრო უკანა წარმოების ბგერებს შორის, თუმცა წინა წარმოების ბგერებს შორის არსებული შესატყვისობანი ამ ენებში განპირობებულია ძირითადად ისეთი ფონეტიკური პროცესებით, როგორცაა პალატალიზაცია, ღეზაფრიკატიზაცია, გემინაცია, მონაცვლეობა და ა.შ.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებენ ბგერათშესატყვისობები, რომლებიც წარმოიქმნენ ჯერ კიდევ შორეულ წარსულში და ამჟამად შეწყვეტეს თავისი ფუნქციონირება, აგრეთვე ის შესატყვისობები, რომლებიც დღესაც ფუნქციონირებენ ლაკურ და დარგულ ენებში.

დარგულ-ლაკური ძირეული ლექსიკის ისტორიულ-შედარებითი ანალიზი ცხადყოფს, რომ ბგერათცვლილებები (მონაცვლეობა, შესატყვისობა და ა.შ.), რომლებიც მიმდინარეობს როგორც დიალექტებს შიგნით, ისე ამ ენებს შორის, უმეტეს შემთხვევებში რეგულარული და კანონზომიერი ხასიათისაა. ეს ფაქტი როგორღაც რ ეთანხმება შ. გაფრინდაშვილის თვალსაზრისს იმის შესახებ, რომ „ზოგადად მთის კავკასიურ ენებში ბგერათა შესატყვისობები შეზღუდული ხასიათისაა. ძლიერ იშვიათია შემთხვევები, როცა ბგერათა შესატყვისობები ვრცელდება ხოლმე ენის მთელს ლექსიკაზე. ეს გამოწვეულია არა იმით, რომ ბგერათშესატყვისობათა კანონზომიერებას სპორადული ხასიათი აქვს, ანდა იმით, რომ მთის კავკასიურ ენათა რთული ბგერითი სისტემა აძნელებს ხსენებულ შესატყვისობათა გამოვლენას, არამედ იმით, რომ ეს შესატყვისობები, რომლებიც დასტურდება გენეტიკურად ერთმანეთთან დაკავშირებულ სიტყვებში, შეიცავენ ბგერებს, მსგავსს იმ ბგერებისა, რომლებიც წარმოდგენილია მათთან საერთოს არმქონე სხვა ფუძეებში“ (გაფრინდაშვილი, 1966: 99).

ა. აკიევის თქმით, რაც შეეხება ლაკურ-დარგულ ბგერათშესატყვისობებს, ისინი, შ. გაფრინდაშვილის მოსაზრების ფონზე, როგორც ჩანს უნდა განვიხილოთ როგორც გამონაკლისი, რამდენადაც ისინი არ ატარებენ შეზღუდულ (სპორადულ) ხასიათს და მოიცავენ ამ ენათა ძირეული ლექსიკის მნიშვნელოვან ნაწილს. გარდა ამისა, არ არის აუცილებელი, რომ ბგერათშესატყვისობები ვრცელდებოდნენ ენის მთელს ლექსიკაზე. ეს არ არის დამახასიათებელი ლინგვისტური პროცესებისათვის ზოგადად (ა. აკიევი, 1977: 99).

3.4. თანხმოვანთკომპლექსები

ლაკურ და დარგულ ენებში თანხმოვანთკომპლექსების ფორმირება დაკავშირებულია ლაბიალიზაციის პროცესთან. შ. გაფრინდაშვილის დაკვირვებით, დარგულ ენაში ლაბიალიზაცია ამჟამად ძირითადად მოიცავს უკანაენისმიერ და კიდევ უფრო მეტად ღრმა წარმოების ბგერებს, ხოლო ლაკურ ენაში ფართოდაა გავრცელებული ლაბიალიზაცია წინაენისმიერი სისინა სპირანტებისა, რომლებიც დარგულ ენაში იშვიათად გვხვდებიან ლაბიალიზებული სახით (გაფრინდაშვილი, 1966: 221-226).

ასევე დიალექტში, რომელიც საფუძვლად უდევს დარგულ სალიტერატურო ენას, თანხმოვნები არ ლაბიალიზდებიან. თანხმოვანთა ლაბიალიზაცია გვხვდება წუდახარულ, ურახულ დიალექტებში. დარგულ ენაში არ არის ისეთი თანხმოვნები, რომლებიც ყოველთვის ლაბიალიზდება (აბდულაევი, 1954: 51-54).

ურახულ და წუდახარულ დიალექტებში ლაბიალიზაცია, რომელიც არაიშვიათად ასრულებს ფონოლოგიურად მნიშვნელოვან ფუნქციებს, ატარებს მნიშვნელობათა განმასხვავებელ თვისებას. ლაბიალიზებული და არალაბიალიზებული წყვილები სახელებში ასხვავებენ სემანტიკას, მაგალითად:

ურახულში

- | | |
|----------------|----------------|
| გჷაზა „ჭაკი“ | გაზა „წერაქვი“ |
| იგჷის „წვა“ | იგის „ყვარება“ |
| ქჷანი „მუცელი“ | ქანი „საით“ |
| კჷი „ორი“ | კი „ლარი“ |

ღჭარი „კვალი“ ღარი „უსმინე“ და სხვა.

წუღახარულში

ბიხუბ „ყოფნა“ ბიხიხ „შეკვრა“

ქუტუცა „ჭაკი“ ქუტუცა „წერაქვი“

იჭუბიხ „ღაპარაკი“ იჭიხ „არჩევა“ და სხვა.

ღარგუულ და ღაკურ ენებში გამოიყოფა ღაბიალიზაციის შეღეგად წარმოქმნილი შემღეგი თანხმოვანთკომპლექსები (გაფრინღაშვილი, 1966 : 226):

ღარგუული:ღჭ, თჭ, ტჭ, გჭ, ქჭ, ქიჭ, კჭ, (ბჭ), ცჭ, ციჭ, წჭ, (ჯჭ), ჩჭ, ჩიჭ, ჭჭ, ჟჭ, შჭ, შიჭ, ლჭ, ხჭ, ხიჭ, ყჭ, ვჭ, ვიჭ, ჰჭ, ჰიჭ, ჭჭ, ცჭ.

ღაკური: ტგ, გგ, ქგ, ქიგ, კგ, ცგ, ციგ, წგ, ჩგ, ჩიგ, ჭგ, ჟგ, შგ, შიგ, ლგ, ხგ, ხიგ, ყგ, ვგ, ვიგ, ჰგ, ჰიგ, ჭგ, ცგ.

თავი IV

ლეზგიურ ენათა კონსონანტური სისტემა:

ფონეტიკური პროცესები, შესატყვისობანი, თანხმოვანთკომპლექსები

ფონეტიკური პროცესები

4. 1. კონსონანტური სისტემის ზოგადი დასახიათება. ლეზგიურ ენათა ფონოლოგიურ სისტემებში გამოიყოფა ფონემურ ერთეულთა სამი ძირითადი კლასი: I ჩქამიერები; II სონორები; III სონანტები (resp. აპროქსიმანტები). ჩვენი აზრით, სონორები (რ, ლ, მ, ნ) და სონანტები (ჟ, ძ) საკვლევ ენებში ერთ კლასად ვერ გაერთიანდება, რასაც ხშირად ვხვდებით სპეციალურ ლიტერატურაში: ე. წ. ნახევარ-ხმოვნები ასრულებდნენ ხმოვნის ალოფონის ფუნქციას, ანუ დამატებით დისტრიბუციაში იმყოფებიან სათანადო ხმოვნებთან: ჟ - უ, ძ - ი, რაც არ ითქმის სონორების მიმართ.

„სერების“ მიხედვით, ჩქამიერები თანხმოვნები იყოფა სამ ქვეჯგუფად: 1. ხშულ-მსკდომები: ბ, ფ, ფფ, ფფ²⁸, პ, დ, თ, თთ, თუ, ტ, გ, ქ, ქა, ქა, კ, კ, ც; 2. აფრიკატები: ზ, ც, ცა, ცა, წ, წა, ჯ, ჩ, ჩა, ჩა, ჭა, ჯა, რ⁰, ჩა⁰, ჩა⁰, ჭ⁰, ლა, ტბ, დვ, ვა, ჯყ, ყა; 3. სპირანტები: ხ, ს, სა, ყ, შ, შა, ლ²⁹, ლა, ლ²⁹, ს, ხა, ღ, ხ, ხა, ჟ, ჟ, კ, კ. ლოკალური რიგების მიხედვით, ჰორიზონტალურად ჯგუფდება ჰომორგანული/ჰეტეროგენული ზემომოყვანილი თანხმოვნები, რომლებიც ათ ლოკალურ რიგს ქმნიან: წყვილბაგისმიერი (ბილაბიალური), კბილისმიერი (დენტალური), წინაუნიისმიერი (პრეალვეოლარული), შუანუნიისმიერი (ინტერალვეოლარული), უკანაუნიისმიერი (პოსტალვეოლარული), შუაუნიისმიერი (ინტერდორსალური), წინასასისმიერი (პრეველარული), უკანასასისმიერი (პოსტველარული), ხახისმიერი (ფარინგალური), ხორხისმიერი (ლარინგალური).

ვინაიდან სპეციალურ ლიტერატურაში ცალკეულ ენათა კონსონანტური სისტემები განხილუ-

²⁸პრერუპტივები (ფუ, თუ, ქუ, ცუ, ჩუ, ვუ) როგორც ფონემები დასტურდება უდიურ ენაში (სოფ. ზინობიანის მეტყველების გამოკლებით), ხოლო დანარჩენ ლეზგიურ ენებში მათი ფონემურობა საეჭვოა. პრერუპტივები უდიურ ენაში მიღებულია აპროპტივების ლაბრუპტივიზაციის შედეგად [თალიბოვი 1967; 1974; 1980: 176-180; 186-194; გუკასიანი 1973; კიბრიკი, კობასოვი 1990: 347].

²⁹მჟღერი ლატერალური სპირანტი არჩიბულ ენაში დასტურდება, თუმცა მას ფონემის სტატუსი არ მოუპოვება [კახაძე 1958: 344; მიქაილოვი 1967: 28].

ლია დაწვრილებით [გიგინეიშვილი 1977: 46-65; თალიბოვი 1980: 43-216; კიბრიკი, კოძასოვი 1990: 335-347 და სხვ.], ამიტომ აქ დაწვრილებით ამ საკითხებზე აღარ შევჩერდებით.

ცხრილი № 1 ლეზგიური ენების თანხმოვანთა განაწილების კრებულთა ტაბულა

რაგვარობა		ჩქამიერი															სონორი		სონა
		ზმული															ნაზალი	არანაზალი	სონა
		ზმულ-მსკდომი					აფრიკატი					სპირანტი							
		ყრუ		ლატერალი		არალატერალი			ლატერალი		არალატერალი			ნაზალი	არანაზალი	სონა			
ფშვინგ.	მჟღერი	ფშვინგ.	მჟღერი	ფშვინგ.	მჟღერი	აბრუპტი	ფშვინგ.	მჟღერი	ყრუ	ნაზალი	არანაზალი	სონა							
არაინტენსიური	ინტენსიური	პრერუპტივი	აბრუპტივი	ფშვინგეი	აბრუპტივი	მჟღერი	არაინტენსიური	ინტენსიური	პრერუპტივი	არაინტენსიური	ინტენსიური	მჟღერი	არაინტენსიური	ინტენსიური	ნაზალი	არანაზალი	სონა		
წყვილბაგისმიერი	ბ	ფ	ფა	ფა	ჰ										ვ	ფ		ჟ	
კბილისმიერი	ღ	თ	თა	თა	ტ										ნ			ჩ	
							ძ	ც	ცა	ცა	წ	წა			ზ	ს	სა		
																		ჭ	
წინაენისმიერი	უკანაენისმიერი	არადენტოლამბია						ჯ	ჩ	ჩა	ჩა	ჭ	ჭა		შ	შ	შა		
		დენტოლამბიალი						ჯ ⁰	ჩ ⁰	ჩა ⁰	ჩა ⁰	ჭ ⁰	ჭა ⁰		შ ⁰	შ ⁰	შა ⁰		
შუაენისმიერი						ღა	ტა							(წ)	წა	წა			
უკანაენისმიერი	წინაველარული	გ	ქ	ქა	ქა	ა									ღ	ჩ	ჩა		
	უველარული							ფ	ვ	ვა	ვა	ყ	ყა		ღ	ჩ	ჩა		
ფარინგალური															ფ	ჭ			
ლარინგალური					ხ										ჰ				

შენიშვნა: ფრჩხილებში () ჩასმულია ფონამური ღირებულების არმქონე ბგერები.

4. 2. ლატერალიზაცია. სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ იბერიულ-კავკასიურ ენებში დადასტურებული ლატერალები უძველესი ფორმაციის თანხმონებია [ვან-გინეკენი 1938: 25-26]. ვან-გინეკენი ვარაუდობდა, რომ ლატერალური თანხმონებები გვქონდა ყველა იბერიულ-კავკასიურ ენაში (მათ შორის ქართველურ ენებშიც); მეტიც: ი. ვან-გინეკენის აზრით, ლატერალების რიცხვი კავკასიურ ენებში 40-ს აღწევდა. ეს მოსაზრება არ იქნა გაზიარებული: „ლატერალები რომ თანხმონებთანაა ძველისძველ სერიას წარმოადგენს კავკასიურ ენებში, სარწმუნო არ ჩანს; ორმოცი ლატერალი რომ ივარაუდა ვან-გინეკენმა კავკასიურ ენებში, ეს გამომდინარეობს მისი ზოგადი ვარაუდიდან: კაცობრიობის მეტყველებაში ამ რიგის თანხმონებები ძველისძველიაო. იბერიულ-კავკასიურ ენათა კონსონანტიზმის ისტორია ასეთ ვარაუდს არ ამართლებს“ [ჩიქობავა 1979: 75; იხ. აგრეთვე ახვლედიანი 1999: 414-415; შდრ. ქურდიანი 2007: 504].

ზოგიერთი მკვლევარის აზრით კი, ლატერალური თანხმონებები იბერიულ-კავკასიურ ენებში მეორეულია: საყურადღებო თვალსაზრისებია გამოთქმული ლატერალურ თანხმონებთანაა შესაბამისი გე-ლარული თანხმონებების გაპალატალების გზითწარმოქმნის შესახებ[ტრუბეცკოი 1987: 243; გუდავა 1954: 61-65].ო. კახაძეც არჩიულ ენაში წარმოადგენილ ლატერალთა თავისებურებებზე დაყრდნობით ამ თვალსაზრისს უჭერს მხარს [კახაძე 1958: 339-344; კახაძე 1959: 303-312].

ამის მიუხედავად, მაინც საფიქრებელია, რომ იბერიულ-კავკასიური ენებისათვის ლატერალურ თანხმონებთანაა სერია უძველესია; ამის შესახებ მეტყველებს:

ლატერალები უეჭველად აღდგება საერთოდალესტნურ ფუძეენაში [გიგინეიშვილი 1977]; ლატერალებს აღადგენენ საერთო-ნახურ-დალესტნურ ქრონოლოგიურ დონეზეც [იმნაიშვილი 1977: 194-199; ბოკარიოვი 1981: 30-32];

ლატერალები უეჭველად აღდგება საერთო-აფსახურ-ადილურში [კუმახოვი 1981: 211-215];

მ. ქურდიანი აღადგენს ლატერალურ აფრიკატებს (ავტორის ტრანსკრიფციით: *ღ*, *თ*, *ტ*) საერთო-ქართველურ-ბასკურისათვის [ქურდიანი 2007: 492-493].

არჩიბული ამჟამად ერთადერთი ლეზბიური ენაა, რომელსაც ლატერალები შემორჩა. არჩიბულს ოთხი ლატერალური თანხმოვანი მოეპოვება: ლბ, ტბ, ლ', ლბ. ამათგან, ლბ და ტბ, მიუხედავად იმისა, რომ ლატერალურ აფრიკატებში ინტენსივობის მიხედვით კორელაციარ გვაქვს, რეალიზებული არიან როგორც ინტენსიური ბგერები.

არჩიბულს მჟღერი ლატერალური ბგერაც მოეპოვება, რომელიც უეჭველად მეორეულია; სამეცნიერო ლიტერატურაში ამ ბგერის შესახებ ორი განსხვავებული თვალსაზრისი გვხვდება: ო. კახაძეს დახასიათებით, ეს ბგერა უკანაენისმიერი მჟღერი ლატერალური აფრიკატია, რომელიც ასიმილაციის შედეგადაა მიღებული [კახაძე 1958: 344], ხოლო ყ. მიქაილოვის აზრით, ეს არის მჟღერი ლატერალური სპირანტი, რომელიც ტბაფრიკატის კომბინატორულ ვარიანტს წარმოადგენს მჟღერი დენტალური დ თანხმოვნის წინ, მაგ., ნოტბ “სახლი” ნოლდურ “სახლები” [მიქაილოვი 1967: 28]. გასათვალისწინებელია, რომ არჩიბულში შეინიშნება გლოტალური აფრიკატების სპირანტიზაცია დენტალური თანხმოვნების (დ, თ, თ') წინ, მაგ., კაჭი “ფოთოლი” > კაჭლე “ფოთლები” [მიქაილოვი 1967: 36]. შესაბამისად, ყ. მიქაილოვის მოსაზრება უფრო სარწმუნო ჩანს.

ო. კახაძემ არაერთი გამოკვლევა მიუძღვნა არჩიბული ენის ლატერალურ თანხმოვნებს, სადაც მთელი სიცხადით გვიჩვენა, რომ ლატერალები არჩიბულში ხუნძურ-ანდიურ-დილოურ ენათა ლატერალური ბგერებისაგან განსხვავდება: თუ ხუნძურ-ანდიურ-დილოურ ენებში ლატერალური თანხმოვნები პირის ღრუს წინა ნაწილში იწარმოება, არჩიბულ ენაში ლატერალები შედარებით უკან იწარმოება ისინი პალატალიზებულ ჯ, ქ, კ'-ზე ოდნავ წინ გამოითქმის [კახაძე 1958]. ეს გარემოება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ლატერალთა რეკონსტრუქცია საერთოლეზბიურში დიდწილად არჩიბული ენის მონაცემებს ეყრდნობა. ამას გარდა, უნდა აღინიშნოს, რომ ლატერალები არჩიბულ ენაში (ლბ, ტბ, ლ', ლბ) პოზიციურად არ არის შეზღუდული და, რაც ყველაზე მთავარია, ფართოდაა წარმოდგენილი საკუთარ ლექსიკაში, რომელშიც ვლინდება რეგულარული და კანონზომიერი შესატყვისობები მონათესავე ენებთან.

არჩიბულში დაცული ლატერალები ზოგიერთ ლექსემაში საერთო-ნახურ-დალესტნური და საერთოდალესტნური ლატერალების რეკონსტრუქციის საფუძველს წარმოადგენს: ხუნძურ-ანდიურ-დილოურ ენებში ამჟამად თვალშისაცემია ლატერალთა მოშლის ტენდენცია, რაც სხვადასხვა ენებსა და თანხმოვანთა სხვადასხვა სერიებში არათანაბრად არის რეალიზებული [კახაძე 1979: 46-47]. ამ

თვალსაზრისით გამორჩეული ადგილი უჭირავს ხუნძურს, საკ. ანდიურსა და დიდოურ ენებს, რომლებშიც ლატერალურ თანხმოვანთა ელიმინაცია სხვადასხვაგვარი ფონეტიკური პროცესებით არის შეპირობებული.

ერთი რამ ცხადია: ლატერალთა არსებობა საერთოლუზგიურ ფუძეენაში ეჭვს არ უნდა იწვევდეს. სამეცნიერო ლიტერატურაში წარმოდგენილია საერთოლუზგიური კონსონანტიზმის რეკონსტრუქციის რამდენიმე ცდა, რომელიც ფუძეენაში ლატერალების აღდგენასა და სინქრონულ დონეზე მათი რეფლექსების პოვნის შესახებ მოიცავს:

ს. სტაროსტინი საერთოლუზგიურში ექვი ლატერალისა და მათი ლაბიალიზებული ვარიანტების არსებობას ვარაუდობს (*ლ', *ლზ, *ტ, *ტბ, *ლ, *ლზ; *ლ', *ლზ, *ტ, *ტბ, *ლ, *ლზ)[სტაროსტინი 1975];

ე. ბოკარიოვი ფუძეენაში *ლ, *ტ, *ტბ და *ლზ ბგერებს აღადგენს [ბოკარიოვი 1981: 58].

ბ. თალიბოვი კი მხოლოდ ორ გლოტალურ ლატერალურ აფრიკატს ვარაუდობს (*ტ, *ტბ)[თალიბოვი 1980: 310-313].

ლუზგიურ ენათა მონაცემებით ხერხდება ხუთი ლატერალური თანხმონის რეკონსტრუქცია, ესენია: *ლ, *ლზ, *ტ, *ლ და *ლზ. ჩვენი დასკვნები ეხმიანება ბ. გიგინეიშვილის მოსაზრებას: როგორც მკვლევარი ვარაუდობს, საერთოდადესტურში *ლ, *ლ', *ლზ, *ტ, *ტბ, *ლ და *ლზ ლატერალები გვქონდა, ხოლო საერთოლუზგიურში, არჩიბულის გამოყოფამდე (მკვლევრის მოსაზრებით, რომელსაც ჩვენც ვიზიარებთ, არჩიბული პირველი გამოყოფილი საერთოლუზგიურს), *ლ და *ტ სხვა რიგის ბგერებში გადავიდა[გიგინეიშვილი 1977: 151].

4. 2. 1. ლატერალურ აფრიკატთა დელატერალიზაცია. როგორც აღინიშნა, ლუზგიურ ენებში ლატერალური აფრიკატები შემონახულია მხოლოდ არჩიბულ ენაში. არჩიბულში დასტურდება ორი ლატერალური აფრიკატი ფვშინვიერი და გლოტალური. მიუხედავად იმისა, რომ ლატერალურ აფრიკატთა შორის ინტენსივობის მიხედვით კორელაცია არ არსებობს ისინი რეალიზებულნი არიან როგორც ინტენსიური ბგერები.

ამ ბგერების გარდა საერთოლუზგიურ ფუძეენაში მჟღერი ლატერალური სპირანტიც აღდგება. მჟღერი ლატერალების არსებობა ფუძეენაში ივარაუდება არამხოლოდ სისტემის სიმეტრიულობის გა-

თვალისწინებით, არამედ მათი რეკონსტრუქციისათვის სხვა ხელშესახები ფაქტები მოგვეპოვება. *ღ ბგერა ლეზგიურ ენებში სხვა რეკონსტრუირებულ ლატერალთაგან განსხვავებულ რეფლექსაციას გვიჩვენებს, რომლის გაერთიანება სხვა რომელიმე ფორმულასთან ვერ ხერხდება.

მჟღერმა *ღ-მ ლეზგიურ ენებში მოგვცა სხვა მჟღერ აფრიკატებთან სიმეტრიული რეფლექსები. არჩიბულში, რომელშიც შემონახულია ლატერალი, მჟღერმა აფრიკატებმა მოგვცეს ფშვინვიერი აფრიკატები: *ძ>ც; *ჯ>ჩ; *ღ>ჯ; *ღ>ლზ. ლზ რეფლექსი ვერ ჩაითვლება არაკანონზომიერად იქიდან გამომდინარე, რომ არჩიბულში ლატერალურ აფრიკატებში მოშლილია ინტენსივობის მიხედვით კორელაცია და ისინი რეალიზებულნი არიან როგორც ინტენსიური ბგერები და, ამასთან ერთად, სუსტი ლატერალური აფრიკატები მოიშალა ჯერ კიდევ საერთოლეზგიური ფუძეების დაშლამდე. ხინალურში კი მოხდა მჟღერი აფრიკატების აბრუპტივიზაცია: *ძ>წ; *ჯ>ჭ; *ღ>ყ; *ღ>კ. აქაც კ ბგერა ვერ ჩაითვლება არაკანონზომიერ რეფლექსად იქიდან გამომდინარე, რომ ხინალურში *ღ ვერ მოგვცემდა შესაბამისი ლოკალური რიგის აბრუპტიულ აფრიკატს.

ლეზგიურში *ღ წარმოდგენილია ორი ძირითადი რეფლექსით: ქზ (მასვილის წინ) და ლ (მასვილის შემდგომ), მაგ., ლ-უნ „მიცემა“, „მოცემა“; ქჟრ (< *ქუქჟრ) „საქონელი“, შღრ. სხვა მჟღერ აფრიკატთა რეფლექსაციას ლეზგიურ ენაში: *ძ>ც/ძ; *ჯ>ჩ/ჯ; *ვ>ჟ/ღ. აღსანიშნავია, რომ მჟღერი შემონახულია მასვილის შემდგომ, ხოლო მასვილის წინ მჟღერი აფრიკატი გვაძლევს ინტენსიურ ფშვინვიერს. ერთგვარი თავისებურება შეინიშნება უგულარულ და ლატერალურ რიგში, რომლებშიც მჟღერმა განიცადა სპირანტიზაცია. ეს, როგორც ჩანს, იმითაა გამოწვეული, რომ ღ ბგერა თითქმის ყველა ლეზგიურ ენაში მოიშალა. რაც შეეხება მჟღერ ლატერალურ აფრიკატს: თავდაპირველად მასაც უნდა მოეცა ორი კანონზომიერი რეფლექსი (*ღ, *ლზ), ხოლო შემდგომში პირველმა მათგანმა სპირანტიზაცია განიცადა, ხოლო მეორე შესაბამისს ხშულ-მსკდომს შეერწყა. მხოლოდ მჟღერი რეფლექსები დასტურდება თაბასარანულ ენაში: *ძ>ძ; *ჯ>ჯ; *ღ>ღ; *ღ>ღ. ისტორიულად იგივე რეფლექსაცია უნდა იყოს დამასასიათებელი აღულურისა და რუთულურისათვის, რომლებშიც გარკვეული კომბინატორული ცვლილებები განხორციელდა, კერძოდ, ლ ბგერა ყველა პოზიციაში გარდა აუსლაუტისა მოგვცა ღ, ხოლო აუსლაუტში მოხდა ლ ბგერის დაყრუება: ლ>ზ. ამას გარდა, რუთულურში უ ხმოვნის წინ შეინიშნება უ რეფლექსი. დანარჩენ ლეზგიურ ენებშიც საერთოლეზგიური *ღ ბგერა წარმოდგენილია ორი ძირითადი რეფლექსით. კრიწულში დასტურდება ლ

და ჯბ, ხოლო ბუღუხურში იგივე რეფლექსებია იმ განსხვავებით, რომ ლ რეგულარულად გვადლევს მ-ს. მეორე რეფლექსი (ჯბ) ლეზგიურ ქბ-ს შეესატყვისება. საყურადღებოა წახურსა და უდიურში დასტურებული რეფლექსები: ლ და ლ. ამასთან, ლ დასტურდება წინა რიგის ხმოვნების (ი, ე, უ) წინ. ლ რეფლექსი წახურსა და უდიურში (წახ. ვი-ლ-ეს „მოცემა“, „მიცემა“; მოლი-ლლ „რვა“; უდ. ბელე „საქონელი“...) უფრო მყარად დასტურებს *ლ ფონემის რეკონსტრუქციის აუცილებლობასა და მართებულობას საერთოლეზგიურში. კავკასიის ალბანურში ოდენ ლ რეფლექსი დასტურდება (კუნდ „შვიდი“; მუნდ „რვა“; და-ლ-ეს „მოცემა“, „მიცემა“).

რაც შეეხება საერთოლეზგიურ *ლბ-ს: სამურულ ენებში დელატერალიზაციასთან ერთად მოხდა ამ ბგერის სპირანტიზაცია და დენტენსივიზაცია (*ლბ > წ). ერთადერთი განონაკლისია ერთ-ერთი (ლ-სთან ერთად) ლეზგიური რეფლექსი გ (რუგუ-დ „ექვსი“). უდიურსა და კავკასიის ალბანურში *ლბ გადავიდა სუსტ ფვშვინვიერ უველარულ აფრიკატში (ვ უვ „ექვსი“; ვო „ხუთი“). ხინალულურში ამ ბგერამ სუსტი წინაველარული ხშულ-მსკდომი მოგვცა (ქ ზექ „ექვსი“; ქინ „ჩვენ“ (ინკლ.)). ლატერალური ბგერა მხოლოდ არჩიბულს შემორჩა, თუმცა აქაც სპირანტიზაცია და ნაწილობრივ დენტენსივიზაცია განვითარდა, მაგ., ლბო „ხუთი“; დილ „ექვსი“.

საერთოლეზგიური *ტბ-ც შემონახულია მხოლოდ არჩიბულ ენაში, თუმცა ზოგჯერ დენტენსივიზაციას განიცდის, მაგ., ატ „ხორცი“; ბონტ „ლორი“; ნატ „რძე“; ტან „ნდომა“, „ყვარება“. სხვა ლეზგიურ ენებში *ტბ დელატერალიზაციას განიცდის: კავკასიის ალბანურში იგი გადასულია სუსტ უველარულ გლოტალურ აფრიკატში (ბუყ-ესუნ „ნდომა“, „ყვარება“), ხოლო უდიურში უველარულ პრერუპტივში (სოფ. ზინობიანის მეტყველებამი აბრუპტივში), მაგ., ევ „ხორცი“; ბოვ „ლორი“; ნავ „დო“; ბუვ-სუნ „ნდომა“, „ყვარება“. დანარჩენ ლეზგიურ ენებში *ტბ გადასულია წინაველარულ ხშულ-მსკდომებში: გ, ქ, ქბ, კ. ყველაზე მეტი საში რეფლექსი (გ, ქ, ქბ) დასტურდება წახურში. ორ-ორი რეფლექსი დასტურდება ლეზგიურში (ქ, კ), რუთულურსა (გ, ქ) და ხინალულურში (ქბ, კ). ოდენ ქ რეფლექსი გვხვდება თაბასარანულსა და ალულურში, ხოლო კრიწულსა და ბუღუხურში ოდენ ქ რეფლექსი.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ საერთოლეზგიური ფუძემდებლის დაშლამდელატერალთა სერიაში ორი ფონეტიკური ცვლილება განხორციელდა: როგორც ბ.

გიგინეიშვილი ვარაუდობს, არაინტენსიურმა ლატერალურმა აფრიკატებმა არაინტენსიური უკანაენისმიერი ხშულ-მსკლომები მოგვცა (*ლ' > *ქ; *ტ' > *კ) [გიგინეიშვილი 1977: 151].

არსანიშნავია, რომ ორივე ზემოაღნიშნულ პროცესს ლეზგიურ ენათა ფაქტობრივი მონაცემები მხარს არ უჭერს.

საეჭვოა, რომ ქ ბგერა ლეზგიურ ენებში დასტურდება როგორც საერთოდალესტნური *ლ'-ს შესატყვისი სინქრონულ დონეზე. ბ. გიგინეიშვილი *ლ' ბგერის კონონზომიერ რეფლექსად ხინალულურში ქ ბგერას მიიჩნევს [გიგინეიშვილი 1977: 94] და ეს ვარაუდი მხოლოდ ერთ მაგალითზეა დაფუძნებული (ქ-ირი³⁰). ამასთან, ბ. გიგინეიშვილმა სწორედ ხინალულური ენის ჩვენებაზე დაყრდნობით ივარაუდა *ლ' > *ქ პროცესი საერთოლესტიურისათვის.

რაც შეეხება ბ. გიგინეიშვილის მიერ ნავარაუდევ *ტ' > *კ პროცესს [გიგინეიშვილი 1977: 151]: ეს პროცესი რომ განვითარებულიყო საერთოლესტიურში, მაშინ საერთოდალესტნური *ტ'-სა და *კ ბგერები ლეზგიურ ენებში ერთნაირ რეფლექსებს მოგვცემდა; შდრ.: საერთოდალესტნური *კ > ლეზ. კ: თაბ. კ: აღ. კ: რუთ. კ: წახ. კ: კრიწ. კ: ბუდ. კ: არჩ. კ: უდ. კ: ხინ. კ/გ [გიგინეიშვილი 1977: 81-82; ბოკარიოვი 1981: 65; თალიბოვი 1980: 288-290]. ვფიქრობთ, რომ საერთოდალესტნური *ტ' საერთოლესტიურში გადავიდა წინაველარულ სუსტ გლოტალურ აფრიკატში (პირობითად *კ²), რომელმაც შემდგომ ორი განსხვავებული კორესპონდენცია მოგვცა ლეზგიურ ენებში (კ და ყ). აგრეთვე, როგორც აღინიშნა, ვერგავი ზიარებთბ. გიგინეიშვილის მიერ ნავარაუდევ *ლ' > *ქ პროცესსაც [გიგინეიშვილი 1977: 94]. თუ საერთოდალესტნური *ქ ლეზგიურ ენებში იდენტური კორესპონდენციებითაა წარმოდგენილი, *ლ' ბგერა, როგორც წესი, ხ-ს გვაძლევს. ვფიქრობთ, რომ *ტ' > *კ² პროცესის პარალელურად საერთოლესტიურში *ლ' > *ქ პროცესი განვითარდა.

ბ. თალიბოვი [თალიბოვი 1980: 310-311] და ე. ბოკარიოვი [ბოკარიოვი 1981: 83-84] საერთოლესტიურ ქრონოლოგიურ დონეზე *ტ' ფონემის არსებობას ვარაუდობენ. ვფიქრობთ, არ გვაქვს არანაირი საფუძველი, რომ ამ ბგერის რეკონსტრუქცია საერთოლესტიურში შესაძლებლად მივიჩნიოთ.

³⁰ბ. გიგინეიშვილის მასაზრებით, ზმნა ქირი “გახდომას” აღნიშნავს [გიგინეიშვილი 1977: 94], თუმცა ხინალულურში ეს ლექსემა ოდენ “კეთების” მნიშვნელობით დასტურდება [გაბიევა 2002: 153-154], ხოლო “გახდომას” გადმოსცემს ყი ზმნა, რომელიც “გახდომის” აღმნიშვნელ საერთოლესტიურ ზმნას არ უნდა უკავშირდებოდეს.

ჩვენთვის სრულიად ცხადია, რომ ამ ბეგრამ ცვლილება განიცადა ჯერ კიდევ არჩიბულის გამოყოფამდე, ანუ საერთოლუზგიური ფუძეების დაშლამდე, და, ამდენად, მისი პოსტულირება საერთოლუზგიური ფუძეებისათვის მხოლოდ ჰიპოთეტურადაა შესაძლებელი. აღსანიშნავია, რომ კ კორესპონდენცია ლაკურშიც და დარგუულშიც გვხვდება, რაც გვაძლევს საფუძველს, რომ *ტ> *კ² პროცესის დაწყება ვივარაუდოთ ჯერ კიდევ საერთოდალესტნურ ქრონოლოგიურ დონეზე (რიგ დიალექტებში).

რომ დავეშვათ *ტ ბგერის არსებობა საერთოლუზგიურში, მაშინ ამ ბგერის პოსტულირება უნდა მოხდეს აღმოსავლურ-სამურულ და დასავლურ-სამურული ერთობისათვის, რაც დაუშვებლად მიგვაჩნია (იხ. ბგერათშესატყვისობათა ფორმულა, რომლის მიხედვით ბ. თალიბოვი და ე. ბოკარიოვი ვარაუდობენ ამ ბგერის არსებობას საერთოლუზგიურში: არჩ. კ: ლუზგ. ყ: თაბ. კ, ჭ: აღ. კ: რუთ. ყ: წახ. კ[/ყ]:³¹ კრიწ. ყ: ბუდ. ყ: უდ. Ø /ყ: ხინ. კ), მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ამ რიგის ინტენსიური ლატერალური აბრუპტივიინტენსიური ფშვინვიერი აფრიკატის მსგავსად მოიშალა ჯერ კიდევ საერთოსამურული ერთობის დაშლამდე.

ამრიგად, მჟღერი და ინტენსიური ლატერალური აფრიკატები მოიშალა შედარებით გვიან. ფონეტიკური პროცესები განვითარდა დამოუკიდებლად არჩიბულში, უდიურში, ხინალურსა და საერთოსამურულში. საერთოდალესტნური სუსტი ლატერალური აფრიკატები, საფიქრებელია, საერთოლუზგიური ერთობის დაშლამდე გადავიდნენ სუსტ წინაველარულ აფრიკატებში.

